გელა ირემაძე

გლობალური პრობლემები და საერთაშორისო პოლიტიკა

ბ ი ბ ლ ი ო

ბათუმი 2013

შ ი ნ ა ა რ ს ი

თემა: გლობალური პრობლემების დეფინიცია და კლასიფიკაცია

თემა: გლობალური პრობლემების და გლობალური პოლიტიკის ურთიერთმიმართება

თემა: სამხედრო-პოლიტიკური და ეთნიკური კონფლიქტების ზრდა

თემა: საერთაშორისო ტერორიზმი

თემა: გლობალური დათბობა

თემა: „მდიდარი ჩრდილოეთი“ და „ღარიბი სამხრეთი“

თემა: დემოგრაფიული „აფეთქება“

თემა: საერთაშორისო მიგრაცია

თემა: სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემა

თემა: ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული

თემა: ენერგო რესურსების ნაკლებობა და წინააღმდეგობების გამწვავება სახელმწიფოებს შორის

თემა: მსოფლიოს დემოკრატიზაცია და გლობალური არასტაბილურობა

თემა: რელიგიური ფუნდამენტალიზმი

თემა: კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა

ლექცია 1

ლექციის თემა: გლობალური პრობლემების დეფინიცია და კლასიფიკაცია

21-ე საუკუნის დასაწყისში გლობალური პრობლემების ხელახალმა გამწვავებამ ცივილიზაციის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, რამაც საკამათო გახადა აზრი იმის თაობაზე, რომ კატასტოფებიდან რაიმეს სწავლა შეიძლებოდა. გაიზარდა გლობალური, პლანეტარული კატასტროფის საშიშროება, ასევე კაცობრიობის გაქრობის საშიშროება ბირთვული ომის ან პლანეტის ბიოსფეროს დეგრადაციის შედეგად ან მსგავსი მასშტაბის სხვა მიზეზების გამო. ბოლო 25 წლის განმავლობაში მიუხედავად სხვადასხვა ზომების მიღებისა, ბირთვული საფრთხის გარდა არცერთი გლობალური საფრთხის აცილება არ მომხდარა და ვერ მოხერხდა მათი შემსუბუქებაც.

მსოფლიოში თანამედროვეობის უმთავრესი გლობალური პრობლემებია: ეკოლოგია, დემოგრაფია, სანედლეულო, სასურსათო, მსოფლიო ოკეანის გამოყენების, მშვიდობისა და განსახლების, ეთნიკური, ჯამრთელობისა და სხვა. მეოცე საუკუნის ბოლოს კაცობრიობა, სწორედ, ამ პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. გლობალური პრობლემები ახდენენ უდიდეს გავლენას მსოფლიოს სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაზე. ე.ი აღნიშნული პრობლემები ეხება მთელ კაცობრიობას, ყველა ქვეყნის და სოციალური ფენის ინტერესებს. მისი გამწვავება საფრთხეს უქმნის თვით კაცობრიობის არსებობას. გადასაწყვეტად მოითხოვენ ქვეყნებს შორის თანამშრობლობას, ერთობლივ მოქმედებას პლანეტარული მაშტაბით.

ზოგიერთი გლობალური პრობლემა უკავშირდება ეკოლოგიურ პრობლემას. კერძოდ, გაუდაბნოება, ტყეების გაჩეხვა, ატმოსფეროს და ჰიდრო სფეროს დაბინძურება. ეს საკითხი მეცნიერთა, პოლიტიკურ მოღვაწეთა და ზოგადად, საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. გლობალური პრობლემები, რომლებიც მთელ კაცობრიობას ეხება. მათ ისეთი პრობლემატიკური საკითხები მიეკუთვნება, როგორიცაა: მსოფლიოს ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირი, რაციონალური ბუნებათსარგებლობა, გარემოსდაცვა, რესურსუზრუნველყოფის ერთობლივი გადაწყვეტა და სხვა.

გლობალური პრობლემები, სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს მეურნეობაზე. გარემოს მდგომარეობის გაუარესება არა მხოლოდ სირთულეებს, არამედ სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯამრთელობას. აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე

ტექნოლოგიები ბუნებასთან ერთად, ჰაერსაც აბინძურებს. გლობალური პრობლემები ძალზედ მრავალფეროვანია, მათ ასევე შეიძლება მივაკუთნოთ სტიქიური, ბუნებრივი მოვლენები, ურბანიზაციისა და კულტურის ფასეულობათა კრიზისი და სხვა. გლობალური პრობლემები თავისი არსით გლობალურ ბალანს წარმოადგენს.

მართალია, თითოეული ჩამოთვლილი პრობლემის საფრთხის და რისკის ხარისხი სხვადასხვაა, მაგრამ უდავო და ცალსახაა მათი მზარდი სიმწვავე თანამედროვე მსოფლიოში.

თითოეული გლობალური პრობლემა, კონკრეტული შინაარსით მეტად მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. მაგალითად, ენერგეტიკული და სანედლეულო პრობლემები–ეკოლოგიურთან,ეკოლოგიური–დემოგრაფიულთან,დემოგრაფიული–სასურსათოსთან და აშშ. დღეს–დღეობით ჯერ კიდევ არაა შემუშავებული და ,,გამოგენებული'' ამ პრობლემის გადაწყვეტის ხერხი.

კაცობრიობის ნორმალური განვითარების გზა უკვე განსაზღვრულია და ამ ,,მაგისტრალურ'' გზას, მდგრადი განვითარება ჰქვია. მდგრადი განვითარება სოციალურ–ეკონომიკური განვითარების ისეთ მოდელს გულისხმობს, როცა ოპტიმალური ეკონომიკური შედეგები გარემოზე მინიმალური ზემოქმედებით მიიღწევა. ამასთან, პრიორიტეტულად ადამიანთა ინტერესები და საზოგადოების განვითარება რჩება. მეოცე–ოცდამეერთე საუკუნეებში განსაკუთრებით გამწვავდა და მეტად აქტუალური გახდა.

დგესდღეობით, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა აღმოჩნდა, ისეთი რთული ეკონომიკური, სოციალური ხასიათის ამოცანების წინაშე, რომელთა გადაწყვეტაც, მათ დამოუკიდებლად, შიდა სახელმწიფოებრივ ფარგლებში არ შეუძლიათ, ამიტომ ისინი საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიადნენ და საერთო ძალისხმევით ცდილობენ ამ პრობლემის გადაწყვეტას. ერთ–ერთ ამ ორგანიზაციებს შორისაა გრინპისი, რომლის მიზანია გლობალური პრობლემის გადაწყვეტა. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც თითოეულ ადამიანს არწმუნებს, რომ შეუძლიათ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება, რომელიც იქნება ეკოლოგიისთვის და მთლიანად ბუნებისთვის სასარგებლო. გრინპისის მონაწილეები აქციების შინაარსის მიხედვით, აწყობენ, ანტიბირთვულ, ანტიტოქსიურ, კლიმატის ცვლილებების საწინააღმდეგო აქციებს. თუ ჩვენ გავიაზრებთ და დავისახავთ მიზნად, იმას რასაც ისახავს გრინპისი, არავითარი გლობალური დათბობა აღარ დაგვემუქრება.

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს ქვეყნების ცხოვრებაში ძალიან გაიზარდა გლობალური პრობლემების გადაჭრის კუთხით საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვათა როლი და მნიშვნელობა. ამ კუთხით ძირითადი სამთავრობათშორისო საერთაშორისო ორგანიზაციებია: გაერო, ნატო,

ევროკავშირი, ევროსაბჭო, დსთ, ეუთო, ამერიკის სახელმწიფო ორგანიზაცია, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია, არაბული ქვეყნების ლიგა, თანამეგობრობა და სხვა.

განსაკუთრებით დიდი დატვირთვა მათ XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მიენიჭათ, როცა გამწვავდა და კაცობრიობის წინაშე მთელი აქტუალობით დადგა გლობალური პრობლემები. დღესდღეობით მსოფლიოს მრავალი ქვეყანა აღმოჩნდა ზემოთ აღნიშნული პრობლემის წინაშე. სახელმწიფოებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ ამ პრობლემის გადაწყვეტა, ამიტომ ისინი საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრიანდებიან და საერთო ძალისხმევით ცდილობენ ამ პრობლემის გადაწყვეტას. თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემები, სხვადასხვანაირად ვლინდება, მაგრამ მათ შორისაც გამოიყოფა შედარებით მნიშვნელოვანი ასპექტები. გეოგრაფიული გარსის თითქმის ყველა სფეროს დაბინძურება, გარემოს მდგომარეობის გაუარესება მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით მოხდა გარემოს ცვლილება, რაც მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ გამოიწვია. ამიტომ ინტენსიური ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის პროცესების შედეგად, სამეურნეო დატვირთვამ, თითქმის მთელ პლანეტაზე ეკოლოგიური სისტემის უმთავრეს, თვითგაწმენდისა და რეგენერაციის უნარს გადააჭარბა, შედეგად დაირღვა ბიოსფეროს ნივთიერებათა ბუნებრივი წრებრუნვა, სერიოზული საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. ახლანდელი და მომავალი თაობების ჯამრთელობა.

უკანასკნელ პერიოდში მოიმატა ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობამ, შედეგად კი ადგილი აქვს ე.წ ,,სათბურის ეფექტს'' რაც კლიმატის დათბობას, ყინულების დნობას, მსოფლიო ოკენეების დონის აწევას იწვევს. წლების შემდეგ მისი შედეგი შეიძლება იყოს ოკეანეებში ჩაძირული ქალაქები.

„სათბობის ეფექტი"სერიოზულ საფრთხეს ქმნის სტრატოსფეროს ოზონის შრის რღვევა. იგი, განსაკუთრებით მწვავედ ანტარქტიდის თავზე გამოვლინდა, სადაც ,,ოზონის ხვრელი'' წარმოიქმნა. ეს გამოიწვია იმან, რომ უკანასკნელ პერიოდში, მსოფლიო ინდუსტრიაში ატმოსფეროსთვის საჭირო რაოდენობის აირის ბალანსი დაირღვა. ჰაერის მწვავე და ხანგრძლივ დაბინძურებას აფეთქებებიც იწვევს, მისი შედეგია გარემოს ქიმიური დაბინძურება, ქიმიური ნივთიერებებით და შხამქიმიკატებით, რომელთა ტოქსიურობა, კანცეროგენულობა–რომელიც არის კიბოს გამომწვევი უნარი და ტერატოგენულობა–ახალშობილებში მახინჯი პათოლოგიების გამომწვევი უნარი. გლობალური პრობლემები, თავისი არსით, გლობალურ ბალანსს წარმოადგენს. უდავო და ცალსახაა გლობალური დათბობის სიმწვავე მთელს (თანამედროვე) მსოფლიოში.

ამერიკის შეერთებული შტატების ტეროტორიაზე არსებულ ინსტიტუტში, სადაც მიმდინარეობს დაკვირვებები მსოფლიო მასშტაბით, არის მონაცემები, რომელთა

მიხედვით 1970-1990 წლებში მსოფლიოში დაიკარგა 200 მილიონი ჰექტარი ტყე. უდაბნოების ფართობი 120 მილიონი ჰექტარით გაიზარდა. განადგურდა 180 მილიარდი ტონა სახნავი მიწა, ხოლო პლანეტის მოსახლეობა გაიზარდა 1,6 მილიარდი ადამიანით და 2030 წლისთვის მიაღწევს დაახლოებით 10 მილიარდს. ცხოვრების სტანდარტების შენარჩუნებისთვის საჭირო იქნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 4-ჯერ, ხოლო ენერგიის 6-ჯერ გაზრდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიმდინარე ტენდენციების პირობებში ეკოლოგიური კატასტროფა გარდაუვალი იქნება მომდევნო 2-3 თაობაში.

საშუალო წლიური ტემპერატურის შესაძლო მატებამ 21-ე საუკუნის მეორე ნახევარში სხვადასხვა შეფასებით შეიძლება 2,6-დან 5,8 გრადუსი ცელსიუსით შეადგინოს, რაც მიგვიყვანს არა ბიბლიურ, არამედ ნამდვილ წარღვნამდე, კუნძულოვანი სახელმწიფოებისა და სანაპირო რაიონების გაქრობამდე. კვლევები ასევე ადასტურებენ ოზონის შრის განადგურების ფაქტს.

ბევრ ქვეყანაში არის მტკნარი წყლის დეფიციტი და ეჭვგარეშეა, რომ ასეთი ქვეყნების რიცხვი გაიზრდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 2003 წელი „მტკნარი წყლის წლად“ გამოაცხადა, რამაც გაზარდა საზოგადოების ყურადღება ამ საკითხის მიმართ. ეს პრობლემა უკვე მწვავედ დგას დედამიწაზე დაახლოებით 4 მილიარდი ადამიანისთვის და არსებობს იმის საფუძველი, რომ შემდეგი 2-3 ათწლეულის განმავლობაში გაიზრდება იმ ადამიანების რიცხვი, რომლებსაც მტკნარი წყლის დეფიციტი აწუხებთ. უკვე დღეს მტკნარი წყლის დეფიციტის ან მისი ცუდი ხარისხის გამო მსოფლიოში ყოველდღე კვდება 25 000 ადამიანი! ზოგიერთი სპეციალისტი გამოთქვამს ე.წ. „წყლების ომის“ შესაძლებლობას. ამ ტერმინით აღნიშნავენ დაპრისპირებას წყლის რესურსების გამო.

მტკნარ წყალს (ზედაპირული წყაროებიდან მომდინარეს) აღდგენად რესურსად მიიჩნევდნენ. თვლიდნენ, რომ წყლის ობიექტების ექსპლუატაცია არ იწვევდა სერიოზულ ზიანს და რომ ზიანი არ მიაღწევდა კრიტიკულ დონეს, რასაც მოჰყვება წყლის ობიექტის დეგრადაცია. ძველად მიიჩნევდნენ, რომ ნავთობის მარაგი ამოწურვადი იყო, ხოლო მტკნარი წყლისა -არა. მეცნიერებისთვის დიდი ხანია ცნობილია ამ შეხედულების სიმცდარე. ამ პრობლემის გაცნობიერება საზოგადოებრივ ყურადღებას მოითხოვს. ბევრისთვის ცნობილია პატარა მდინარეების, ტბების გაქრობის ამბავი და ასევე წყლის ობიექტების მაღალი ხარისხის დაბინძურების ფაქტები.

წყლის დაბინძურების ფაქტები აღინიშნება კასპიისა და აზოვის ზღვებში, ფინეთის და პეტრე დიდის ყურეში. წყალმცენარეების რაოდენობის მატება ასევე უარყოფითად მოქმედებს მტკნარ წყალზე. ცხადია, რომ ხშირ შემთხვევაში მტკნარი წყლის დაბინძურება უკავშირდება ადამიანის მოქმედებას. წყლის რესურსების

დეფიციტი ეკოლოგიურ პრობლემებთან არის დაკავშირებული. დღეისათვის მსოფლიოში განადგურებულია ტყეების 40% და ძირითადად ეს მოხდა ბოლო 100 წლის განმავლობაში. სტეპების ეკოსისტემის განადგურება არის წყლის რესურსების გაქრობისა და წყლის ხარისხის გაუარესების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

წყლის რესურსების რეპროდუქციის ბუნებრივი მექანიზმების ცოდნა მნიშვნელოვანია წყლის დეფიციტის დროს სწორი სტრატეგიის შემუშავებისას.

გლობალური პრობლემების გამწვავების შედეგად კაცობრიობა შედის ისტორიული განვითარების ახალ ფაზაში, რომელსაც პოლიტიკურ გლობალისტიკაში უწოდებენ „რისკის ერას“. მოსახლეობის მატება, წყლის თუ სხვა რესურსების მოთხოვნის ზრდა იწვევს გარემო პირობების გაუარესებას. თუ ყველა ქვეყანა გამოიყენებს იმავე რაოდენობის ენერგიას, რასაც განვითარებული ქვეყნები იყენებენ, მაშინ ეს ენერგია იმ პოტენციალზე მეტი იქნება, რაც ბიოტექნოლოგიებს გააჩნიათ. ტერმინი „რისკის ერა“ არის არა უბრალოდ მეტაფორა, არამედ სერიოზული რამ. ის ახასიათებს პლანეტაზე სიცოცხლის ევოლუციის ახალ პირობებს. ასეთი მიდგომა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს გლობალური პრობლემატიკისადმი, რომელიც მოიცავს ეკონომიკურად განვითარებულ პოსტინდუსტრიულ ქვეყნებსაც. საფრთხე ემუქრება გენეტიკურ ნაირსახიობებს მთლიანად მსოფლიო მასშტაბით.

რუსეთში თანამედროვე გლობალური პრობლემების კომპლექსის აქტიური კვლევა უკავშირდება მე-20 საუკუნის 70-იან წლებს. ამ თემის ირგვლივ მნიშვნელოვანი კვლევები აქვთ ჩატარებული ა.ე. არაბ-ოგლის, დ.მ. გვიშიანს, ვ.ვ. ზაგლადინას, ნ.ნ. ინოზემცევას, ნ.ნ. მოისეევას, პ.ლ. კაპიცის, ე.კ. ფედოროვას, ი.ტ. ფროლოვას, გ.ხ. შახნაზაროვას.

პოლიტიკური გლობალისტიკის განვითარების კუთხით გარდამტეხი მომენტი იყო მე-20 საუკუნის 80-90-იანი წლები. საზოგადოებრივ კვლევებში არსებული კრიზისი, რომელიც უკავშირდებოდა მარქსისტულ დოგმატურ ინტერპრეტაციებს და პოლიტიკური სისტემის ვიწრო, ბიუროკრატიულ ჩარჩოებს, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ისეთ სამეცნიერო მიმართულებაზე, როგორიცაა პოლიტიკური გლობალისტიკა.

წინარე პერიოდის მონოგლობალისტიკა, რომელიც უკავშირდებოდა გარკვეულ მეთოდოლოგიურ და თეორიულ მიდგომებს მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან გადაიზარდა მრავალფეროვან, პლურალისტურ კვლევებში, რომლებიც სხვადასხვა პოზიციებს ეყრდნობოდა.

მნიშვნელოვანი კითხვა მდგომარეობს შემდეგში: რას წარმოადგენენ გლობალური პრობლემები და როგორი პრობლემები შედის ამ კატეგორიაში? ეს კითხვა ძალიან აქტუალურია და არ არის მარტივი.

დღეისათვის არსებობს „გლობალური პრობლემების“ უამრავი დეფინიცია. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ ორი შეხედულება.

პირველ რიგში, არსებობს ამ ტიპის პრობლემების მუდმივად გაფართოების ტენდენცია. არსებული ყველა საბუნებისმეტყველო, ტექნიკური თუ სოციალური პრობლემა ცხადდება გლობალურად. ამ შემთხვევაში გლობალური პრობლემის ცნება კარგავს ევრისტიკულ მნიშვნელობას.

მეორე მხრივ საკითხის შესწავლისას ყურადღებას ამახვილებენ ეკოლოგიურ მხარესა და პრობლემის განვითარების მიმართულებებზე.

იმისათვის, რომ კორექტულად და არაორაზროვნად გაეცეს პასუხი ზემოთ დასმულ შეკითხვას, საჭიროა განისაზღვროს კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც სხვადასხვა პრობლემებს შორის შეიძლება გამოვყოთ ისინი, რომლებიც მართლაც გლობალურია.

პირველ რიგში ეს ისეთი პრობლემებია, რომლებიც შეეხება საკაცობრიო ინტერესებს და მის მომავალს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი პლანეტარული მასშტაბისაა.

მეორე რიგში, ამ ტიპის პრობლემები, როგორც ობიექტური ფაქტორი, მსოფლიოს ყველა ძირითად რეგიონში ახდენს გავლენას საზოგადოების განვითარებაზე და რეგრესით ემუქრება მას. ბევრი პრობლემა, რომელსაც დღეს გლობალურს უწოდებენ ადამიანებისთვის ნაცნობი იყო ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ. ადამიანები ადრეც აცნობიერებდნენ თუ რა ზიანი შეიძლებოდა მოჰყოლოდა გარესამყაროს უდიერ მოპყრობას. თუმცა ასეთ მოქმედებას მაშინ ძირითადად ლოკალური ხასიათი ჰქონდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე ათასი წლით ადრე საბერძნეთში მაგალითად გაჩეხეს ტყეები და მათ ადგილას სახნავი მიწები და ფორთოხლის ბაღები გააშენეს, რასაც კატასტროფა არ მოჰყოლია. ცენტრალურ აზიაში ხორეზმ შაჰების დროს არსებობდა ირიგაციული სისტემები, რომლებიც ორჯერ მეტ მიწებს რწყავდა. ისინი მონღოლ-თათრებმა მთლიანად გაანადგურეს 1221 წელს, თუმცა მას მხოლოდ ლოკალური კატასტროფა მოჰყვა.

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, საზოგადოებრივი პროცესები უფრო ინტერნაციონალური გახდა. ინტერნაციონალიზაციის და გლობალიზაციის ობიექტურმა პროცესებმა არსებულ პრობლემებს გლობალური ხასიათი მისცა. ეს პრობლემები ეხება ყველა ქვეყანასა და რეგიონს. არცერთი მათგანის დაგაწყვეტა არ არის შესაძლებელი დამოუკიდებლად.

მესამე მნიშვნელოვანი საკითხი არის ის, რომ გლობალური პრობლემები საფრთხეს უქმნის საზოგადოების მომავალს და მათი გადაწყვეტა მნიშვნელოვანია პროგრესის უზრუნველყოფისთვის. ეს პრობლემები გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებს.

მეოთხე მნიშვნელოვანი საკითხი არის ის, რომ გლობალურ პრობლემებს მიეკუთვნება საბუნებისმეტყველო, სამეცნიერო-ტექნიკური, სოციალური თუ სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც ერთობლივ გადაწყვეტას საჭიროებენ. მათი გადაწყვეტა შეუძლებელია კოლექტიური ძალისხმევის გარეშე.

გლობალური პრობლემების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ:

დემოგრაფიული ცვლილებები. დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთა რაოდენობა, ტერიტორიული განაწილება და ეკონომიკური საქმიანობა განაპირობებს იმას თუ რამდენად არის მოსახლეობა უზრუნველყოფილი რესურსებით, როგორია დედამიწის ბიოსფეროს მდგომარეობა და სოციალური თუ პოლიტიკური ცხოვრება.

სურსათის უვნებლობა. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე პროდუქციის რაოდენობა ვერ აკმაყოფილებდა მზარდ მოსახლეობას. განსხვავებული სიტუაცია იყო მხოლოდ მე-20 საუკუნეში, 40 წელი (1950-დან 1990 წლამდე), როცა მოსახლეობის რაოდენობა გაორმაგდა, ხოლო მსოფლიოში ხორბლის მოსავალი 3-ჯერ გაიზარდა. თუმცა 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში მსოფლიოში პროდუქციის გამომუშავება თანდათან შენელდა, ხოლო მასზე მოთხოვნილება იზრდებოდა. ეს ფაქტი აიხსნება არა მარტო მოსახლეობის რაოდენობის ზრდით, არამედ ისეთი ფაქტორით, როგორიცაა ინდუსტრიულ ქვეყნებში მდიდარი ფენის ზრდა. ახლანდელი გათვლებით, 2020 წლისთვის მსოფლიოში სურსათზე მოთხოვნილება 64%-ით გაიზრდება. სოფლის მეურნეობა ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც არსებობს ბაზარზე. თუ ეს ტენდენცია არ შეჩერდება, მომავალი 2-3 ათწლეულის განმავლობაში დეფიციტურ პროდუქტებზე მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზრდება.

ენერგოუზრუნველყოფა. დღეისათვის გლობალური ენერგოუსაფრთხოების კუთხით დგას გარკვეული პრობლემები. საწვავის მოპოვების კუთხით გაუარესდა ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები. ასევე ენერგიის ტრანსპორტირება დიდ მანძილებზე დაკავშირებულია გარკვეულ პრობლემებთან. ნავთობის და გაზის მოპოვების რაიონები სულ უფრო შორდება მათი მოხმარების ცენტრს.

ენერგიის ხარჯვის ინტენსივობა მატულობს და ხდება ახალი ენერგორესურსების გამოყენება. ენერგოეფექტური ტექნიკის და ტექნოლოგიის განვითარება დაიწყეს მოწინავე ქვეყნებში. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში კი ეს პროცესი შეფერხდა მსხვილი ინვესტიციების საჭიროების გამო.

ასევე აღსანიშნავია, რომ ენერგორესურსების გამოყენების ზრდასთან ერთად გაიზარდა გარემოს გაჭუჭყიანების დონე.

ნახშირისა და ნავთობის წვასთან ერთად გარემოში გამოყოფილმა ნახშიროჟანგმა ისეთ დონეს მიაღწია, რომ მას შეუძლია გავლენა მოახდინოს არა მარტო ჰაერზე, ნიადაგზე, წყლის, ტყისა და ბიოლოგიურ რესურსებზე, არამედ დედამიწის

კლიმატზეც კი. ზღვის შელფებზე ნავთობის ახალი საბადოების გაჩენასთან ერთად გაიზარდა ავარიული სიტუაციების რიცხვი, რასაც მოსდევს ხმელეთისა და ზღვის ზედაპირის დაბინძურება.

მსოფლიოში გაიზარდა ენერგორესურსების მიმწოდებელი ქვეყნების რიცხვი, ოპეკის პოზიციები შესუსტდა და 80-იანი წლებიდან ნავთობმა მსოფლიო ბირჟაზე დაიკავა ადგილი, რამაც მსოფლიოში ნავთობის ბაზრის არასტაბილურობა გამოიწვია. ისეთმა პროცესებმა, როგორიც იყო 2001 წლის 11 სექტემბერი თუ ერაყის კრიზისი დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო მოვლენებზე.

არსებული საწარმოო ძალები და ტექნიკური პროგრესი იმის გარანტიას არ იძლევა, რომ ენერგიის ტრადიციული წყაროების ჩანაცვლება ალტერნატიული, ატომური წყაროებით უსაფრთხო იქნება. მაილ-აილენდში (აშშ) და ჩერნობილში მომხდარი კატასტროფების შემდეგ მკვეთრად შემცირდა ატომური ელექტროსადგურების ექსპლუატაცია. პრობლემას ართულებს ბირთვული ნარჩენები, რომლებიც საზიანოა ბიოსფეროსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ცხადია, რომ საჭიროა დრო, სანამ კაცობრიობა გადავა უსაფრთხო ენერგიის მოხმარებაზე და დაიწყებს მის გონივრულ ხარჯვასა და ეფექტურ ენერგომომარაგებას.

„ეკოლოგიური სტრესი“. მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრიდან გარემოს დაბინძურების ხარისხი იმდენად მაღალია, რომ ვეღარ ხდება პროცესის შეჩერება. დეგრადაციის ამ პროცესს ადარებენ „ეკოლოგიურ სტრესს“. გარემოს დაცვის საკითხებში ჩართულნი არიან მეცნიერები, სამთავრობო დაწესებულებები, საერთაშორისო ორგანიზაციები. ბოლო ათწლეულის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს ეკოლოგიური კვლევები და მიღებული იქნა გარემოს დაცვითი კანონები. მიუხედავად ამისა, გლობალური ეკოლოგიური საფრთხე გაიზარდა. გარემოს დაცვის საკითხებში განსაკუთრებით აქტიური არიან განვითარებული ქვეყნები. განვითარებად ქვეყნებში კი ეკოლოგიური პოლიტიკის გატარება ნაკლებად ხდება და მოსახლეობის ზრდისა და ეკონომიკური აქტივობის შედეგად დედამიწის ბიოსფეროს ზიანი ადგება.

საომარი კონფლიქტის პრობლემა ბირთვული ან მსგავსი ტიპის მასობრივი იარაღის გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ გლობალური, თერმობირთვული კონფლიქტის საფრთხე შემცირდა, ცივი ომის შემდეგ ის მაინც არსებობს. რუსეთისა და აშშ-ს არსენალში ჯერ კიდევ არის ბირთვული იარაღი, რომელსაც შეუძლია უმოკლეს დროში გაანადგუროს სიცოცხლე დედამიწაზე. არსებობს მსოფლიოში ბირთვული იარაღის უკონტროლო გავრცელების საფრთხე, რასაც შეუძლია სიტუაციის დესტაბილიზაცია მსოფლიო მასშტაბით. ბირთვული იარაღი შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი ძალების ხელში, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ საზოგადოებისთვის.

სამწუხაროდ, ამ მხრივ საგანგაშოა მუსულმანურ სამყაროში მიმდინარე ცვლილებები. ჩვენი დროის ცნობილი პოლიტოლოგი და სოციოლოგი, სემუელ

ჰანტინგტონი გამოთქვამს მსგავს ვარაუდს. მისი აზრით, „თანამედროვე გლობალური პოლიტიკა-ესაა მუსულმანური ომების საუკუნე. მუსულმანები ებრძვიან ერთმანეთს და ასევე არამუსულმანებს უფრო ხშირად, ვიდრე სხვა ცივილიზაციის წარმომადგენლები. მუსულმანთა ომებმა შეცვალა ცივი ომი, რომელიც მანამდე წარმოადგენდა საერთაშორისო კონფლიქტის ძირითად ფორმას. მუსულმანურ კონფლიქტებს მიეკუთვნება ტერორისტული, პარტიზანული, სამოქალაქო ომები და მთავრობათაშორისი კონფლიქტები. მუსულმანთა ძალადობის ამგვარი მაგალითები შეიძლება გადაიზარდოს ცივილიზაციათა გლობალურ დაპირისპირებაში ისლამსა და დასავლეთს და ასევე ისლამსა და სხვა ცივილიზაციებს შორის. მეორე მხრივ, შესაძლებელია ეს არ მოხდეს და მეტი ალბათობით ისლამური ძალადობის მაგალითები დარჩება ქაოტური, ხშირი და სხვადასხვა ფორმის. მუსულმანური ომების საუკუნე დაიწყო 1980-იანი წლებიდან, როცა ცივი ომის დასრულების პერსპექტივა უფრო რეალური გახდა.“

1980 წელს ერაყმა დაიწყო აგრესია ირანის წინააღმდეგ და ამ ომის შედეგად დაიღუპა 500 000 ადამიანი, ასობით ათასი კი დაშავდა. საბჭოთა კავშირის ჯარების ყოფნას ავღანეთის ტერიტორიაზე მოჰყვა სასტიკი წინააღმდეგობა ავღანელთა მხრიდან, რაც 1989 წელს საბჭოთა კავშირის ჯარების ამ ტერიტორიიდან გამოსვლით დამთავრდა. მოვლენების ამგვარი განვითარება გამოიწვია ამერიკულმა ტექნიკამ, საუდის არაბეთის და ამერიკულმა ფულმა, პაკისტანის მხარდაჭერამ, წვრთნებმა და ათასობით ბოევიკის მონაწილეობამ ძირითადად არაბული, მუსულმანური ქვეყნებიდან.

1990 წელს სადამ ჰუსეინი შეიჭრა ქუვეითში, რათა მოეხდინა მისი ანექსია და წინააღმდეგობა გაეწია ირანისთვის. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოახერხა საერთაშორისო კოალიციის შექმნა, რომელშიც შედიოდა რამდენიმე მუსულმანური ქვეყანაც. შემდგომში, 1990-იან წლებში მუსულმანებსა და არამუსულმანებს შორის ძალადობის ფაქტები დაფიქსირდა ბოსნიაში, კოსოვოში, მაკედონიაში, ჩეჩნეთში, აზერბაიჯანში, ტაჯიკეთში, ქაშმირში, ინდოეთში, ფილიპინებში, ინდონეზიაში, ახლო აღმოსავლეთში, სუდანსა და ნიგერიაში. ავღანელი მოჯაჰედები იყვნენ მრავალი ამ კონფლიქტის ძირითადი მონაწილეები. ისინი იყვნენ და არიან მუსულმანური ტერორისტული ორგანიზაციების წევრები მრავალ ქვეყანაში. მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე მუსულმანები ჩართულნი აღმოჩნდნენ მრავალ ეთნიკურ კონფლიქტში მსოფლიო მასშტაბით. ეს მაშინ, როცა მუსულმანები შეადგენენ მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ ერთ მეხუთედს.

ეჭვგარეშეა, რომ ზემოთ აღნიშნულ მრავალ კონფლიქტზე პასუხისმგებლობა ეკისრება სხვადასხვა მთავრობებსა და კონკრეტულ ინდივიდებს. მაგალითად, სუდანის მთავრობას პასუხისმგებლობა ეკისრება ქრისტიანების წინააღმდეგ ომზე.

ასევე ისრაელისა და პალესტინის მთავრობებს პასუხიმგებლობა ეკისრებათ კონფლიქტის გამო. მუსულმანურ ომებს განაპირობებს არა ისლამის დოქტრინა, არამედ ის თუ როგორ იყენებენ მას ომის გასამართლებლად. თანამედროვე მუსულმანური ომების მიზეზები, რომელმაც შეიძლება გლობალური ხასიათი მიიღოს, უნდა ვეძიოთ პოლიტიკაში და არა მე-7 საუკუნის რელიგიურ დოქტრინებში.

ტერორიზმი. დღეისათვის, ტერორიზმი შესაძლოა ჩაითვალოს ყველაზე საშიშ გლობალურ პრობლემად. თანამედროვე ტერორიზმის მიზნები მრავალგვარია. ამ მიზნებს შორისაა პოლიტიკური სისტემის შეცვლის მცდელობა, ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობის დამხობა, სექტანტური და ფუნდამენტალური იდეოლოგიის თავსმოხვევა. ტერორიზმის მიზანია ასევე საზოგადოების დესტაბილიზაცია, მოსახლეობის დაშინება, საომარი მოქმედებების პროვოცირება, ტერორისტული აქტების მონაწილეების გათავისუფლება, გამოსასყიდის თუ სხვა მატერიალური სარგებლის მოთხოვნა. ტერორისტების მიერ გამოყენებული რესურსების არსენალი ასევე ფართოა და ამ მხრივ შეიმჩნევა, როგორც რაოდენობრივი გაფართოების, ისე ხარისხობრივი „სრულყოფის“ ტენდენცია. ტერორისტები კლავენ პოლიტიკურ ლიდერებს, აყავთ მძევლები, აფინანსებენ და წვრთნებს უტარებენ დაქირავებულ პირებს და იყენებენ მათ ტერორისტულ აქტებსა და უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბებაში. ამ ჩამონათვალს შეიძლება დავამატოთ თვითმფრინავების გატაცება, სატელევიზიო და რადიო ცენტრების ხელში ჩაგდება, ინტერნეტის, რადიოსა და სხვა წყაროების ტერორისტული მიზნებისთვის უკანონო გამოყენება.

ტერორიზმის კვალდაკვალ არსებობს ნარკოტიკებით ვაჭრობის პრობლემა. ნარკოტიკებით ვაჭრობამ მოიცვა თითქმის ყველა ქვეყანა. ჩამოყალიბდა ძლიერი დაჯგუფებები, რომელთაც გააჩნიათ სავაჭრო და საწარმოო ქსელი, საკუთარი ლაბორატორიები და პერსონალი. საერთაშორისო ნარკობიზნესი დიდ საფრთხეს უქმნის საზოგოდოებას. სულ უფრო და უფრო მეტი მოქალაქის ჯანმრთელობას ემუქრება საფრთხე ნარკოტიკების გამო, მცირდება სოციალური აქტივობა და ზიანი ადგება საზოგადოების გენოფონდს. ნარკოტიკების მოხმარება ხელს უწყობს განსაკუთრებით საშიში დაავადებების გავრცელებას, მათ შორისაა სპიდი, რომლის განკურნებაც არ ხდება.

სერიოზულ გლობალურ პრობლემას წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ცხოვრების სტანდარტების მიხედვით მზარდი ურთიერთგანსხვავება პოსტინდუსტრიულ განვითარებულ ქვეყნებსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. ეს დაპირისპირება შეიძლება გადაიქცეს საერთო პროლემად თავისი განსხვავებული ასპექტებით.

საინტერესოა კითხვა გლობალური პრობლემების დინამიკის შესახებ. წმინდა მეთოდოლოგიური ასპექტების ანუ არა სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის

მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოხდება გლობალური პრობლემების, როგორც ზრდა, ისე შემცირება. მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მოხდება გარემო პროცესების კონტროლის ახალი მეთოდების შემუშავება. გაგრძელდება მსოფლიო ოკეანისა და კოსმოსის შესწავლა. ამავდროულად გაჩნდება ახალი პრობლემები. თუ გავითვალისწინებთ გლობალიზაციის ტემპსა და ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ინტერნაციონალიზაციას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ პროცესების დიდი ნაწილი გლობალურ ხასიათს მიიღებს. მეორე მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის, წარმოების და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებასთან ერთად შესაძლებელი იქნება ზოგიერთი გლობალური პრობლემის გადაწყვეტა. ასე, რომ გლობალური პრობლემების დინამიკა წინააღმდეგობრივი პროცესია. ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესიც გარკვეულ რისკებს მოიცავს. ამის მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები.

აშშ-ს ეკონომიკის მზარდი კონკურენტუნარიანობის შესახებ არსებული წარმოდგენის მიუხედავად ბოლო 20 წლის განმავლობაში განვითარებული რეალობა სხვაგვარად გამოიყურება. თუ 1970 წელს ამერიკაში დასაქმებულთა რიცხვი ევროპის ეკონომიკური კავშირის 15 წევრ ქვეყანას 42%-ით აღემატებოდა, დღეისათვის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 9,5%-ს შეადგენს. თუ 1980-იან და 90-იან წლებს შორის შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობა დაბალანსებული იყო, 2004 წლის მონაცემებით საგარეო ვაჭრობის კუთხით 650 მილიარდი დოლარის გარღვევა დაფიქსირდა, რაც ერთობლივი შიდა პროდუქტის 5,6%-ს შეადგენდა. ამავე წელს ევროზონაში ვაჭრობის დადებითმა სალდომ შიდა პროდუქტის 0,8% შეადგინა, ჩინეთში-2,9%, ხოლო იაპონიაში-3,7%. ამასთანავე ამერიკელების მიერ უცხოური პროდუქციის მოხმარებასთან ერთად იზრდება მათი ვალი, რამაც 1996 წელს 2-ჯერ მეტი შეადგინა, ვიდრე მანამდე იყო. ამერიკელები თანდათან კარგავენ ბაზრებს და უცხოელები ყიდულობენ ამერიკულ აქციებს. ასეთი აქციების ღირებულება 10,5 ტრილიონ დოლარს შეადგენს, რაც 3-ჯერ მეტია იმ აქციების ღირებულებაზე, რომელთაც ამერიკელები სხვა ქვეყნებში ფლობენ.

ამგვარი პრობლემები სხვადასხვა დროს სხვა ქვეყნებშიც ფიქსირდებოდა. ამერიკის მაგალითი განსაკუთრებულია, რადგანაც მიუხედავად პრობლემებისა, ამერიკა მაინს რჩება სამრეწველო პროდუქციის უდიდეს მომხმარებლად და სწორედ ამერიკული დოლარი წარმოადგენს ძირითად სარეზერვო ვალუტას. ასეთ პირობებში მსოფლიო ეკონომიკის დინამიკა დიდწილადაა დამოკიდებული აშშ-ზე. ამიტომაც ბევრი ქვეყანა კვლავ აგრძელებს ინვესტიციებს დოლარში.

1998-2004 წლებში დოლარის რეზერვი ოთხ ქვეყანაში-იაპონიაში, ჩინეთში, რუსეთსა და კორეაში 4,5-ჯერ გაიზარდა და 383 მილიარდი დოლარიდან 1,73

ტრილიონ დოლარს მიაღწია. თუმცა ამის შემდეგ დოლარის კურსმა კლება დაიწყო. ამერიკული ვალუტის ღირებულების შემცირებამ ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში ექსპორტთან დაკავშირებული კრიზისი შეიძლება გამოიწვიოს. ასეთ სიტუაციაში ამერიკაც ვერ ასცდება კრიზისს.

ეკონომიკური სახის პრობლემები შეიმჩნევა ევროპაშიც. ამ მხრივ აღსანიშნავია უმუშევრობა. როცა 1997-1998 წლებში ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში სოციალ-დემოკრატები მოვიდნენ სათავეში, უმუშევრობის შემცირება ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოცხადდა. თავდაპირველად მათ წარმატებებს მიაღწიეს. თუმცა დღეს სიტუაცია სხვაგვარად გამოიყურება: 2005 წელს საფრანგეთში უმუშევართა რაოდენობამ 10%-ს მიაღწია, გერმანიაში-11,7%-ს, (აშშ-ში ამ დროს მაჩვენებელი 5,4-5,5% იყო). უმუშევრობა გავლენას ახდენს ევროპის სოციალური უზრუნველყოფის სისტემაზე და სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ევროპული ეკონომიკის სტაბილურობისთვის.

არსებობს გლობალური ეკონომიკის განვითარების სხვა ფაქტორებიც, თუმცა არც ისინი იძლევა კარგი პროგნოზების გაკეთების საშუალებას. ამ მხრივ აღსანიშნავია აზიის ორი უმსხვილესი ეკონომიკის, ჩინეთისა და ინდოეთის სწრაფი განვითარება. სპეციალისტები და ანალიტიკოსები ჯერ კიდევ ადრე აღნიშნავდნენ, რომ ეს პროცესი დესტაბილიზაციის გამომწვევი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ საკითხმა განსაკუთრებული ყურადღება 2005 წელს მიიქცია, როცა მოხდა ორი მნიშვნელოვანი მოვლენა.

პირველ რიგში, ჩინეთის ადგილი მსოფლიოში შეიცვალა მისი ეკონომიკის ზრდასთან ერთად. თუ 1996 წელს ჩინეთის პროდუქციის წილი მსოფლიო სავაჭრო ბაზარზე უფრო ნაკლები იყო ვიდრე ბელგიის, 2004 წლის მონაცემებით იგი გახდა მსოფლიოში მე-3 ქვეყანა ექსპორტის მიწოდების კუთხით. ამავდროულად, ჩინეთი რჩება უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთ უმსხვილეს რეციპიენტად. ჩინეთის მთავრობა არ ასრულებს წაყენებულ მოთხოვნას იუანის კურსის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით. ჩინეთი სარგებლობს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობით, თუმცა ის არ ემორჩილება ამ ორგანიზაციის „თამაშის წესებს“. ჩინეთის ქმედებები და ეკონომიკური მდგომარეობა შეიძლება ახლო ხანში გახდეს გლობალური ეკონომიკური არასტაბილურობის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

მეორე მხრივ, ბოლო 5 წლის განმავლობაში ინდოეთში მოხდა სწრაფი ეკონომიკური განვითარება, რამაც წლიურად საშუალოდ შეადგინა 7,4%, რაც ზრდის აზიის როლს მსოფლიო ეკონომიკაში. ეს ფაქტორიც შეიძლება დესტაბილიზაციის გამომწვევი აღმოჩნდეს.

გლობალური არასტაბილურობის გამომწვევი მნიშვნელოვანი ფაქტორია პოლიტიკოსების ქმედებები, რომელთა განჭვრეტაც ძნელია. ამ მხრივ აღსანიშნავია შეერთებული შტატების პოლიტიკა და „ბრძოლა დემოკრატიის განმტკიცებისთვის“

ახლო აღმოსავლეთში და ასევე აშშ-ს შესაძლო ნაბიჯები ირანისა და ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამებთან დაკავშირებული შეშფოთების გამო. თუ ამერიკის შეერთებული შტატები ახლო მომავალში გაატარებს აგრესიულ პოლიტიკას ირანის ან ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ, ამას უარყოფითი გავლენა ექნება ვალუტების კურსზე, საერთაშორისო ეკონომიკასა და ზოგადად მსოფლიოზე. მოვლენების ამგვარმა განვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს ყველაზე ბნელი და რეაქციული ძალების აქტივიზაცია, როგორც სამთავრობო, ისე სხვა დონეებზე.

ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმ პრობლემების დროულად შემჩნევა, რომლებიც შეიძლება გლობალური გახდეს და ადეკვატურად რეაგირება. მნიშვნელოვანია იმ მიზეზების გათვალისწინება, რომლებმაც შეიძლება გაამწვავოს გლობალური პრობლემები. ასეთად შეიძლება მოვიაზროთ შემდეგი პროცესები:

პირველ რიგში, წინააღმდეგობები საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აქ იგულისხმება პირველ რიგში ეკონომიკური და სოციოკულტურული წინააღმდეგობები, რომლებიც განაპირობებენ ისტორიული პროცესის ცვლილებას.

მეორე მხრივ, ადამიანის მიერ ბუნებრივი სიმდიდრის არასაკმარისად გაცნობიერებული გამოყენება. აქ იგულისხმება ისეთი მატერიალური წარმოება, რის შედეგადაც ზიანი ადგება ეკოლოგიას, ბიოსფეროს და ზოგადად გარემოს. მაგალითად, არ შეიძლება დედამიწაზე ენერგიის იმ მასშტაბებით გამოყენება, როგორც ეს ხდებოდა მე-20 საუკუნის მე-2 ნახევარში, როცა ყოველ ათ წელიწადში გამოყენებული ენერგიის რაოდენობა ორმაგდებოდა.

დღესდღეობით განვითარებული ქვეყნებიც კი, რომლებიც ენერგო და მატერიალური რესურსების ზომიერად ხარჯვას ცდილობენ, ხელს უწყობენ გლობალური პრობლემების გამწვავებას. ამ მხრივ აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატები.

მესამე ფაქტორი, რომელიც გლობალური პრობლემების გამწვავებას უწყობს ხელს, არის დემოგრაფიული პროცესების დინამიკა. მოსახლეობის ზედმეტმა ან არასაკმარისმა ზრდამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გლობალურ პროცესებზე. დღევანდელ დღეს მოსახლეობის სწრაფი ზრდა გლობალური პრობლემების გამომწვევი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ პროცესის შედეგად იზრდება დიფერენციაცია განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სოციალური და მთავრობათაშორისი კონფლიქტების ზრდა. 21-ე საუკუნეში კონფლიქტის ბევრ მონაწილეს სავარაუდოდ ექნება მასობრივი განადგურების იარაღი, რამაც შეიძლება კაცობრიობა პლანეტარულ კატასტროფამდე მიიყვანოს. მე-20 საუკუნის ბოლოს ძალადობის საშინელი ფაქტები დაფიქსირდა. 1994 წელს ხუტუსა და ტუტსის ტომებს შორის 5 კვირიანი ეთნიკური

კონფლიქტის დროს გარდაიცვალა 800 000 ადამიანი, რაც „მსოფლიო რეკორდი“ იყო გენოციდის კუთხით.

მეოთხე ფაქტორი, რომელიც გასათვალისწინებელია გლობალურ პრობლემებთან მიმართებაში არის ბუნების იმანენტური აქტიურობა. გარემოში მიმდინარე ევოლუციის პროცესები, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის საქმიანობაზე, ძალზე წინააღმდეგობრივია. ამგვარი აქტიურობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენენ კატასტროფები. გამოყოფენ შემდეგი ტიპის კატასტროფებს: გეოფიზიკური (მიწისძვრები, ტროპიკული ურაგანი, ვულკანის ამოფრქვევა, ცუნამი და ა.შ.), კლიმატური (ციკლონები, ყინვა, გვალვა), დემოგრაფიული (მოსახლეობის გადაჭარბებული ზრდა ან მისი მკვეთრად შემცირება), ტექნოლოგიური (გარემოს მასშტაბური დაბინძურება, „ბირთვული ზამთარი“). ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაღუპულთა და დაზარალებულთა რაოდენობა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში საშუალოდ შეადგენდა 26,6 მილიონ 22,3 ათას ადამიანს და ამ რიცხვმა 90-იან წლებში 44,3 მილიონ 114,1 ათას ადამიანს მიაღწია. მთლიანობაში გასული საუკუნის ბოლო 20 წლის განმავლობაში ბუნებრივი და ტექნოლოგიური კატასტროფების შედეგად დაახლოებით ერთი მილიარდი ადამიანი დაზარალდა. ეს სამწუხარო სტატისტიკა კიდევ უფრო გაიზარდა, როცა ინდონეზიასა და სამხრეთ აზიაში 2005 წლის დასაწყისში მოხდა ცუნამი, რამაც გამოიწვია მატერიალური ზარალი და ადამიანური მსხვერპლი (დაახლოებით 200 000 ადამიანი). დამანგრეველმა ურაგანმა „კატრინამ“ კი იმავე წლის აგვისტოში აჩვენა, რომ ისეთი ძლიერი და მდიდარი ქვეყანაც კი, როგორიცაა აშშ უძლურია სტიქიის წინაშე.

მეხუთე ფაქტორი გლობალური პროცესების გამწვავების კუთხით არის „ბიოსფეროსა და საზოგადოების“ ერთიან სისტემად ჩამოყალიბების წინააღმდეგობრივი პროცესი. აღსანიშნავია კ. მარქსის ემპირიული შეხედულება „კაპიტალიზმის ელასტიური პოტენციის“ შესახებ. სამუშაო ძალა, მეცნიერება და მიწა, მისი აზრით, აყალიბებს „კაპიტალის ელასტიურ პოტენციალს“, რომელიც „გარკვეულ საზღვრებში აფართოებს მოქმედების არეს რაოდენობრივი მაჩვენებლისგან დამოუკიდებლად“. ხდება კაპიტალის სრული გამოყენება. გლობალური პრობლემების ანალიზისას საინტერესოა ის ისტორიული თანმიმდევრობა თუ როგორ ხდებოდა ამ პოტენციალის გამოყენება.

კაპიტალიზმის განვითარების პირველ ეტაპზე ხდებოდა სამუშაო ძალის ექსპლუატაცია. გაჩნდა მუშათა მოძრაობები და პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ამ მოძრაობებს ხელმძღვანელობდნენ. მე-20 საუკუნის დასაწყისში მომხდარმა რევოლუციებმა აჩვენეს, რომ სამუშაო ძალის ექსპლუატაცია არ იყო გამართლებული. ამის შემდეგ კაპიტალიზმის განვითარების სტრატეგია შეიცვალა. დაიწყო ორი სხვა პოტენციის-მიწის (ბიოსფეროს რესურსების) და მეცნიერების აქტიური გამოყენება, რის

შედეგადაც დაჩქარდა ბუნებრივი რესურსების გამოყენების პროცესი. ასეთმა მიდგომამ შეამცირა ფიზიკური შრომის საჭიროება, აამაღლა მუშათა ცხოვრების დონე და მნიშვნელოვნად ჩააცხრო სოციალური კონფლიქტები.

ამავდროულად, კაპიტალიზმის პროცესში ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურ გამოყენებასთან ერთად ადამიანი კიდევ უფრო დაშორდა ბუნებას. მხოლოდ ეკოლოგიური პრობლემების გამწვავების შემდეგ და საზოგადოებრივი შეხედულების, მათ შორის „მწვანე მოძრაობის“ წარმომადგენლების ზეწოლის შედეგად, განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა და საკმაოდ წარმატებით ვითარდება გარემოს დაცვის პოლიტიკა.

მე-20 საუკუნეში რუსეთშიც ასევე დაიწყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მაქსიმალური გამოყენება ბუნებრივი რესურსების დაჩქარებული გამოყენების ხარჯზე. არ იქნა გათვალისწინებული საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიღწევები, რომლებიც ეხებოდა ბიოსფეროს კონცეფციას.

ეკოლოგიური და სოციალური კრიზისების შედეგად, რომლებიც მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრიდან გახშირდა, ყურადღება გადატანილი იქნა არა ეკონომიკასა და კულტურაზე, არამედ პოლიტიკაზე, როგორც ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ფაქტორზე. საზოგადოება საჭიროებს კოლექტიურ ადაპტაციას ახალ პირობებთან. ადამიანის საქმიანობა მიმართული უნდა იყოს გლობალური რისკის შემცირებისკენ, რისი მიღწევაც შეიძლება მხოლოდ პოლიტიკურად რეგულირებული მოქმედების შედეგად. ამგვარად, პოლიტიკური გლობალისტიკა, როგორც პოლიტოლოგიის განხრა შეისწავლის გლობალური უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირებას და გლობალური პროცესების რეგულირების საშუალებებს.

გლობალური უსაფრთხოების პოლიტიკა ფართო გაგებით ეს არის გლობალური რისკის შემცირებისკენ მიმართული პოლიტიკა. გნოსეოლოგიური თვალსაზრისით ეს არის პლანეტარული უსაფრთხოების პოლიტოლოგია. პოლიტიკური მეცნიერების აღნიშნული მიმართულება შეისწავლის პოლიტიკური პროცესის თავისებურებებს გლობალური საფრთხეების ზრდის პირობებში. ის შეისწავლის ცალკეული საზოგადოებებისა და ცივილიზაციის გარემოსთან ადაპტაციის პოლიტიკურ ფორმებს და იმ პროცესების რეგულირების მექანიზმებსა და მეთოდებს, რომლებიც განსაზღვრავენ გლობალური სისტემის და მისი სტრუქტურების უსაფრთხოებას. ამ მიმართულების ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს ეკოპოლიტოლოგია, რომელიც აღწერს საზოგადოებისა და გარემოს გლობალური ურთიერთქმედების პოლიტიკურ ასპექტებს.

პოლიტიკის ფუნქციონალური და პლანეტარული საზოგადოების თუ ცალკეული სახელმწიფოს გადარჩენის კუთხით მისი კრიტიკული ფაქტორის როლის ზრდამ გამოიწვია ამ მეცნიერების შესაძლებლობების გადახედვა და ახალი მოთხოვნების

გაჩენა პოლიტიკური ხედვის კუთხით. პოლიტიკური ძალაუფლება და ზოგადად პოლიტიკის სფერო, მისი გავლენა მოვლენებზე საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრალურ ნაწილად იქცა. ამგვარად, გლობალური პრობლემების გადაწყვეტის პოლიტიკური გასაღები მსოფლიო საზოგადოების ორგანიზებისა და მართვის დონის ამაღლებაში მდგომარეობს.

ლექცია 2

ლექციის თემა: გლობალური პრობლემების და გლობალური პოლიტიკის ურთიერთმიმართება

ცივი ომის გეოპოლიტიკური არქიტექტურა, რომელიც ეფუძნებოდა ორი ზესახელმწიფოს დაპირისპირებაზე დამყარებულ წონასწორობას, დასრულდა. აუცილებელია ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის დამყარება. ცივი ომის შემდგომი პერიოდი არის ამერიკის გეოპოლიტიკური ლიდერობის ეპოქა. ორი იდეოლოგიური ბლოკის დაპირისპირების ადგილს იკავებს "ატლანტიკისა" და "ევრაზიის" დაპირისპირება. ისინი გეოგრაფიული და ცივილიზაციური ცნებებია. ეს ქმნის ახალ გეოპოლიტიკურ სიტუაციას და, შესაბამისად, ახალ მსოფლიო წესრიგის აგების აუცილებლობას, რომლის ნიშნები უნდა იყოს პოლიტიკური სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარების მდგრადობა.

გეოგრაფიულად ევრაზია მოიცავს ევროპას და აზიას, ხოლო პოლიტიკურად და ეკონომიკურად იგი გულისხმობს აზიას. ცივი ომის დასრულების შემდეგ ამერიკის გეოპოლიტიკური დომინირება უეჭველი ხდება. დღეს ამერიკის დომინირებით წარმართული გეოპოლიტიკური წესრიგი სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. თანამედროვეობის მთავარი გეოპოლიტიკური საკითხია: გახდება კი მსოფლიო მრავალპოლუსიანი სისტემა ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო თვალსაზრისით, თუ არა? ეს საკითხი წყდება ევრაზიაში. ევრაზია ხდება გლობალური პოლიტიკური ძალების დაპირისპირების ცენტრი. სწორედ იგი წყვეტს - ვინ იქნება მსოფლიოში მადომინირებელი ძალა.

ამ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებას ამწვავებს გლობალური ცვლილებები. მომავლის უპირველესი გლობალური პრობლემა არის ნავთობის, გაზის, წყალის, საკვების დეფიციტის ზრდა, აგრეთვე, გლობალური ეკონომიკური კრიზისები და მათი მადესტაბილიზირებელი ზემოქმედება მოკავშირეებზე და მეტოქეებზე. ეს იწვევს ახალ მიგრაციას, არასტაბილურობისა და ექსტრემიზმის ზრდას, პოლიტიკური რეჟიმების შეცვლას და გამკაცრებას. სახელმწიფოები ვეღარ ასრულებენ თავდაცვით და ჰუმანიტარულ ვალდებულებებს. ეკონომიკური კრიზისი მოითხოვს მსოფლიო წესრიგის კორექტირებას. უნდა გაირკვას, ვინ იქნება ამერიკის სპარინგ-პარტნიორი, რომელთანაც ერთად იგი ააგებს და გაინაწილებს ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას მსოფლიოს ახალ წესრიგზე (ან შეეცდება ამერიკა შეინარჩუნოს ერთპიროვნული ლიდერობა?).

კეთდება პროგნოზები: გაგრძელდება ეკონომიკური ძლიერებისა და სიმდიდრის გადაადგილება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (ეს უპრეცედენტო

მოვლენაა თანამედროვე ისტორიაში); მომდევნო 20 წელში განსაკუთრებით გაიზრდება ჩინეთის ეკონომიკა და, შესაძლებელია, იგი სიდიდით მეორე ეკონომიკა გახდეს (ეს გაზრდის ამ ქვეყნის პოლიტიკურ და სამხედრო გავლენას);

საიმედო, უსაფრთხო და თავისუფალი მიდგომა ენერგეტიკულ რესურსებთან აუცილებელი გახდება როგორც საშინაო სტაბილურობისთვის, ისე საგარეო მშვიდობისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტები სახელმწიფოთა შორის გარდაუვალია; გლობალური კლიმატის ცვლილება მოითხოვს დამატებით ეკონომიკურ და ფინანსურ ძალისხმევას მისი შედეგების დასაძლევად და სხვ.

მსოფლიო ბანკის მიხედვით, მსოფლიოს მოსახლეობა 2030 წლისათვის გაიზრდება 1 მილიარდით. შესაბამისად, გაიზრდება მოთხოვნა საკვებზე 50% -ით; გაიზრდება იმ ქვეყნების რიცხვი (21-დან - 36 მდე), რომლებსაც ექნებათ სტაბილური წყალმომარაგების პრობლემა (დაახლოებით - 1.4 მილიარდი ადამიანი).

ატომური იარაღის გამოყენების რისკი 20 წლის მანძილზე, ზოგადად, დაბალი დარჩება (მაგრამ უფრო მაღალი იქნება ვიდრე დღესაა); ატომური იარაღის გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობებს შოკში ჩააგდებს და გამოიწვევს ჰუმანიტარულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ-სამხედრო უკუქმედებას; გაიზრდება გლობალური პანდემიების საფრთხე.

სამყაროს გლობალური პრობლემების ხასიათი საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათს განაპირობებს და გავლენას ახდენს მსოფლიოს გეოპოლიტიკური წესრიგის სტაბილურობაზე. მსოფლიო დგას ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნის წინაშე.

წესრიგის ელემენტები

- ინტერესებითა და პატარა სახელმწიფოების ხარჯზე მიმდინარე ვაჭრობა, თუ სტაბილური განვითარების უზრუნველმყოფი პრინციპების დაცვა;
- ეროვნული სახელმწიფოების, როგორც სტაბილურობის გარანტის, როლის გაზრდა (მოხდება თუ არა ლესე-ფერეს პრინციპის, როგორც მინიმალური სახელმწიფოს, გადასინჯვა, თუ გაგრძელდება პატარა სახელმწიფოთა დესუვერენიზაცია?).
- შეიცვლება თუ არა სახელმწიფოთა ურთიერთობისა და გაერთიანების ფორმები.
- მსოფლიო პოლიტიკის საფუძველი იქნება გავლენის სფეროებად დაყოფილი მსოფლიო, თუ მსოფლიო ახალ გეოპოლიტიკური/სხვა კონფიგურაცია.
- ისტორიულად ცნობილია სახელმწიფოთა ურთიერთობებისა და

გაერთიანების შემდეგი ფორმები: კოლონია, გავლენის სფერო, ალიანსი, საერთაშორისო გაერთიანება.

- სახელმწიფოთა ურთიერთობის რა სახის ფორმა გახდება გაბატონებული, დამოკიდებულია მსოფლიოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე?

თანამედროვე გლობალური სამყაროს ნიშნებია: გაიზარდა კონკურენცია გლობალურ მოთამაშეებს შორის. გაიზარდა ურთიერთდამოკიდებულება. გაიზარდა გლობალური პრობლემები და მათი გადაჭრისათვის ძალების გაერთიანების აუცილებლობა. გაიზარდა სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირება რესურსებისა (ნავთობი, გაზი, წყალი, სურსათი) და დემოგრაფიის გამო გაიზარდა აუცილებლობა მსოფლიოს უსაფრთხოების უფრო მკაცრი, მობილური და სამართლიანი სისტემის შექმნისა.

თანამედროვე გლობალური სამყაროს მეორე მახასიათებელია ცვალებადობა.

ცვალებადობა ყოველთვის იყო ჩვენი სამყაროსა და პოლიტიკური ცხოვრების დამახასიათებელი ნიშანი. მაგრამ დღეს ცვალებადობის ხასიათი და ტემპი შეიცვალა. დღეს ცვლილებების რეჟიმში ყოფნა ნიშნავს: სწრაფ ცვლილებებს; გლობალურ ცვლილებებს; შეუქცევადი ცვლილებების სიმრავლეს; საფრთხის სახეებისა და ხარისხის სწრაფ ცვლილებას; შემცირდა დროის მონაკვეთი კრიზისებს შორის ამ ცვლილებების ბუნებისა და შედეგების განსხვავებული ხედვა აქვთ აშშ-ს, რუსეთს, ევროკავშირს, ჩინეთს, რაც განაპირობებს მათი სტრატეგიული მიზნების განსხვავებასაც.

ევრაზიული გეოპოლიტიკა. თანამედროვე მსოფლიოს გეოპოლიტიკური დაპირისპირების ცენტრი არის ევრაზია. ევრაზიის მიმზიდველობა იმაშია, რომ აქ ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის 75%, ეკონომიკური აქტივობებისა და ბუნებრივი და მიწისქვეშა წიაღისეულის უმეტესობაც აქ არის. ევრაზიას ეკუთვნის მსოფლიოს ერთობლივი პროდუქტის 60%, ენერგეტიკული რესურსების მარაგის 75%; ევრაზიაშია განლაგებული მსოფლიოში ყველაზე ამბიციური და დინამიკურად განვითარებადი სახელმწიფოები: აშშ-ის შემდეგ ყველაზე დიდი ექვსი ეკონომიკა და იარაღის ყველაზე დიდი შემსყიდველიც ევრაზიაშია. ისინი, ვისაც შეუძლია ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაუპირისპირდეს ამერიკას, ასევე მსოფლიოს ევრაზიაულ ნაწილში არიან განთავსებულნი, მაგრამ ყველაზე მრავალრიცხოვანი სახელმწიფოებიც ევრაზიაშია. Aამრიგად, ევრაზია ფლობს განუზომელ რესურსებსა და სიმდიდრეს. ბუნებრივი რესურსები: ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა ფლობს ნავთობის მსოფლიო მარაგის 4.3%-ს, ხოლო ევრაზია -74.4%-ს; ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა ფლობს გაზის მსოფლიო მარაგის 7.79%-ს, ხოლო ევრაზია - 73.17%-ს. ამრიგად, ევრაზია არის ბუნებრივი სიმდიდრეები, აქტიური მოსახლეობა და დინამიკური ეკონომიკები. გასაღების ბაზრის მიხედვით, უზარმაზარი არის სპარსეთის ყურე და კასპიის ზღვის

ბასეინი, რომელსაც სამყაროს ენერგეტიკულ გულს უწოდებენ. იგი არის კრიზისების, ღია და ფარული კონფლიქტების რეგიონი. ეს ცხადს ხდის გლობალური ძალების ევრაზიისადმი ინტერესს და ბრძოლას მსოფლიო ენერგეტიკული ცენტრისთვის. ცივი ომის შემდეგ აზიაში პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები უფრო დინამიკური ხდება. გამოღვიძებული პოლიტიკური ძალები და აშშ-ის, ევროკავშირის, რუსეთის, ჩინეთის გეოპოლიტიკური თეზისები განაპირობებენ ევრაზიის გეოპოლიტიკურ დინამიკას. აშშ-ს გაცნობიერებული აქვს, რომ მისი ჰეგემონობა დამოკიდებულია და განისაზღვრება იმით, თუ რამდენად შეძლებს და რამდენ ხანს გაგრძელდება აშშ-ის დომინირება ევრაზიაზე, "ვინც ფლობს ევრაზიას, იგი ფლობს სამყაროს" (ზ. ბჟეზინსკი). კონკურენცია ამ მიმართულებით მწვავდება, რასაც ემატება ენერგეტიკული და სასურსათო პრობლემები და დეფიციტურობის ზრდა. ევრაზია არის ომების საფრთხის, სუვერენიტეტის ძიების, დომინირების მოპოვების სივრცე.

აშშ-ს ევრაზიული სტრატეგია. აშშ-მა მოახდინა ყველაზე სწრაფი რეაგირება ევრაზიაზე, როგორც გეოპოლიტიკური დაპირისპირების ახალ ცენტრზე და წამოაყენა ბატონობის განსხვავებული პოლიტიკურ-იდეოლოგიური თეზისები: ისტორიის დასასრული (ფ.ფუკუიამა); ცივილიზაციათა შეჯახება (ს. ჰანტინგტონი); ახალი მსოფლიო წესრიგი (ჯ.ბუში-მამა). ; დიდი საჭადრაკო დაფა (ზ. ბჟეზინსკი). ყველა ამ თეზისს საფუძვლად უდევს ევრაზიის, როგორც ამერიკის, სასიცოცხლო სივრცის იდეა. ვინაიდან ევრაზია ბუნებრივი და ენერგეტიკული რესურსების ყველაზე მდიდარი რეგიონია და ფლობს გასაღების უდიდეს ბაზრებს, აშშ-ს მხრიდან ინტერესი მის მიმართ ამჟამადაც თვალშისაცემია, მაგრამ, მეორეს მხრივ, ევრაზიაში ასევე ხდება აშშ – სათვის შემაშფოთებელი მოვლენები: - ჩინეთის ეკონომიკური ძლიერების სტაბილური ზრდა (რაც ჩინეთის პოლიტიკურ და სამხედრო ამბიციებს არაპროგნოზირებადს ხდის). - ევრაზია ავლენს ერთიანობის ძიების მცდელობებს (ამის მაგალითია შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია). - რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობის მოულოდნელად ნაადრევი ზრდა. - ევრაზიაში ვითარდება ევროკავშირის ეკონომიკური და პოლიტიკური კონტაქტები და ინიციატივები.- ევრაზიაში არის ორი უდიდესი სახელმწიფო რუსეთი და ჩინეთი (აშშ-ისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია იქონიოს კონტროლი მათზე და შეზღუდოს მათი განვითარების ტემპი; - ევრაზიაში არის რადიკალური ისლამი (აშშ-ის მიზანია ასევე ისლამურ სამყაროზე გავლენის მოხდენა).

ეს აუცილებელსა და გადაუდებელს ხდის აშშ-ის აქტიურ ჩარევას ევრაზიის გეოსტრატეგიულ კონკურენციაში. აშშ-ის სტრატეგიის იდეოლოგიური საფუძველია: - დემოკრატიზაცია და სოციალური და პოლიტიკური რეფორმების დახმარება; - სასიცოცხლო ინტერესების სფეროს განსაზღვრა; - პრევენციული დარტყმის

დოქტრინა, რომელიც გულისხმობს როგორც ეკონომიკურ, პოლიტიკურ ისე სამხედრო მოქმედებებს.

აშშ-ს სამხედრო ბიუჯეტი გაიზარდა 2001 წ. 304 მილიარდიდან - 2007 წლის 481 მილიარდამდე. აშშ – მა თავის ხედვა ჩამოაყალიბა უშიშროების საბჭოს მოხსენებაში "გლობალური ტენდენციები - 2025". ამერიკა ძირითად გეოპოლიტიკურ ტენდენციას ხედავს:

- აშშ-ის როლის დომინანტურობის შემცირება
- რუსეთისა და ჩინეთის გაზრდილი ინტერესების გათვალისწინება
- აშშ-ს მოქმედების თავისუფლების შეზღუდვა
- კიბერომის შეტევების საფრთხის გაზრდა
- აშშ ინარჩუნებს დამბალანსებლის როლს შუა აღმოსავლეთსა და აზიაში

(მიუხედავად ანტიამერიკანისტული ტენდენციებისა).

აშშ ერთ - ერთ გლობალურ ტენდენციად მიიჩნევს აშშ-ს მიერ ლიდერობის დაკარგვის შესაძლებლობას. ეს არის ამერიკის უპირველესი პრობლემა. აშშ-ის გეოსტრატეგიული ამოცანა 2025 წლამდე არის ჩინეთის ექსპანსიის შეჩერება და ერთი ზესახელმწიფოს ჰეგემონიის შენარჩუნება. ეს არ არის მხოლოდ სახელმწიფოთა დაპირისპირება, არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური და კულტურული სისტემების, მოკლედ, ცივილიზაციური დაპირისპირება და იგი ხდება ევრაზიის კონტინენტზე. აშშ-ს მიზანია, ჩინეთის კონტროლისა და ზეწოლის მექანიზმების მოძიება, ჩინეთის მეზობელი ქვეყნების, უშუალოდ, ჩინეთის გავლენის სფეროში მოხვედრისაგან დაზღვევა. აშშ-ს სურს აიცილოს სამყაროს დაყოფა "ჩინეთი" და "არაჩინეთი". გახდება თუ არა მსოფლიო მრავალპოლუსიანი, დამოკიდებულია ევრაზიაზე. აშშ-მა ჩამოაყალიბა რამდენიმე სტრატეგიული ამოცანა აშშ-ის დომინანტობის შესანარჩუნებლად:

სამხედრო ძლიერება მეცნიერული და ტექნოლოგიური უპირატესობის შენარჩუნების ხარჯზე.

არარეგულარული საომარი მოქმედებების ტაქტიკა.

შორი მოქმედების, მაღალი სიზუსტის იარაღის შემუშავება.

ახალი ტექნოლოგიების განვითარება (წიაღისეული რესურსის გამოყენების ალტერნატიული პროექტების ჩათვლით, რათა თავიდან იქნას აცილებული საკვებისა და წყლის პრობლემა.

აშშ-ს სტრატეგის ჩამოყალიბდა "შუა აღმოსავლეთის დიდი პროექტის" სახით, ნიშნავს, რომ შენარჩუნებულ იქნას აშშ-ს მადომინირებელი პოზიცია, როგორც ძალის ერთადერთი ცენტრისა. მისი ძირითადი ელემენტებია:

ევრაზიის ტერიტორიამ უნდა მიიღოს ერთიანი გასაღების ბაზრის სახე, რომელიც შედგება პატარა ნაწილებისგან.

- ენერგეტიკული, ბუნებრივი რესურსები, ეკონომიკური საქმიანობა და გასაღების ბაზარი უნდა იყოს თავისუფლად ხელმისაწვდომი.
- ევრაზიის სახელმწიფოების ტერიტორიულ-პოლიტიკური ტრანსფორმაცია, სახელმწიფოების ეროვნული და პოლიტიკური მთლიანობის რღვევა.
- ხელი უნდა შეეშალოს შესაძლო კონკურენტების მცდელობებს, გახდნენ შუა აღმოსავლეთის ენერგეტიკული სიმდიდრეების ერთადერთი განმკარგავი ძალა.
- ხელი უნდა შეეშალოს ევრაზიის სახელმწიფოების დაახლოებას და სოლიდარობის განვითარებას.
- პატარა სახელმწიფოების დაპირისპირებები გამოიყენებულ უნდა იქნას საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად.
- აშშ-ის მიზანია, ამ საქმეში გამოიყენოს ნატო და მისი საშუალებით აკონტროლოს ევროკავშირის აქტივობებიც.

სანამ ევროკავშირი თვლის, რომ მის გარეშე აშშ ვერ განახორციელებს შუა აღმოსავლეთის პროექტს, ხოლო აშშ-ის მოქმედებები ემთხვევა მათ ინტერესებს, ევროკავშირი ითანამშრომლებს აშშ-თან და მათ შორის დაპირისპირება არ იქნება, რადგან ევროპა არ აცხადებს დამოუკიდებელ გლობალურ ამბიციებს.

ევრაზიის გეოპოლიტიკის აუცილებელი ელემენტია ენერგეტიკული რესურსების ევროპისკენ ტრანსპორტირების გზის გაკონტროლება: ნავთობსადენები, ნავთობისა და გაზის ჭაბურღილები, საზღვაო გზები, საზღვაო ტრანსპორტირების საკვანძო ნავსადგურები. მეზობელი ტერიტორიების მნიშვნელობა სწორედ ამის მიხედვით ისაზღვრება.

უკანასკნელი ხუთი საუკუნე ევრაზია არის რეგიონის სახელმწიფოთა ჰეგემონიისათვის ბრძოლის ასპარეზი, მაგრამ დღეს პირველად ამ ბრძოლაში ებმება არარეგიონალური ძალა აშშ-ის და ევროკავშირის სახით. აშშ-ს გააქტიურება ხდება 11.09.2001 წლის ტერაქტის შემდეგ, როდესაც იგი სრულად და მთელი ძალებით ერთვება ევრაზიის პოლიტიკაში. იგი ახმოვანებს "შუა აღმოსავლეთის დიდი პროექტს", სადაც აშშ-ის სტრატეგიის მთავარი გეოპოლიტიკური მიზანი სწორედ ესაა.

ზ.ბჟეზინსკის აზრით, ევრაზია დიდია გაერთიანებისათვის. ეს კი არის შანსი აშშ-სათვის. ამიტომ მან ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ არ მოხდეს ევრაზიის სახელმწიფო ინტერესთა გაერთიანება. ეს გადამწყვეტი პოზიციაა და ამერიკის ევრაზიული პოლიტიკის არსიც. აშშ-მა უნდა გამოიყენოს ვითარება და არ უნდა მისცეს ევრაზიის ქვეყნებს გაერთიანების საშუალება, რაც საფრთხეს შეუქმნის ამერიკის როლის გადახედვას მსოფლიოში. ამერიკამ უნდა ისარგებლოს პოლიტიკის ძველი რომაული პრინციპით. ზ. ბჟეზინსკის ეს იდეა განაპირობებს ევრაზიაში

მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ხასიათს. ჯ. ბუშის დროს მან მიიღო ეროვნული უსაფრთხოების ახალი სტრატეგიის სახე, დაეფუძნა პრევენციული დარტყმის თეზისს და დღეისთვის არის აშშ უპირატესობის უზრუნველყოფის საფუძველი და საშუალება.

"შეერთებული შტატების თავდაცვის ეროვნულ სტრატეგიაში" (2002) გაცხადებულია, რომ შეერთებული შტატები მომავალში "ჩვენს მიერ შერჩეულ დროს, ადგილზე და ფორმით" იტოვებს ნებისმიერ ქვეყანაზე წინმსწრები თავდასხმის განზრახვას და უფლებას.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ ევრაზიაში წარმოშობილი ძალაუფლების ვაკუუმის ამოვსებას შეეცადა აშშ, ევროკავშირი, ჩინეთი. ტერორიზმთან ბრძოლის ეგიდით აშშ-მა მიაღწია საკუთარი სამხედრო ძალების ბაზების განთავსებას შუა აზიაში, რითაც შეძლო ევრაზიის სიღრმეში შესვლა. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. დღეს ბრძოლა მიდის ევრაზიის რეგიონის პატარა ქვეყნებზე გავლენის მოპოვებისათვის.

ამ შემთხვევაში "ჩაუძირავი ავიამზიდები-ს" ფუნქციას პატარა სახელმწიფოები ასრულებენ, რომლებსაც ევრაზიული პოლიტიკის განხორციელებისას ეყრდნობა აშშ. Gგამოდის რომ, მსოფლიო მოთამაშეებს შორის დაპირისპირება ამ პატარა სახელმწიფოებზე გავლენის მოპოვებისათვის ბრძოლაში ვლინდება. Eესენია კავკასია და შუა აზიის ქვეყნები, რომლებიც რუსეთს, ჩინეთსა და ინდოეთს შორის იმყოფებიან.

ზემოთქმულს ემატება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ვინც დღეს აკონტროლებს მსოფლიოს ენერგეტიკულ გულს და განკარგავს ენერგეტიკულ რესურსს, ის აკონტროლებს სამყაროს და ვინც აკონტროლებს სამყაროს, ის არის გლობალური ძალა, რადგან მსოფლიოს სწორედ ის კარნახობს თავის პირობებს.

ევროკავშირის ევრაზიული სტრატეგია. ევროკავშირისათვის ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრა არის ევროკავშირის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ამ საკითხის გადაჭრის გარეშე ამ ერთიანობის შენარჩუნება შეუძლებელი იქნება. 1991 წელს სსრკ დაშლის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპა, შუა აზია და კავკასია გაიხსნა ტრანსნაციონალური კაპიტალისათვის და იწყება ბრძოლა ამ რეგიონების სიმდიდრის გადანაწილებისათვის. ევროკავშირი უკვე 1991 წელს იწყებს თAჩIშ-ის პროგრამის განხორციელებას. ეს იყო დსთ ქვეყნების ტექნიკური დახმარების პროგრამა, რომლის მიზანი რეგიონის უკეთ გაცნობა და რეგიონში შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა იყო. 1997 წელს ამსტერდამის შეთანხმების 18 მუხლის თანახმად, ევროკავშირი იღებს გადაწყვეტილებას, დანიშნოს ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი რეგიონის ქვეყნებში. 2002 წელს ევროკავშირმა ცვლილებები შეიტანა თAჩIშ-ის პროგრამაში. მის თანახმად, პრიორიტეტულ რეგიონად გამოცხადდა შუა აზია და, შესაბამისად, შემუშავდა ევროკავშირის მოქმედების ახალი სტრატეგია. 1993 წელს ევროკავშირი იწყებს თღAჩEჩA-ს (ევროპის, კავკასიის, აზიის სატრანსპორტო დერეფანი) პროექტის

განხორციელებას. უნდა შექმნილიყო სატრანსპორტო დერეფანი ევროპიდან კავკასიისა და შუა აზიის გავლით - ჩინეთამდე. ამისათვის საჭირო იყო ამ გზაზე არსებული ქვეყნების მოქცევა ევროკავშირის გავლენის სფეროში. ამ გზას ახალი აბრეშუმის გზას უწოდებენ. მისი მიზანი ევროკავშირის დაკავშირება და ეკონომიკური ინტეგრაციის უზრუნველყოფაა. 2006 წელს ევროკავშირი უერთიანდება აშშ –ს NABUßßO-ს პროექტს. უფრო ადრე ევროკავშირმა განახორციელა პროექტი INOGAთE (გაზისა და ნავთობის საერთაშორისო ტრანსპორტირება ევროპაში. იგი დაკავშირდა თAßIშ-ის პროექტთან). ეს იყო 4.6 მილიარდიანი პროექტი 3300 კილომეტრის სიგრძის ნავთობსადენის გასაყვანად. აზიის ენერგეტიკული რესურსებისათვის ბრძოლაში ევროკავშირს სურს საკუთარი პოლიტიკის გააქტიურება. ამ ბრძოლაში იგი უპირისპირდება აშშ-ს, რუსეთს, ჩინეთს. კონკურენციულ ბრძოლაში ჩაბმულნი არიან ევროპული ნავთობკომპანიები: ინგლისური - BP, იტალიური - Eნი Aგიპ, ფრანგული - თოტალ.

ევროკომისიის მოხსენების მიხედვით, ევროპა დღეს ახდენს ენერგორესურსების 50%-ის იმპორტირებას, ხოლო 2030 წლისათვის იმპორტი გაიზრდება 65%-მდე.

ევროპის ქვეყნების აზრი ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხის გადაჭრის თაობაზე გაყოფილია ორად. ერთნი მიიჩნევენ, რომ უნდა გააგრძელონ ორმხრივი ხელშეკრულება რუსეთთან ენერგომატარებლების მიწოდების მხრივ. მეორენი თვლიან, რომ რუსეთთან მოლაპარაკებისას უნდა გაამყარონ საკუთარი პოზიციები გაზისა და ნავთობის მიწოდების წყაროების დივერსიფიკაციის გზით. ენერგორესურსების წყაროების დივერსიფიკაცია ახდენს პოზიციის გაძლიერებას მოლაპარაკებისას რუსეთთან - განაცხადა აშშ-ის წარმომადგენელმა მ. ბრაიზამ. მათი აზრით, რუსეთი ახდენს ენერგომატარებლების ფასების და ოდენობების მანიპულირებას. აშშ ცდილობს მიაღწიოს ევროკავშირის აქტიურ ჩართვას ცენტრალური აზიის გეოპოლიტიკურ თამაშში, რითაც ძალთა ბალანსი იცვლება და აშშ-ს მეტი შანსი უჩნდება, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური დარტყმა მიაყენოს რუსეთს. სენატორი ლუგარი მიიჩნევს, რომ ტრანსატლანტიკურმა თანამეგობრობამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ენერგეტიკულ ლიდერობაზე უარის თქმა ემუქრება მათ საერთო მომავალს. მისი აზრით, ენერგეტიკა სუსტი ადგილი იქნება მანამ, სანამ ენერგომატარებლებლებს განსხვავებული წყაროებიდან ერთიანი მოქმედებებით არ მიიღებენ. ეს მან განაცხადა აშშ – უკრაინის კონფერენციაზე (15.04.2008). სენატორმა ლუგარმა ასევე განაცხადა, რომ აუცილებელია ევროპელების დახმარება, მოახდინონ დივერსიფიკაცია და მიაღწიონ საკუთარი პოზიციების გამყარებას “გაზპრომთან” მოლაპარაკებისას.

აშშ ცდილობს დააჩქაროს ნავთობ და გაზსადენების მშენებლობა ცენტრალური აზიიდან და კასპიის რეგიონიდან. Aამ პროექტის საფუძველი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი

და ბაქო-სუფსას ნავთობ და გაზსადენების ფუნქციონირებაა. აშშ ასევე ახდენს ერთი მილიონი ბარელი აზერბაიჯანული ნედლი ნავთობის გადაქაჩვას აზერბაიჯანიდან (გაზსადენი - ბაქო-თბილისი-ერზერუმი). აშშ 10 წლის წინათაც ცდილობდა ტრანსკასპიური გაზსადენის აგებას თურქმენეთიდან - თურქეთისკენ, რათა გვერდი აევლო რუსეთისა და ირანისათვის. მაგრამ ამ პროექტს ხელი შეუშალა კასპიის ზღვის იურიდიული სტატუსის გაურკვევლობამ და რეგიონალურმა არასტაბილურობამ (ყარაბახი). 2010 წლიდან დაგეგმილია გაზსადენის NABUჩჩO-ს მშენებლობა, რომელმაც 31 მილიარდი კუბური მეტრი გაზი უნდა გაატაროს. აშშ-ის აზრით, წარმატების მისაღწევად აუცილებელია ჩრდილოატლანტიკური ერთიანობის განმტკიცება, რისთვისაც ევროკავშირმა თავისი სტრატეგია უნდა შეცვალოს.

2003 წელს პრაღაში ნატოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ცივი ომის პერიოდში ევროპის უსაფრთხოებისათვის ევროპაში შემოყვანილი იქნა გიგანტური არმია. მაგრამ ევროპაში NAთO პროცესების მხოლოდ მეთვალყურე ვერ იქნება. მისი მომავალი ეს არის დიდი შუა აღმოსავლეთი. NAთO აქტიურად ერთვება იქ მიმდინარე პროცესებში და შეიძლება თავის თავზე აიღოს კრიზისების მოწესრიგება. ეს უნდა განახორციელდეს სამშვიდობო ძალისმიერი ოპერაციების მეშვეობით იმ ქვეყნებში, რომლებიც უქმნიან საფრთხეს ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას. ევრაზიიდან მომდინარე საფრთხის წყარო ტერორიზმსა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებაში, შესაბამისად, მისი გამოყენების რისკის ზრდაში მდგომარეობს.

2007 წლის 11 იანვარს ევროკავშირის კომისიამ გამოაქვეყნა დოკუმენტი "ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკა"- (EU'შ NEჭ ENEღGY POLIჩY.11.01.2007). დოკუმენტში აღნიშნულია, რომ იზრდება ევროკავშირის მოთხოვნილება ენერგორესურსებზე. ამავე დროს გამოთქმულია შეშფოთება ენერგო- რესურსების ერთ ხელში მონოპოლიური კონცენტრირებისა და ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების პრაქტიკის თაობაზე. დოკუმენტში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთი მდგომარეობა აღარ შეიძლება გაგრძელდეს და უნდა მოხდეს ენერგორესურსების მოწოდების დივერსიფიკაცია. დოკუმენტის მიხედვით, ევროკავშირის ერთიანი ენერგეტიკული პოლიტიკა არის გეოპოლიტიკური უსაფრთხოების ძირითადი საკითხი. ენერგეტიკული უსაფრთხოება ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მთავარი საკითხი ხდება. ევროკავშირმა გამოთქვა მზადყოფნა, გაითვალისწინოს ევროკომისიის რეკომენდაციების უმეტესობა:

- მხარი დაუჭიროს იმ პროექტებს, რომლებიც მიმართულია ენერგომატარებლების წყაროების, მომწოდებლების, მარშრუტისა და ტრანსპორტირების ხერხების დივერსიფიკაციისაკენ.
- ატომური ენერგეტიკის განვითარება, რომელსაც ევროპის ენერგო მოხმარების 30%

უკავია; ენერგიის ახალი წყაროების შექმნა; ენერგიის მოხმარების შემცირებისათვის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება.

- ევროკავშირის ქვეყნების ენერგოსისტემების გაერთიანება. პირველ რიგში, გერმანიის, პოლონეთისა და ლიტვის ენერგოსისტემების გაერთიანება. ტრანსევროპული გაზსადენის NABUჩჩO-ს მშენებლობა; კასპიის ზღვის ნავთობის ტრანსპორტირება აღმოსავლეთ ევროპაში.

ეს პოლიტიკა ხელს შეუწყობს ევროკავშირის დაახლოებას და გააღრმავებს თანამშრომლობას აშშ-თან, აზერბაიჯანთან, საქართველოსთან, იმ ქვეყნებთან, რომლებიც ცდილობენ ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტების შექმნას. ევროკავშირის მიერ შექმნილი ენერგორესურსების ერთიანი ბაზარი აგებული იქნება ლიბერალური კონკურენციის პრინციპებზე, მაგრამ ეს რუსეთის მკვეთრ წინააღმდეგობას გამოიწვევს. 2010 წლიდან ევროკავშირი გეგმავს NABUჩჩO-ს მშენებლობის დაწყებაში მონაწილეობას.

აშშ ევროპას მოუწოდებს შეიმუშაოს ერთიანი სტრატეგია ენერგეტიკული უსაფრთხოების მისაღწევად. აშშ–ის აზრით, ევროპელებმა უნდა მოახდინონ ენერგეტიკული რესურსების წყაროების დივერსიფიკაცია და მასში ცენტრალური აზია და კასპიის ზღვის რეგიონი ჩართონ. დღეს ევროპისათვის გადამწყვეტი საკითხია - დარჩება თუ არა იგი რუსეთის მონოპოლიური გავლენის სფეროში.

ევროკავშირი და ცენტრალური აზია - ახალი პარტნიორობის სტრატეგია. სსრკ დაშლის შემდეგ ცენტრალური აზიის ქვეყნებმა - ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი - დამოუკიდებლობა მოიპოვეს და ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები განიცადეს. ისინი შეუერთდნენ ეუთოს და მიიღეს ამ ორგანიზაციის ღირებულებები, სტანდარტები და ვალდებულებები. მაგრამ ეს საკმარისი აღარ არის. გლობალური სამყარო მოითხოვს თანამშრომლობის ახალ დონეს. პოლიტიკური თანამშრომლობის და ეკონომიკური განვითარების მიზანია, სტაბილურობა და განვითარება. ევროკავშირი მზად არის, ითანამშრომლოს და გაუზიაროს საკუთარი გამოცდილება ამ ქვეყნებს შემდეგ სფეროებში: სახელმწიფოს მშენებლობა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები, დემოკრატიის ხელშეწყობა და განათლება. ასევე, გაუზიაროს აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაციის გამოცდილება. ევროკავშირი მიიჩნევს, რომ რეგიონს შეუძლია ითამაშოს დიდი როლი ცივილიზაციათა დიალოგში. განისაზღვრა 2007-2013 წლების პრიორიტეტები ცენტრალურ აზიასთან თანამშრომლობის საკითხში. ამ მიზნით, ევროკავშირის 2007-2013 ბიუჯეტში ორჯერ გაიზარდა ამ ქვეყნების ფინანსური დახმარება. ევროკავშირის პოლიტიკა უფრო გასაგები და ჰარმონიული უნდა გახდეს ცენტრალური აზიისათვის. ამის გათვალისწინებით,

ევროკავშირი ცდილობს განამტკიცოს ადგილობრივი ენერგობაზარი, გააუმჯობესოს მათი ინვესტირების პირობები. დაიგეგმა ევროკავშირის სტრატეგია:

დაამყაროს მუდმივი რეგიონალური პოლიტიკური დიალოგი საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე;

- აამოქმედოს ევროპული ინიციატივა განათლების სფეროში;
- აამოქმედოს ევროკავშირის ინიციატივა კანონის უზენაესობის შესახებ;
- დაამყაროს შუა აზიის თითოეულ ქვეყანასთან დიალოგი ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით და ამ მიმართულებით მიიღოს კონკრეტული შედეგები;
- აწარმოოს მუდმივი "ენერგეტიკული" დიალოგი ცენტრალური აზიის ქვეყნებთან.

დიალოგის პრინციპია: თანასწორობა, გამჭვირვალეობა და პრაქტიკულ შედეგებზე ორიენტირებულობა. ევროკავშირის სტრატეგიული მიზანია, მიაღწიოს რეგიონის მშვიდობიან განვითარებას, უსაფრთხოებასა და სტაბილურობას. რადგან:

- ცენტრალური აზიის ქვეყნების სტრატეგიული, ეკონომიკური, პოლიტიკური განვითარება და რეგიონალური პრობლემების სიმრავლე უშუალოდ ან გაშუალებულად ახდენს გავლენას ევროკავშირის ინტერესებზე,
- ევროკავშირის გაფართოების შემთხვევაში (სამხრეთ-კავკასიის რეგიონი) ისინი ახლო შეიძლება მეზობლები გახდნენ,
- ცენტრალური აზიის ენერგეტიკული რესურსები და რეგიონის სახელმწიფოთა მიზანი, მოახდინონ ბიზნესპარტნიორების, ტრანსპორტირების მარშრუტების დივერსიფიცირება, ხელს შეუწყობს ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ამგვარად, ცენტრალური აზიის ქვეყნების დემოკრატიზაცია, კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებების დაცვა, საბაზრო ეკონომიკის განვითარება - ამ რეგიონს გადააქცევს სტაბილურ და უსაფრთხო პარტნიორად.

ევროკავშირის სტრატეგიაში ჩართულია მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, რომლებმაც უნდა დააფინანსონ ევროკავშირის პროექტები ცენტრალურ აზიაში.

ვითარდება თანამშრომლობა და დიალოგი ცალკეული ქვეყნისა და რეგიონალურ დონეზე ცენტრალური აზიის რეგიონალურ ორგანიზაციებთან ევრაზიული ეკონომიკური თანამეგობრობა, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია, ცენტრალური აზიის ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამა, ცენტრალური აზიის რეგიონალური ინფორმაციულ-საკოორდინაციო ცენტრი, აზიაში ურთიერთქმედებისა და ნდობის ღონისძიებათა თათბირი.

2007 წლის 28 მარტს ყაზახეთში ჩატარდა შუა აზიის ქვეყნების სამიტი, რომელზეც განხილული იყო რეგიონის სახელმწიფოების თანამშრომლობის

განვითარების პერსპექტივები. მასში მონაწილეობა მიიღეს ყაზახეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის თურქმენეთის პრეზიდენტებმა, ხოლო ევროკავშირის სახელით, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფ. შტეინმეიერმა და ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა შუა აზიაში - პიერ მორელმა, ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა კომისარმა - Bბენიტა ფერერო ვალდნერმა. ამ შეხვედრის შემდეგ, 2007 წლის 23 აპრილს, ლუქსემბურგში, ევროკავშირის ქვეყნების საგარეო მინისტრთა თათბირზე, შუა აზიის ქვეყნებთან ურთიერთობის გაფართოების მიზნით, მიღებულ იქნა ახალი "შუა აზიის სტრატეგია". ამ დოკუმენტში განისაზღვრა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა შუა აზიის ქვეყნების მიმართ. ფ. შტეინმეიერმა განაცხადა, რომ რუსეთის, აშშ-ს, ჩინეთის, იაპონიის აქტიურობის ფონზე ევროკავშირი არ უნდა დარჩეს პასიურ მაყურებლად. ევროკავშირის პოლიტიკის ერთ - ერთი მიზანია რუსეთისაგან ენერგეტიკული დამოკიდებულების დაძლევა და ენერგო- რესურსების მიწოდების დივერსიფიკაცია. ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკა (2007 მარტი) ემყარება სამ პრინციპს: ენერგომატარებლების მოწოდების უსაფრთხოება, კონკურენცია და მოწოდების სტაბილურობა. პარალელურად, მუშავდება პროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ 2020 წლისათვის 20%-ით ნახშირორჟანგის გამოყოფის შემცირებას, რაც იწვევს სათბურის ეფექტს, 20%-ით უნდა გაიზარდოს აღდგენადი ენერგიის წილი, იზრდება ენერგიის გამოყენების ეფექტურობაც. ესე ხელს შეუწყობს ეკონომიკური და ეკოლოგიური მიზნების მიღწევას. ენერგეტიკული უსაფრთხოება და კლიმატის დაცვა ერთი მედლის ორი მხარეა.

ვროკავშირის სტრატეგიის ძირითადი მიზანი ცენტრალური აზიის დემოკრატიზაცია და სტაბილურობის შენარჩუნებაა, რაც შესაძლებელს გახდის გეოსტრატეგიული მდგრადობის და თანამშრომლობის განვითარებას. ეუთოს, ევროსაბჭოს, გაეროს და გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლეს კომისრის მეშვეობით, ევროკავშირი აწარმოებს დიალოგს ცენტრალური აზიის ქვეყნებთან. ეს დიალოგი არის ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტი და მისი გეოპოლიტიკური სტრატეგიის მნიშვნელოვანი ელემენტი.

ევროკავშირის სტრატეგია ემყარება სოფტ პოწერს (მოქნილი ძალა). დიალოგი უნდა იყოს ევროპული დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების პოლიტიკის ინსტრუმენტი. ევროკავშირი განამტკიცებს თანამშრომლობას კანონის უზენაესობის, კორუფციასთან ბრძოლის, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების განმტკიცების საქმეში, სასამართლო რეფორმის განხორციელებაში. ამ პროექტების მიზანია, პლურალისტური და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ევროკავშირის ცენტრალურ აზიასთან თანამშრომლობის განსაკუთრებული ინტერესის საგანია ახალგაზრდობა და განათლების სისტემა. ეს არის ინვესტიცია მომავალში.

ევროკავშირმა შეიმუშავა ცენტრალური აზიისათვის “ევროპული ინიციატივა განათლების სფეროში”.

ცენტრალური აზიის ქვეყნებს და ევროკავშირს შორის სავაჭრო ბარიერების მოხსნა ნიშნავს ამ ქვეყნების მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაერთიანების ხელშეწყობას ევროკავშირის მხრიდან. გაუმჯობესდება ეკონომიკური და საინვესტიციო ვითარება, ეკონომიკურ დივერსიფიკაცია.

გაზისა და ნავთობის სახელმწიფოთაშორისი ტრანსპორტირება ევროპაში, სატრანსპორტო დერეფანი ევროპა-კავკასია-აზია), კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ევროპული ინსტრუმენტი - მათი მეშვეობით ევროკავშირი ცდილობს გააფართოვოს და განავითაროს რეგიონალური ინფრასტრუქტურა ტრანსპორტის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის სფეროში. ეს საშუალებას მოგვცემდა უკეთესად გამოყენებულიყო ცენტრალური აზიის რესურსები. ცენტრალური აზია შეიძლება გახდეს სავაჭრო დერეფანი. ევროკავშირის მიზანია, ცენტრალურ აზიაში საბაზრო ეკონომიკის და უსაფრთხო საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება.

ნავთობის, გაზის, ელექტროენერგიის გარდა მნიშვნელოვანია წყლის რესურსების მართვა. ჰიდრორესურსები არის საკვანძო საკითხი ცენტრალური აზიის, ავღანეთისა და პაკისტანის განვითარებისა და სტაბილურობისათვის. ეს საკითხი არ არის სათანადოდ შეფასებული.

წყლის რესურსების თავისუფალი მისაწვდომობა 21-ე საუკუნეში იქნება მსოფლიოს ძირითადი პრობლემა. ეს კიდევ უფრო იგრძნობა ცენტრალურ აზიაში. ეკოლოგიური პრობლემების ძირითადი ნაწილი დაკავშირებულია წყლის რესურსების გამოყენების, განაწილების და სანიტარული სტანდარტების დაცვასთან. რეგიონში არის ტრანსსასაზღვრო მდინარეები, ტბები, ამიტომ მნიშვნელოვანია რეგიონალური მიდგომა ამ რესურსების დაცვისათვის (ტყით სარგებლობის გაუმჯობესება). წყლის რესურსების გამოყენების სფეროში თანამშრომლობა განამტკიცებს რეგიონალურ სტაბილურობას, უსაფრთხოებას და ეკონომიკურ განვითარებას. 2006 წელს ევროკავშირმა წამოიწყო დიალოგი გარემოს პრობლემებთან დაკავშირებით. იგი მხარს უჭერს აღმოსავლეთი ევროპა, კავკასია, ცენტრალური აზია კომპონენტის განხორციელებას და ევროკავშირის “წყლის ინიციატივას”, რაც გულისხმობს უსაფრთხო წყალმომარაგების, სანიტარული სტანდარტების დაცვას და ინტეგრირებული გამოყენების უზრუნველყოფას.

ევროკავშირი მხარს უჭერს ახალი საბადოების აღმოჩენასა და დამუშავებას, ასევე ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტირების გზებისა და უსაფრთხოების სრულყოფას. ევროკავშირი მხარს უჭერს ახალ სატრანსპორტო დერეფანს კასპიის ზღვა _ შავი ზღვა – ევროკავშირი.

მიგრაცია ერთ - ერთი მთავარი პრობლემაა 21-ე საუკუნეში. მიგრაციის დადებითი და უარყოფითი გავლენა იგრძნობა ყველგან. ევროკავშირი ცდილობს დიალოგის და თანამშრომლობის ინტენსივობის გაზრდას მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით. ევროკავშირი მოითხოვს გლობალურ მიდგომას მიგრაციის საკითხთან, რაც გულისხმობს დიალოგის დაწყებას მეზობელ აღმოსავლურ და სამხრეთ-აღმოსავლურ რეგიონებთან.

ევროკავშირი მზად არის შეიტანოს თავისი წვლილი ცენტრალური აზიის განვითარებაში, სტაბილურობასა და უსაფრთხოებაში. ცენტრალური აზიის სტრატეგიას იგი განიხილავს სხვა რეგიონალურ სტრატეგიებთან კავშირში, როგორიცაა "შავი ზღვის რეგიონში ერთობლივი საქმიანობის ინიციატივა". ამ ინიციატივის ფარგლებში ევროკავშირი ცენტრალური აზიის ქვეყნებს მოუწოდებს, დაამყარონ აქტიური დიალოგი კასპიისა და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან.

ჩინეთი. ჩინეთის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის თანახმად, ამ ქვეყნის წინაშე დგას სამი ამოცანა: ეროვნული ერთიანობის აღდგენა (ტაივანი), მოდერნიზაცია და მსოფლიოში მშვიდობის დაცვისა და განვითარების ყოველმხრივი მხარდაჭერა. საერთაშორისო ურთიერთობებში პრობლემების გადასაჭრელად ჩინეთი უსაფრთხოების ახალი კონცეპტით ხელმძღვანელობს. საერთაშორისო უსაფრთხოების კონცეპტის ბირთვს უნდა წარმოადგენდეს ურთიერთნდობა, ურთიერთსარგებლობა, თანასწორობა და კოორდინაცია. ჩინეთის უსაფრთხოების ახალი კონცეპტი შეიცავს შემდეგ პუნქტებს:

- ურთიერთუსაფრთხოება, ცივი ომის დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობდა პრინციპი "თამაში ნულოვანი შედეგით". მაგრამ ცივი ომის შემდეგ ქვეყნებმა უნდა მიიღონ ახალი კონცეპტი "ურთიერთუსაფრთხოება". დაპირისპირება ნებისმიერ ქვეყანასთან, რომელიც ააგებს საკუთარ აბსოლუტურ უსაფრთხოებას სხვათა უსაფრთხოების უარყოფის საფუძველზე.
- ერთობლივი უსაფრთხოების კონცეპტი (ცოოპერატივე სეცურიტყ). დღეს ყველა ქვეყანა დგას ახალი, არატრადიციული გლობალური და ტრანსნაციონალური საფრთხეების წინაშე. გარემოს პრობლემები, გლობალური დათბობა, ნარკოტიკი, ტერორიზმი, ატომური იარაღის გავრცელება, ეპიდემიები და სხვა.

ყოველმხრივი უსაფრთხოების კონცეპტი. იგი უკეთესია, ვიდრე სამხედრო უსაფრთხოება. მართალია, ცივი ომის შემდეგ, გეოპოლიტიკური, სამხედრო უსაფრთხოება და იდეოლოგიური ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობს რიგი პოლიტიკოსების აზროვნებაში, მაგრამ ეკონომიკური ფაქტორები უფრო მნიშვნელოვანი ხდება საერთაშორისო ურთიერთობებში.

ჩინეთის პოლიტიკურ ლექსიკონში ცნება "ჰეგემონია" მოხსენიებულია მხოლოდ აშშ-ის მიმართ. ჩინეთი აცხადებს, რომ იგი არასოდეს აღარ ესწრაფვის ჰეგემონიას. 21-ე

საუკუნის პირველი 20 წელი სტრატეგიულად განსაკუთრებით ხელსაყრელია ჩინეთის ეკონომიკური განვითარებისათვის. Mიზანია, 2050 წლისათვის ჩინეთი გახდეს საშუალო დონის განვითარებული ქვეყანა. ამიტომ ეკონომიკური განვითარებისათვის მას სჭირდება მშვიდობიანი და სტაბილური საერთაშორისო ურთიერთობები. ჩინეთის გეოპოლიტიკური პოზიცია არის მოლოდინის პოზიცია. ჩინეთს სურს აიცილოს გლობალური მოთამაშეების დაპირისპირებაში ჩართვა, რაც მის ეკონომიკური განვითარების დამუხრუჭებას გამოიწვევს და ჩინეთის გეოსტრატეგიული ამბიციების განხორციელებას ეჭვქვეშ დააყენებს.

რუსეთის ოფიციალური ენერგოსტრატეგიის მიხედვით, ენერგორესურსები განსაზღვრავს სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ ადგილს. 2007 წელს რუსეთმა ხელი მოაწერა შეთანხმებას ყაზახეთთან და თურქმენეთთან ნავთობსადენის მშენებლობაზე "ცენტრალური აზია – ცენტრი", რომლითაც მოხდება გაზის ტრანსპორტირება ევროპაში. ნავთობსადენის ამ პროექტის რეალიზაცია მიმართულია ალტერნატიული ტრანსკასპიური ნავთობსადენის წინააღმდეგ, რომელმაც უნდა გაიაროს კასპიის ზღვის რეგიონი.

რუსეთი აკონტროლებს გაზის ფასს ევროპაში. მან შეიძინა ბაუმჰარტენის გაზგამანაწილებლის გაზის ინფრასტრუქტურის 50%. ეს არის ევროპაში გაზის განაწილებისა და ვაჭრობის სტრატეგიული ცენტრი, სადაც ერთიანდება ჩრდილოეთის ზღვიდან და რუსეთიდან მომდინარე გაზსადენები.

პოლიტიკური ძლიერებისა და ამბიციების საფუძველი დღეს არა იმდენად სამხედრო ძალაა, რამდენადაც ეკონომიკური ძლიერება. გამონაკლისია მხოლოდ რუსეთი, რომელიც, მიუხედავად ეკონომიკური სისუსტისა, პრეტენზიას აცხადებს გლობალური ძალის ცენტრის სტატუსზე. რუსეთის ამ ამბიციების წინააღმდეგაა მიმართული ატომური არსენალის 80%-იანი შემცირების წინადადება და ატომური ქოლგის პროექტი. რესურსების დეფიციტის ზრდის პირობებში გაიზრდება ზეწოლა რუსეთზე, რომელიც ფლობს ხმელეთის 14% -ს და რესურსების 50% -ს.

რუსეთისათვის გლობალური სამყარო გამოირჩევა მაღალი დინამიზმითა და მოვლენათა ურთიერთდაკავშირებით. სახელმწიფოებს შორის მწვავდება დაპირისპირება, რაც განპირობებულია გლობალური პროცესების გამო სახელმწიფოთა უთანაბრო განვითარებით, სახელმწიფოთა შორის კეთილდღეობის დონის მკვეთრი განსხვავების გამო, განვითარების მოდელები და ღირებულებები ხდება გლობალური კონკურენციის საგანი. თითოეული სახელმწიფოს წინაშე დგას ახალი გლობალური რისკები და გამოწვევები. მსოფლიო პრობლემად იქცა გლობალური სტაბილურობის შენარჩუნება.

რუსეთის სტრატეგიული ხედვა მიიჩნევს, რომ ყალიბდება ეკონომიკური ზრდისა და პოლიტიკური გავლენის ახალი ცენტრები, რაც თვისობრივად ახალ

გეოპოლიტიკურ სიტუაციას ქმნის; ჩნდება ტენდენცია რეგიონალური პრობლემებისა და კრიზისების მოგვარებისათვის რეგიონის დონეზე არა რეგიონალური ძალების მონაწილეობისა; ვლინდება არსებული რეგიონალური და გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურის უუნარობა, რომელიც, ძირითადად, ეფუძნებოდა ევრო-ატლანტიკურ ბლოკს. მთლიანობაში, სამართლებრივი მექანიზმებისა და ინსტრუმენტების არასრულყოფილება ქმნის საფრთხეს საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთელი სისტემისთვის. ამიტომ, აუცილებელია, მოხდეს გადასვლა ბლოკური დაპირისპირებიდან - მრავალვექტორიან დიპლომატიაზე.

რუსეთის სტრატეგიული მიზანი 2020 წალმდე - არის:

- რუსეთის გავლენის განმტკიცება გლობალურ დონეზე,
- რუსეთის გადაქცევა გლობალურ ზესახელმწიფოდ (მრავალპოლუსიანი მსოფლიოს პირობებში)
- რუსეთი უნდა შევიდეს ლიდერი ქვეყნების ხუთეულში (ეროვნული პროდუქტის მოცულობის მიხედვით)
- აუცილებელია, მიაღწიოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის გარკვეულ დონეს (ეკონომიკისა და ტექნოლოგიის სფეროში)
- შეინარჩუნოს შინაგანი სტრატეგიული სტაბილურობა, მდგრადი განვითარება, ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი.

ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის რეალიზაცია უნდა გახდეს რუსეთის ეკონომიკის, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, საზოგადოების პოლიტიკური სტაბილურობის, ეროვნული თავდაცვის, სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის და ბოლოს, რუსეთის საერთაშორისო პრესტიჟის გაზრდის უზრუნველყოფის საფუძველი. რუსეთის სტრატეგია აშკარად მიმართულია საშინაო მიზნებისკენ. იგი, ისევე როგორც ჩინეთი, მოლოდინის რეჟიმშია. უშუალოდ არ უპირისპირდება აშშ-ის ძლიერებას, მაგრამ იმედოვნებს, რომ აშშ ვერ შეძლებს სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით გაუმკლავდეს აღებულ ვალდებულებებს, დაამყაროს მსოფლიო წესრიგი. პოსტსაბჭოურ სივრცეში რუსეთი ინარჩუნებს გავლენის სფეროებს.

რუსეთი ნეგატიურად აფასებს ცალმხრივ, ძალისმიერ მიდგომას საერთაშორისო ურთიერთობებში, დაპირისპირებას მსოფლიო პოლიტიკის ძირითად მონაწილეებს შორის.

გლობალური პრობლემებიდან აღნიშნულია: ატომური იარაღის გავრცელების საშიშროება, რადგან გაიზრდება ატომური იარაღის მფლობელთა რიცხვი, რელიგიური რადიკალიზმით ნასაზრდოები ექსტრემიზმი, ქსენოფობია; მსოფლიოს დემოგრაფიული მდგომარეობის გართულება და არაკანონიერი და

არაკონტროლირებადი მიგრაციის გავრცელება. ამასთან არის დაკავშირებული ნარკოტრეფიკი, ადამიანებით ვაჭრობა, ეკოლოგიური პრობლემები და სასმელი წყლის დეფიციტის პრობლემა.

საერთაშორისო პოლიტიკის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ენერგორესურსების წყაროების ფლობის საკითხი. ეს არის ახლო აღმოსავლეთი, ბარენცის ზღვის შელფი, არქტიკა, ცენტრალური აზია და კასპიის ზღვის ბასეინი. რუსეთი არ გამორიცხავს ენერგორესურსების ფლობისათვის კონკურენტულ ბრძოლაში გამოყენებული იქნას სამხედრო ძალა, რითაც დაირღვევა რუსეთის საზღვრებთან არსებული ბალანსი. განსაკუთრებით შეშფოთებას იწვევს აშშ-ის ყოფნა ერაყსა და ავღანეთში. ეს კონფლიქტები რუსეთს საერთაშორისო სტაბილურობის საფრთხედ მიაჩნია.

რუსეთის სტრატეგია მიმართულია აშშ-ს ლიდერობის წინააღმდეგ. მან იცის, რომ მრავალ- პოლუსიან მსოფლიოში მისი როლი და მნიშვნელობა გაიზრდება. ამიტომ მისი მონაწილეობა ნებისმიერ ალიანსში მიზნად ისახავს ამ ალიანსის წარმართვას აშშ-ის წინააღმდეგ. ახალი გეოპოლიტიკური სტაბილურობისათვის რუსეთი ვერ სთავაზობს მსოფლიოს რაიმე სახის სიახლეს. მისი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია არის რუსეთის პოლიტიკური რესსენტიმენტ-ის გამოვლენა.

გლობალური და რეგიონალური სტაბილურობის შენარჩუნების საფრთხეს რუსეთი ევროპაში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსის განლაგებაშიც ხედავს. ამის გათვალისწინებით, მისი საგარეო პოლიტიკა ხდება უფრო მეტად რაციონალური და პრაგმატული. გამორიცხავს რა ხარჯვით კონფრონტაციას (მათ შორის, გამალებული შეიარაღების პროცესს), რუსეთი ითვალისწინებს სსრკ-ის მწარე გამოცდილებას, რომელიც ამ შეჯიბრებამ დაშლამდე მიიყვანა და დაპირისპირების აზრს ერთობლივ მოქმედებებში (ალიანსებში) ხედავს. თავისი პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად რუსეთი მიიჩნევს საკუთარი საქმიანობის გააქტიურებას ისეთ გაერთიანებებში როგორიცაა: დიდ რვიანი, დიდ ოცეული (რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი), ან/და ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვა არაფორმალური საერთაშორისო ინსტიტუტები.

რუსეთი აცხადებს, რომ საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების დაცვისას დარჩება საერთაშორისო სამართლის ფარგლებში. იგი გაეროსა და უშიშროების საბჭოს განიხილავს, როგორც ძირითად ინსტრუმენტებს სტაბილური საერთაშორისო ურთიერთობების მოსაგვარებლად. საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველი უნდა იყოს პატივისცემა, თანასწორობა, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა, რომლებიც გლობალური და რეგიონალური კრიზისული სიტუაციების გადაჭრისას დაემყარებიან ცივილურ, პოლიტიკურ ინსტრუმენტებს. რუსეთის ეროვნული

უსაფრთხოების სტრატეგიის განსაკუთრებული, პრიორიტეტული მიმართულებაა პოსტსაბჭოური სივრცე. მისი მიზანია, განავითაროს რეგიონალური და სუბრეგიონალური ინტეგრაცია და კოორდინაცია დსთ, კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციის (ОКБД) ევრაზიული ეკონომიკური თანამეგობრობის ფარგლებში. ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება არის ევრაზიის ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველი. ევრაზიული მიმართულების არის შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია. მათი მეშვეობით რუსეთი ცდილობს პოზიციების განმტკიცებას ევრაზიაში.

საგარეო პოლიტიკის მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა ევროკავშირი და ნატო. რუსეთი ცდილობს შეიმუშაოს ევროატლანტიკური კოლექტიური უსაფრთხოების ღია სისტემა, რომელიც დაეფუძნება ხელშეკრულებით და სამართლობრივ საფუძველს. აცხადებს, რომ მისთვის მიუღებელია ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგება რუსეთის საზღვრების სიახლოვეს და მისთვის გლობალური ფუნქციის მინიჭება, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

ლექცია 3

ლექციის თემა: სამხედრო-პოლიტიკური და ეთნიკური კონფლიქტების ზრდა

საერთაშორისო კონფლიქტი საერთაშორისო ურთიერთობათა გამწვავების უკიდურესი ფორმა, რასაც ზოგჯერ შეიარაღებული შეტაკება მოჰყვება. საერთაშორისო კონფლიქტების წინაპირობაა პოლიტიკური კრიზისი მხარეებს შორის, რაც უკიდურესად ძაბავს სიტუაციას და ერთმანეთს უპირისპირებს როგორც პოლიტიკურ ელიტებს, ისე მასებსაც. თუმცა ყველა კრიზისი კონფლიქტში არ გადაიზრდება. საერთაშორისო ურთიერთობების წარმოდგენა კონფლიქტების გარეშე უტოპია იქნებოდა, მაგრამ მათი შემცირება და მინიმუმამდე დაყვანა საერთაშორისო ურთიერერთობების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. კონფლიქტების რეგულირების ტრადიციული ფორმებია შეკავება (იხ. შეკავების პოლიტიკა) და ძალთა წონასწორობა.

საერთაშორისო კონფლიქტების ძირითადი სახეებია ტერიტორიული, რესურსული, ეთნიკური, ეკოლოგიური, იდეოლოგიური კონფლიქტები, რომლებიც უმთავრეს შემთხვევებში პოლიტიკური კონფლიქტის სახით ვლინდება, თუმცა არც თუ იშვითია მათი გამოვლენა ეკონომიკური და კულტურული კონფლიქტების ფორმითაც. საერთაშორისო კონფლიქტი შეიძლება მოხდეს ორი ან მეტი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს შორის ან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მეტროპოლიის შეიარაღებულ ძალებს შორის შეტაკებით. ნიშანდობლივია საომარ მოქმედებათა შეზღუდული მასშტაბი და შედარებითი ხანმოკლეობა.

საერთაშორისო კონფლიქტიის მხარეები მოვალენი არიან თავიანთ მოქმედებაში დაიცვან საერთაშორისო სამართლის ნორმების მოთხოვნა - ომის კანონები და ჩვეულებები. დამატებითი ოქმით დაცულია კულტურული ფასეულობები, აკრძალულია თავდასხმა სამოქალაქო მოსახლეობის სასიცოცხლო ობიექტებზე (სახნავ მიწებზე, სასმელი წყლისა და ირიგაციულ სისტემებზე და სხვ.), აგრეთვე ისეთ ნაგებობებზე (წყალსაცავები, დამბები, ატომური ელექტროსადგურები და სხვ.), რომელთა ნგრევამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დანაკარგები მშვიდობიან მოსახლეობაში. განსაკუთრებული დაცვის ობიექტები არიან ქალები და ბავშვები,

დაჭრილები და ავადმყოფები, სამედიცინო პერსონალი და სანიტარული სატრანსპორტო საშუალებანი. განსაზღვრულია აგრესიის ან სხვა სახელმწიფოს მიერ ოკუპაციის დროს მიყენებული ზარალის კომპენსაცია.

კონფლიქტები შეიძლება მიმდინარეობდეს იარაღის გამოყენებით, ან მის გარეშე. შეიარაღებული კონფლიქტი გულისხმობს სპეციფიკურ ქმედებებს საერთაშორისო თანამეგობრობის ძალების მოსაზიდად. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი სპეციალურად იყო ჩაფიქრებული შეიარაღებული კონფლიქტების დროს ადამიანის უფლებების დარღვევათა შესაზღუდად. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ ჯგუფებს, როგორიცაა: სამოქალაქო მოსახლეობა, დაჭრილი, ან მწყობრიდან სხვაგვარად გამოსული სამხედრო პირები. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ოთხი კატეგორიის შ.კ-ს განასხვავებს. თითოეული კატეგორიის მიმართ განსხვავებული სამართლებრივი პრინციპები გამოიყენება.

ეს კატეგორიებია:

1. საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი, რომლის მიმართ გამოიყენება 1949 წლის ჟენევის ოთხი კონვენცია, 1977 წლის დამატებითი #I პროტოკოლი, ჰაგის წესები და სხვა სამართლებრივი პრინციპები;

2. განმათავისუფლებელი ომები და ომები თვითგამორკვევის მიზნით, რომელიც 1977 წლის #I პროტოკოლით რეგულირდება;

3. შიდა შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც რეგულირდება ჟენევის ოთხი კონვენციისათვის ზოგადი მე-3 მუხლით და ჩვეულებრივი სამართლის სხვა ნორმებით;

4. ვიწრო ფორმულირების შიდა შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც 1977 წლის დამატებითი №2 პროტოკოლით რეგულირდება;

5. ძალადობის სპორადული აქტების, შიდა არეულობის, ან დაძაბულობის დროს გამოიყენება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ნორმები და არა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები. ჟენევის კონვენციები და ჰუმანიტარული სამართლის სხვა ნორმები არ შეიცავს სპეციალურ დებულებებს, რომლებიც სამოქალაქო ომებს ეხება და საერთაშორისო თანამეგობრობის ძალების მოზიდვას გულისხმობს, რაც შეიძლება გამხდარიყო შეიარაღებული კონფლიქტების მეხუთე კატეგორია. აქედან გამომდინარე, ასეთი კონფლიქტები პირველი ოთხი

კატეგორიისათვის დამახასიათებელი სამართლებივი პრინციპების მიხედვით უნდა გაანალიზდეს.

საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი - შეიარაღებული კონფლიქტის ერთ-ერთი სახე საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში. იგი გამოიხატება ორი ან მეტი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს შორის ან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მეტროპოლიის შეიარაღებულ ძალებს შორის სამხედროს მოქმედებებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე პარტიზანების ბრძოლით. სშკ-ის მხარეები მოვალენი არიან, დაიცვან ომის კანონები და ჩვეულებები, რომლებსაც შეიცავს ,,ჟენევის სამართალი“ და ,,ჰააგის სამართალი“, დაიცვან კულტურული ფასეულობები, აკრძალულია თავდასხმა მშვიდობიანი მოსახლეობის სასიცოცხლო ობიეტქბზე (სახნავ მიწებზე, სასმელი წყლის წყაროებზე, ირიგაციულ სისტემებზე და სხვ.), აგრეთვე ისეთ ნაგებობებზე (წყალსაცავები, დამბები, ატომური ელექტროსადგურები და სხვ.), რომელთა ნგრევამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დანაკარგები მშვიდობიან მოსახლეობაში. განსაკუთრებული დაცვის ობიექტად არიან მიჩნეული ქალები და ბავშვები, დაჭრილები და ავადმყოფები, სამედიცინო პერსონალი და სანიტარული სატრანსპორტო საშუალებანი. განსაზღვრულია აგრესორის თავდასხმის ან სხვა სახელმწიფოს მიერ ოკუპაციის დროს მიყენებული ზარალის კომპენსაცია (იხ. ჟენევის 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ).

ეთნიკური კონფლიქტი - დასავლეთში ეთნიკური კონფლიქტის ცნება მოიხმარება ხოლმე „მესამე სამყაროს“ ქვეყნების შემთხვევებში და არსოდეს იმავე სახის კონფლიქტთა მიმართ, რაც თავად დასავლეთმა გადაიტანა წარსულ ხანებში; ეს კი იმის მანიშნებელია, რომ კონფლიქტურ მხარეებს აქ ისე უდგებიან, როგორც „ჩამორჩენილებსა“ და „არაცივილიზებულთ“. თანამედროვე ეთნიკური კონფლიქტების თაობაზე არსებული შრომების მიმოხილვაში მაიკლ ი. ბრაუნი, მაგალითად, ამგვარ დებულებას უცილობლად მიიჩნევს: „ნებისმიერი ეთნიკური კონფლიქტი - ვშიშობ, ანბანური ჭეშმარიტების გამეორება არ გამომივიდეს - დავაა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ ტერიტორიული საკითხების ირგვლივ ორ ან მეტ ეთნიკურ ჯგუფს შორის“. გარემოებანი შესაძლოა სხვადასხვა იყოს, მაგრამ კონფლიქტს მაინც „ეთნიკურის“ დამღა დაედება, თუკი მასში მონაწილე მხარეები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები არიან. ბარი რ. პოუზენმა

საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში დამუშავებული უსაფრთხოების დილემის ლოგიკა მექანიკურად მიუსადაგა ეთნიკური კონფლიქტების საკითხს. მისი აზრით, იმპერიული წეს-წყობის რღვევის შედეგად ეთნიკურ ჯგუფებს იმის შეგრძნება უჩნდებათ, რომ თავად მოუწევთ დაიცვან თავი; მაგრამ როგორც კი იწყებენ ამისათვის მზადებას (სხვადასხვა სახის ფორმირებანი, იარაღის შესყიდვა და ა.შ.), ახლა მათი ეჭვით შეპყრობილი მეზობლები იებენ შეიარაღების განალებულ ტემპს, რასაც, საბოლოოდ, სპირალური ესკალაციის სახე ეძლევა. ამის აუცილებელი შედეგი კი შეიარაღებული შეტაკებაა, და ეს ერთი მხარის მიერ გაიაზრება როგორც პრევენტიული დარტყმა, ვითომდა მეორე მხარის მიერ გამიზნული თავდასხმის აღსაკვეთად.

ტერმინი **„ეთნო-პოლიტიკური“,** კრებითი ცნებაა, რომელიც მოიცავს კონფლიქტში მონაწილე განსხვავებულ მხარეებს:

1. ეთნონაციონალისტებს,
2. ეთნოკლასებს (იმიგრანტთა ჯგუფებს),
3. ინდიგენურ ხალხებს,
4. შეიარაღებულ ჯგუფებს და
5. განსხვავებულ ეთნიკურ დაჯგუფებათა კოალიციას.

ეთნიკური კონფლიქტები თავის გამოხატულებას პოულობს სეცესიონისტურ და სეპარატისტულ მოძრაობებში. სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნა ეთნო-პოლიტიკური დაპირისპირებულობის ძირითადი ნიშანია. ეთნონაციონალური კონფლიქტი ისევე ძველია, როგორც თვითგამორკვევის უფლება. 1945-1981 წლებში მსოფლიოში რეგისტრირებული იყო 127 ეთნიკური კონფლიქტი, რომელთა მთავარი მოთხოვნა იყო სეცესია.

საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტებისგან **განსხვავებით, არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტები** მიმდინარეობს ერთი სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით სახელმწიფოსა და სხვა ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფს (ჯგუფებს) შორის, რომეოიც (რომლებიც) იბრძვის ხელისუფლების ხელში ჩაგდებისათვის ან ერის (ხალხის) თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცის პრეტენზიით ცდილობს, დაეუფლოს გარკვეულ ტერიტორიას და შელახოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა. ასეთ ჯგუფს სათავეში უნდა ედგას პასუხისმგებელი სარდლობა და უნდა აწარმოებდნენ ეფექტიან კონტროლს მათ მიერ დაკავებული ტერიტორიის მიმართ საერთაშორისო კონფლიქტში ჩაბმულ მხარეებზე

ვრცელდება ჟენევის 1949 წლის კონვენციები 1977 წლის დამატებითი ოქმები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ და სხვა აქტები, თუ მეომარი მხარეებიცნიბენ მათ იურიდიულ ძალას. თუ არა, ისინი მაინც ვერ აუვლიან გვერდს ჯენევის კონვენციებისა და ოქმების ძირითად დებულებებს, რომლებიც ცივილიზაციისა და ჰუმანურობის მონაპოვარია. ჯენევუს კონვენციები არ გამოიყენება ავტომატურად, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აღიარებს მოწინააღმდეგე მხარე არსებულ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, ომის კანონებსა და ჩვეულებებს. ჟენევის კონვენციების მე–3 მუხლი ითვალისწინებს არასაერთაშორისო კონფლიქტებში ჩაბმულ ჯგუფებზე ჰუმანიზმით ნაკარნახევი წესების გავრცელებას. ეს მუხლი არ იხსენიებს ტყვეტა ინსტიტუტს. კონფლიქტში მონაწილე მხარეები მოვალენი არიან მოეპყრან მათ ხელში ჩავარდნილ ნებისმიერ პირს (რომელიც დანებდა იარაღით ხელსი ან ავადმყოფობის თუ დაჭრილობის გამო) ჰუმანურად და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მიუხედავად რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, წარმოსობის, ქონებრივი მდგომარეობისა თუ სხვა ანალოგიური ნიშნებისა. ამ მიზნით იკრძალება მკვლელობა, დასახიჩრება, წამება და სხვა მსგავსი ქმედებანი; მძევალტა აყვანა. ადამიანის ღირსების შელახვა, პირის გასამართლება და დასჯის ზომების გამოყენება წინასწარ დაწესებული სასამართლოს განაჩენისა და სასამართლო გარანტიების უზრუნველყოფის გარეშე. II ოქმი ასევე ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც ხელთ ჩაუვარდნენ მოწინააღმდეგე მხარეს და გამოეთიშნენ ბრძოლას. ან მათი თავისუფლება იყო შეზღუდული კონფლიტთან დაკავშირებით. 1977 წლის II დამატებითი ოქმი მთლიანად ეძღვნება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვას აშკ–ს მეკუთვნება პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული ზოგიერთ დამოუკიდებელ სახელმწიფოში მიმდინარე კონფლიქტები – საქართველოში (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი), აზერბაიჯანი (მთიანი ყარაბახი). მოლდოვაში (დნესტრისპირეთი), სადაც აგრესიულმა სეპარატიზმმა თავს მოახვია მთავრობებს შეიარაღებული კონფლიქტები,. განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა კონფლიქტი აფხაზეთში, სადაც საზღვარგარეთიდან შემოსული ძალები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ყველა ნორმის დარღვევით სასტიკად ეპყრობოდნენ არამარტო მეომრებს, არამედ მშვიდობიან მოსახლეობას (იხ. ეთნიკური წმენდა).

სამხედრო კონფლიქტი წარმოადგენს სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობის გადაწყვეტის ფორმას, რომლის დროსაც სამხედრო ძალადობაგამოიყენება ორივე მხრიდან. იგი მოიცავს შეიარაღებული წინააღმდეგობის ყველა სახეობას. თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ტერმინი **სამხედრო კონფლიქტი** იხმარება როგორც ომის სინონიმი.

ომი — სახელმწიფოებს შორის არსებული კონფრონტაციის გადაწყვეტა სამხედრო ძალადობის გზით. ომის წარმოებაში უმთავრეს როლს ასრულებენ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებიდა გასამხედროებული ფორმირებები, რომლის პარალელურად მეომარი მხარეები აწარმოებენ დიპლომატიურ, იდეოლოგიურ და ეკონომიკურ ბრძოლებს დაპირისპირებულ მხარეებთან. ომის წამოწყების მიზეზი შეიძლება გახდეს გადაუჭრელი საკითხები ეკონომიკურ, იდეოლოგიურ, ტერიტორიულ, რელიგიურ და სხვა სფეროებში. ომი – ეს არის პოლიტიკის გაგრძელება. თავისი მასშტაბებით ომი შეიძლება იყოს ლოკალური, რეგიონული, მსოფლიო. საერთაშორისო კანონების მიხედვით ომის წამოწყება გამოუცხადებლად, ითვლება დანაშაულად.შეიარაღებული კომფლიქტებისგან განსხვავებით, ომის მასშტაბები გაცილებით დიდია, როგორც გეოგრაფიული თვალსაზრისით, ასევე მისი ხანგრძლივობიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში არ არსებობს ზუსტი კლასიფიკაცია იმისა, თუ რით განსხვავდება ომი შეიარაღებული კონფლიქტისაგან. ომი შეიძლება იყოს ხანმოკლე (რამდენიმე დღიანი) და ხანგრძლივი (რამდენიმე ათეულ წლამდე).

საბრძოლო მოქმედებები ეწოდება შეიარაღებული ძალების ყველა სახეობათა ნაწილების,შენაერთების და გაერთიანებების ორგანიზებულ მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია მათ წინაშე მდგარი საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად. საბრძოლო მოქმედებათა ძირითად სახეობებს წარმოადგენს თავდაცვა და შეტევა, რომლებსაც აწარმოებენ ოპერაციის, შეტაკების, ბრძოლის და დარტყმის ფორმით როგორც ხმელეთზე, ასევე ჰაერში და ზღვაზე.

პოლიტიკური კონფლიქტი – ესაა ბრძოლა საზოგადოების პოლიტიკურ სფეროში ღირებულებებისათვის, ხელისუფლებისა და სტატუსისათვის, საკუთარი გავლენისა და ავტორიტეტისათვის.

პოლიტიკური კონფლიქტის ცნებას უჭირავს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი არა მარტო პოლიტოლოგიაში, არამედ კონფლიქტოლოგიაში (მეცნიერებაში კონფლიქტების შესახებ).

კონფლიქტოლოგია, როგორც მეცნიერება კონფლიქტების, მათი მიზეზებისა და აღმოცენების, მიმდინარეობის ფორმებისა და მათი მოგვარების გზების შესახებ, წარმოიშვა XX საუკუნის 50-60-იან წლებში.

კონფლიქტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს შეჯახებას, ბრძოლას ორ ან მეტ ძალას შორის, რომლებიც სხვადასხვა ინტერესს მისდევენ.

კონფლიქტის შეფასებისას სოციოლოგიასა და პოლიტოლოგიაში ჩამოყალიბდა ორი მიმდინარეობა:

ა) ფუნქციონალური და ბ) სოციოლოგიური.

ა) ფუნქციონალური კონფლიქტი განიხილება, როგორც მდგრადი, ინტეგრირებული სისტემა, რომელშიც ყოველი ელემენტი ასრულებს თავის სპეციალურ ფუნქციას და ამით ხელს უწყობს მის შენარჩუნებას.

კონფლიქტის დისუნქცია ნიშნავს – დისბალანსს, სისტემის ფუნქციონირების კლებას და ამით ქმნის საშიშროებას მისი ამ სახით არსებობისათვის. ამიტომ პოლიტიკის მოვალეობაა აიცდინოს კონფლიქტი, ან მოახდინოს ჰარმონიის დამყარება და მოწინააღმდეგე მხარეების ინტერესების ბალანსირება.

ბ) სოციოლოგიური მიმდინარეობა და მისი შედეგები განიხილება, როგორც პოლიტიკური ცხოვრების დაუშორებელი მომენტი, მისი განვითარება, პოლიტიკური მოქმედების მოტივაცია. კონფლიქტი ყველგან და ყველაფერშია. ის განვითარებასა და განახლებას ემსახურება. საზოგადოებრივი კონფლიქტის მიზეზებია – საზოგადოების ბატონობისა და მორჩილების იერარქიულ სტრუქტურაში, ხალხის სოციალური პოზიციის უთანაბრობა.

მკვლევართა ერთი ნაწილი საკმაოდ დასაბუთებულად, ყველაზე ზოგადი სახით პოლიტიკურ კონფლიქტებს ჰყოფს ორ ჯგუფად: I. საგარეო პოლიტიკური; და II. შიდა პოლტიკური კონფლიქტები;

1) საშინაო კონფლიქტები ახასიათებს პოლიტიკური ან სოციალური გაერთიანებების შინაგან ურთიერთობებს;

2) საგარეო კი, სხვადასხვა გაერთიანებებსა და ადამიანებს შორის. მაშტაბებისა და სფეროს მიხედვით კონფლიქტი იყოფა:

ა) გლობალური (რომელიც მოიცავს მთელ მსოფლიოს, ან ქვეყნების უმრავლესობას);

ბ) რეგიონალური (კონფლიქტი, რომელიც მოიცავს ერთი რეგიონის კონფლიქტებს);

გ) საერთაშორისო (ორ, ან მეტ ქვეყანას შორის);

დ) შიდა სახელმწიფოებრივი (კლასებს, პარტიებსა და სხვათა შორის).

მხარეთა შემორიგების თვალსაზრისით გამოიყოფა ანტაგონისტური და არა ანტაგონისტური კონფლიქტები.

პირველის მოგვარება შეუძლებელია ერთი მხარის ჩამოშორების გარეშე, ხოლო მეორის მოგვარება დაშვებულია მხარეთა შეთანხმებით.

მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით კონფლიქტი იყოფა:

- შიდაპიროვნული;
- პიროვნებათაშორისი;
- პიროვნებასა და დაჯგუფებასშორისი;
- დაჯგუფებათაშორისი;

უოლსის მიხედვით არსებობს კონფლიქტის ოთხი დონე:

1. ინდივიდუალური დონე;
2. სოციალური/ეროვნული დონე;
3. ტრანს-სოციალური / საერთაშორისო;
4. გლობალური დონე;

ინდივიდუალურ დონეზე შეიძლება განვიხილოთ ინტრაპერსონალური და ინტერპერსონალური კონფლიქტები, მიმდინარე ინდივიდუალურ, ფიზიოლოგიურ, შესწავლით და დისონანსურ ქვედონეებზე. ადამიანს გააჩნია მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება წარმოადგენს მის მიზანს, მაგრამ მასლოუს მოსაზრებით, მოთხოვნილებები მათი დაკმაყოფილების შემდეგ უფრო მაღალ საფეხურზე გადადიან და წარმოქმნიან ახალ მოთხოვნილებებს, რომელთა დასაკმაყოფილებლად ახალი საშუალებების გამოძებნა ხდება საჭირო.

კოესტლერის მოსაზრება ადამიანის ნერვულ სისტემაში პოტენციურად საშიში ნაკლის არსებობის შესახებ, ეფუძნება “ძირითადი მოთხოვნილებების” თეორიას: მაგალითად, მოთხოვნილება ვინმეს ეკუთვნოდა, “ადამიანების შესაძლებლობა და სურვილი გააიგივონ ტომთან, ერსა და ეკლესიასთან (კოესტლერი, 1978 წელი).

კოესტლერი მიიჩნევს, რომ ეს ინტეგრაციული თვითამაღლების მიმართულებები არის კაცობრიობის ისტორიის მანძილზე არსებული ძალადობის საფუძველი. (კოესტლერი 1976): “ეგოისტური, პირადული მოტივების საფუძველზე ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულს ისტორიული მნიშვნელობა არ გააჩნია..... უფრო საყურადღებოა თავგანწირული ერთგულება დროის, ლიდერის, რელიგიური მრწამსისა და პოლიტიკური რწმენისადმი”.

რანგობრივად კონფლიქტი იყოფა: რანგობრივად თანასწორ და არათანასწორ მონაწილეებს შორის მომხდარ კონფლიქტებად.

მიზეზების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ ერთფაქტობრივი (ერთი მიზეზი) და მრავალფაქტობრივი (ორი ან მეტი მიზეზი) კონფლიქტები.

ნორმატიული რეგულაციის მხრივ კონფლიქტი შეიძლება იყოს: ინსტიტუციონალური, რომელიც მიმდინარეობს ყოველგვარი წესების გვერდის ავლით.

დროის პარამეტრების გავლით კონფლიქტი იყოფა: ცალკეულ, პერიოდულ და ხშირ, ასევე სწრაფად მოქმედ, გრძელვადიან და გაჭიმულად.

ფორმების მიხედვით არსებობს ღია, რომელიც აშკარად გამოიხატება აგრესიული მოქმედებებით და ფარული, რომელიც არ ხასიათდება ასეთი ქმედებით.

დენის სანდოლეს მიხედვით, არსებობს ოთხი საერთაშორისო და პიროვნებათაშორისი პარადიგმა, რომელიც ნებისმიერ დონეზე უკავშირდება კონფლიქტებსა და მათი მოგვარების გზებს:

1. პოლიტიკური რეალიზმი;
2. პოლიტიკური იდეალიზმი;
3. მარქსიზმი;
4. არამარქსისტული რადიკალური აზროვნება;

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განსახილველად პირველი ორი, რომლებიც წარმოადგენენ ურთიერთსაპირისპირო მიდგომებს. პოლიტიკური რეალიზმი გულისხმობს ძალაზე დაფუძნებულ, მტრულ, კონფრონტაციულ, “ნულოვანი ჯამის” კონცეფციას, როდესაც ერთი მხარის გამარჯვება აუცილებლად მეორე მხარის მარცხია. მისი ფუძემდებლური აზრია, რომ “ადამიანის ბუნება ბოროტია”. აქედან გამომდინარე, ადამიანი ყოველთვის ორიენტირებულია სხვათა დაჩაგვრაზე საკუთარი მიზნების მისაღწევად. იდეალპოლიტიკოსთა მიდგომა, როგორც უკვე ავღნიშნეთ,

რადიკალურად განსხვავდება რეალისტების მიდგომისაგან, მათი ძირითადი იდეაა – “ადამიანის ბუნება კეთილია” – და მხოლოდ გარემოს გავლენით შეიძლება ადამიანის ბუნება და ხასიათი შეიცვალოს ცუდისაკენ. თუმცა პოლიტიკური იდეალისტები, ისევე როგორც რეალისტები, მიიჩნევენ, რომ ძალადობის საფრთხე და ინტენსივობა იზრდება, თუმცა მიუთითებენ ომისა და ძალადობის განსხვავებულ მიზეზებსა და მოგვარებაზე. კონფლიქტების მოგვარების არაწინააღმდეგობრივი, არაკონფრონტაციული, პოზიტიური ჯამის, “მოგება-მოგების” მიდგომა სწორედ იდეალისტების მახასიათებელი იდეოლოგიაა.

შემდეგი ორი პარადიგმა წარმოადგენს ნარევს პირველი ორი პარადიგმისა იმ დროისათვის, როდესაც ისინი წარმოიქმნენ, დამახასიათებელი აზროვნების დამატებით და განხილვის არეალით. **10**

არსებობს კონფლიქტების სხვა კლასიფიკაციაც, რომელსაც მეცნიერები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ. საერთაშორისო კონფლიქტაციის როლი თანამედროვე ცხოვრებაში უაღრესად დიდია.

საერთაშორისო კონფლიქტებს შორის განსაკუთრებული ადგილი გარემოს ირგვლივ დავას უჭირავს. ეს ბუნებრივ რესურსებზე მოთხოვნილების ზრდასთან, ტერიტორიული რესურსების ხელახალი გადანაწილების ცდასთან და ეკოლოგიური სიტუაციის მკვეთრ გაუარესებასთან არის დაკავშირებული. ყოველივე ეს არ არის დაკავშირებული შემთხვევითობასთან: ცნობილია, რომ XX საუკუნის II ნახევარში ენერგეტიკული, სანედლეულო, სასურსათო და ეკოლოგიური კრიზისის საფრთხე რეალობად იქცა.

გარემოსთან დაკავშირებულ კონფლიქტებს სამ ჯგუფში აერთიანებენ, ესენია: ტერიტორიული, რესურსული და ეკოლოგიური ჯგუფები.

ტერიტორიული კონფლიქტები, როგორც წესი, მეზობელ სახელმწიფოებს შორის ხდება. მათი უმრავლესობა სათავეს საუკუნეების სიღრმეში იღებს. თუმცა, ცნობილია ისეთი კონფლიქტებიც, რომელთაც ორ ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ სახელმწიფოთა შორისაც აქვთ (ან ჰქონდათ) ადგილი. ასეთ სახელმწიფოთა შორის ტერიტორიული პრეტენზიები და მიწების ირგვლივ დავა, როგორც წესი, კოლონიურ ეპოქაში ხდებოდა, განსაკუთრებით კი, მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის ბრძოლის დროს. ტერიტორიული ექსპანსია ყოველთვის იყო დიდი ქვეყნების

საერთაშორისო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი. ის ყოველთვის კონფლიქტების, სამხედრო შეტაკებებითა და ომებით მთავრდებოდა.

ტერიტორიისათვის, მიწისთვის დავას სხვადასხვა მიზეზი აქვს. ერთ-ერთი მათგანი დაკავშირებულია ამა თუ იმ ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობის ხელსაყრელობასთან სამხედრო-სტრატეგიული, ან ეკონომიკური თვალსაზრისით. მსგავსი კონფლიქტები არც თუ იშვიათია დღესაც. მაგალითად: არგენტინასა და ინგლისს შორის გაჭიანურებული დავა ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების გამო.

ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ სხვადასხვა სახის კონფლიქტები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. სახელმწიფოებს შორის დავა ტერიტორიების გამო დაიწყო, ხოლო შემდგომ რესურსებისათვის (თევზის სარეწი ზონა) დავით გაგრძელდა.

განსხვავებული ტიპის ტერიტორიულ კონფლიქტებს ადგილი აქვს ისრაელსა და ლიბანს, ეგვიპტესა და ისრაელს შორის. არაერთი საკამათო საკითხია სპარსეთის ყურის ქვეყნებს შორისაც. დავობენ ქუვეითი და ერაყი, ამერიკა და ერაყი, ბიფრეინი და კატარი, ირანი და კუვეიტი. ეჭვგარეშეა, რომ ამ შემთხვევაში ტერიტორიული პრეტენზიები მხოლოდ “მიწის ნაგლეჯის” გამო არ ჩნდება. ნათელია, რომ საფუძვლად ამ კონფლიქტებს რესურსები (თევზი, ნავთობი) უდევს.

ტერიტორიული პრეტენზიები არსებობს, აგრეთვე, რუსეთ-ჩინეთისა და რუსეთ-იაპონიის ურთიერთობებში. პირველ შემთხვევაში დავა ისე გამწვავდა, რომ 70-იანი წლების დასაწყისში სამხედრო კონფლიქტშიც კი გადაიზარდა. რაც შეეხება რუსეთ-იაპონიას შორის დავას, საქმე ეხება სამხრეთ კურილიის კუნძულებს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოერთვა იაპონიას.

<u>ბუნებრივ-რესურსული კონფლიქტები,</u> საერთაშორისო კონფლიქტებს ხშირად იმ შემთხვევაშიც აქვთ ადგილი, როცა ერთი ქვეყანა მეორის ბუნებრივ რესურსებზე აცხადებს პრეტენზიას. აგრეთვე, მაშინაც, როცა მსოფლიო ოკეანის ნეიტრალურ წყლებში (ან ფსკერზე) არსებული რესურსების განაწილების, ექსპლუატაციის, ექსპორტის შესახებ ქვეყნებს შორის შეთანხმება ვერ ხერხდება.

სახელმწიფოთა შორის კონფრონტაციის ყველაზე გავრცელებულ მიზეზს სანაპირო წყლებში თევზჭერა წარმოადგენს. კარგად არის ცნობილი, მაგალითად: ე.წ. “ვირთევზისათვის ომები”, რასაც ინგლისსა და ისლანდიას შორის ჰქონდა ადგილი.

1986 წელს თევზჭერის ირგვლივ სადაო საკითხთა გამო კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა ესპანეთსა და პორტუგალიას შორის.

საერთაშორისო კონფლიქტები წარსულშიც და განსაკუთრებით ახლაც, ხშირ შემთხვევაში, ბუნებრივი მინერალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამო ხდება. თუ ადრე ასეთი რესურსი ოქრო იყო, ახლა მთავარი ყურადღება ნავთობს, ურანს, იშვიათ ლითონებს ეთმობათ. ასე, მაგალითად, როგორც კი ჩრდილოეთის ზღვაში ნავთობი აღმოჩნდა, მაშინვე მოხდა მისი აკვატორიის დანაწილება სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ. ახლაც ამ რეგიონში, ნავთობის მოპოვება მრავალი ევროპული, თუ ამერიკული კონცერნის მიერ ხდება.

ამავე კონტექსტში უნდა იქნას განხილული დღემდე მიმდინარე დავა კასპიის ზღვის (ტბის) სტატუსის გამო. როგორც ცნობილია, კასპიის ზღვაზე გამავალ სახელმწიფოებს შორის კონსენსუსის მიღწევა ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა.

საერთაშორისო დავის საგანი მიწისქვეშა წყლებიც კი შეიძლება გახდეს. ასე, მაგალითად: ისრაელში ა.შ.შ-ს დახმარებით, შემუშავებულ იქნა პროექტი, რომლის მიხედვითაც, მეზობელი არაბული სახელმწიფოების წიაღისეულიდან გრუნტის წყლების ამოღება უნდა წარმოებულიყო. მართლაც, 1987 წელს, სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ, დაწყებულ იქნა დახრილი ჭაბურღილების გათხრა. ყოველივე ფარულად მიმდინარეობდა, სანამ ფართო საზოგადოება გაიგებდა პროექტის შესახებ, შემდეგ მისი განხორციელება შეჩერებულ იქნა. **12**

ეკოლოგიური კონფლიქტები. XX საუკუნის II ნახევარში, როცა ადამიანის ბუნებაზე "დაწოლის" მაშტაბები გაიზარდა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მკვეთრად გაუარესდა ეკოლოგიური სიტუაცია, გარემოს ხარისხი. 60-70 იანი წლების მიჯნაზე მეცნიერებმა და პოლიტიკოსებმა, ბიზნესმენებმა და ჟურნალისტებმა პირველად აღნიშნეს ახალი გლობალური პრობლემის – ეკოლოგიური კრიზისის წარმოქმნის შესახებ. დღეს ეს პრობლემა ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია კაცობრიობისათვის. ცნობილია ისეთი უარყოფითი ეკოლოგიური "მოვლენები", როგორიცაა: დაბინძურებული ჰაერის მასებისა და მდინარის წყლების ერთი ქვეყნიდან მეორეში (... მესამეში, მეოთხეში და ა.შ.) ტრანსპორტირება, დაბინძურებული წყლის მასების გადაადგილება ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის სანაპიროების გასწვრივ, მიწების გაუდაბნოების პროცესი, რომელმაც არ იცის პოლიტიკური საზღვრები და ა.შ. ყოველივე ეს ხშირად ქვეყნებს შორის კონფლიქტური სიტუაციის ჩამოყალიბების მიზეზი ხდება.

ყველაზე გავრცელებულია ატმოსფერულ დამაბინძურებელთა ერთი ქვეყნიდან მეორეში გადატანის შედეგად წარმოქმნილი კონფლიქტები. ჰაერში დამაბინძურებელთა მოხვედრის მთავარ წყაროს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები (ან რეგიონები) წარმოადგენენ. ამიტომაც, ამგვარი ტიპის კონფლიქტები ყველაზე მეტად ევროპაში და ჩრდილოეთ ამერიკაში გვხვდება. ევროპაში მთავარი დამაბინძურებელი ქვეყნებია გერმანია და ინგლისი.

დავის საგანია მჟავური წვიმები. ამ წვიმებთან ერთად წყალში, ნიადაგში და მცენარეულ საფარში მომწამვლელი ნივთიერებები ხვდება. განსაკუთრებით შესამჩნევია ტბების წყლის დაბინძურება. შვეციაში ძლიერი დაბინძურების ნიშნები 25 ათას ტბაში იქნა აღმოჩენილი.

ინგლისში, რომელიც სხვა ქვეყნების უდიდესი დამაბინძურებელია, ყოველწლიურად 3.5 მლნ. ტონა გოგირდის ჟანგი ხვდება ატმოსფეროში.

საერთაშორისო კონფლიქტის მიზეზი შეიძლება გახდეს მსხვილი სამრეწველო კომპანიების მიერ თავიანთი ფილიალების სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე განლაგება. როგორც წესი, ასეთი საწარმოები არ არიან გამწმენდი დანადგარებით აღჭურვილნი და არც ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვას ექცევა აქ ყურადღება. არსებითად საქმე გვაქვს ეკოლოგიურად "ბინძურ" საწარმოთა ექსპორტთან.

ზემოთ განხილულ კონფლიქტურ სიტუაციათა სახეებს შორის, ყველაზე ხშირად, ბუნებრივ რესურსული ტიპის კონფლიქტები გვხვდება. ამასთან გახშირდა ეკოლოგიური ხასიათის კონფლიქტებიც, რომლებიც ჩვეულებრივი მოვლენა გახდა საომარ მოქმედებათა რაიონებში.

კონფლიქტი შეიძლება გამოისახოს სხვადასხვა ფორმაში – რევოლუცია, საომარი ქმედება, ტერორისტული აქტი, პროპაგანდა, საპარლამენტო დისკუსიები, პოლიტიკური გაფიცვები, შიდაპარტიული კონფლიქტი და სხვ.

კონფლიქტების მიზეზები, სიმწვავე და შედეგები:

ა) მიზეზები: კონფლიქტის მიზეზების გამოვლენა უმნიშვნელოვანესი პირობაა მისი მოგვარებისა. ადამიანის მოთხოვნილებათა თეორიის თანახმად კონფლიქტი – ეს არის ადამიანის მოთხოვნათა არაადეკვატური დაკმაყოფილება.

ადამიანთა მრავალფეროვან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებას არ იძლევა რესურსების დეფიციტი, რომელიც საზოგადოებაში არათანაბრადაა განაწილებული.

სოციალური კონფლიქტები ძირითადად აღმოცენდება რესურსების არყოფნის გამო და მიმართულია მათი ხელში ჩაგდების მიზნით. რესურსების არათანაბარი გადანაწილება, პირველ რიგში სოციალური სტრუქტურების მიერაა შექმნილი, რომლებიც ადამიანებს ყოფენ მესაკუთრეებად და არაფრისმქონეებად. ადმინისტრაციულ ერთეულებად და ა.შ. ადამიანის შეგნებაში რეალურად არსებობს სოციალური კონფლიქტების რეალური მიზეზები. ადამიანის მიერ შეგნებული და მათ ფსიქიკაში გავლილი, ის გადაიქცევა კონფლიქტის სუბიექტურ მიზეზად, ეს უკანასკნელი კი განპირობებულია სამი ფაქტორით:

1) ურთიერთდამოკიდებულება და მხარეების მიზნების შეუთავსებობა;

2) ზემოთ თქმულის შეგრძნება;

3) თითოეული მხარის სწრაფვა იმისკენ, რომ განახორციელოს თავისი მიზნები ოპონენტის ხარჯზე, ამის რეზულტატი არის სწორედ კონფლიქტი;

“თანამედროვე კონფლიქტოლოგიაში ჩამოყალიბდა მარქსიზმთან მიახლოვებული ტენდენცია, რომელიც პოლიტიკურ კონფლიქტს ხსნის სოციალური სტრუქტურით, კლასებსა და სხვა ჯგუფებს შორის ურთიერთობით”.

ბ) კონფლიქტის სიმწვავე: კონფლიქტის მიზეზები მოქმედებენ მის სიმწვავეზე, რომელიც ახასიათებს წინააღმდეგობათა ინტენსიურობას, ბრძოლის ხერხების სიმკაცრეს, თუ ლმობიერებას, ძალის გამოყენებას თუ არგამოყენებას და მათ მაშტაბებს. კონფლიქტის სიმწვავე დამოკიდებულია მის შინაგან პარამეტრებზე:

- წინააღმდეგობის დონე, კონფლიქტის ობიექტის მნიშვნელობა მისი მონაწილეობისათვის – კონფლიქტი ეხება ადამიანთა ფუნდამენტალურ მიზნებსა და ფასეულობებს (მაგ: მოქალაქეთა სიცოცხლისა და თავისუფლების საკითხი) ატარებს უფრო მწვავე ხასიათს, ვიდრე მეორეხარისხოვან საკითხებზე დავა წარმოადგენს და უფრო ძნელად მოსაგვარებელია;

- ძალდატანებისა და სხვა საბრძოლო ხერხების გამოყენების ხარისხი – რაც უფრო რადიკალური საშუალებები გამოიყენება კონფლიქტში, მით უფრო მწვავეა დაპირისპირება, ამიტომ კონფლიქტების მოსაგვარებლად მიზანშეწონილი არ არის ასეთი უკიდურესი ზომების მიღება და სასურველია კონფლიქტის “მშვიდობიანი” გზით გადაწყვეტა, როგორიცაა კამათი, მოლაპარაკებები, საქმის სასამართლოში შეტანა და სხვა;

➢ მხარეების მიერ დახარჯული რესურსები და ენერგია – კონფლიქტი, რომელშიც მხარეებმა ბევრი დაკარგეს, მორალურად, მატერიალურად და სხვა სახით დაზარალდნენ, გამოირჩევა წინააღმდეგობის სიმწვავით, ამიტომ სასურველია კონფლიქტის ასეთი გზით განვითარება, რაც შეიძლება ადრე შეჩერდეს;

➢ ემოციური წრთობა – ცნობილია, როდესაც ემოციები ჭარბობენ, მხარეები იყენებენ უკანასკნელ ზომებს, ბრძოლის ხერხებს, თვითონ გამოირჩევიან სიმწვავითა და დაჟინებით, ამიტომ ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად მნიშვნელოვანია დაქვეითდეს მისი ემოციურობა და არ მივიყვანოთ ის პირად შეურაცჰყოფამდე. **14**

გ) კონფლიქტის შედეგები: კონფლიქტის სიმწვავეზეა დამოკიდებული მისი შედეგები. განსაკუთრებით კი უარყოფითი. შეიძლება გამოიყოს კონფლიქტის პოზიტიური და ნეგატიური შედეგები, პირველზე ყურადღებას ამახვილებენ ფუნქციონალური სკოლის მკვლევარები, ხოლო მეორეზე სოციოლოგიური მიმართულების ავტორები.

ნეგატიური შედეგებია:

• საზოგადოების, სახელმწიფოს, ან ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციის დესტაბილიზაცია, ქაოსური და ანარქიული პროცესების წარმოშობა, მმართველობის უნარიანობის შესუსტება;

• დეპრესიების, სტრესების და სხვათა ზრდა, როგორც პოლიტიკური აპათიისა და აფსენტიზმის ზრდისა და მათი პოლიტიკური აქტიურობის კლების შედეგია;

• აგრესიული ქმედებების, მტრობის, ემოციურობის, ირაციონალურობის, მეტოქის მიმართ უნდობლობის ზრდა, გრძელვადიანი კონფლიქტისას;

• მომავალში თანამშრომლობისა და ოპონენტებთან ურთიერთობის შესუსტება. თუ კონფლიქტი ორივე მხარის თანხმობის გარეშე დასრულდა, მაშინ მეტოქეობის ტრადიცია დიდხანს გაგრძელდება მომავალშიც;

• განსაკუთრებით დამანგრეველია სახელმწიფოთაშორისი და შიდაპოლიტიკური კონფლიქტები ძალის მასიური გამოყენებით, ბირთვული იარაღის გამოყენებამ შეიძლება საშიშროება მოუტანოს კაცობრიობის და გარემომცველი სამყაროს არსებობას;

პოზიტიური შედეგებია:

• განახლება, პროგრესი, ახალი ყოველთვის ძველის უარყოფას ნიშნავს და რადგანაც როგორც ახალი, ასევე ძველი იდეებისა და ფორმების ორგანიზაციის უკან

ყოველთვის დგანან განსაზღვრული ადამიანები, მაშინ ნებისმიერი სიახლე შეუძლებელია კონფლიქტების გარეშე;

- არტიკულაცია, ფორმულირება და ინტერესების გამომჟღავნება, ამა თუ იმ საკითხებთან დაკავშირებით, მხარეების მიერ რეალური პოზიციებისათვის შუქის მოფენა;

- ყურადღების, ინტერესებისა და რესურსების მობილიზაცია პრობლემის გადაჭრის მიზნით და როგორც შედეგი სიტუაციის ნორმალიზაციისა, ამა თუ იმ ნაკლის მოშორება. ხშირად საზოგადოებრივი და პოლიტიკური საკითხები არ გვარდება მანამდე, სანამ არ წარმოიშვება კონფლიქტი;

- ოპტიმალური გამოსავლის მოძებნა, რომელსაც მიმართავენ მხარეები თავიანთი სიმართლის დასამტკიცებლად და დამარცხების თავიდან აცილების მიზნით, რასაც ძალიან იშვიათად მიმართავენ, მხარეები ამზადებენ პროექტებს, რომლებიც საჭიროებენ ძალების მოკრებასა და ბევრ დროს;

- მხარეებს შორის თანამეგობრობის გრძნობის გაღვივება, რაც მომავალში თანხმობით დასრულდება;

- ფსიქოლოგიური დაძაბულობის რეგულირება ადამიანთა შორის ურთიერთობაში;

- კონფლიქტის მონაწილეებში თავისი ინტერესების დაცვის შემუშავება და მომავალში შექმნილი პრობლემების მოგვარება;

- შინაგანი პოლიტიკური ერთიანობის გამყარება შიდა კონფლიქტის აღმოცენების შემთხვევაში, საზოგადოების გაერთიანებისა და მტრობის დავიწყების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზია – საერთო მტრის გამოჩენა;

კონფლიქტური ურთიერთობების შემდეგი ძირითადი სახეების გამოყოფა შეგვიძლია:

ა) ძალისმიერი მეთოდი და კონფლიქტის აცილება:

1. ძალისმიერი მეთოდი. ის ხშირად გამოიყენება რეალისტიკურ და იშვიათად ნორმატიულ სტრატეგიებში.

ნორმატიული სტრატეგია ძირითადად ორიენტირებულია კონფლიქტის ადმინისტრაციულ – სამართლებრივი ან ეთნიკური საფუძვლებით მოგვარებაზე. მოქიშპე მხარეები მიმართავენ კანონებსა და მიღებულ სახელმწიფო ნორმებს.

2. რეალისტიკურია სტრატეგია, როდესაც კონფლიქტის თავიდან აცილება შესაძლებელია სიტუაციისათვის გამოსადეგი ნებისმიერი საშუალებით. ამ მეთოდის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მოწინააღმდეგე ოპონენტის ინტერესების უგულებელყოფით ახდენს მასზე ზემოქმედებას და კონფლიქტის მოგვარება ხდება ძალის გამოყენებით.

მიუხედავად ძალისმიერი მეთოდის გამოყენების ეფექტურობისა, აუცილებელია მისი მინიმალიზაცია არა იმდენად ეთიკური თვალსაზრისით, არამედ მისი უარყოფითი შედეგების გამო. ძალისმიერი მეთოდი ხშირად მთლიანად არ აღმოფხვრავს კონფლიქტის წყაროებს, არამედ დროებით აიძულებს სუსტი დამორჩილდეს ძლიერს.

დამარცხებულს შეუძლია გამოიჩინოს ფარული წინააღმდეგობა, მოიკრიბოს ძალები და დაელოდოს შესაფერის მომენტს, გამარჯვებული კი ხშირად ასუსტებს ძალებს და ამით მარცხდება.

3) კონფლიქტის აცილება. ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება პოლიტიკაში და მაშინ, როდესაც იგრძნობა საკუთარი რესურსების უკმარისობა, რაც აუცილებელია კონფლიქტური სიტუაციებისათვის და მოწინააღმდეგეზე გამარჯვებისათვის, თუ პრობლემის მნიშვნელობა არც ისე დიდია და არ ღირს რესურსებისა და დროის ხარჯვა ბრძოლისათვის, საჭიროა დროის გაჭიმვა, რათა მოხდეს ძალთა მობილიზაცია და შესაფერის სიტუაციაში თავდასხმა;

4) ხშირად ამ სამივე ფაქტორს ერთდროულად აქვს ადგილი, მაგრამ ყოველთვის არ არის შესაძლებელი კონფლიქტის აცილება და ხშირად მოწინააღმდეგე მხარეები იძულებულნი არიან აირჩიონ მოქმედების მეთოდები, რაც ერთმხრივ დათმობებთანაა დაკავშირებული.

ბ) შეგუება და კომპრომისი:

შეგუება – ჩვეულებრივ ნაკარნახევია ბრძოლის არაპერსპექტიული გაგებითა და კონფლიქტის ესკალაციის საშიშროებით. შეგუება ნიშნავს ოპონენტის სასარგებლოდ საკუთარი ინტერესების დათმობას, რასაც ერთი მხარის გამარჯვება მოსდევს. ეს მეთოდი შეიძლება გამოიყენონ მოვალე ქვეყნების მიმართ.

კომპრომისი - შემთხვევაა როდესაც მხარეთა შორის საერთო ენის მონახვის პერსპექტივა იჩენს თავს და მხარეთა დიალოგის პოზიტიური ელემენტებია

გამოკვეთილი. კომპრომისის მისაღწევად ორივე მხარის დადებითი, პოზიტიური ნაბიჯებია საჭირო და სურვილი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრისა.

- ✓ კონფლიქტის რაციონალიზაცია – მისი ემოციურობის შემცირება, მოქმედებების ირაციონალიზაცია მუდამ ართულებს კონფლიქტის მოგვარებას.
- ✓ ყურადღების კონცენტრირება არა გამოცხადებულ პოზიციებზე, არამედ ოპონენტთა რეალურ ინტერესებზე, ხშირად მხარეთა ოფიციალური განცხადებები მხოლოდ კომუფლირებას უწევს ჭეშმარიტ ინტერესებს.
- ✓ მხარეთა შორის კომუნიკაციების გაფართოება ნდობის გამყარების და ჭეშმარიტი ინფორმაციის მიღების მიზნით.
- ✓ სეგმენტაცია. კონფლიქტის დანაწილება რამოდენიმე შემადგენელ ნაწილებად. ეს შესაძლებელს ხდის დავინახოთ მხარეთა პოზიციები და გამოვნახოთ შესაძლო შეთანხმებები, კომპრომისები და თანამშრომლობა.
- ✓ განსხვავების მოძებნა მონაწილეებსა და კონფლიქტის საგანს შორის. გარკვეულ საკითხებში დაპირისპირება არ უნდა გადაიზარდოს პირად მტრობასა და შეურაცჰყოფაში.

ლექცია 4

ლექციის თემა: საერთაშორისო ტერორიზმი

„ტერორიზმი“, „ტერორისტები“, „ტერორისტული საქმიანობა“ – ეს ტერმინები პრაქტიკულად ყოველდღიურად ჩნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა დღესდღეობით კვლავაც აქტუალური რჩება. ამას ადასტურებს 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ იორკში, ვაშინგტონსა და პენსილვანიაში, ხოლო 2002 წლის 23 - 26 ოქტომბერს მოსკოვში, „ნორდ – ოსტის“ მიუზიკლზე მომხდარი საყოველთაოდ ცნობილი ტრაგიკული მოვლენები.

თანამედროვე ტერორისტებს გააჩნიათ მზარდი ტექნიკური აღჭურვილობა, საკმაოდ დიდი ფინანსური სახსრები და ორგანიზების მაღალი დონე. მოცემული დანაშაულებრივი საქმიანობის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი შიდა და საერთაშორისო ტერორიზმს შორის ზღვარის არარსებობაა. ტერორისტულ ორგანიზაციათა კავშირები ნარკობიზნესთან და იარაღით უკანონო ვაჭრობასთან ფართოვდება. ფიქსირდება ტერორისტული ჯგუფების ზრდის დინამიკა.

ტერორიზმი უმთავრესად განმარტებულია, როგორც დაშინება, ძალადობრივი ქმედება, ძალადობა ან ძალადობრივი ქმედებით მუქარა.თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში ტერორიზმის (ლათინურიდან ტერორი– შიში, საშინელება) ცნება გულისხმობს პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური თუ ტერორისტებისათვის მისაღები სხვა სახის სარგებლის მოპოვების მიზნით ცალკეული პირის, პირთა ჯგუფის თუ სხვა ობიექტების წინააღმდეგ ძალადობის გამოყენებას, ან მისი გამოყენების მუქარას ტერორიზმის მნიშვნელობა დროთა განმავლობაში შეიცვალა. შეუძლებელია ტერორიზმზე საუბარი წინა ისტორიული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე. ტექსტის შემდეგი ნაწილი სწორედ ტერორიზმის განვითარებას ასახავს მსოფლიო ისტორიაში.

თანამედროვე ტერორიზმი წარმოიშვა საფრანგეთის რევოლუციის დროს (1789-1795). ეს ტერმინი გამოიყენებოდა საფრანგეთის მთავრობის მიერ განხორციელებული ქმედებების აღწერისთვის. 1848 წლისთვის ტერმინის მნიშვნელობა შეიცვალა. მას იყენებდნენ

მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლი აგრესიული რევოლუციონერების ქმედებების აღსანიშნავად. 1800-იანი წლების ბოლოს და 1900-იანების დასაწყისში ტერორიზმი იმ ძალადობრივ ქმედებებს გულისხმობდა, რომლებსაც ახორციელებდა სხვადასხვა დაჯგუფება (მუშათა ორგანიზაციები, ანარქისტები, ეროვნული დაჯგუფებები, რომლებიც უცხო ძალების წინააღმდეგ იბრძოდნენ, ულტრანაციონალისტური პოლიტიკური ორგანიზაციები და სხვა).

II მსოფლიო ომის (1939-1945) შემდეგ ტერორიზმის მნიშვნელობა კვლავ შეიცვალა. როდესაც ხალხი წინ აღუდგა მსოფლიოში ევროპის დომინანტობას, ნაციონალისტურ ჯგუფებს ტერორისტული დაჯგუფებები ეწოდათ. 1964 წლიდან ადრეულ 1980-იან წლებამდე ტერმინი ტერორიზმი გამოიყენებოდა აგრესორი მემარცხენე დაჯგუფებებისა და ნაციონალისტების აღსანიშნავად. 1980-იანი წლების შუა ხანებში შეერთებულ შტატებში ტერორიზმად ე.წ. სიძულვილის ჯგუფთა მოძრაობის ძალადობრივი ქმედებები მოინათლა. საერთაშორისო დონეზე კი ტერორიზმი მოიაზრებოდა, როგორც სუბნაციონალური (სუბნატიონალ) ბრძოლა.

მეორე ათასწლეულის შეცვლასთან ერთად შეიცვალა ტერორიზმის დეფინიციებიც. დღეს ტერორიზმით დაკავებული არიან დიდი დაჯგუფებები, რომლებიც სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად არსებობენ და მისი წევრები ძირითადად რელიგიური ფანატიკოსები არიან. ტერორისტულ დანაშაულს სჩადიან აგრეთვე სხვა ძალადობრივი დაჯგუფებები, რომლებიც უკმაყოფილონი არიან არსებული სოციალური გარემოთი. ასე რომ, ტერორიზმის დეფინიციის ჩამოყალიბებისას ისტორიული კონტექსტის გავლენა მოცემულ ნეგატიურ მოვლენაზე აუცილებლად გასათვალისწინებელია.

ტერორიზმის მნიშვნელობა იცვლება სხვადასხვა ტიპის ომების ზეგავლენითაც. ჩვეულებრივი ომის პირობებში არმიები იყენებენ კომანდოს ტაქტიკას, რაც ძალიან ჰგავს ტერორიზმს. ამერიკის სამოქალაქო ომის დროს ფედერალურმა არმიამ მაიორ ჯონ ანდერსონს კონფედერატებს სარკინიგზო გზის დარბევის უფლება მისცა. კონფედერატებმა ანდერსონი შეიპყრეს და ჯაშუშობაში დაადანაშაულეს. ამის მიუხედავად, ანდერსონს ჩრდილოეთში გმირად მიიჩნევდნენ. იგი არ ატარებდა უნიფორმას და არც მიღებული ნორმების შესაბამისად იბრძოდა, მაგრამ არმიები, როგორც წესი, აქტიურად იყენებდნენ ზემოთ აღწერილ ტაქტიკას ომის პერიოდში და მსგავს ქმედებებს ტერორიზმის კვალიფიკაცია არასოდეს ეძლეოდა.

რეალურად შეუძლებელია ტერორიზმის არსში ჩაწვდომა, თუ არ

განვიხილავთ როდის და სად მოხდა მისი აღმოცენება-განვითარება. ტერორიზმი ისეთივე ძველი მოვლენაა, როგორიც კონფლიქტები. იგი ცხრამეტი საუკუნის განმავლობაში ვითარდებოდა და იცვლიდა ფორმასა და იდეოლოგიას. მაგრამ თანამედროვე ტერორიზმი სათავეს განმანათლებლობის ეპოქაში იღებს. თანამედროვე ტერორიზმი ევროპაში წარმოიშვა და მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში გავრცელდა. იგი თანამედროვე საერთაშორისო ტერორიზმის გამოცდილების საფუძვლებს მოიცავს.

განასხვავებენ ტერორიზმის შვიდ სახეობას:

1. უცხო, მტრულად განწყობილი ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ არამეგობრულ სახელმწიფოში ტერორისტულ ქმედებათა დაგეგმვა დესტაბილიზაციის ინსპირირებისა და იქ არსებული ხელისუფლების დამხობის ან მისი დაშინებისა და დამორჩილების მიზნით.

2. ინდივიდუალური ხასიათის ტერორისტული აქტი პოლიტიკური ანდა ფინანსური მოტივებით.

3. ადამიანთა დატყვევება და გატაცება სხვადასხვა პოლიტიკური ან მერკანტული მოსაზრებით.

4. აფეთქებათა ორგანიზაცია სხვადასხვა მეთოდებით, მათ შორის, დღეისათვის ფართოდ გავრცელებულ კამიკაძეთა გამოყენებით.

5. საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებათა ხელში

ჩაგდება და მათი ტერორისტული მიზნით გამოყენება.

6. შენობა-ნაგებობებსა თუ სატრანსპორტო საშუალებებში მძევალთა მასობრივი აყვანა შანტაჟის მოწყობისთვის.

7. ბიოქიმიური და ბაქტერიოლოგიური ტერორიზმი თავდასხმის ობიექტის განადგურების ანდა პარალიზების მიზნით.

განმანათლებლობა, რევოლუცია და ტერორიზმიუცხოელი და თანამემამულე პოლიტოლოგები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები და სამართალმცოდნეები ტერორიზმის სისტემატიზაციასა და კლასიფიკაციას სხვადასხვა ჭრილში ახორციელებენ. ისინი გვთავაზობენ კლასიფიკაციის შემდეგ სახეებს:

- ფსიქიკური და დანაშაულებრივი (ჯ. ბელი);
- რევოლუციური, სუბრევოლუციური და რეპრესიული (პ. უილკინსონი, რ.შულცი);
- ბირთვული, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური და სხვ. ჩვენი აზრით, ტერორიზმი შეიძლება დაიყოს შემდეგ დამოუკიდებელ სახეობებად:

I. ტერიტორიული ნიშნით:

- საერთაშორისო;
- შიდასახელმწიფოებრივი;

II. დანაშაულებრივი მოტივაციის მიხედვით:

- პოლიტიკური;
- რელიგიური;
- ნაციონალისტური;
- ეკონომიკური.

წინა საუკუნეებთან შედარებით, ტერორიზმმა, როგორც სოციალურმა მოვლენამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. თანამედროვე ტერორიზმი პოლიტიკური პარტიების, სოციალური ფენების, იდეოლოგიების ჩამოყალიბებას უკავშირდება. ის ამა თუ იმ იდეოლოგიას არის ამოფარებული და გარკვეული ძალების რეაქციას წარმოადგენს. ტერორიზმი სოციალურ-პოლიტიკური ექსტრემიზმის ყველაზე საშიში და რადიკალური ფორმაა. ცხადია, ამ გაგებით იგი სცილდება რეპრესიის ცნებას და ნიშნავს დანაშაულს, რომელიც მიზნად ისახავს ხელისუფლებაზე ზემოქმედებას, მის დაშინებასა და იძულებას _ გადადგას ტერორისტის (ტერორისტების) ინტერესების შესაბამისი ნაბიჯი პოლიტიკური ამოცანების გადაჭრისას და სხვა.

წინა პერიოდის ტერორისტებისგან განსხვავებით, თანამედროვე ტერორისტებისათვის დამახასიათებელია მრავალრიცხოვნება, უკეთესი ორგანიზებულობა, უახლესი შეიარაღების, ულტრათანამედროვე კავშირგაბმულობის საშუალებებისა და საუკეთესო ტრანსპორტის ფლობა და ა.შ. ძლიერდება ტერორისტთა საქმიანობის სფეროს (ნარკობიზნესი, რეკეტი, ცეცხლსასროლი იარაღის კონტრაბადნა, პროსტიტუცია) გაფართოების ტენდენცია, ფინანსებისა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგში დამნაშავეთა დაჯგუფებების შეღწევის მცდელობა. ტერორისტულ ორგანიზაციებსა და დაჯგუფებებს შორის მყარდება მჭიდრო კავშირები, ისინი უკვე მოქმედებენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მათი ცენტრები ახორციელებენ ტერორისტთა მომზადებას მსოფლიოს სხვადასხვა ტერიტორიებზე განთავსებულ ბაზებზე,

კოორდინაციას უწევენ და აფინანსებენ ტერორისტული აქტების მოწყობას მათთვის სასურველ წერტილში. ამიტომაა, რომ ბოლო წლებში ჩატარებული ტერაქტების შედეგად დაღუპულ ადამიანთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა (2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში ტერაქტის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ

3000 კაცს მიაღწია).

ტერორიზმი წარმოადგენს რეალურ საფრთხეს ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნული უშიშროებისთვის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საერთაშორისო მასშტაბები შეიძინა. პირველი მისი გამოვლინება 1972 წელს მიუნჰენის სტადიონზე დაფიქსირდა, როდესაც ისრაელის ფეხბურთელთა გუნდის გასახდელი არაბმა ტერორისტებმა ("შავი სექტემბრის" ჯგუფის წარმომადგენლებმა) ჩაიგდეს ხელში და შემდეგ ტერორისტული აქტი განახორციელეს, რის შედეგადაც დაიღუპნენ სპორტსმენები და დაინგრა შენობის ნაწილი. სპეციალისტების აზრით, დღეისათვის შეიძლება გამოვყოთ ტერორიზმის 20-ზე მეტი ნაირსახეობა, რომელთა შორისაა პოლიტიკური, რელიგიური, ნაციონალურ-სეპარატისტული, ქიმიური, ბიოლოგიური, ნარკოტიკული და კომპიუტერული ტერორიზმიც კი (ამ აქტებს ხშირად კომპიუტერული ჰაკერები მიმართავენ). სპეციალისტების აზრით, ახლო მომავალში შესაძლოა აქტუალური გახდეს კოსმოსური ტერორიზმიც, რომლის დროსაც მუქარა ან ტერაქტი განხორციელდება კოსმოსიდან. ტერორიზმის საფრთხე ემუქრება ყველა ქვეყნის, განსაკუთრებით კი საქართველოს მსგავს დამოუკიდებელ ქვეყნებს, რომლებიც რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში ცხოვრობენ. საქართველოს ისტორია ამის ნათელი დადასტურებაა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებმა გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ზოგიერთი მათგანი აშკარა ძალისმიერ ქმედებებზეც გადავიდა და ქვეყნის ტერიტორიაზე რამდენიმე ტერორისტული აქტი განხორციელდა, მათ შორის, თვით საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის მიმართაც. ჩვენი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი კი ტერორიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობის _ „აგრესიული სეპარატიზმის" პლაცდარმად იქცა.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მსოფლიოში იწყება ტერორიზმის არნახული აღმავლობა. იგი გადაიქცა როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ასევე საერთაშორისო პრობლემად.

ტეროლოგიაში (მეცნიერება ტერორიზმის შესახებ) ტერორიზმის მიზეზებად თვლიან ნეოკოლონიალიზმს, რასიზმს, აგრესიულ პოლიტიკას, პოლიტიკური რეჟიმის არადემოკრატიულობას, სეპარატიზმს, რელიგიურ ფანატიზმს, ნარკობიზნესს, უსამართლობას და ა.შ.

ტერორიზმი, ეს არის ძალადობა ან ძალადობის

გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ; შენობა- ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება ან მათი განადგურება-დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სხვა საშიში ნივთიერებების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ანდა მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან, რაც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის. მოქმედებათა მასშტაბების მიხედვით განასხვავებენ: შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო ტერორიზმსა) შიდასახელმწიფოებრივი ტერორიზმი არის ძალის ან ძალადობის უკანონო გამოყენება ადამიანის ან ქონების წინააღმდეგ, არსებული ხლისუფლების, მთავრობის, სამოქალაქო მოსახლეობის ან ნებისმიერი მისი სეგმენტის დაშინებისათვის პოლიტიკური ან სოციალური მიზნების მიღწევის მიზნით (ბუდაპეშტის რეგიონული კონფერენციის მასალებიდან, რომელიც მიეძღვნა ტერორიზმს, 14-19 მაისი, 2000 წელი) მაგალითად: IღI -ს (ირლანდიის რესპუბლიკური არმია) საქმიანობა დიდ ბრიტანეთში, თ -ს (ბასკების „მამული და თავისუფლება“) საქმიანობა ესპანეთში, კორსიკის „არმატა კორსას“ ბრძოლა საფრანგეთის ხელისუფლების წინააღმდეგ და სხვა.

ბ) საერთაშორისო _ არის ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის მიმართ ორგანიზებული და დაფინანსებული ტერორისტული ქმედება. საერთაშორისო ტერორიზმი ამა თუ იმ ქვეყნის მიმართ გარედან იმართება ტერორიზმის მხარდამჭერი ქვეყნების ან ორგანიზაციების მიერ. ეს ქვეყნები ტერორიზმს

განიხილავენ, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტს, თუმცა დღეს იგი შენიღბულად ხორციელდება, კერძოდ, ტერორისტული ორგანიზაციების შექმნით, დაფინანსებით, კოორდინაციით, ტერორისტული ჯგუფების მომზადებით და სხვა. მაგალითად, ერთ დროს თურქეთის საშინაო პრობლემა „ქურთული სეპარატიზმი“ უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო ტერორისტულ მოძრაობად ჩამოყალიბდა. ამ მოძრაობას სათავეში უდგას _ „ქურთების მუშათა პარტია“, რომლის ლიდერიც წლების განმავლობაში იყო აწ დაკავებული აბდულა ოჯალანი.

მოტივაციის მიხედვით განარჩევენ: პოლიტიკურ, რელიგიურ, ნაციონალურ(ეთნიკურ) ბიოლოგიურ, ქიმიურ, ბირთვულ და სხვა სახის ტერორიზმს.

მოტივაციის მიხედვით:

პოლიტიკური ტერორიზმი _ ტერორიზმის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნაირსახეობაა და ნიშნავს ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენებას თანამდებობის პირების, მოსახლეობის, ობიექტების წინააღმდეგ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. იგი ხორციელდება ცალკეული პირის ან პირთა ჯგუფის მიერ, რომლებიც რომელიმე მთავრობის დავალებით ან რომელიმე მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებენ, თუმცა, აქ არ უნდა გამოირიცხოს ისეთი მოტივაცია, როგორიცაა ანგარება, შურისძიება, ეკონომიკური კონკურენცია და სხვა.

პოლიტიკური ტერორიზმისთვის დამახასიათებელია ასევე სახელმწიფოს მიერ ტერორის წარმოება საკუთარი მოსახლეობის ნაწილის მიმართ ამა თუ იმ პოლიტიკური თუ სოციალური მოთხოვნის დაკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით. (მაგალითად, უზბეკეთის ხელისუფლების პოლიტიკა იქ მცხოვრები თურქი-მესხების წინააღმდეგ). პოლიტიკური ტერორიზმის მაგალითია აგრეთვე: სახელმწიფოში მოქმედი (ლეგალური და არალეგალური) რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის ტერორი საკუთარი მოსახლეობის მიმართ იმ მიზნით, რომ აიძულონ სახელმწიფო მიიღოს მათთვის სასარგებლო და სასურველი გადაწყვეტილება (მაგალითად, იგივე **IRA**, კორსიკის ,,არმატა კორსა“); სახელმწიფოში არსებული კრიმინალური დაჯგუფებების ტერორი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების წინააღმდეგ; პოლიტიკური პირების მიმართ განხორციელებული ტერორი, სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის შესაცვლელად.

პოლიტიკური მოტივები ედო საფუძვლად როგორც საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებულ ორ ტერაქტს, ასევე სომხეთის პარლამენტში მომხდარ ტერაქტსაც.

რელიგიური ტერორიზმი _ როცა ერთმანეთს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები უპირისპირდებიან და ხდება ერთი რელიგიური სარწმუნოების წარმომადგენელთა მიერ მეორე სარწმუნოების მიმდევართა დაშინება ძალადობის გზით. მაგალითად, ირლანდიაში კათოლიკებისა და პროტესტანტების დაპირისპირება. ხშირად რელიგიურ ტერორიზმს საფუძვლად პოლიტიკური მოტივებიც უდევს. ეს ხდება მაშინ, როცა ამა თუ იმ

რელიგიის აღმსარებელი ხალხი კარგავს ან ვერ მოიპოვებს პოლიტიკურ სტატუსს და მოწინააღმდეგეზე ძალადობით, მისი დაშინებით ცდილობს მიზნის მიღწევას. მაგალითად, ისრაელში პალესტინელი არაბებისა და ებრაელების დაპირისპირება რელიგიურ-პოლიტიკური ხასიათისაა.

რელიგიური ტერორიზმის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ისლამური ტერორიზმი. მისი სულიერი ლიდერი ახლო წარსულში შეიხი ომარ აბდულ რაჰმანი იყო, ამჟამად კი მათი სულიერი მამა მდიდარი არაბული ოჯახის წევრი, მილიონერი უსამა ბენ ლადენია. რადიკალ-ისლამისტთა ბუნდოვანი მოტივები მიზანში იღებენ ყველას, ვინც კი ოდნავ მაინც შეეწინააღმდეგება მათ აგრესიულ პოლიტიკას (მათ შორის ზომიერი მუსულმანური ქვეყნების მთავრობებსაც). „ალაჰის ნების“ აღსასრულებლად ისლამისტ-ფუნდამენტალისტებს ტერორიზმი ყველაზე მძლავრ იარაღად მიაჩნიათ. ისინი ამ გზით ცდილობენ დასაჯონ, შეაშინონ დასავლეთის ქვეყნები და შთააგონონ მუსულმანურ სამყაროს, უარი თქვან დემოკრატიულ ფასეულობებზე.

საბჭოთა კავშირის დაშლამ მრავალი ნაციონალური დაპირისპირების კერა წარმოშვა. მოლდოვაში (მოლდოველებსა და რუსებს შორის), აზერბაიჯანში (აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის), საქართველოში (ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის) ის ტერორიზმსა და გენოციდშიც კი გადაიზარდა.

ნაციონალურ (ეთნიკური) პრობლემა დგას სხვადასხვა ეროვნების ხალხებით დასახლებული დიდი ქვეყნების წინაშეც. მაგალითად: დიდი ბრიტანეთში ირლანდიელები ითხოვენ დამოუკიდებლობას; კანადაში, ფრანგებით დასახლებული შტატი კვებეკი ითხოვს ავტონომიას; რუსეთში ჩეჩნებს სურთ გამოყოფა; თურქეთში ქურთები ცდილობენ ავტონომიის მოპოვებას; საქართველოში, ორგანიზაციები „ვირქი“ და „ჯავახკი“ სომხურ ავტონომიას მოითხოვენ და ა.შ.

ბოლო პერიოდში ტერორიზმის ერთ-ერთ მასაზრდოებელ წყაროდ უნდა მივიჩნიოთ ნარკობიზნესიც. ტერორიზმი და ნარკობიზნესი ერთმანეთზე გადაბმული ფაქტორებია, რომელთა ლიკვიდირების გარეშე მსოფლიოს დემოკრატიული გარდაქმნა გამორიცხულია. არსებობს მონაცემები, რომ დღეისათვის ნარკობიზნესის შემოსავლების არალეგალური წყაროებიდან 100 მლრდ. აშშ დოლარზე მეტია ჩადებული ტერორიზმის დაფინანსებისთვის, ამიტომ ტერორიზმის სხვადასხვა სახეობასთან ერთად,

სპეციალისტები გამოყოფენ ნარკოტერორიზმსაც.

ნარკოტიკული ტერორიზმი _ დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების მასობრივი გავრცელებაა ამა თუ იმ სახელმწიფოში ან მის რომელიმე ნაწილში, რაც საფრთხეს უქმნის მრავალი ადამიანის სიცოცხლესა თუ ჯანმრთელობას;

ასეთივე ქმედებაა, მიმართული რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან სხვა რაიმე ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად. საკუთარი სახიფათო შედეგებით ის არცერთი ტერორისტული ხასიათის დანაშაულს ჩამოუვარდება, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ იგი პირდაპირ ემუქრება ქვეყნის, ერის გენოფონდს, ანადგურებს ადამიანთა ფსიქიკას, აპროვოცირებს სხვა მძიმე დანაშაულქმედებებს.

ტერორიზმის ზემოთ ჩამოთვლილი სახეობებისთვის დამახასიათებელია ე.წ. ორმაგი ტერაქტების განხორციელებაც. „ორმაგი ტერაქტის“ მაგალითია, როდესაც პირველი აფეთქება ხდება ხალხმრავალ ადგილას, მეორე კი იქ, სადაც პირველი აფეთქების შემდეგ გარბის დაშინებული ხალხი; ასევე აფეთქებით ომის პროვოცირება, საომარ მოქმედებათა განახლება.

ბიოლოგიური, ქიმიური, ბირთვული ტერორიზმი _ ტერორიზმის სპეციფიკური ნაირსახეობაა, რომლის დროსაც ძალადობის ინსტრუმენტად გამოიყენება ბიოლოგიური, ქიმიური, ბირთვული იარაღი, ან მათი კომპონენტები. მათ გააჩნიათ მოქმედების ფართო დიაპაზონი, როგორც შესაძლო ზიანის ხასიათისა და ხარისხის, ისე მოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით. მსგავსი იარაღის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანთა უზარმაზარი მსხვერპლი, ეპიდემიის დიდი კერების აღმოცენება, ძლიერი ფსიქოლოგიური ზემოქმედება და ა.შ.

, მაგალითად, ბიოლოგიური ტერორისტული აქტის განხორციელებისთვის ტერორისტებს შესაძლებელია სულაც არ დასჭირდეთ ლაბორატორიები სამეცნიერო კვლევების ჩატარების მიზნით. განზრახვის სისრულეში მოყვანისთვის მათ „თათებიანი” ჯარისკაცების (მწერების) გამოყენებაც შეუძლიათ. კერძოდ, სხვადასხვა დაავადებებით დასნებოვნებული მწერები შეიძლება მიუსიონ კონკრეტულ ადამიანებს ან გაავრცელონ რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე.

1999 წელს ციებ-ცხელების აფეთქებამ დასავლეთ ნილოსში 1700 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ამ ეპიდემიის განზრახ გავრცელების უკან კი ერაყის მაშინდელი ლიდერი სადამ ჰუსეინი იდგა.

2000 წლის ოქტომბერში ტაივანის სპეცსამსახურებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ არატიპური პნევმონიის ეპიდემია ჩინეთის ბიოლოგიური იარაღის ტესტირების შედეგი იყო.

აშშ-ის სპეციალურმა კომისიამ ტერორიზმის წინააღმდეგ გააფრთხილა ამერიკის ახლად არჩეული პრეზიდენტი ტერორისტების მიერ 2009 წელს შესაძლო ბიოლოგიური შეტევის განხორციელების თაობაზე. როგორც კომისიის წევრები აღნიშნავენ, ბიოლოგიური იარაღი უფრო ადვილად შეიძლება მოხვდეს ტერორისტების ხელში, ვიდრე ბირთვული. ყველაზე რეალურია ციმბირის წყლულის, გრიპის გამომწვევების გავრცელება, რასაც დიდი კატასტროფების გამოწვევა ძალუძს.

ტერორისტული მიზნით აღნიშნული იარაღისა და ნივთიერებების გამოყენების შესაძლო ობიექტებია მასობრივი თავშეყრის ადგილები (მეტროპოლიტენი, სადგური, აეროდრომი), წყალგაყვანილობის ქსელი, მათი რეზერვუარები, სურსათის საწყობები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, სამხედრო ბაზები, საკომუნიკაციო კვანძები და სხვა. ტერორიზმის იგივე სახეობად შეიძლება ჩაითვალოს ტერორისტების მიერ ბირთვული, ქიმიური ან ძლიერი ტექნოლოგიური საშიშროების შემცველი ობიექტების ხელში ჩაგდება, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ინტერესებს, იწვევს მოსახლეობის დაშინებას.

ტერორიზმი თავისი ხასიათის მიხედვით შეიძლება ასევე იყოს:

რევოლუციური და კონტრრევოლუციური, სუბვერსიული და რეპრესიული; პირველი მიმართულია არსებული პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციის ან სრული განადგურებისკენ, რეჟიმის დამხობის ან მისი შესუსტებისკენ, ასევე უკვე განხორციელებული რევოლუციური ცვლილების ხელახალი კონტრრევოლუციური შეცვლისკენ. (მაგალითად, 1917წლის სოციალისტური რევოლუცია და მის წინააღმდეგ მიმართული კონტრრევოლუციური ქმედებები რუსეთში.) მეორე, პირიქით, ემსახურება რეჟიმის გაძლიერებას. ამ უკანასკნელს არსებული ხელისუფლება მიმართავს ძალაუფლების შენარჩუნების, მისთვის არასასურველი პირების მიმართ რეპრესიების, ტერორისტული აქტების განხორციელების მიზნით. ფიზიკური და სულიერი _ ფიზიკურ ტერორიზმში იგულისხმება მკვლელობები, ადამიანთა გატაცებები, მძევლად აყვანა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. სულიერი ტერორიზმი _

ფიზიკურის დანამატია და გამოიხატება განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე ადამიანების დევნა-დაშინებაში.

სელექციური და ბრმა _ პირველი მიმართულია კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის, ხოლო მეორე _ შემთხვევითი ადამიანების წინააღმდეგ.

პროვოკაციული _ გულისხმობს სამიზნის პროვოცირებას კონტრზომების მიღების მიზნით.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას უაღესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩადენილი ტერაქტების დიფერენციაციას, მათ მოქცევას გარკვეული კლასიფიკაციის ჩარჩოებში, რათა შემუშავდეს ინდივიდუალური მიდგომა ტერორიზმის თითოეული სახეობის წინააღმდეგ ბრძოლის სათანადო ფორმის შერჩევისათვის. აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა მეტად რთულია, რადგან ძნელია ზღვრის გავლება ერთი მხრივ, ტერორიზმსა და ბანდიტიზმს და მეორე მხრივ, თავისუფლებისათვის მებრძოლი შეიარაღებული ფორმირებების საქმიანობას შორის, მითუმეტეს, რომ ტერორიზმის ერთი რომელიმე სახეობა მრავლად შეიცავს სხვა სახეობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ამის გამო უაღრესად რთულდება ტერორიზმის სახეობათა კლასიფიკაცია, მაგრამ გარკვეული მახასიათებლების (ტერორიზმის ფესვების, მიზნებისა და მასშტაბების) მიხედვით, შესაძლებელია გამოვყოთ:

1. კრიმინალური ტერორიზმი, რომელსაც ფესვები თვით ადამიანში და იმ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში აქვს გადგმული, რომელშიც ამ ადამიანს უხდება ცხოვრება. მორალურად და ზნეობრივივად ნაკლებად მდგრადი ინდივიდი ეკონომიკური პრობლემის აღმოცენების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად ახორციელებს სატრანსპორტო საშუალებებისა და მძევლების აყვანას ფულის გამოძალვის მიზნით. ტერორისტს შეიძლება სხვა მოთხოვნებიც ჰქონდეს. მაგალითად, ახლობელი პატიმრის ციხიდან გათავისუფლება და ა.შ.

მსგავსი ტერორისტული აქტის ჩამდენი არ ისახავს პოლიტიკურ, იდეოლოგიურ ან რაიმე სხვა მიზანს, გარდა ფულის გამოძალვისა. როგორც წესი, ამგვარ დანაშაულს კრიმინალური წარსულის მქონე პირები იდენენ და რიგ შემთხვევაში წარმატებასაც აღწევენ (განსაკუთრებით ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში).

გამონაკლისის სახით ანალოგიურ მეთოდებს მიმართავენ ორგანიზაციები, რომლებშიც ძირითადად გაერთიანებული არიან ყოფილი სამხედრო პირები. ისინი არ მიეკუთვნებიან რომელიმე

პოლიტიკური ან იდეოლოგიური მოტივაციის მქონე დაჯგუფებას და ტერორისტული აქტების განხორციელებით ირჩენენ თავს. ასეთი ორგანიზაცია არსებობს ნიკარაგაუში და მასში შედიან სამუშაო შტატების შემცირების გამო სამსახურის გარეშე დარჩენილი სანდანისტური არმიის სამხედრო მოსამსახურეები.

2. ფსიქიკურად დაავადებულთა და განდიდების მანიით შეპყრობილ პირთა ტერორიზმი. არცთუ იშვიათად ტერაქტებს ჩადიან ფსიქიკური გადახრების მქონე პირები, რომლებიც ავადმყოფური წარმოსახვის ზემოქმედებით ან განდიდების მანიით შეპყრობილები (ჰეროსტატეს კომპლექსი) თავს ესხმიან გამოჩენილ პიროვნებებს (ანსამბლ „ბითლზის" მომღერლის ჯონ ლენონის მკვლელობა 1979 წელს. ჯონ ჰინკლის თავდასხმა აშშ-ის პრეზიდენტზე, რონალდ რეიგანზე 1981 წელს).

3. იდეოლოგიური ტერორიზმი. დემოკრატიულ საწყისებზე აგებულ სახელმწიფოებში იდეოლოგიური (რევოლუციური და რელიგიურ-ფანატიკური) ტერორიზმი საზრდოობს იმ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის პრობლემებით, რომელთა აღმოფხვრა ცივილიზებული ფორმით შესაძლებელია. დემოკრატიულ სახელმწიფოებში ამგვარი სახის ტერორიზმი წმინდა დანაშაულებრივ და ფსიქოპათურ ხასიათს ატარებს. ტერორისტების მიზანია ძალის გამოყენებით ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი წყობის შეცვლა საკუთარი პილიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და რელიგიური შეხედულების მიხედვით ან პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ფიზიკური განადგურება. მიუხედავად ტერორისტების მიერ განხორციელებული უამრავი აქტისა და ადამიანთა მრავალრიცხოვანი მსხვერპლისა, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში მათ საქმიანობას წარმატება არ მოჰყოლია და თავიდანვე მარცხისთვის იყო განწირული, რადგან მათ ორგანიზაციებს არასოდეს ჰქონიათ რაიმე სოციალური ბაზა, რომელზე დაყრდნობითაც ისინი საკუთარ მიზანს მიაღწევდნენ. სამწუხაროდ, იდეოლოგიური ტერორიზმის მასშტაბები ფართოა, თუმცა, სწორედ ეს მასშტაბებია მათი „აქილევსის ქუსლი" და ტერორისტების წინააღმდეგ კონკრეტული ღონისძიებების გატარების საშუალებას გვაძლევს. ეფექტურ შედეგს იძლევა პოლიტიკური და კონტრდაზვერვითი მეთოდების გამოყენება.

იდეოლოგიურ (რევოლუციურ) პრინციპეპზე აგებული ტერორისტული ორგანიზაციების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია მემარცხენე (პროკომუნისტური) პოლიტიკური შეხედულებანი, თუმცა, ლეგალური კომუნისტური პარტიები ცდილობენ, ასეთი ორგანიზაციებისგან თავი შორსდაიჭირონ და

მუდმივად ემიჯნებიან მათ. თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური სისტემის მარცხმა სერიოზული დარტყმა მიაყენა მემარცხენე შეხედულებების მქონე ტერორისტულ ორგანიზაციებს, რის გამოც მათი აქტივობა საგრძნობლად შემცირდა.

იდეოლოგიური ტერორიზმი მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში არსებობდა. მისმა გამოვლინებამ პიკს 70-იანი წლების ბოლოს და 80- იანი წლების დასაწყისში მიაღწია, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომუნისტური წყობის კრახმა და ამის გამო მსოფლიოში მომხდარმა კარდინალურმა ცვლილებებმა იდიოლოგიურ ტერორიზმს ყოველგვარი საფუძველი გამოაცალა და მან აშკარა რეგრესი განიცადა. განვიხილოთ სხვადასხვა დემოკრატიულ ქვეყანაში მოქმედი მემარცხენე ტერორისტული ორგანიზაციები და მათ მიერ ჩადენილი ყველაზე გახმაურებული ტერაქტები:

<u>საფრანგეთის</u> "Aqsion Direqt" ("უშუალო მოქმედება") გამოდის მემარცხენე, პროკომუნისტური, ანტიიმპერიალისტური ლოზუნგებით; საკუთარი არსებობის შესახებ პირველად განაცხადა 1979 წელს; ყველაზე გახმაურებული ტერაქტებია:

1980 წელს ქალაქ ოსლოს აეროპორტის აფეთქება, რის შედეგადაც დაიჭრა 8 ადამიანი; 1986 წელს „რენოს"-ს გენერალური დირექტორის – ჟორჟ ბესას მკვლელობა.

<u>გერმანიის</u> „წითელი არმიის ფრაქცია" (RAF) – გამოდის მემარცხენე, პროკომუნისტური, ანტიიმპერიალისტური ლოზუნგებით; პირველად არსებობის შესახებ განაცხადა 60-იანი წლების მიწურულს. დაარსა ადვოკატმა ჰორსტ მიულერმა. ყველაზე გახმაურებული ტერაქტებია: გერმანელი მეწარმის, ჰანს მარტინ ბლეირის მკვლელობა 1977 წლის ოქტომბერში; აშშ-ის ერთერთი საარმიო კორპუსის შტაბის აფეთქება 1972 წელს ქ. ფრანკფურტში. ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა, ულრიკა-მარია მაინხოფმა და ანდრეას ბაადერმა სასამართლო პროცესის დაწყებამდე თავი ჩამოიხრჩეს.

„რევოლუციური უჯრედები" - გამოდის ანალოგიური ლოზუნგებით. პირველად არსებობის შესახებ განაცხადა 1973 წელს.

<u>იტალიის</u> „წითელი ბრიგადები" – პროკუმუნისტური დაჯგუფება. პირველად განაცხადა არსებობის შესახებ 1970 წელს. ყველაზე გახმაურებული ტერაქტებია: პრემიერ-მინისტრ ალდო მოროს მკვლელობა 1978 წელს; ავიაციის გენერლის,

ჯორჯიერის მკვლელობა 1987 წელს. ბოევიკთა საერთო რაოდენობა 100-ს არ აღემატება.

<u>საბერძნეთის</u> „სახალხო რევოლუციური ბრძოლა" (ELA) – პროკომუნისტური ტერორისტული ორგანიზაცია; არსებობის შესახებ განაცხადა 1974 წელს. განახორციელა დაახლოებით 3200 ტერაქტი.

„17 ნოემბერი" – მემარცხენე ტერორისტული ორგანიზაცია. შეიქმნა 1988 წელს. მის შემადგენლობაში 20-25 წევრია. მოქმედებს ძირითადად საბერძნეთში არსებული აშშ-ის წარმომადგენლობების წინააღმდეგ.

<u>აშშ-ის</u> „სახალხო ლაშქარი" – უკიდურესად მემარჯვენე რადიკალების გაერთიანება. მოქმედებს თითქმის ყველა შტატში. განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევა მიჩიგანისა და არიზონას შტატებში. 1995 წლის 19 აპრილამდე არ ეწეოდა ტერორისტულ საქმიანობას. 1995 წელს გადამდგარმა სერჟანტმა ტიმოთი მაქვეიმ მოაწყო აშშ-ის ისტორიაში ერთერთი გახმაურებული ტერაქტი. ოკლაჰომა სიტის ფედერალური შენობის აფეთქების შედეგად დაიღუპა 167 ადამიანი. მაქვეი არ იყო რომელიმე კონკრეტული ორგანიზაციის წევრი, მაგრამ საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა „სახალხო ლაშქრის" წევრებთან და იზიარებდა მათ შეხედულებებს ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის თაობაზე.

4. დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებული ორგანიზაციების ტერორიზმი. ამ სახეობის ტერორიზმი ყველაზე მეტად გავრცელებულია ლათინური ამერიკის დიქტატორულ ქვეყნებში. ის საკმაოდ შეიცავს იდეოლოგიური ტერორიზმისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, მაგრამ მისგან მასშტაბებით განსხვავდება, რადგან ასეთ ორგანიზაციებს გარკვეული დასაყრდენი აქვთ მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში და ეწევიან სამოქალაქო ომს ტერორისტული ხერხების გამოყენებით არსებული რეჟიმის დამხობის მიზნით. იდეოლოგიური ტერორიზმისგან განსხვავებით, აჯანყებულთა ორგანიზაციების წინააღმდეგ პოლიციური მეთოდების გამოყენება შეუძლებელია, ამიტომ აჯანყებულებთან ბრძოლის მიზნით ხელისუფლება იყენებს ერთგულ სამხედრო შენაერთებს, რის გამოც სამოქალაქო ომი კიდევ უფრო მწვავდება და იზრდება ადამიანთა მსხვერპლიც. ლათინურ ამერიკაში აჯანყებული ორგანიზაციები დაფინანსების წყაროს მოპოვებისთვის ხშირად ებმებიან ნარკობიზნესში. თავის მხრივ, ნარკომაფია დაინტერესებულია ასეთ ორგანიზაციებთან კონტაქტებით, რადგან მათი

ხელშეწყობით მნიშვნელოვნად უიოლდება დანაშაულებრივი საქმიანობის წარმართვა. ამგვარი კონტაქტების შედეგი კი ისაა, რომ აჯანყებულთა იდეებს კრიმინალური საქმიანობა ენაცვლება. ასეთი

ორგანოზაციებია:

<u>კოლუმბიაში</u> „M-19" – მემარცხენე ტერორისტული დაჯგუფება. მისი ყველაზე გახმაურებული ოპერაციაა 1985 წელს ბოგოტაში მართლმსაჯულების სასახლის ხელში ჩაგდება გახლდათ. დაიღუპა 100 ადამიანი. „M-19"-ის ლიდერებს მჭიდრო კავშირები აქვთ კოლუმბიელ ნარკობიზნესმენებთან და საომარი მოქმედებებით ხელს უწყობენ მათ დანაშაულებრივი ოპერაციების განხორციელებაში. „M-19" ლათინურ ამერიკაში გავრცელებული ტერორიზმის ტიპური მიმდევარია, რომელიც მჭიდრო კავშირშია ნარკობიზნესთან და პარველად მიზანს, დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლას, შირმადღა იყენებს კრიმინალური საქმიანობის წარმოებისთვის.

<u>ურუგვაიში</u> „ტუპაკ ამარუ"- ტერორისტული დაჯგუფება, რომელიც მემარცხენე შეხედულების ლოზუნგებით ნიღბავს თავის კრიმინალურ საქმიანობას. დაარსდა

1965 წელს. თავისი არსებობის მანძილზე დაამტკიცა, რომ მის პროგრამასა და საქმიანობას შორის არავითარი კავშირი არსებობს. ახორციელებს თავდასხმებს ბანკებსა და კაზინოებზე. მისმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ქვეყანაში მიმდინარე ლიბერალური რეფორმები და ხელი შეუწყო ხელისუფლების სათავეში სამხედრო ხუნტის მოსვლას.

<u>პერუში</u> „სენდერო ლუმინოსო" (ნათელი გზა) ბოლო პერიოდამდე ითვლებოდა მსოფლიოს უდიდეს ტერორისტულ ორგანიზაციად. 1980 წლიდან ეწევა შეიარაღებულ ბრძოლას ხელისუფლების წინააღმდეგ. გამოდიოდა მაოისტური ლოზუნგებით, ტერორს უქვემდებარებდა ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 2/3-ს. ორგანიზაციის განადგურება დაიწყო მისი ლიდერის აბიმაელ გაუსმანის დაპატიმრებისა და დიქტატორ ფუხიმორის მიერ ორგანიზაციის წინააღმდეგ დაწყებული დაუნდობელი ბრძოლის შემდეგ.

<u>გვატემალაში</u> „შეიარაღებული რევოლუციური ძალები"- უდიდესი მემარცხენე ტერორისტული ორგანიზაცია. დაარსდა 1960 წელს. დაარსების დღიდან იბრძვის ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ხნის მანძილზე დაიღუპა დაახლოებით 200 ადამიანი. მის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელისუფლება აქტიურად იყენებს ტერორისტულ ორგანიზაციებს „თეთრი ხელი" და „სიკვდილის ესკადრონები".

<u>ნიკარაგუაში</u> „კონტრასი"- 1979-1990 წლებში პარტიზანულ ბრძოლას ეწეოდა ნიკარაგუას სანდანისტური მთავრობის წინააღმდეგ. ორგანიზაციის ბირთვს ქმნიან დიქტატორ სომოსას არმიის ყოფილი ოფიცრები და ჯარისკაცები. აქტიურად ეხმარებოდნენ აშშ-ის

სპეცსამსახურები (ირან-კონტრასის საქმე).

ეროვნულ - გამათავისუფლებელი მოძრაობის ტერორიზმი (სეპარატისტული ტერორიზმი). აღნიშნული ტერორიზმის ფესვები მჭიდროდაა გადახლართული სეპარატიზმთან და აქვს მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური, სოციალურ- ეკონომიკური და რელიგიური შინაარსი.

6. "საინფორმაციო ლაშქრობა" და "კიბერტერორიზმი". ტერორიზმის უახლეს ფორმად ე.წ. "საინფორმაციო ლაშქრობას" მიიჩნევენ. ამ "ლაშქრობის" მიზანი მოწინააღმდეგის სამოქალაქო და სამხედრო ინფრასტრუქტურაში არსებული ინფორმაციისა და საინფორმაციო სისტემის განადგურებაა. განარჩევენ საინფორმაციო ტერორიზმის ორ სახეს: 1) საინფორმაციო ტექნიკის ისეთი დაზიანება (ელექტრონული ან ფიზიკური), რომელსაც მწყობრიდან გამოჰყავს საინფორმაციო სისტემა და მასზე დამოკიდებული ყველა ინფრასტრუქტურა; 2) საინფორმაციო სისტემით მანიპულირება მონაცემთა შეცვლის, მოპარვის ან საერთოდ სისტემის ფუნქციის შეცვლის გზით.

"კიბერტერორიზმი" შეიძლება განისაზღვროს, როგორც საიდუმლო აგენტებისა თუ სუბნაციონალური ჯგუფის მიერ კარგად დაგეგმილი, პოლიტიკურად მოტივირებული შეტევა ინფორმაციის, კომპიუტერული სისტემის, კომპიუტერული პროგრამებისა და ელექტრონული მონაცემების წინააღმდეგ, რასაც მოჰყვება სამოქალაქო პირთა დაშავება ან დაღუპვა. დღემდე ტერორისტული ჯგუფები ინტერნეტსა და სხვა საკომუნიკაციო ქსელებს ძირითადად პროპაგანდის, უსაფრთხო კავშირის, ინფორმაციის შეგროვების და ფონდების მართვისთვის იყენებდნენ, მაგრამ ბოლო დროს, სამიზნეები სამთავრობო სტრუქტურებიდანმოქალაქეებზე გადააქვთ. მართალია, ტერორისტული საქმიანობის ეს ტიპი ჯერ ფართოდ არ გავრცელებულა, მაგრამ მთავრობა ამგვარ შესაძლებლობათა არსებობის შესახებ კარგად უნდა იყოს ინფორმირებული, რათა შეძლოს მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვა.

ინტერნეტის გაფართოვებამ "ჰაკერთა" რაოდენობის ზრდა გამოიწვია, რომლებმაც შეიძლება იერიში მიიტანონ ბანკებზე და სამხედრო სატელიტებზე. ხშირად ხდება ჰაკერის და კრეკერის ტერმინების ერთმანეთში არევა. ტერმინი "ჰაკერი" მიუთითებს პიროვნებაზე, რომელსაც კარგად ესმის კომპიუტერი, ხოლო "კრეკერი" ხსნის სხვის კოდებს და იჭრება კომპიუტერულ სისტემაში. უნდა აღინიშნის, რომ განსხვავება ამ ორ ტერმინს შორის თითქმის წაშლილია. თავად "ჰაკერები" თავიანთ თავს ორ ნაწილად ყოფენ:

“თეთრქუდიან ჰაკერებად” (“ეთიკურ ჰაკერებად”) და “შავქუდიან ჰაკერებად”, ანუ “კრეკერებად”.

“კრეკერების” 90%-ს ჩვეულებრივ წარმოადგენენ ახალგაზრდები, რომლებსაც გააჩნიათ უნარი, შესაძლებლობა და სურვილი, შეაღწიონ სხვათა საინფორმაციო ბაზებში. მათი სამიზნე, ჩვეულებრივ, „NASA”, პენტაგონი და თეთრი სახლია. გამოცდილ “კრეკერებს” შეუძლიათ სახე შეუცვალონ ვებ- საიტებსაც.

კომპიუტერულ ქსელში არასანქცირებული შეღწევის მიზანი შეიძლება იყოს არამარტო საინფორმაციო ბაზის განადგურება, არამედ ტერორისტისთვის ობიექტზე თავდასხმის გაადვილება.

აღსანიშნავია, რომ კიბერტერორისტული აქტი საფრთხეს წარმოადგენს როგორც მსხვერპლის, ასევე თავდამსხმელისთვის, რადგან შესაძლებელია ამ უკანასკნელის ადგილმდებარეობის დადგენა და შესაბამისი ზომების მიღება.

ქვეყნის სამხედრო თუ სპეცსამსახურებისთვის განკუთვნილ საიდუმლო სისტემაში კომპიუტერთა გარკვეული ნაწილი შორს უნდა იყოს ინტერნეტიდან, რაც გამორიცხავს მასზე პირდაპირი იერიშის მიტანის შესაძლებლობას, ვინაიდან “კიბერტერორისტები” არა მარტო აზიანებენ სისტემას, არამედ ეწევიან სადაზვერვო საქმიანობასაც (ასევე დეზინფორმაციის გავრცელებასაც).

<u>ტერორისტული აქტების სახეები:</u>

პრაქტიკაში ტერორისტული საქმიანობის დროს ტერორისტები ძირითადად იყენებენ შემდეგი სახის ტერორისტულ აქტებს:

1. პოლიტიკური მკვლელობები;
2. აფეთქებები, ცეცხლის წაკიდება და მათი ორგანიზება;
3. სატრანსპორტო (საჰაერო, საზღვაო, სახმელეთო) საშუალებების ხელში

ჩაგდება;

4. ადამიანის გატაცება;
5. მძევლად აყვანა;
6. ცრუ განგაში.

1. პოლიტიკური მკვლელობები: _ ტერორისტული აქტის ეს სახე ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში ჩამოყალიბდა, როდესაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი მიზნის მისაღწევად ტერორს მიმართავდა. შემდგომში იგი უფრო დაიხვეწა და თანამედროვე ხასიათი მიიღო. პოლიტიკურ მკვლელობას ახორციელებდნენ იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის ძალები მშვიდობიანი გზით, პოლიტიკური მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით ვერ

აღწევდნენ დასახულ მიზანს.

პოლიტიკური მკვლელობებისა და ტერაქტების ორგანიზების მხრივ საბჭოთა სპეცსამსახურები ყოველთვის გამოირჩეოდნენ „ნოვატორული" იდეებით. სანამ დიდი საბჭოთა დიქტატორი – სტალინი ცოცხალი იყო, ლიკვიდაციის ყველა მნიშვნელოვანი ოპერაციის ოპერატიულ საკითხებს აუცილებლად მასთან ათანხმებდნენ. სტალინს შესწორებები და შენიშვნები შეჰქონდა წარმოდგენილ გეგმებში, ხშირად კი თვითონ სთავაზობდა ორიგინალურ იდეებს. ასე იყო უკრაინის ნაციონალისტური ორგანიზაციის ლიდერის ევგენი კონოვალეცის ლიკვიდაციის დროსაც. მოახსენეს რა, რომ კონოვალეცს ძალიან უყვარს შოკოლადი, სტალინმა სუდოპლატოვს (საბჭოთა სპეცოპერაციების დიდოსტატს), მაშინვე ურჩია ამ სისუსტის გამოყენება. დანარჩენი უკვე შინსახკომის ოპერატიულ-ტექნიკურ განყოფილებაზე იყო დამოკიდებული. მართლაც, სულ მალე შოკოლადის ყუთის ფორმის ასაფეთქებელი მოწყობილობა მზად იყო. ჰორიზონტალურ მგდომარეობაში ის ავტომატურად მოდიოდა მოქმედებაში. სუდოპლატოვმა 1938 წლის 23 მაისს როტერდამში რესტორან „ატლანტაში" კონოვალეცს დამშვიდობებისას მაგიდაზე დაუტოვა „სტალინის საჩუქარი" და რამდენიმე წუთში ოპერაცია უკვე დასრულებული იყო.

განსაკუთრებული მიზნებისათვის სპეციარაღს სხვა ქვეყნებიც ამზადებდნენ. მე-

20 საუკუნის 40-იან წლებში აშშ-ში, ინგლისსა და გერმანიაში ერთმანეთისგან

დამოუკიდებლად გამოიგონეს „ცეცხლსასროლი ავტოკალმები". გერმანიისსაგარეო დაზვერვას ეს იარაღი, დასახული მიზნის მიღწევისთვის რომ გამოეყენებინა, შესაძლოა XX საუკუნის ისტორია დიამეტრულად საპირისპირო მიმართულებით განვითარებულიყო. თავად განსაჯეთ, მეორე მსოფლიო ომი მთავრდებოდა, გერმანია დამარცხებისთვის იყო განწირული. კატასტროფის თავიდან ასაცილებლად მესამე რეიხის ხელმძღვანელები გამალებით ეძებდნენ გამოსავალს. დიპლომატიისა და საგარეო დაზვერვის დიდი მცდელობის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს „დიდი სამეულის" გახლეჩა და გერმანიის საგარეო საქმეთა რეიხმინისტრ რიბენტროპის წინადადებით გადაწყდა „დიდი სამეულის" ყველაზე საშიში წევრის – სტალინის ფიზიკური ლიკვიდაცია. კონკრეტული მოქმედების გეგმა განსაზღვრა გერმანელი გამომგონებლის მიერ შექმნილმა ახალმა

ცეცხლსასროლმა იარაღმა – ავტოკალამმა, რომელიც 6-8 მეტრიდან სასიკვდილოდ აზიანებდა მიზანს.

რიბენტროპმა თავისი იდეა ჰიტლერს, ჰიმლერს და ბორმანს გაუზიარა. ტერაქტის უშუალო შემსრულებლად გერმანიის საგარეო დაზვერვის შეფი ვალტერ შელენბერგი დასახელდა. გერმანიის მხარეს უნდა მიეღწია და სტალინი უმაღლესი დონის ორმხრივ ფარულ მოლაპარაკებებზე „შეეტყუებინა", იქ კი შელენბერგი „ავტოკალამს" გამოიყენებდა. ეს უკანასკნელი თავის მემუარებში იხსენებს, თუ როგორ „ჩამოუვარდა ყბა", როდესაც რიბენტროპმა თავისი "გენიალური" იდეა გააცნო. გეგმის აბსურდულობა იმაში იყო, რომ ისედაც პათოლოგიურად ეჭვიანი სტალინი, არ დაჯდებოდა მოლაპარაკების მაგიდასთან დამარცხებისათვის უკვე განწირულ მტერთან.

სტალინისა და ბერიას გარდაცვალების შემდეგ 1954 წელს ხრუშჩოვმა საბჭოთა სპეცსამსახურების სტრუქტურებში არსებული სპეცაქციების დანაყოფები ვითომდა გააუქმა. სინამდვილეში კი, ეს ფუნქციები უშიშროების სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს მე-13 განყოფილებას გადასცა. პოლიტიკური მკვლელობების შემკვეთი და ფაქტობრივად მთავარი ტერორისტული ორგანიზაცია იმ წლებში საბჭოთა პოლიტბიურო და პირადად ნიკიტა ხრუშოვი იყო. ტერორისტული აქტები კვლავ საბჭოთა კავშირის ფარული საგარეო პოლიტიკის განუყრელ ნაწილად რჩებოდა. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 50-იან წლებში, პოლიტბიურომ „კგბ"-ს ემიგრაციული და ნაციონალისტური ორგანიზაციების ლიდერების: გიორგი ოკოლოვიჩის, სტეპან ბენდერას, ლევ ლებედის ფიზიკური ლიკვიდაციის ბრძანება გასცა. საერთაშორისოსკანდალების თავიდან აცილებისთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მკვლელობის იარაღს, რათა სიკვდილი მასქიმალურად „ბუნებრივი" ყოფილიყო.

1954 წლის თებერვალში, „კგბ"-ს კაპიტან ნიკოლოზ ხოხლოვს, ანტისაბჭოთა გამოსვლებით ცნობილი ემიგრაციის ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ოკოლოვიჩის ლიკვიდაცია დაევალა. ამ ოპერაციისთვის „კგბ"-ს იარაღის საიდუმლო ლაბორატორიაში დაამზადეს სიგარეტის კოლოფში მოთავსებული მინიატურული პისტოლეტი. მაგრამ კაპიტანი ხოხლოვი, რომელიც ოპარაციის შესასრულებლად დასავლეთ გერმანიაში გაემგზავრა, ყველასაგან მოულოდნელად სახლში ესტუმრა მომავალ მსხვერპლს – ოკოლოვიჩს და ყველაფერში გამოუტყდა. იმავე წლის 20 აპრილს გამართულ

პრესკონფერენციაზე ხოხლოვმა საჯაროდ წარმოადგინა „კგბ"-ს საიდუმლო ლაბორატორიაში დამზადებული იარაღი. ამ ფაქტის შემდეგ ამტყდარმა საერთაშორისო სკანდალმა, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ იმოქმედა საბჭოთა ხელმძღვანელობაზე და მათ ახალი მკვლელობები შეუკვეთეს. მორიგი მსხვერპლი აღმოჩნდა ინგლისში ემიგრაციაში მცხოვრები გიორგი მარკოვი („ბი-ბი-სი"-ს რედაქციის თანამშრომელი). მის ლიკვიდაციაში დახმარება ბულგარელებმა „კგბ"-ს სთხოვეს. მთავარი იყო, სიკვდილს ბუნებრივი ელფერი ჰქონოდა და თავიდან აეცილებინათ საერთაშორისო სკანდალი. ოპერაცია სწრაფად დაიგეგმა და შესრულდა. მოვლენები კი ასე ვითარდებოდა:

„კგბ"-ს რეზიდენტმა ვაშინგტონში დიმიტრი იაკუშკინმა რამდენიმე ჩვეულებრივი ქოლგა შეიძინა და მოსკოვში გაგზავნა. იქ სპეცლაბორატორიის „ჯადოქრებმა" ქოლგის თავზე ქინძისთავის ზომის საჩხვლეტი დაამონტაჟეს. ქოლგით ჩხვლეტის შემდეგ, შხამშემცველი „მინიკაფსულა" სხეულში აღწევდა და ორ-სამ დღეში მსხვერპლი „გულის შეტევითა და ინფარქტით" იღუპებოდა. მსგავსი იარაღით 1978 წელს მარკოვი ლონდონში მოკლეს.

„სპეციარაღი", სპეცსამსახურების კონკრეტული დაკვეთიდან გამომდინარე, მუდმივად უმჯობესდებოდა და უფრო „უხმაურო" და „ბუნებრივი" ხდებოდა. დღეისათვის ფართოდ გამოიყენება ე.წ. „მცირე ბიოლოგიური იარაღი" – ბუნებრივი შხამები (მორიელის, გველის და სხვა).

სავარაუდოა, რომ სწორედ „მცირე ბიოლოგიური იარაღის" გამოყენებით მოწამლეს უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო. 2004 წლის 10 სექტემბერს ის ვენის ერთ-ერთ კლინიკაში დააწვინეს მოწამვლის დიაგნოზით, მაგრამ რამდენიმეკვირიანი მკურნალობის მიუხედავად, გამოცდილმა ექიმებმა ზუსტად ვერ დაადგინეს მომწამვლელი ნივთიერების სახეობა.

2. აფეთქების ორგანიზება ტერორისტული აქტების განხორციელების ყველაზე გავრცელებული ხერხია, ვინაიდან :

- იგი უზრუნველყოფს შემსრულებლის უსაფრთხოებას, საშუალებას აძლევს მას, შემთხვევის ადგილიდან მოშორებით იმყოფებოდეს ან საერთოდ მიიმალოს;
- ტერორისტი იყენებს საშუალებას, რომელსაც დიდი დამანგრეველი ძალა გააჩნია;
- ასაფეთქებელი მოწყობილობა ერთნაირად საშიშია ნებისმიერი ობიექტისთვის და მისი გამოყენების თაობაზე უბრალო

მუქარასაც კი სერიოზული ზარალისა და მატერიალური დანაკარგების მიყენება შეუძლია;

• ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადებისთვის საჭირო მასალის მოპოვება არ წარმოადგენს სირთულეს, თანაც იგი იაფია.

ასაფეთქებელ მოწყობილობებთან მუშაობისას საჭიროა ძალიან დიდი სიფრთხილე და მაქსიმალური ყურადღება. ამისთვის არსებობს სპეციალური დანაყოფი, რომელიც ასეთი მოწყობილობების განაღმვაზე მუშაობს.

ტერორიზმის გამოვლინების მხრივ მსოფლიოში ყველაზე ცხელ წერტილად ახლო აღმოსავლეთი ითვლება, რასაც ხელს უწყობს ნავთობით მდიდარ ამ რეგიონში სხვადასხვა ქვეყნის ინტერესების დაპირისპირება და განსხვავებულ იდეოლოგიათა ფართო სპექტრის არსებობა: მარქსიზმი, ისლამური ფუნდამენტალიზმი, სომხური, ებრაული, ქურთული და პალესტინური ნაციონალიზმი. ტერორიზმის შვიდი სპონსორი ქვეყნიდან – ოთხი ახლო აღმოსავლეთში მდებარეობს, ესენია: ირანი, ლიბია, სუდანი და სირია. 70-იან წლებში სსრკ და მისი სატელიტი ქვეყნები ერაყს, ლიბიას, სირიას და ყოფილ იემენის დემოკრატიულ რესპუბლიკას თავისი ზრახვების შესანიღბად ხშირად იყენებდნენ. საბჭოთა კავშირი ამ ქვეყნებში მოქმედ ტერორისტულ დაჯგუფებებს რუსული იარაღითა და სადაზვერვო ინფორმაციით ამარაგებდა, მათთვის საწვრთნელ ბანაკებს აწყობდა. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებს მნიშვნელოვანი საყრდენი გამოეცალათ, თუმცა, რუსეთი ამ ქვეყნებთან ახლაც პარტნიორობს, მაგრამ ნაკლები მასშტაბებით.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ყოველწლიურ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მსოფლიოში მოქმედი 41 ტერორისტული ორგანიზაციიდან – 22 ახლო აღმოსავლეთში ფუნქციონირებს. მიმოვიხილოთ რამდენიმე საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია. დავიწყოთ ჩრდილოეთიდან.

ირლანდიის რესპუბლიკური არმია (IRA - IRISH REPUBLICAN ARMI) შეიქმნა, როგორც ნაციონალურ-რესპუბლიკური პარტიის (პარტია „შინ ფეინი“) სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ირლანდიის სრული დამოუკიდებლობის მიღწევას ისახავდა. იგი 1916 წელს ქალაქ დუბლინში ინგლისის წინააღმდეგ აჯანყების დროს დაარსდა. სამი წლის შემდეგ „ირა“ არაღიარებული რესპუბლიკური არმია გახდა. IRA-ს შტაბმა არ ცნო ინგლის-ირლანდიის 1921

წლის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ირლანდია ორ ნაწილად იყოფოდა: თავისუფალი ირლანდიის სახელმწიფოდ _ 26 საგრაფოს შემადგენლობით, რომელსაც დომინიონის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული და ჩრდილოეთ ირლანდიად _ ისტორიული ოლსტერის 6 საგრაფოს შემადგენლობით, რომელიც უშუალოდ ბრიტანეთის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. სამოქალაქო ომის შედეგად IRA-მ იატაკქვეშეთში გადაინაცვლა და იგი ირლანდიის ორივე ნაწილში დღემდე აკრძალულ ორგანიზაციად რჩება.

ჯერ კიდევ 1921 წლის შემოდგომაზე ირლანდიელებმა ტერორისტული აქტები განახორციელეს: ლონდონში, ლივერპულში, მანჩესტერსა და გლაზგოში არსებულ სამრეწველო და სავაჭრო ობიექტებზე, ირლანდიის ტერიტორიაზე დამსჯელ ღონისძიებებში მონაწილე სამხედრო და პოლიციის ოფიცრებზე. მათი შურისძიება მიზნად იმას ისახავდა, რომ ამ ოფიცრებსა და მოსახლეობას ისეთივე სიმწარე ეგემათ, როგორიც ირლანდიელებს ხვდათ წილად, როდესაც მათ მიმართ ინგლისელები ატარებდნენ დამსჯელ ღონისძიებებს.

1969 წლიდან 1994 წლამდე ტერორისტული აქტების სერიებმა 3 200 ადამიანი იმსხვერპლა, ამიტომ IRA-ს მოქმედებებს მოწინააღმდეგეები თვით ორგანიზაციის შიგნით გამოუჩნდნენ და 1970 წელს იგი ორ ფრთად, ორ ორგანიზაციად გაიყო: „ოფიციალურად“ და „დროებითად“. გაყოფის მთავარი მიზეზი პოლიტიკურ ბრძოლაში შეიარაღებული ძალადობის გამოყენების საკითხი გახლდათ. „ოფიციალური“ ფრთის მომხრენი ძალისმიერ მეთოდებს მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზას არჩევდნენ. „დროებითი“ ფრთის (PROVISIONAL IRISH REPUBLICAN ARMI - PIRA) წარმომადგენლები კი ინგლისთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ საშუალებად სწორედ ძალისმიერ მეთოდებს მიიჩნევდნენ.

PIRA _ თავის რიგებში აერთიანებს გამოცდილ ინჟინერ-პიროტექნიკოსებს, რომლებიც ტერორისტებს ასაფეთქებელი მასალებითა და საშუალებებით ამარაგებენ. ტერორისტების

რაოდენობა 200-300 კაცამდე აღწევს. ორგანიზაციის მთავარი ხელწერაა ტერორისტული აქტების დანაღმული ავტომანქანებით განხორციელება. მაგალითად, 1998 წლის 20 თებერვალს ქ. მოირაში პოლიციის განყოფილებასთან დანაღმული მანქანა აფეთქდა, რის შედეგადაც 2 პოლიციელი დაიღუპა. ამავე წლის 23 თებერვალს ქ. პორტდაუნში, 1998 წლის 2 აგვისტოს დაუნის საგრაფოს ქალაქ ბენბრიჯის სავაჭრო ცენტრთან, ამავე წლის 15

აგვისტოს იმავე მეთოდით განხორციელებულ აფეთქებას ოლსტერში 28 კაცის სიცოცხლე შეეწირა, 100-ზე მეტი კი დასახიჩრდა.

ბოლო დრომდე PIRA ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევა. მისი წევრები წარმატებით მოქმედებენ როგორც ჩრდილოეთ ირლანდიაში, ასევე მთელ დიდ ბრიტანეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიებზეც.

PIRA-ს ორგანიზაციული სტრუქტურა, ტერორისტული აქტების ჩატარების ფორმები და მეთოდები, დაფინანსების წყაროები

IRA-ს მოქმედების არეალი ჩრდილოეთ და სამხრეთ სამხედრო ოლქებად არის დაყოფილი. ჩრდილოეთის სამხედრო ოლქი აკონტროლებს 11 პროვინციას, რომელთაგანაც 6 ჩრდილოეთ ირლანდიის ტერიტორიაზეა, ხოლო 5 - ირლანდიის რესპუბლიკაში. სამხრეთის სამხედრო ოლქი დუბლიანსა და მის მიმდებარე რაიონებს აკონტროლებს.

ჩრდილოეთის სამხედრო სარდლობა 6 ბრიგადას აერთიანებს, ესენია: დერის, აღმოსავლეთ ტიროლეს, დერმანგისა და აღმოსავლეთ ტიროლეს, კევანისა და მონაგნის, სამხრეთ არმაგის, ბელ ასტის ბრიგადები.

სამხრეთ სამხედრო სარდლობას მხოლოდ ერთი ბრიგადა და სოფლის რაიონებში მოქმედი ნაწილები გააჩნია.

IRA-ს მართვის უმაღლესი ორგანოა ყრილობა, რომელიც იშვიათად და კონსპირაციის სრული დაცვით ტარდება. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ დელეგატები, რომლებიც PIRA-ს სტრუქტურის ყველა შემადგენელ რგოლს

წარმოადგენენ. ყორილობაზე არმიის სარდლობას თორმეტი კაცის შემადგენლობით და PIRA-ს მთავარ ორგანოს _ არმიის საბჭოს ირჩევენ. საბჭო შვიდი კაცისგან შედგება, რომელსაც არმიის სარდლობიდან გამოყოფენ. საბჭოში მოქმედების სტრატეგიული გეგმა მუშავდება, მისი პრეროგატივაა ომის ან მშვიდობის გამოცხადება, თუმცა ზავის დადების საკითხი აუცილებლად ყრილობასთან თანხმდება.

არმიის საბჭოზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას ახორციელებს გენერალური შტაბი, რომელიც განთავსებულია დუბლინთან.

არმიის საბჭო ხელმძღვანელობს ორგანიზაციას, რომელიც თავის რიგებში 300 მებრძოლსა და 700-ზე მეტ აქტივისტს აერთიანებს. მებრძოლებს კარგად ამზადებენ და თითოეული მათგანის მომზადება PIRA-ს 5-დან 10 ათასამდე ამერიკული დოლარი უჯდება. მათი საშუალო ასაკი 20-25 წელია. აქტივისტთა რიგებში შედიან კონსპირაციული ბინების, იარაღის საწყობების, სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებიც, კურიერებიც და სხვ.

ორგანიზაციის წევრობის კანდიდატი ყოველმხრივ და ხანგრძლივ შემოწმებას გადის. მისი პირველადი სტრუქტურაა ჯგუფი რვა კაცის შემადგენლობით, რომელთაგან მხოლოდ ორმა იცის კავშირის პირობები და კონტაქტი აქვს როგორც სარდლობასთან, ისე სხვა ჯგუფების უფროსებთან.

PIRA-ს თავისი დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახური გააჩნია. დაზვერვა ინფორმაციას ირლანდიის ორივე ნაწილიდან მოიპოვებს; ჰყავს ინფორმატორები როგორც სპეცსამსახურებში, ასევე პოლიციასა და ჯარში. მათ განკარგულებაშია უახლესი ტექნიკა, რადიოაპარატურა და ა.შ. კონტრდაზვერვის მუშაკები კი მოწინააღმდეგის სპეცსამსახურებით, აგენტების აღმოჩენითა და ლიკვიდაციით (რაც არც თუ ისე იშვიათია), აგრეთვე მათი მუშაობის დეზორგანიზაციით არიან დაკავებული.

ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტად IRA დაფინანსებას ღებულობს როგორც ლეგალური, ისე

არალეგალური ბიზნესიდან. მისი საერთო შემოსავალი დაახლოებით 10-16 მილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენს. ამ შემოსავალში ლომის წილი არაკანონიერი გზით ნაშოვნ თანხებზე მოდის. ეს ორგანიზაცია უარს არ ამბობს რაკეტების ყიდვა-გაყიდვაზე, იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერებების კონტრაბანდაზე, ვიდეო და აუდიო მეკობრეობაზე, ბანკების ძარცვაზე, ადამიანთა გატაცებაზე, გამოძალვასა და მსხვილ ბიზნესმენთა შანტაჟზე, ასევე სხვა უკანონო ქმედებებზე. არსებობს აზრი, რომ, თუ IRA, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია თავის საქმიანობას შეწყვეტს, მაშინ მისი სახით მსოფლიოს კარგად ჩამოყალიბებული, ყველაზე ძლიერი მაფიოზური კლანი დარჩება.

ირლანდიელ ტერორისტებს სხვა ქვეყნების ტერორისტებთან და ტერორისტულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირები აქვთ, განსაკუთრებით კი ბასკებისტერორისტულ ორგანიზაცია ETA-სთან („მამული და თავისუფლება“), კორსიკის„არტამაკორსა“-სთან საფრანგეთში.

ტერორისტული ორგანიზაცია „მამული და თავისუფლება“ (**ETA**) _ ბასკების ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც ესპანეთში ბასკების დამოუკიდებლობისთვის იბრძვის. იგი დაარსდა 1959 წელს. არსებობის შესახებ განაცხადა 1968 წელს. გამოდის პროკომუნისტური ლოზუნგებით. 30 წელიწადზე მეტია შეიარაღებულ ბრძოლას ეწევა, რათა ესპანეთის ჩრდილოეთსა და სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთის ზოგიერთ რაიონში ბასკთა დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნას. ესპანეთის ხელისუფალთა მტკიცებით, ამ ორგანიზაციას თავისი საქმიანობის მანძილზე დაახლოებით 800 კაცის სიკვდილისათვის ეკისრება პასუხისმგებლობა, 2003 წლის გაზაფხულ-ზაფხულში ესპანეთში განხორციელებულ აფეთქებათა მთელ სერიაზე პასუხისმგებლობა კი თავად დაჯგუფებამ იკისრა.

ETA-ს კავშირები გააჩნია ბასკთა ბატასუნას პოლიტიკურ პარტიასთან, საიდანაც მისი დაფინანსება ხორციელდება და ირლანდიის „ირა“-სთან. ამფეთქებელთა და მებრძოლთა მომზადება ამ უკანასკნელის ბაზაზე ხდება.

2003 წელს ესპანეთის პარლამენტმა ETA-ს ბატასუნასთან კავშირის გამო გამოიტანა ბატასუნას, როგორც პოლიტიკური პარტიის აკრძალვის დადგენილება, რომელსაც 335 დეპუტატიდან 295-მა მხარი დაუჭირა. ამას ბატასუნას მომხრეების ქუჩებში გამოსვლა მოჰყვა, ხოლო ETA-ს მოთარეშეებმა ესპანეთის საკურორტო ქალაქებში რამოდენიმე აფეთქება განახორციელეს.

"მამული და თავისუფლების" გახმაურებული ტერაქტებია: ესპანეთის პრემიერ- მინისტრის – ლუი ბლასკოს მკვლელობა 1975 წელს. 1996 წელს ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის – ფრანსისკო ტომასა- ი-ვალენსას და მისი პირადი ადვოკატის ფილიპე გონსალეს ფერნანდო მესიკას მკვლელობები. ETA-ს ანგარიშზეა დაახლოებით 800 სხვა მკვლელობაც.

,,პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტი" 1967 წელს 3 პალესტინური ჯგუფისგან შეიქმნა. ეს ჯგუფებია: ,,პალესტინის გათავისუფლების ფრონტი" (აჰმად ჯიბრელი, მოქმედებდა 1961 წლიდან), ,,შურისმაძიებელი ახალგაზრდობა" და ,,დაბრუნების გმირები". ორგანიზაციის პოლიტიკური ლიდერია ჯორჯ

ხაბაში, მისი მოადგილე - პოლიტიკური აქტების დამგეგმავი და ორგანიზატორი კარლოს შამალი.

პ.გ.ს.ფ.-ი 1993 წლიდან პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის წევრია და არაფატის ორგანიზაციის შემდეგ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სამხედრო ორგანიზაციას წარმოადგენს. დასახელებული ორგანიზაცია მარქსისტული იდეოლოგიის ძირითად პრინციპებს ეყრდნობა და ანტიკაპიტალისტურ ქმედებებს ახოციელებს. მას კურსი ებრაული სახელმწიფოს განადგურებისა და ერთიანი არაბული სოციალისტური რევოლუციისკენ აქვს აღებული.

1980 წლიდან ორგანიზაცია ტერორისტული აქტების გარდა, პარტიზანულ ომსაც ეწევა ისრაელის წინააღმდეგ. მათი ე.წ. ბოევიკები ისრაელის კონტროლირებად ტერიტორიებზე შეღწევისას თავს ესხმიან სამხედრო ბაზებს და პოლიციის პოსტებს, ხოცავენ მშვიდობიან მოსახლეობას და პოლიტიკოსებს. 1990 წელს მათ მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად

აიყვანეს 300 მძევალი, რომლებიც შემდგომში გერმანიისა და შვეიცარიის ციხეებში მყოფ თანაორგანიზაციელ ტერორისტებზე გაცვალეს. პ.გ.ს.ფ. დაახლოებით 800-900 ტერორისტს ითვლის, მოქმედების ძირითადი ტერიტორია ისრაელი და ლიბანია, დაფინანსებას კი სირიიდან ღებულობს.

„ჰამასი“ _ (ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა, პალესტინა) დაარსებულია

1987 წლის 14 დეკემბერს შეიხ აჰმედ იასინის მიერ ორი დაჯგუფების (“მუსულმან ძმათა ფრთა“, სექტორ ღაზასა და მდინარე იორდანიის ჩრდილოეთ ნაპირი და „ისლამური ჯიჰადის”, პალესტინა) ბაზაზე, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში, როგორც საქველმოქმედო ორგანიზაციები ფუნქციონირებდნენ.

„ჰამასის“ შტაბბინა თეირანშია განთავსებული, მაგრამ ორგანიზაცია

„ალჯიჰადისაგან“ განსხვავებით, ბრძოლის ტაქტიკისა და სტრატეგიის არჩევაში დამოუკიდებლობას ინარჩუნებს. “ჰამასი” პოლიტიკური (ლეგალური) და სამხედრო (არალეგალური) სტრუქტურებისგან შედგება. სამხედრო ფრთა

„იზედდინ ალ-ყარუმის ბრიგადები”-ს სახელითაა ცნობილი და ტერორისტულ

აქტებს ისრაელის ტერიტორიაზე სწორედ ის ახორციელებს.

პოლიტიკური სტრუქტურის მეშვეობით ორგანიზაცია თავისი იდეების პროპაგანდას ეწევა, მეჩეთებისა და სხვა სოციალურ-კულტურული

აწესებულებების დახმარებით კადრების შერჩევას, მათ გადმობირებასა და, საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო სტრუქტურაში ჩარიცხვას აწარმოებს. სამხედრო სტრუქტურა კი საკუთარ საწრთვნელ ბაზებზე სხვადასხვა ოპერაციის ჩასატარებლად ტერორისტებს ამზადებს.

საქველმოქმედო ორგანიზაციებში, მეჩეთებში, სკოლებში ქმნიან შაჰიდურ რაზმებს, რომელთა წევრებს უნერგავენ, რომ _ „ალაჰისათვის თავგანწირვა და სიკვდილი ყველაზე მოკლე გზაა

სამოთხისკენ“. შაჰიდებს 18-27 წლის ახალგაზრდებს შორის არჩევენ. მათი უმრავლესობა ღარიბი ოჯახის წევრები და ისრაელის ოკუპაციის შედეგად დაზარალებული პირები არიან, რომელთაც პირადი სიძულვილი ამოძრავებთ და იდეოლოგიურ დამუშავებას ადვილად ექვემდებარებიან.

შაჰიდური იდეოლოგიის დამფუძნებლის – აჰმედ ბახას თქმით, შერჩეულ ახალგაზრდებს თვითმკვლელობისთვის კი არა, „ჯიჰადის“ აქციის განსახორციელებლად ამზადებენ. “ყურანი მუსულმანს ნებას რთავს მტრის წინააღმდეგ მსგავსი ქმედება ჩაიდინოს, ალაჰი თანახმაა მტერს დარტყმა მიაყენო, ზუსტად ის ირჩევს გმირს, რომელიც რწმენის გამო სიცოცხლეს სწირავს“.

1991 წელს, ისრაელის სპეცსამსახურების მიერ შეიხ იასინის დაპატიმრების შემდეგ, ორგანიზაციას მისივე მოთხოვნით სათავეში ჩაუდგა მუსა აბუ მარზუკი, რომელიც 1974 წლიდან აშშ-ში ცხოვრობდა და ფინანსური საკითხებით იყო დაკავებული. მან „ჰამასის“ რეორგანიზაცია ჩაატარა, სტრუქტურა დახვეწა და ხელმძღვანელ თანამდებობებზე ახალგაზრდა პირები დანიშნა. მუსა აბუ მარზუკმა გახსნა ფილიალები ევროპაში, აშშ-ში, საუდის არაბეთში, ირანში, იორდანიაში და სხვა ქვეყნებში. მან ორგანიზაციის მიერ ჩასატარებელი ტერაქტების ძირითადი მიზნები განსაზღვრა, რომელიც ისრაელის სამართალდამცავი და ძალოვანი სტრუქტურების დისკრედიტაციასა და მოსახლეობის დემორალიზებაში მდგომარეობდა.

„ჰეზბოლა“ (ალაჰის პარტია) _ ლიბანში 1980 წლიდან ფუნქციონირებს. იგი შიიტური მიმდინარეობის ისლამისტურ-ფუნდამენტალისტური პარტიაა. მისი თავდაპირველი ლიდერი, შეიხ საიდ მუჰამედ ფადლალა ირანული რევოლუციის იდეებს ქადაგებდა. 1982 წლიდან ორგანიზაცია უკვე თანამედროვე სახით ფუნქციონირებს ქ. ბალბეკში. ხელმძღვანელობას ახორციელებს უმაღლესი საკონსულტაციო საბჭო, რომელიც 12 რელიგიური, პოლიტიკური და სამხედრო პირისგან შედგება. ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის დროს მათ შორის რაიმე

წინააღმდეგობის წამოჭრისას საქმის განხილვა თეირანში მთავარ იმამთან გადაინაცვლებს, რომელიც საბოლოო და ურყევ გადაწყვეტილებას იღებს. ორგანიზაციის საქმიანობა ვრცელდება ისეთ ქვეყნებზე, როგორიცაა ირანი, ლიბანი და სხვა. შეიხ იბრაგიმ ალამინის განმარტებით, „ჰეზბოლას“ ბრძოლის მიზანია „ისრაელის განადგურება, იერუსალიმზე ისლამის კონტროლის დაწესება, ლიბანში ირანის მსგავსი ისლამური სახელმწიფოს შექმნა, აშშ-სა და საფრანგეთის სამხედრო და პოლიტიკური გავლენის შემცირება, ყველა არასასურველი ურჯულოს განადგურება“.

1985 წ. ისრაელის სპეცსამსახურებმა ჰუსეინ ფადდალა მოკლეს. მის შემდეგ ლიდერის პოსტი აბას მუსავის ეკავა, ხოლო ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდგომ „ჰეზბოლას“ გენერალური მდივანი დღემდე შეიხი ხასას ნასრულაა, რომელიც სისასტიკითა და ალაჰისადმი ერთგულებით გამოირჩევა. ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და გამოცდილი ტერორისტი ვინმე ისად მუგნიეა, რომელმაც განახორციელა ისეთი ტერორისტული აქტები, როგორიც იყო 1983 წლის 23 ოქტომბერს ამერიკელთა სამხედრო ყაზარმისა (დაიღუპა 240 კაცი) და ლიბანში ფრანგების (დაიღუპა 58 კაცი) აფეთქება.. მასზე ამ ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნაა გამოცხადებული. 1984 წელს „ჰეზბოლას“ მებრძოლებმა ბეირუთში ამერიკის საელჩოს წინააღმდეგ ტერაქტი განახორციელეს, რის შედეგადაც დაიღუპა 24 და დასახიჩრდა 90 ადამიანი. 1985 წლის 14 ივნისს ახლო აღმოსავლეთში მათ ხელში ჩაიგდეს თვითმფრინავი და მისი მგზავრები მძევლად აიყვანეს.

1982 წლისათვის „ჰეზბოლას“ წევრთა რაოდენობა 5000 კაცს შეადგენდა, ამჟამად მათი რიცხვი 22.000 კაცს აღწევს. ტერორისტული საქმიანობისას ის ხშირად გამოდის ისეთი ორგანიზაციების ფსევდონიმით, როგორიცაა „ისლამური ჯიჰადი“, „ისლამური წინააღმდეგობა“ და „მართლმსაჯულების რევოლუციური ორგანიზაცია“. 1990 წელს მათ მიერ 19 ტერორისტული აქტი განხორციელდა,

1991 წ. _ 52, 1992 წ. _ 63, 1994-ში _ 158, 2000 წ. _ 173, ხოლო 2005 წელს _ 189. ისევე, როგორც სხვა ტერორისტული ორგანიზაციების წევრები, „ჰეზბოლას“ მეომრებიც ინტენსიურ იდეოლოგიურ მომზადებას გადიან. „ალაჰი და მხოლოდ ალაჰისათვის სიკვდილი" - ასეთია მათი დევიზი. ორგანიზაცია სხვადასხვა პროისლამური ქვეყნიდან ფინანსდება, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ირანს უკავია. ორგანიზაციის ყოველწლიური შემოსავალი საშუალოდ დაახლოებით 100-130 მლნ. დოლარია, რაც „ჰეზბოლას“ საშუალებას აძლევს, საქველმოქმედო საქმიანობა აწარმოოს და მუსულმან მოსახლეობაში ავტორიტეტი აიმაღლოს.

“ჰესბოლას” ბრძოლის მეთოდების ავტორად ითვლება პიროვნება ფსევდონიმით “ჰაჯ-ჰალილი” (მოქმედების ოსტატი), რომელმაც ჩამოაყალიბა ტერორისტთა ბრძოლის პრინციპები:

- ერიდეთ ძლიერებს, შეუტიეთ სუსტებს; შეუტიეთ და სწრაფად დაიხიეთ უკან;
- საკუთარი მებრძოლების დაცვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოწინააღმდეგისათვის ზიანის მიყენება;
- დარტყმა მიაყენეთ მხოლოდ მაშინ, როცა წარმატება უზრუნველყოფილია, მოულოდნელობა წარმატების პირობაა;
- არ ჩაებათ გაჭიანურებულ ბრძოლაში, მოასწარით უკან დახევა მანამ, სანამ მოწინააღმდეგე თავის უპირატესობას გამოიყენებს;
- მიზნის მისაღწევად საჭიროა ზედმიწევნით იცოდე მოწინააღმდეგის სუსტი ადგილები;
- მუდამ იმოძრავეთ, ნუ განლაგდებით სწორ ხაზზე;
- აიძულეთ მოწინააღმდეგე, მუდამ დაძაბული იყოს როგორც წინა ხაზზე, ასევე ზურგში;
- გზა დიდი გამარჯვებისკენ მრავალ პატარა გამარჯვებაზე გადის;
- შეინარჩუნეთ თქვენი მებრძოლების მაღალი საბრძოლო სულისკვეთება;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დიდი შესაძლებლობები გააჩნიათ, გამოიყენეთ ისინი;
- სურსათის მოპოვების საკითხში ადგილობრივი მოსახლეობა

ფასდაუდებელია;

- მოწინააღმდეგეზე დარტყმის მიყენების შემდეგ თვალს მოეფარეთ და შეისვენეთ, რათა მან ვერ მოახერხოს ძლიერი კონტრდარტყმის განხორციელება.

“ალ-ქაიდა” _ ისლამური ფუნდამენტალისტების ინტერნაციონალური ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა 1988 წელს ებრაელებისა და ქრისტიანების წინააღმდეგ. “ალ-ქაიდა” ახლო აღმოსავლეთში მომხდარ მოვლენებს განიხილავს, როგორც მართლმორწმუნე მაჰმადიანებისა და ურწმუნოების ურთიერთბრძოლას.

დამაარსებელი და ხელმძღვანელი უსამა ბინ ლადენია. მან სამხედრო საქმიანობა ავღანეთის ომში დაიწყო. 1998 წლიდან აქტიურად ჩაება საერთაშორისო ტერორისტულ მოძრაობაში, გარშემო ავღანეთის ომის ვეტერანები შემოიკრიბა და მათზე დაყრდნობით ორგანიზაცია ჩამოაყალიბა.

მიზანი ისლამურ რესპუბლიკებში არსებული ხელისუფლების დამხობა და

შარიათის კანონებზე დამყარებული ისლამური სახელმწიფოების დაარსებაა. მოქმედების ადგილი მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეა.

თავდასხმის ობიექტები აშშ-სა და ისრაელის მოქალაქეები და ობიექტები არიან. განხორციელებული ტერაქტები:• 1995 წელს ეთიოპიაში ბინ ლადენის აგენტები დაეხმარნენ ეგვიპტელ ტერორისტებს ჰოსნი მუბარაქის მკვლელობის მცდელობაში;

• 1995 წელს საუდის არაბეთში ბინ ლადენის ტერორისტებმა განახორციელეს დივერსია აშშ-ის სამხედრო ცენტრზე ერ-რიადში;

• 1998 წელს კენია-ტანზანიაში დივერსია მოაწყვეს აშშ-ის საელჩოზე, რომლის დროსაც დაიღუპა 300-მდე ადამიანი;

• 1998 წლის თებერვალში ბინ ლადენმა გამოაცხადა ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების გაერთიანების (“მსოფლიო ირანული ფრონტი ებრაელებისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ”) ჩამოყალიბების შესახებ. ფრონტის დამაარსებლები აგრეთვე არიან: ზავახერი (“ალ-ჯიჰადი”), რიფაი აჰმად თახა (“ალ-

ჯაამია ალ-ისლამია”) და ზოგიერთი პაკისტანელი ლიდერი. ამგვარად, “ალ-ქაიდას” გარდა, გაერთიანებაში ირიცხება ეგვიპტური “ალ-ჯაამია ალ-ისლამია” და “ალ-ჯიჰადი”, პაკისტანელ სწავლულთა საზოგადოება, “ქაშმირის ამბოხებულთა მოძრაობა”, ბანგლადეშის “ალ-ჯიჰადი”, ავღანური “საბჭო და რეფორმის” მეომარი შტო. თითოეული ეს ორგანიზაცია დამოუკიდებლად განსაზღვრავდა თავდასხმის ობიექტებს. თანამშრომლობა ხორციელდებოდა საომარი ქვედანაყოფების დონეზე, თუმცა, ყველა ორგანიზაცია დამოუკიდებლად მოქმედებდა. “საერთაშორისო ფრონტის” შექმნის შემდეგ აღნიშნულ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა “შურა” – ბინ ლადენის ხელმძღვანელობით. ორგანიზაცია იმართება უფრო მკაცრად, რაც ზრდის საომარი ოპერაციების ეფექტურობასა და საერთაშორისო საქმიანობის მასშტაბებს.

ბინ ლადენის ორგანიზაცია ისწრაფვის, განახორციელოს ტერორისტული აქტები აშშ-ის მოქალაქეებზე მსოფლიოს ყველა კუთხეში. ასეთი ქმედებებით მათ სურთ, ერთი მხრივ, აიძულონ აშშ-ის ხელისუფლება უარი თქვას მუსლიმანური ქვეყნების საქმეებში ჩარევაზე და მეორე მხრივ, ზემოქმედება მოახდინონ სპარსეთის ყურის ქვეყნების მთავრობებზე, რათა მათ უარი თქვან აშშ-ის მხარდაჭერაზე.

ორგანიზაცია ეხმარება მუსულმან ტერორისტებსა და ამბოხებულებს. ბინ ლადენის ავღანელი მეომრები მონაწილეობას იღებენ ინდოეთში, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, დსთ-ში, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიებზე არსებულ შეიარაღებულ კონფლიქტებში.

ბინ ლადენი მხარს უჭერს და ეხმარება მეომრებს ავღანეთში, ალჟირში, ბოსნიაში, ჩეჩნეთში, კოსოვოში, პაკისტანში, სომალიში, ტაჯიკეთსა და იემენში.

კოსოვოს განმანთავისუფლებელი არმია (კგა) _ ეს არის სეპარატისტულ- ნაციონალისტური ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც იუგოსლავიის, ალბანეთის და მაკედონიის ტერიტორიებზე მოქმედებს. მისი ბრძოლის ძირითადი მიზანი

გახლდათ კოსოვოს, როგორც მხარის გათავისუფლება და დამოუკიდებლობის მოპოვება. იგი 1990 წელს ჩამოყალიბდა, უკვე 1996-98 წლებში ფუნქციონირება დაიწყო, როგორც პოლიტიკურ-სეპარატისტული მოძრაობის შეიარაღებულმა ფრთამ, ხოლო როცა მისით ამერიკული და გერმანული სპეცსამსახურები დაინტერესდნენ და დახმარებაც აღმოუჩინეს, კოსოვოს გამათავისუფლებელი არმია დამოუკიდებელ სამხედრო მოძრაობად ჩამოყალიბდა. გარდა ტერორისა, იგი ფართომასშტაბიან პარტიზანულ ომსაც ეწეოდა.

კგა ახორციელებდა შეიარაღებული თავდასხმებს იუგოსლავიის პოლიციის განყოფილებებზე და სამხედრო შენაერთებზე, ანადგურებდა სლავური წარმოშობის სამოქალაქო პირებს, აწყობდა ტერორისტულ აქტებს იუგოსლავიის მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილი ალბანელების წინააღმდეგ, ასევე სჩადიოდა ისეთ კრიმინალური დანაშაულებს, როგორიცაა ყაჩაღობა, ძარცვა, ქონების განადგურება და სხვა. ორგანიზაციის მიზანი ეთნიკურად ერთგვაროვანი ალბანელებით დასახლებული კოსოვოს შექმნა იყო.

„კგა"-ს ტერორისტული საქმიანობა კოსოვოში განსაკუთრებით 1998 წლის დასაწყისიდან გაფართოვდა, მაგ. 1998 წლის 1 იანვრიდან 30 აგვისტოს ჩათვლით

1126 ტერორისტული თავდასხმა განხორციელდა, აქედან პოლიციის განყოფილებებსა და თანამშრომლებზე - 616, სამოქალაქო პირებზე - 510. მოკლეს 74 და დაჭრეს 282 პოლიციელი; ასევე დაჭრეს 81 სამოქალაქო პირი, გაიტაცეს 208 მოქალაქე. ტყვეობიდან გამოქცეულებთან საუბრით ირკვევა, რომ

„კგა"-ს წევრი-ალბანელები გატაცებულებს განსაკუთრებული სისასტიკით ეპყრობოდნენ, სიკვდილის წინ სხვადასხვა არაადამიანური მეთოდით აწამებდნენ, თავიანთი საქმიანობისთვის სხვადასხვა სასროლ იარაღს, ასაფეთქებელ ნივთიერებას, ხელყუმბარებსა და ყუმბარებს, სარაკეტო დანადგარებს, ყუმბარმტყორცნებს, სნაიპერულ შაშხანებსა და მძიმე ტექნიკას იყენებდნენ.

„კგა" ფინანსურ, სამხედრო და პოლიტიკურ დახმარებას იღებს მეზობელი ალბანეთიდან, ისლამური სახელმწიფოებიდან, კერძო პირებისგან, ევროპასა და ამერიკაში მცხოვრები ალბანური დიასპორის წარმომადგენლებისგან, რომლებიც იქ ძირითადად ნარკოტიკების გასაღებითა და იარაღის კონტრაბანდით არიან დაკავებული, ასევე გერმანიის, აშშ-ისა და ინგლისის გარკვეული პოლიტიკური წრეებიდან. ტერორისტთა მოსამზადებელი სამხედრო ბაზა მდებარეობს ალბანეთის ჩრდილოეთ ტერიტორიაზე, სადაც მათი ძირითადი ნაწილი გადის მომზადებას, მაგრამ „კგა"-თვის მებრძოლების მზადება ასევე ავღანეთში, სუდანში, თურქეთში, ლიბანში და ხორვატიაში მიმდინარეობს.

1998 წლის 27 აგვისტოს ტერორისტებმა სოფელ კლეკის ტერიტორიაზე, განსაკუთრებულ არალეგალურ კრემატორიუმში დაწვეს 22 სერბი, რომლებიც წამებით დახოცეს.

„აუმ სენრიკიუ" (იაპონია) _ რელიგიური სექტაა, დაფუძნებულია 1987 წელს იოლო ასახარას მიერ, რომლის ამოცანა იყო ხელისუფლების სადავეების ხელში ჩაგდება ჯერ იაპონიაში, შემდეგ კი მთელ მსოფლიოში. ორგანიზაცია სტრუქტურულად შედგებოდა ე.წ. სამინისტროებისა და სამდივნოსაგან, რომლებიც სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის საფუძველი უნდა გამხდარიყო. 1989 წელს სექტა ოფიციალურად დარეგისტრირდა, 1990 წელს მან მონაწილეობაც კი მიიღო ადგილობრივ არჩევნებში.

„აუმ"-ის ბირთვს შეადგენენ ახალგაზრდა მეცნიერები, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული პირები და შეძლებული ადამიანები, რომელთაც სექტისათვის გარკვეული თანხების გაღება შეუძლიათ. ასახარამ სწორედ ახალგაზრდა ნიჭიერი სპეციალისტების მეშვეობით შექმნა ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის წარმოების ცენტრები. ქიმიურ პრეპარატ „ზარინის" ეფექტურობის გამოცდის მიზნით სექტამ პირველი აქცია მაცუმოტოში განახორციელა, შემდგომში კი ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოსაცდელად უპილოტო

თვითმფრინავების გამოყენება დაიგეგმა. 1995 წელს ტოკიოს პოლიციამ ეჭვი აიღო, რომ სექტა რამოდენიმე მკვლელობის ორგანიზატორი და შემსრულებელი შეიძლებოდა, ყოფილიყო. პოლიციის ყურადღების სხვა მიმართულებით გადატანის მიზნით, „აუმ“-მა 1995 წლის 20 მარტს ტოკიოსა და იოკოჰამას მეტროებში ქიმიური გაზი გაუშვა.

იაპონიაში სექტანტების რაოდენობა 9000 კაცს შეადგენდა, ხოლო მთელ მსოფლიოში მათი რაოდენობა 40000-ს აღწევდა. სექტის განყოფილებები ფუნქციონირებდა ავსტრალიაში, გერმანიაში, რუსეთში, უკრაინაში, აშშ-ში ტაივანში, შრილანკასა და იუგოსლავიაში. მართალია სექტის აკრძალვის შემდეგ მისი მოქმედების მასშტაბები შემცირდა, მაგრამ იგი ამჟამად მუშაობის არალეგალურ რეჟიმზეა გადასული და მის ფუნქციონირებას აკონტროლებენ ის წევრები, რომლებიც მართლმსაჯულებას გადაურჩნენ.

თურქეთი

ერთ-ერთ უმძიმეს პრობლემა, რომელიც თურქეთის ხელისუფლებისა და მთელი მოსახლეობის წინაშე დგას, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა. ეს საკითხი საზოგადოებრიობის განხილვის საგნად განსაკუთრებული სიმწვავით ბოლო პერიოდში იქცა, მას შემდეგ, რაც თურქეთის სპეცდანიშნულების რაზმებმა კენიის დედაქალაქ ნაირობში დააპატიმრეს ქურთ მუშათა პარტიის ლიდერი აბდულა ოჯალანი, რომლის შეიარაღებულ რაზმებთან ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში თურქეთის სამთავრობო საჯარისო ნაწილები 1994 წლიდან აწარმოებდნენ ბრძოლას.

ქვეყნის ხელისუფლების მიერ პირველ ტერორისტად მიჩნეული აბდულა ოჯალანის დაპატიმრებისა და მისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის შემდეგაც, „PPK”-ს ბოევიკების წინააღმდეგ ბრძოლა თურქეთის ხსენებულ რეგიონებში კვლავ მიმდინარეობს.

თურქეთში არსებული ტერორისტული ორგანიზაციები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:

- ქურთული სეპარატისტული ორგანიზაციები;
- რადიკალური მემარცხენე ორგანიზაციები;
- შეიარაღებული ისლამური დაჯგუფებები.

სამივე კატეგორიის ტერორისტული ორგანიზაციების საერთო რაოდენობა ამჟამად რამოდენიმე ათეულს შეადგენს, მათ შორის 15 შეიარაღებული სეპარატისტული დაჯგუფებაა, 33 სხვადასხვა შეიარაღებული ორგანიზაციაა. ისლამურ ბოევიკთა რაზმების რაოდენობა 30-ს აღწევს, საიდანაც 6

შეიარაღებული დაჯგუფებაა, 23 კი რადიკალურ რელიგიურ ორგანიზაციად ითვლება.

ტერორისტული დაჯგუფებების შევსება ძირითადად ახალგაზრდებით ხდება. ამგვარ ორგანიზაციებში უმთავრესად უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები შედიან. ტერორისტული ორგანიზაციების კადრების მნიშვნელოვან წყაროს თურქეთის ორი უდიდესი ქალაქის - სტამბოლისა და ანკარას – უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები შეადგენენ.

თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში ბოლო 15 წლის მანძილზე ბრძოლები მიმდინარეობს სამთავრობო ჯარებსა და „PPK"-ს ბოევიკებს შორის. ბოლო წლებში „PPK" შეეცადა შეტაკებების არეალი აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის რაიონების ხარჯზე გაეფართოვებინა. ქურთისტანის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ორგანიზაციების დიდი ნაწილი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის გარდა, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისათვის იბრძვის; სხვა კატეგორიის შეიარაღებული დაჯგუფებების შესახებ კი შეიძლება შემდეგი ითქვას:

- თურქეთში მემარცხენე ორგანიზაციების უმეტესობა აქტიურ მოღვაწეობას

80-იან წლებამდე ეწეოდა. ამ არალეგალური მარქსისტულ-ლენინისტური

პარტიების (რომლებიც დიდი ხანია იატაკქვეშა მოღვაწეობას ეწევიან) საბოლოო მიზანია ქვეყანაში კომუნისტური წყობის დამყარება. ქვეყნის პოლიტიკურ

ცხივრებაში სამხედროების ჩარევის შემდეგ მათმა ერთმა ნაწილმა დასავლეთს, კერძოდ ევროპას მიაშურა.

- რაც შეეხება ისლამურ შეიარაღებულ ორგანიზაციებს, მათი გაძლიერება უმთავრესად 80-იან წლებში მოხდა. ისლამური მიმდინარეობის ლიდერები საბოლოო ჯამში მიზნად ისახავენ რესპუბლიკური თურქეთის წყობის შეცვლას ისლამური, შარიათული რეჟიმით. რადიკალური ისლამის გააქტივების გარე ფაქტორად, პირველ რიგში, მეზობელი ირანის გავლენა უნდა დასახელდეს.

ტერორისტულად მიჩნეული ორგანიზაციების წინაღმდეგ იბრძვიან არამარტო ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოები, არამედ, რიგ შემთხვევაში, პოლიტიკური პარტიების გასამხედროებული აქტივისტებიც. ამ მხრივ აღსანიშნავია წარსულში თურქეთის ნაციონალისტური მოძრაობის ორგანიზაციის – „რუხი მგლების" აქტივისტების სასტიკი ანგარიშწორებები უკიდურესი მემარცხენე იდეების გამტარებელი ორგანიზაციის წევრების მიმართ.

ქურთული ტერორისტული ორგანიზაციებია:

- ქურთ მუშათა პარტია;
- ქურთისტანის სოციალისტური პარტია;
- ჩრდილოეთ ქურთისტანის დემოკრატიული პარტია;
- ქურთისტანის ხსნის პარტია;
- ქურთისტანის პროლეტარული კავშირი;
- ქურთისტანის ისლამური კავშირი;
- ქურთისტანის ეროვნული ხსნის პარტია;
- ქურთისტანის სოციალისტური მოძრაობა;
- ქურთისტანის ეროვნული მხსნელები;
- სოციალისტური ბრძოლა;
- ქურთისტანის გაერთიანებული სახალხო პარტია;
- ჩვენი თავისუფლების ორგანიზაცია;
- ჩემი მასწავლებელი სოციალისტური პარტია;
- ზაზაისტანის გზა;

მარქსისტულ-ლენინისტური ტერორისტული ორგანიზაციებია:

- მემარცხენე-რევოლუციური ორგანიზაცია;
- რევოლუციური გზა;
- მოჩქარენი;
- მარქსისტულ-ლენინისტური პროპაგანდის შეიარაღებული კავშირი;
- წინააღმდეგობის მოძრაობა;
- მემარცხენე-დემოკრატ მუშათა მოძრაობა;
- სახალხო-დემოკრატიული კომუნისტური პარტიის ფრონტი;
- თურქეთის მუშათა და გლეხთა ხსნის ორგანიზაცია;
- თურქეთის კომპარტიის მარქსისრულ-ლენინისტური სათათბირო;
- თურქეთის კომპარტიის მაქსისტულ-ლენინისტური კავშირი;
- ოქტომბერი;
- თურქეთის დემოკრატიული კომპარტია;
- თურქ მუშათა კომუნისტური კავშირი;
- თურქ კომუნისტ მშრომელთა პარტია;
- თურქ კომუნისტ მშრომელთა ლიგა;
- ქურთისტანის კომპარტია;
- ქურთისტანის წინააღმდეგობის მოძრაობა;
- თურქეთის კომუნისტური პარტია;
- თურქეთის დემოკრატიული პარტია;
- მარქსისტულ-ლენინისტური კომპარტია;
- 16 ივნისის მოძრაობა;
- რევოლუციური დარაზმულობა;
- მეოთხე მემარცხენე ორგანიზაცია.

შეიარაღებული ისლამისტური რეაქციული ორგანიზაციები და დაჯგუფებებია:

- ჰეზბოლაჰური მოძღვრების დაჯგუფება;
- ისლამისტური მოძრაობის ორგანიზაცია;
- დიდი აღმოსავლეთის ისლამურ მარბიელთა ფრონტი
- ისლამური საკრებულოებისა და საზოგადოებების კავშირი;
- ვარსკვლავი;
- ორიენტაცია;

- ჰეზბოლას ერთობა;
- ჰეზბოლას მოწვევა;
- ჰეზბოლას ვაკე;
- უღელტეხილი;
- დედამიწა;
- მკვდრეთით აღდგომა;
- ერთობის ბირთვი;
- ნათესი;
- განთიადი;
- სესხი;
- მუსულმანი ძმა;
- ერთობა/სალამი;
- ღვთის ლაშქარი;
- მემკვიდრეები;
- მალათიელები;
- საღვთო ომი;
- საკუთარი მეობისაკენ დაბრუნება;
- ვაჰაბიტი;
- აბისინიელი;
- ღმერთთან შერწყმა.

ქურთ მუშათა პარტია (PKK) _ პოლიტიკურ-ტერორისტული ორგანიზაციაა. ჩამოყალიბდა 1978 წელს. დამაარსებელი და ხელმძღვანელი აბდულა ოჯალანია.

1984 წელს PKK–მ ომი გამოუცხადა თურქეთს. საწყის ეტაპზე ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენდა ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა,

1990 წლიდან კი _ ავტონომიის მოპოვება. იდეოლოგიურად მარქსისტული ორგანიზაციაა ქურთული სპეციფიკით. მოქმედების ადგილია თურქეთი და ევროპა. შტაბბინა მდებარეობს დამასკოში. სტრუქტურა წარმოდგენილია ქურთისტანის ნაციონალურ-გამათავისუფლებელი ორგანიზაციითა დაქურთისტანის სახალხო გამათავისუფლებელი არმიით. მებრძოლთა რაოდენობა

4000-მდეა. თავდასხმის ობიექტებს წარმოადგენენ: თურქი ჩინოვნიკები,

პოლიტიკოსები, დიპლომატები, ბიზნესმენები და უცხოელი ტურისტები.

ბრძოლის მეთოდებია პარტიზანული ომი და ტერაქტები. კონტაქტები აქვთ სომხურ იატაკქვეშა ორგანიზაციებთან. ფინანსდებიან ქურთი მოსახლეობისგან მოკრებილი „რევოლუციური გადასახადით", ასევე ნარკობიზნესის შემოსავლებით.

PKK-ს მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტებია:

- 1993 წელს ჩატარებული 4000 შეიარაღებული აქცია;
- 1993 წლის ივნისში ევროპაში მოწყობილი ტერაქტების სერია თურქი დიპლომატებისა და ბიზნესმენების წინააღმდეგ;
- 1995 წელს ჩატარებული 411 წარმატებული ოპერაცია. ამავე წელს პოლიციამ გაანადგურა ორგანიზაციის 1000 მებრძოლი, რის გამოც პარტიის აქტიურობა შენელდა.

1999 წელს დააპატიმრეს აბდულა ოჯალანი, რომელსაც სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა (განაჩენი დღემდე არ არის სისრულეში მოყვანილი).

"რუხი მგლები" _ ნაციონალისტურ-პანთურქისტული მოძრაობის ახალგაზრდული ორგანიზაცია. შეიქმნა 1958 წელს თურქეთში.

მიზანი: თურქული ზეგავლენის გაძლიერება და დიდი თურქული სახელმწიფოს შექმნა.

მოქმედების ადგილი: აზერბაიჯანი და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა თურქულენოვანი რესპუბლიკები.

რაოდენობა: 200 000 წევრი (1980 წლის მონაცემებით).

კონტინგენტი: წვრილი ბურჟუაზია, სტუდენტები, გლეხები, მუშები. ორგანიზაცია პოპულარული გახდა რომის პაპზე – იოანე პავლე II-ზე თავდასხმის შემდეგ. 1981 წელს ორგანიზაციის საქმიანობას ბოლო მოუღო სამხედრო ხელისუფლებამ, თუმცა 2000 წლიდან ამ ორგანიზაციის რეანიმაციის ნიშნები შეინიშნება.

მემარცხენე რევოლუციური ორგანიზაცია _ „დევრიმჯი სოლ" _

პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა 1978 წელს მას შემდეგ, რაც გამოეყო „თურქი ხალხის თავისუფლების ფრონტს".

მიზანი: ეროვნულ-პოლიტიკური რევოლუცია თურქეთში.

იდეოლოგია: მარქსისტული.

მოქმედების ადგილი: თურქეთი (ანკარა, იზმირი, ადანი).

შტაბბინა: ანკარა.

რაოდენობა: ათასამდე წევრი, ძირითადად ყოფილი სამხედროები;

თავდასხმის ობიექტები: აშშ-ის, თურქეთისა და ნატო-ს სამხედრო ობიექტები, თურქეთის უშიშროების, პოლიციისა და სამხედრო ოფიცრები.

ბრძოლის მეთოდი: შეიარაღებული თავდასხმები, მკვლელობები, ტერაქტები ქალაქის ტერიტორიაზე, მოქალაქეთა გატაცება, ძარცვა.

კონტაქტები: პალესტინის ტერორისტული ორგანიზაციები, ELA, ELN, ETA, თურქი ემიგრანტები ევროპაში.

დაფინანსება: რადიკალური პალესტინელები, თ , თურქი ემირატები, მოსახლეობის ძარცვითა და გამოძალვით მოპოვებული შემოსავლები.

განხორციელებული ტერორისტული აქტები:

- 1981-83 წლებში განახორციელეს თავდასხმები ნატო-ს სამხედრო ბაზებზე

თურქეთში;

- 1991 წელს მოაწყვეს ტერაქტები თურქეთის უშიშროებისა და პოლიციის

თანამშრომლებზე (დაიღუპა 30 პოლიციელი);

- 1992-95 წლებში მოაწყვეს თავდასხმა ორ ამერიკელ და ერთ ბრიტანელ ბიზნესმენზე.

ირანი

ირანში არსებული პოლიტიკური ვითარება შემდეგნაირად შეიძლება დახასიათდეს. ქვეყანა დაყოფილია ორ პოლიტიკურ ბანაკად:

1. რეფორმატორებად, რომლებიც პარლამენტში

უმრავლესობას წარმოადგენენ, მაგრამ ვერ ფლობენ ქვეყნის მართვის რეალურ სადავეებს და არ გააჩნიათ მიზნად დასახული რეფორმების გატარების შესაძლებლობა.

2. კონსერვატორებად, რომელთაც აქვთ ისლამურ-ფუნდამენტალისტური ორიენტაცია, აკონტროლებენ ირანის ძალოვანი სტრუქტურების ნაწილს, აქვთ მჭიდრო ურთიერთობა ტერორისტულ ორგანიზაციებთან, აფინანსებენ და კოორდინაციას უწევენ მათ.

ამ უკანასკნელთა გამო თეირანში გაიზარდა ტერაქტების რიცხვი უმაღლესი ხელისუფლების რეფორმატორი წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომლებიც სავარაუდოდ ერაყში ბაზირებული ტერორისტული ორგანიზაციის –

„mojahedine halye iran"-ის განხორციელებულია.

მოჯაჰედინე-ჰალყა ირან (ირანის მართალი საქმისათვის მებრძოლები). ორგანიზაცია შეიქმნა 1965 წელს. იგი აგროვებდა ინფორმაციას უშიშროებისა და სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური სამსახურის თანამშრომლების შესახებ.

1970 წლიდან "მებრძოლების" აქტიურობა გაიზარდა. 1971-72 წლებში

დააპატიმრეს ორგანიზაციის მრავალი წევრი. დანარჩენმა წევრებმა კი კვლავ განაახლეს მუშაობა, ჩაატარეს ოპერაციები მრავალ ქალაქში და დაიწყეს გაზეთ "ჯანგშალის" გამოშვება. 1975 წლიდან ორგანიზაციის სათავეში დროებით მოვიდნენ მარქსისტი ლენინელები, რომლებმაც კურსი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნაზე აიღეს.

ორგანიზაციის ტერორისტული საქმიანობის ბოლო ეტაპი ემთხვევა ირანის ისლამური რევოლუციის პერიოდს. ორგანიზაცია მხარს უჭერდა ხომეინსა და ანტიამერიკულ საქმიანობას, თუმცა რევოლუციის შემდეგ ორგანიზაცია უკიდურესად ოპოზიციურად განეწყო ხომეინის რეჟიმის მიმართ და დაიწყო ტერორისტული აქტების განხორციელება რევოლუციის ლიდერების მიმართ, ამიტომ ყველა ზომა იქნა მიღებული ორგანიზაციის გასანადგურებლად.

დამაარსებლები: შაჰის რეჟიმით უკმაყოფილო თეირანის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. კერძოდ, მოჰამედ ხანიფნეჯადი, საედ მოსხენი, ალი ასღარ ბაადი ზადეგანი, აჰმედ რეზაი.

მიზანი: ბრძოლა შაჰის რეჟიმის, კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

სტრუქტურა: საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახური, შეიარაღებული დაჯგუფებები.

რაოდენობა: 2000 წევრი. განხორციელებული ტერაქტები:

- აფეთქებების სერია ნიქსონის თეირანში ვიზიტის დროს 1972 წელს;
- ირანის ისლამური რესპუბლიკური პარტიის შტაბბინის აფეთქება 1981 წელს (დაიღუპა 64 ადამიანი);
- 1982 წელს თეირანში განხორციელებული აფეთქებები, რის შედეგადაც დაიჭრა 60, ხოლო დაიღუპა 12 ადამიანი;
- ირანის პოლიციის შეფზე თავდასხმა 1982 წელს;
- ირანის საელჩოებზე თავდასხმები 13 სხვადასხვა ქვეყანაში 1992 წელს.

1982 წელს ორგანიზაცია გადავიდა იატაკქვეშა პოლიტიკურ საქმიანობაზე; ამჟამად ის აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში და ეწევა ირანის ხელისუფლების საწინააღმდეგო საქმიანობას.

ცნობილია, რომ ირანი მართავს და ხელს უწყობს ტერორისტულ ორგანიზაციებს: „ჰეზბოლას", „ალ ჯიჰადს" და სხვებს, რომლებიც მოქმედებენ აშშ-ის და დასავლეთ ევროპის მიერ გატარებული პოლიტიკის წინააღმდეგ. მათი აქტიურობა შესამჩნევია იმ რეგიონებში, სადაც დასავლეთი თავისი ინტერესების განხორციელებას ცდილობს. მაგალითად: იირ-ის(ირანის ისლამური რესპუბლიკის) კლერიკალური მთავრობა ცდილობს ხელი შეუშალოს ტრასეკას პროექტის განხორციელებას. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციები გამოჩნდნენ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. მათი საშუალებით ირანი შეეცდება ტერაქტები

განახორციელოს არასასურველ პოლიტიკური მოღვაწეების წინააღმდეგ, ასევე სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებზე და ა.შ. ირანის შეიარაღებულ ძალებში ფუნქციონირებს სპეცდანიშნულების ორგანიზაცია ,,ყოდოს''-ი, რომელსაც საზღვარგარეთის ქვეყნებში სპეციალური ღონისძიებების გატარება ევალება. მისი ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს შიიტური ისლამის

,,ექსპორტს'' მსოფლიოში. ,,ყოდოსს'' აქვს რეზიდენტურები მსოფლიოს 80-მდე ქვეყანაში. ისინი განსაკუთრებული აქტიურობით მუშაობენ ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონებში, ასევე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. გარდაამისა, სწორედ ამ ქვედანაყოფს გააჩნია მჭიდრო ურთიერთობები ტერორისტულ ორგანიზაციებთან და ხშირ შემთხვევაში კოორდინირებას უწევს მათ საქმიანობას. ოფიციალური თეირანი მატერიალურად და ფინანსურად ეხმარება ისეთ ტერორისტულ დაჯგუფებებსაც, რომელთაც არ აქვთ ისლამურ-ფუნდამენტალისტური ორიენტაცია. ასეთია, მაგალითად, ქურთ მუშათა პარტია (PKK). ხშირია შემთხვევები, როდესაც ტარორისტული დაჯგუფებების ლიდერები ირანის მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრებს აწარმოებენ.

ალჟირი.

“ხსნის ისლამური ფრონტი” - ალჟირული ფუნდამენტალისტი ისლამისტების პარტიაა. დაარსდა 1989 წელს აბას მადანის ხელმძღვანელობით. 1991 წელს მოიპოვა გამარჯვება პარლამენტის არჩევნების პირველ ტურში. 1992 წელს მთავრობამ აკრძალა ფრონტის საქმიანობა, რის შედეგადაც ორგანიზაციამ ტერორისტულ საქმიანობას მიჰყო ხელი.

ეგვიპტე.

“მუსულმანთა საძმო” – ისლამისტთა საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. დაარსდა ჰასან ალ-ბანას ხელმძღვანელობით.

“ისლამური ჯიჰადი” – არსებობის შესახებ განაცხადა 1977 წელს. 1995 წელს განახორციელა უშედეგო თავდასხმა ეგვიპტის პრეზიდენტზე ჰოსნი მუბარაქზე. ორგანიზაციის ლიდერია შეიხი

ომარ აბდულ რახმანი, რომელიც გასამართლდა აშშ-ში. ორგანიზაციის ადგილსამყოფელია სუდანი.

შრი-ლანკა.

“თალიბ ისლამის გამათავისუფლებელი ვეფხვები” – არსებობის შესახებ განაცხადა 1983 წელს. იბრძვის ჩრდილო-აღმოსავლეთ შრი-ლანკის ავტონომიის მოთხოვნით. 1995 წელს მათ მიერ მოწყობილი აფეთქების შედეგად დაიღუპა 100 ადამიანი. ოფიციალური მონაცემებით, 1983 წლიდან დღემდე შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად 50 000-მდე მოქალაქეა დაღუპული.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ტერორისტული ორგანიზაციები ხელახლა აღმოცენებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებშიც ჩამოყალიბდა განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

რუსეთი

მსოფლიო ტერორიზმის ექსპერტების თვალსაზრისით, პოლიტიკური ტერორის სამშობლოდ რუსეთი ითვლება, თუმცა ტერორიზმის “პიონერები”, ამ ცნების თანამედროვე გაგებით, XIX საუკუნის იტალიელი კარაბინერები იყვნენ. სწორედ მათგან გადმოიღეს ორგანიზაციული მეთოდები და სტრუქტურა რუსული “ნაროდნაია ვოლია”-ს ექსტრემისტული ფრთის წარმომადგენლებმა, მოგვიანებით კი მემარჯვენე თუ მემარცხენე სოციალისტმა რევოლუციონერებმა. რუსი ტერორისტების ყველაზე დიდი წარმატება XIX საუკუნის ბოლოს იმპერატორ ალექსანდრე II-ზე განხორციელებული თავდასხმა იყო, რითაც მათ მოახერხეს მძლავრი დარტყმა მიეყენებინათ სახელმწიფოს პოლიტიკური სტრუქტურისათვის. რუსი ტერორისტების ხელით დაიღუპა იმ დროისათვის ცნობილი არაერთი ადამიანი, მათ შორის ქვეყნის პრემიერი და შსს მინისტრი სტოლიპინი (1911 წ.). აღსანიშნავია, რომ ტერორისტები ვერ მოახერხებდნენ ცნობილ პოლიტიკოსებზე თავდასხმების განხორციელებას საიდუმლო პოლიციის აქტიური მხარდაჭერის გარეშე: ესერთა სამხედრო სტრუქტურას მეფის “ოხრანკის” აგენტი აზეფი მეთაურობდა, სტოლიპინი კი საიდუმლო პოლიციის თანამშრომელმა, ბოგროვმა დაჭრა სასიკვდილოდ.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ განხორციელდა არაერთი ტერორისტული აქტი. მაგალითად, სუკ-ის მომავალმა გენერალმა სუდოპლატოვმა როტერდამში ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატენილი კანფეტების ყუთი "მიართვა" უკრაინელი ნაციონალისტების ლიდერს

– კონოვალეცს (1938წ.); რამონ მერკადელმა მეხიკოში მოკლა ლევ ტროცკი, რისთვისაც მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა (1940 წ.).

სსრკ-ის დაშლის შემდეგ რუსეთის ტერიტორიაზე დაფიქსირდა პოლიტიკურად მოტივირებული ტერორისტული აქტების მრავალი შემთხვევა, ამასთან ერთად, კრიმინალური ტერორიზმი რუსეთისთვის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად იქცა.

1991 წლისათვის ყოფილ სსრკ-ში შეტაკებების შედეგად დაიღუპა დაახლოებით 1500-1700 ადამიანი (მათ შორის 100-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე და შსს-ს მუშაკი), დაიჭრა 10 000 კაცზე მეტი.

თუ 70-80-იან წლებში ტერორისტები უმეტესწილად ცალკეულად მოქმედი ან ხშირად ფსიქიკურად დაავადებული ფანატიკოსები იყვნენ, 90-იანი წლების

დასაწყისისთვის აღმოცენდა რიგი ორგანიზაცია, რომლებიც შეიარაღებული (ფაქტობრივად ტერორისტული) ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. 1990-93 წლებში სერიოზული ცვლილებები მოხდა ტერორისტთა შეიარაღებასა და ბრძოლის ტაქტიკაში. თუ ადრე ტერორისტები თვითნაკეთ ცეცხლსასროლ იარაღსა და ასაფეთქებელ ნივთიერებებს იყენებდნენ, 90-იანი წლების დასაწყისში მათ უახლესი შეიარაღება გაუჩნდათ, რამაც ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოები ახალი ამოცანების წინაშე დააყენა. ამ ამოცანათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ბრძოლამ კრიმინალური შეიარაღებული დაჯგუფებების წინააღმდეგ. ექსპერტთა აზრით, 1994 წლისათვის მათ რიგებში ირიცხებოდა 200-

300 ათასი კაცი, რაც დაახლოებით სამართალდამცავი

ორგანოების მუშაკთა რაოდენობას უტოლდებოდა.

1992 წლიდან რუსეთში ფართოდ გავრცელდა შეკვეთილი მკვლელობების რიცხვი. ტერორისტების საბრძოლო-პროფესიული მომზადების დონე ამ დროისათვის საგრძნობლად გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთში ტერორიზმის გააქტივების პერიოდში (1991-94 წ.წ.) არასაკმარისად გაანალიზებული და არარაციონალური რეფორმები განხორციელდა თავდაცვისა და სამართალდამცავი ორგანოების სისტემებში, რაც შესაძლებელია, გამოწვეული იყო საზოგადოებრივი საფრთხის არაადექვატური შეფასებით. ამის შედეგად ტერორიზმმა საკმაოდ სოლიდური "ფორა" მიიღო სამართალდამცავებთან შედარებით: 1992-94 წლებში "უფს"-სა და შსს-ს ოპერთანამშრომელთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. ამავე დროს, 1995 წლისთვის სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომელთა 63%-ის ოპერატიული მუშაობის გამოცდილების სტაჟი 5 წელს არ აღემატებოდა.

რუსული ტერორიზმის დახასიათებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ რუსეთში ორგანიზებული დანაშაულობის უპრეცენდენტო ზრდის ტენდენცია. მსგავსი ორგანიზებული ჯგუფების ქმედებებს ხშირ შემთხვევაში ტერორისტული ელფერი ჰქონდა. ისინი ფართოდ იყენებდნენ თავიანთ საქმიანობაში აფეთქებებს, მძევლად აყვანას, დაშინებას ან ფიზიკურ ლიკვიდაციას, ახორციელებდნენ შეკვეთილ მკვლელობებს (ჟურნალისტ ვლ. ლისტიევის მკვლელობაში "სოლნცევოს"დაჯგუფებაა ეჭვმიტანილი).

ბოლო პერიოდში რუსეთში აქტუალური გახდა მემარცხენე-რადიკალურ დაჯგუფებათა ტერორიზმის პრობლემა. მემარცხენე-რადიკალები

განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდნენ 1997 წელს, როდესაც მათ მრავალი ტერორისტული და დივერსიული აქტი განახორციელეს. მემარცხენე- რადიკალების აქტივიზაციას ხელი შეუწყო 1990 წლის მეორე ნახევარში მათ რიგებში დიდი რაოდენობით ახალგაზრდების ჩაბმამ. მათი მცირე დაჯგუფებები

გამაფრთხილებელ ხასიათის ტერაქტებს ახორციელებდნენ.

მემარცხენე-რადიკალური ტერორისტული ორგანიზაციებია:

“ახალგაზრდული რევოლუციური კომუნისტური კავშირი”.

ხელმძღვანელი: იგორ გუბკინი.

მიზანი: რუსეთის ფედერაციის მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოწყობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება საბჭოთა ხელისუფლების აღდგენით; მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ჩამოყალიბება.

იდეოლოგია: მემარცხენე რადიკალიზმი. შტაბბინა: ქ. მოსკოვი. სტრუქტურა: შეიარაღებული დაჯგუფება.რაოდენობა: 500 კაცი. ბრძოლის მეთოდი: შენობა-ნაგებობების აფეთქება.

განხორციელებული ტერაქტები:

- 1997 წელს მეფე ნიკოლოზ II-ის ძეგლის აფეთქება;
- 1997 წელს სამეფო ოჯახის წევრების საფლავების აფეთქება ვაგანკოვოს სასაფლაოზე;
- 1997 წელს პეტრე I-ის მშენებარე ძეგლის დანაღმვა;
- 1997 წელს სამრეწველო ობიექტის დანაღმვა მოსკოვის ერთ-ერთ რაიონში;
- 1999 წელს თავდასხმა აშშ-ის საელჩოზე მოსკოვში;
- 1999 წელს აფეთქების მოწყობა აშშ-ის საკონსულოს მიმდებარე ტერიტორიაზე ეკატერინბურგში.

“ახალი რევოლუციური ალტერნატივა”

მიზანი: პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება.

იდეოლოგია: მემარცხენე რადიკალიზმი. შტაბბინა: ქ. მოსკოვი.

სტრუქტურა: შეიარაღებული დაჯგუფება. რაოდენობა: 80-100 კაცი.

ბრძოლის მეთოდი: შენობების აფეთქება. განხორციელებული ტერაქტები:

- 1996 წელს ოსტანკინოს სამხედრო კომისარიატის აფეთქება მოსკოვში;
- 1997 წელს ჩერიომუშკის სამხედრო კომისარიატის დანაღმვა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე თავი იჩინა სხვადასხვა სახის რელიგიურმა და ეთნიკურმა შეიარაღებულმა დაპირისპირებამ, რომელთაც

ძირითადად პოლიტიკური მოთხოვნები ედო საფუძვლად. ამ მხრივ მსოფლიო მასშტაბის ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილად დღემდე ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონი მიიჩნევა. იქ განვითარებულმა მოვლენებმა და საბრძოლო მოქმედებებმა სათავე დაუდო რეგიონში სხვადასხვა სახის უკონტროლო შეიარაღებული დაჯგუფებების, ტერორისტული ორგანიზაციების, ცალკეული ტერორისტების თავმოყრას.

ჩრდილოეთ კავკასია

ჩრდილოეთ კავკასიისთვის ყველაზე აქტუალური ჩეჩნური ტერორიზმია.

ჩეჩნური ტერორიზმი საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის პერიოდში გამოვლინდა. 1994-96 წლებში კრიმინალების მოქმედება მთლიანად განისაზღვრა ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანთა გატაცებებით, რამაც მასიური ხასიათი მიიღო. ცალკეული კლანის წარმომადგენლები ამ საქმით თავს ირჩენდნენ. ასეთები, მაგალითად, იყვნენ ძმები ახმადოვები (9 ძმა ახმადოვი). დაჯგუფებას დაახლოებით 700 კაცი ჰყავდა გატაცებული და გადამალული. ამის შემდეგ გახშირდა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციები, ისეთები, როგორიც იყო

1995 წლის ზაფხულში ბუდიონოვსკში, დეკემბერში ყიზლარ-პერვომაისკში და სხვა, სადაც მრავალი ადამიანი დაიღუპა. ჩეჩნურმა ტერორიზმმა საერთაშორისო ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც ჩეჩნური წარმოშობის მ. თოქჩანიანმა სხვა ტერორისტებთან ერთად თურქეთში, ქ. სტამბოლში რუსული სამგზავრო გემი

„ავრასია“ ხელში ჩაიგდო და ჩეჩნეთიდან რუსების ჯარის გაყვანის მოთხოვნა

წამოაყენა. ამას რუსეთის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტები მოჰყვა: 1996 წლის 26 ივნისს _ ქ. მინვოდში, 1997 წლის 28 აპრილს _ პიატიგორსკში და არმავირში, 1997 წლის ზაფხულში _ მოსკოვი-პეტერბურგის მატარებელში, 1998 წელს _ ორი ტერაქტი მოსკოვის საზოგადოებრივ ტრანსპორტში, 2000-2003

წლებში _ ქ. გროზნოში (მრავალი აფეთქება, მათ შორის

პოლიციის შენობაშიც კი).

2002 წელს მოსკოვში ტერორისტები ერთ-ერთი თეატრის, „ნორდოსტის“ აფეთქებას შენობაში შეტანილი იარაღითა და შეყვანილი „კამიკაძეებით“, მათ შორის ქალი _ „კამიკაძეებით“, სპექტაკლის მსვლელობის დროს აპირებდნენ. რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა ტერორისტების ლიკვიდირება მოახერხა, მაგრამ დაიღუპა მრავალი უდანაშაულო ადამიანიც, მათ შორის ქალები და ბავშვები.

ტერორისტული აქტი ქ. ბესლანშიც განხორციელდა.

ჩეჩენი ტერორისტები მომზადებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ ტერორისტების მოსამზადებელ ბაზებზე გადიან ეს ქვეყნებია: ავღანეთი, იორდანია (ხატაბიც წარმოშობით იორდანიიდან იყო), პაკისტანი, არაბეთის ემირატები. ეს ბაზები საერთაშორისო ტერორიზმის განთქმული ორგანიზატორისა და სპონსორის, უსამა ბინ ლადენის მიერ კონტროლდება. თავიანთი ზრახვების განსახორციელებლად მუსულმანური ექსტრემისტული ორგანიზაციების წარმომადგენლები იყენებენ კარგად ორგანიზებულ საბანკო ქსელს, სადაც ფულადი თანხების მოძრაობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის სახელით, მათ საფარქვეშ ხდება. ასეთი საფინანსო ორგანიზაციები გამომჟღავნებულია ეგვიპტეში, თურქეთში, პაკისტანში, გერმანიაში, ინგლისში, აშშ-ში და შვეიცარიაში. იყო მცდელობა საქართველოშიც, მაგრამ 2000 წელს ორგანიზაცია „ალ-ჰარამაინის“ (საერთაშორისო-საქველმოქმედო ორგანიზაცია) ლიკვიდაცია და მისი ლიდერის, იორდანიის მოქალაქე აბუ საიდ ლახთარის ქვეყნიდან გაძევება მოხდა.

ჩეჩნური ტერორიზმი სუფთა პოლიტიკურ_ნაციონალისტური სახეობის არ გახლავთ. ნიშანდობლივია, რომ ბოლოს იგი უფრო რელიგიურისკენ გადაიხარა. ვაჰაბიზმის თვალსაზრისით, ისლამს გაწმენდა, მის სათავეებთან დაბრუნება და იმ სახის საზოგადოებრივი ურთიერთობების დაბრუნება სჭირდება, რომელიც მოციქულ

მუჰამედის დროს არსებობდა. ამ მიზნის მიღწევისთვის ვაჰაბიტებისთვის ორი გზა არსებობს: (1) დარწმუნება და (2) ძალის გამოყენება. ყოფილ საბჭოთა სივრცეში, უპირველესად ჩრდილო კავკასიაში, ცენტრალურ აზიაში, მუსულმანებით დასახლებულ სხვა რეგიონებში ორივე მეთოდი ფართოდ გამოიყენება.

განვიხილოთ ზოგიერთი ჩეჩნური ტერორისტული დაჯგუფება და მათი ლიდერები.

"გენერალ დუდაევის არმია".

რეგისტრირებულია ჩეჩნეთის რესპუბლიკის – იჩქერიის იუსტიციის სამინისტროს მიერ 1996 წელს "საერთო კავკასიური ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის" სახელწოდებით. 1997 წლის ივნისში იგი აიკრძალა პრეზიდენტ მასხადოვის ბრძანებით, თუმცა არსებობას მაინც განაგრძობდა.

‚არმიის" მეთაური: ბრიგადის გენერალი სალმან რადუევი.

რაოდენობა: 1996 წ. – 500-800 ადამიანი, 1998 წლის ბოლოსთვის 2000-3000 კაცი (თვითშეფასებით, შემადგენლობის მუდმივი რაოდენობა 5000, ხოლო სამობილიზაციო რაოდენობა 4000 მებრძოლით განისაზღვრებოდა). "არმიის" ცოცხალი ძალა დაკომპლექტებული იყო ნოჟაი-იურთია და გუდერმესის ტეიპების, შელკოვოს და ნაურის რაიონების ზოგიერთი ტეიპის წარმომადგენლებისგან. საველე მეთაურები: ვახა ჯაფაროვი, სულთან მინაევი, სულეიმანი ("კომისარი"). შტაბი (დისლოკაციის ადგილი) - ქ. გუდერმესი, ქ. გროზნო.

სტრუქტურა:

- ჩეჩენთა სამხედრო რაზმები (ცვალებადი შემადგენლობის ტაქტიკური

ჯგუფები ე.წ. "ბატალიონები" და "ასეულები");

- კავკასიელთა სამხედრო რაზმები (ინგუშეთის, ყაბარდოელების, ოსების,

ნოღაელების "პოლკები");

- სპეცდანიშნულების ჯგუფი "მარტოხელა მგელი"(200 კაცი);
- "სიკვდილმისჯილთა" ჯგუფი (40 კაცი);
- ცალკეული რეაქტიული "დივიზიონი";

- დაზვერვის, კონტრდაზვერვის, განსაკუთრებული დანიშნულების განყოფილება და ანალიტიკოსთა ჯგუფი;
- შიდა უშიშროების სამსახური და პირადი დაცვა (100-160 კაცი)
- ქიმიური ლაბორატორიის და მომწამლავი საბრძოლო ნივთიერება "სმერჩ"- ის მოხმარების განყოფილება;
- საბრძოლო მასალების დაცვის განყოფილება;
- სასწავლო ცენტრები (გუდერმესის, ნადტერეჩნის, შელკოვოს).
- შეიარაღება:
- თ-72 ტიპის საბრძოლო ტანკი (4 ერთეული);
- ქვეითთა ჯავშანმანქანა (6 ერთეული);
- ჯავშანტრანსპორტიორი (6 ერთეული);
- ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა (რამოდენიმე ერთეული);
- საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი "სტინგერი" (რაოდენობა უცნობია);
- სპეციალიზებული საბრძოლო ავტომანქანა (10 ერთეულზე მეტი).

აღნიშნული შეიარაღება და ტექნიკა წარმოადგენდა სამხედრო ნადავლს ან

შესყიდული ჰქონდათ სხვა სამხედრო ფორმირებებისაგან.

საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: ქ. გუდერმესი, დასახლებული პუნქტები: ნოჟაი-იურთი, ახალი გორდალი, არსეონი, კოშკელდი, დაღესტნის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორია, დაღესტნის ტერიტორიაზე ხასავიურთის და ბაბაიურთის რაიონების ნაწილი.

განმასხვავებელი ნიშნები: შავი ბერეტები, შევრონები წარწერით "კავკასია – გენერალ დუდაევის არმია"; სამხედრო ჯილდოები: "გენერალ დუდაევის" და "კავკასიის გმირის" ორდენები.

"დუდაევის არმიის" მახასიათებელია მაღალი დისციპლინა.

კონტაქტები: ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რადიკალური ორგანიზაციები, არაბეთისა და პაკისტანის არასამთავრობო ორგანიზაციები, რუსეთის ჩეჩნური დიასპორა.

დაფინანსება: ადგილობრივი კომერციულ-ფინანსური სტრუქტურები, ნაურის რაიონის ნავთობპროდუქტების კუსტარული საქაჩი და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები, არაბეთის და პაკისტანის არასამთავრობო ორგანიზაციები, რუსული წყაროები (კავშირის საშუალებები, კომპიუტერული ტექნიკა, ავტომანქანები).

ჩეჩნეთის ტერიტორიაზე სამხედრო კამპანიაში მონაწილეობის გარდა, "დუდაევის არმიის" ბოევიკებმა რუსეთის ფედერაციის ზოგიერთ რაიონში (პიატიგორსკი, არმავირი, ვორონეჟი) განახორციელეს ტერორისტული და დივერსიული აქტები,

რისთვისაც აქტიურად იყენებდნენ რუს სამხედრო ტყვეებს, გადაბირებულ სლავ მოსახლეობას, ქალებს.

შამილ ბასაევის შეიარაღებული ფორმირება.

ფორმირების მეთაური: დივიზიის გენერალი შამილ ბასაევი.

რაოდენობა: დაახლოებით 1500 კაცი, სამობილიზაციო რაოდენობა დაახლოებით 3000 კაცი, ძირითადად დაკომპლექტებული იყო ვედენოს რაიონის მაცხოვრებლებით. 1999 წლის სექტემბერში ფორმირების 270 "ბოევიკი" არაბული და სხვა ისლამური სახელმწიფოების დაქირავებული მებრძოლები იყვნენ. პრაქტიკულად ბასაევის ფორმირება წარმოადგენდა "იჩქერიის და დაღესტნის ხალხთა კონგრესის" შემადგენელ ნაწილს.

საველე მეთაურები: შირვან ბასაევი, ასლანბეკ აბდულხაჩიევი, ასლანბეკ ისმაილოვი, აბუ აუპიან ჩიმირბაევი, ასლანბეკ ედისულთანოვი და სხვა.

სტრუქტურა:

- 1999 წლის დასაწყისისათვის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა აფხაზეთის

ომის "სიკვდილმისჯილთა" ბატალიონი;

- 1994-96 წლების სამხედრო კამპანიის შემდეგ დარჩენილი 300-მდე "ბოევიკი";
- "ისლამური სამშვიდობო ბრიგადის" ქვედანაყოფი;
- პირადი დაცვის ჯგუფი "ალმაზი";

•რაზმი "სკორპიონი" (500 კაცი), რომელიც ნაწილობრივი ლეგალიზაციის მიზნით 1998 წლის ზამთარში სამხედრო ნაწილის სახით ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში შევიდა;

• დივერსანტთა მომზადების 2 სასწავლო ცენტრი, რომელიც მოქმედებდა

ვაჰაბიტური ორგანიზაციების და ოფიციალური ძალოვანი სტრუქტურების ერთდროული სტატუსით. ისინი განლაგებული იყვნენ სერჟენ-იურთის რაიონში, მდ. ხულ-ხულაოს მარცხენა ნაპირზე. ერთ-ერთი ცენტრი უშუალოდ შამილ და შირვან ბასაევებს ექვემდებარებოდა.

შეიარაღება:

- საბრძოლო ტანკი (6 ერთეული);
- ქვეითთა საბრძოლო მანქანა (რამოდენიმე ერთეული);
- თვითმავალი საარტილერიო დანადგარი (2 ერთეული);
- ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა (რაოდენობა უცნობია);
- ტანკსაწინააღმდეგო საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი "სტრელა";
- თანამგზავრული კავშირის სისტემა;
- მსუბუქმოტორიანი სპორტული ტიპის და "იაკ-18" ტიპის თვითმფრინავები

(რამოდენიმე ერთეული);

- ვერტმფრენი (რამოდენიმე ერთეული).

საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: ქ. გროზნო, გროზნოს სოფლები; რაიონები:

ვედენო (ცავედენო, დიშნევედენო), ნოჟაი-იურთი, შატოი, შელკოვო, ჩერვლენნაია.

თავდაცვის საერთო ოპერატიული გეგმის შესაბამისად ფორმირება აკონტროლებდა დაღესტნის (ხასავიურტის სექტორი) და სტავროპოლის (სტეპის სექტორი) საზღვრისპირა ტერიტორიებს.

გილაევის შეიარაღებული ფორმირება.

ოფიციალურად აღნიშნული ფორმირება უზრუნველყოფდა საავტომობილო- სატვირთო კოლონების დაცვას.

ორგანიზაციის პოლიტიკურ საფარს წარმოადგენდა "სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ვეტერანთა საბჭო".

ფორმირების მეთაური: იჩქერიის ყოფილი თავდაცვის მინისტრი რუსლან გილაევი.

რაოდენობა: 500-დან 1000 კაცამდე. მათ ძირითად ნაწილი შედგებოდა სპეცდანიშნულების პოლკ "გალანჩჟოისკი"-ს შატოის, ურუს-მართანის, აჩხოი- მართანის რაიონების, აგრეთვე ჩეჩენ-ინგუშთა საერთო ტეიპების ურხსტოის და მელხისტოის წარმომადგენლებისგან.

საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: რაიონები – აჩხოი-მართანი, ურუს- მართანი.

ალიხაჯიევის სამხედრო ფორმირება.

ფორმირების მეთაური: იჩქერიის პარლამენტის თავმჯდომარე რუსლან ალიხაჯიევი. რაოდენობა: 360 კაცი (1996 წლის მონაცემებით).

შეიარაღება: საზენიტო-სარაკეტო დანადგარი (რამოდენიმე ერთეული). საავტომობილო ტექნიკა (31 ერთეული).

სამოქმედო ტერიტორია: შალის რაიონი.

ვახა არსანოვის შეიარაღებული ფორმირება.

ფორმირების მეთაური: იჩქერიის ვიცე-პრეზიდენტი ვახა არსანოვი.

რაოდენობა: დაახლოებით 150 კაცი – ძირითადად ჩებერლოის ტეიპის მოსახლეები.

სამოქმედო ტერიტორია: სტაროპრომისლოვის რაიონი (ქ. გროზნო).

1999 წლის თებერვალში აღნიშნული ფორმირება ტრანსფორმირდა "სამშვიდობო ბრიგადად" (რაოდენობა 300 კაცი).

ისრაპილოვის შეიარაღებული ფორმირება.

ფორმირების მეთაური: ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი უფროსი, ბრიგადის გენერალი ხუნკარ-ფაშა ისრაპილოვი.

რაოდენობა: უცნობია. სამოქმედო ტერიტორია: ურუს-მართანის რაიონი. ხალხოროევის შეიარაღებული ფორმირება (ბამუთის პოლკი).

ფორმირების მეთაური: ბრიგადის გენერალი რუსლან

ხალხოროევი.

რაოდენობა: დაახლოებით 300 კაცი (მათგან 100 კაცი იმყოფებოდა მუდმივ ზადყოფნაში "ბამუთის ბაზაზე"). ფორმირებას ძირითადად შეადგენდნენ დამოუკიდებელი ვაინახური ჯგუფის, ყარაბულაკის (ორხსტოის ტეიპის), წარმომადგენლები.

სტრუქტურა: 2 "ბატალიონი" და 1 დივერსიული სკოლა, რომელსაც რუსლან ხალხოროევის ძმები ხელმძღვანელობდნენ.

შეიარაღება:

- ჯავშანტრანსპორტიორი (1 ერთეული);
- ქვეითთა საბრძოლო მანქანა (1 ერთეული);
- საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი "სტინგერი", "იგლა".

საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: აჩხოი-მართანი (ბამუთი); ინგუშეთის სუნჯის რაიონის დასახლებული პუნქტები: ასინოვსკი, სერნივოდი, ჩემულგი. ცალკეული ჯგუფი პერიოდულად მოქმედებდა ჩრდილოეთ ოსეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე. ძირითადად იტაცებდნენ მძევლებს ფულის გამოძალვის მიზნით.

იამადაევის შეიარაღებული ფორმირება.

ფორმირების მეთაური: ბრიგადის გენერალი სულეიმან იამადაევი. რაოდენობა:

150 კაცი (რომლებიც ამავდროულად მსახურობდნენ ეროვნული გვარდიის ადგილობრივ ბატალიონში).

საველე მეთაურები: ძმები ხალიდ და ვახა ჯაბრაილები.

საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: გუდერმესის და კურჩალოეს რაიონები. იანდარბიევის შეიარაღებული ფორმირება.

ფორმირების მეთაური: პრეზიდენტის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი ზელიმხან იანდარბიევი.

რაოდენობა: დაახლოებით 200-300 კაცი.

საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: გროზნო, ახალი და ძველი ატაგი. განვიხილოთ საველე მეთაურების სხვა მცირერიცხოვანი ფორმირებები, რომელთაც ე.წ "ბრიგადის გენერლები" ხელმძღვანელობენ:

ადამ ამირევის შეიარაღებული ფორმირება.

რაოდენობა: დაახლოებით 130 მებრძოლი.

სამოქმედო ტერიტორია: აჩხოი-მართანი. ფორმირება სავარაუდოდ შედიოდა "გენერალ დუდაევის არმიის" შემადგენლობაში.

ტაუს ბოგურაევის შეიარაღებული ფორმირება.

რაოდენობა: 100 მებრძოლზე მეტი.

სამოქმედო ტერიტორია: ნაურის რაიონი, ჩეჩნეთ-ინგუშეთის საზღვრის ჩრდილოეთ სექტორი, ჩეჩნეთ-სტავროპოლის საზღვრის ნაწილი, ინგუშეთის მალგობეკის რაიონის ნაწილი.

ფორმირების წევრები სტავროპოლის მხარეში პერიოდულად ახორციელებენ გატაცებას გამოსასყიდის გამოძალვის მიზნით, ასევე იტაცებენ სასოფლო- სამეურნეო ტექნიკასაც.

სულთან გულისხანოვის შეიარაღებული ფორმირება.

რაოდენობა: დაახლოებით 100 მებრძოლი. საბაზო ტერიტორია: ქ. გუდერმესი. ირბეკოვის შეიარაღებული ფორმირება.

რაოდენობა: 350 კაცი.

მადაევის შეიარაღებული ფორმირება (შალის რაიონის დამოუკიდებელი თავდაცვითი ჯგუფი). რაოდენობა: უცნობია (ძირითადად დაკომპლექტებულია ადგილობრივი ცემენტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისგან).

მოვსაევის შეიარაღებული ფორმირება.

რაოდენობა: უცნობია; საბაზო ტერიტორია: შალის რაიონი.

ელი სულთანოვის შეიარაღებული ფორმირება – "ბორზაშ ისლამი" (ისლამის

მგლები).რაოდენობა: უცნობია. საბაზო ტერიტორია: ურუს-მართანი. ძმები ტავლუევების შეიარაღებული ფორმირება.

რაოდენობა: უცნობია.საბაზო ტერიტორია: სოფელი როშნი-აჩუ. ჰამზატოვის შეიარაღებული ფორმირება.

რაოდენობა: 500 კაცი (1996 წლის მონაცემებით);

საბაზო ტერიტორია: ქ. არღუნი. ავტოტექნიკა: "კამაზი"-ს ტიპის მანქანა;

დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმები მოქმედებდნენ დასახლებული პუნქტების უმეტეს ნაწილში და ძირითადად ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან იყვნენ დაკომპლექტებული. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

აჩხოი-მართანის დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმი.

რაოდენობა: დაახლოებით 300 კაცი, სამობილიზაციო რაოდენობა – დაახლოებით 700 კაცი. შეიარაღება: ნაღმმტყორცნი (კალიბრი 82 მმ, რამოდენიმე ერთეული). საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: დასახლებული პუნქტები აჩხოი-მართანი, ბამუთი, ორეხოვო, ასინოვსკაია, სერნოვოდსკი (ინგუშეთი).

ვედენოს დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმი.

რაოდენობა: უცნობია. სტრუქტურა: 12 (17-32 კაციანი) ავტონომიური

საბრძოლო ჯგუფი, მათ შორის "ტყის ლეგიონი". შეიარაღება: საზენიტო დანადგარი (1 ერთეული). ნოჟაი-იურთის დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმი.

რაოდენობა: უცნობია.

შეიარაღება: ქვემეხი (კალიბრი 76მმ., 1 ერთეული). ურუს-მართანის დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმი.

რაოდენობა: 200 კაცზე მეტი. შეიარაღება: ჯავშანტრანსპორტიორი და ქვეითთა საბრძოლო მანქანა (რამოდენიმე ერთეული).

საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: ურუს-მართანი, შალჟი, გეხი-ჩუ, გეხი.

შატოის დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმი ("შატოის პოლკი").

რაოდენობა: – 100-150 კაცი. შეიარაღება: ჯავშანმანქანა (რამოდენიმე ერთეული).

საბაზო ტერიტორია: ითუმ-ყალეს რაიონის ტყის მასივი. შელკოვოს დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმი.

რაოდენობა: უცნობია. რაზმის 30-კაციანმა ჯგუფმა საბრძოლო მომზადება გაიარა პაკისტანში.

სომხეთი

1999 წლის 27 ოქტომბერს სომხეთის ეროვნული კრების სხდომათა დარბაზში შეიჭრა 3 შეიარაღებული პირი, პარტია "დაშნაკცუტუნის" ერთ-ერთი წევრის ნაირ უნანიანის ხელმძღვანელობით, რომლებმაც ცეცხლი გაუხსნეს კრების წევრებს. შედეგად დაიღუპა ოთხი ადამიანი – პარლამენტის თავმჯდომარე კარენ დემირჩიანი, მისი მოადგილეები იური ბახშიანი და რუბენ მიროიანი, პრემიერ-მინისტრი ვაზგენ სარქისიანი. სომხეთის ეროვნულ კრებაზე განხორციელებულმა ტერაქტმა დიდი გავლენა იქონია ქვეყნის მომავალ განვითარებაზე, თუმცა, ტერორისტების განცხადებით, მათ მხოლოდ შური იძიეს

და არ ჰქონიათ რაიმე პოლიტიკური მიზანი, არც რაიმე მოთხოვნები გააჩნდათ.

აღსანიშნავია, რომ ტერორისტების მეთაური უნანიანი "დაშნაკთა" პარტიის აქტიური წევრი იყო და ყარაბაღის ომში აღნიშნული პარტიის ბრიგადაში იბრძოდა (პრეზიდენტმა ტერ-პეტროსიანმა თავის დროზე "დაშნაკთა პარტია" ტერორიზმის ბრალდებით აკრძალა, რის საბაბსაც პარტიის წარსულიც იძლეოდა. "დაშნაკები" დღემდე "სომეხი ერის მტრების" ფიზიკური განადგურებისკენ მოუწოდებენ).

ყველაზე მეტად ტერაქტის პოლიტიკურ ელფერზე სომხეთის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის რეაქცია მიუთითებს. ბოლო წლებში სარქისიანი თავდაცვის მინისტრის მოვალეობას ასრულებდა და სამინისტრო მის დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა. მოგვიანებით თავდაცვის სამინისტრომ გააკეთა განცხადება, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრების და გენერალური პროკურორის გადადგომის მოთხოვნით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სომხეთის თავდაცვის სამინისტრომ ტერაქტი სახელმწიფო გადატრიალებად აღიქვა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ვ. სარქისიანის და კ. დემირჩიანის მკვლელობას პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად და იგი სომხეთის რადიკალურ-ნაციონალისტური ძალების შეკვეთით განხორციელდა, რაც მის თანმხლებ

პროცესებთან ერთად სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასად შეიძლება მივიჩნიოთ.

მეორე სომხური ტერორისტული ორგანიზაციაა ასალა.

„ასალა" (სომხური საიდუმლო არმია სომხეთის გათავისუფლებისთვის). რადიკალური მემარცხენე ორიენტაციის სომხური დაჯგუფება. დაარსდა 1975 წელს.

დამაარსებელი: აკოფ აკოფიანი.

მიზანი: აიძულოს თურქეთის მთავრობა აღიაროს 1915 წლის სომეხთა გენოციდი. მოქმედების ადგილი: დასავლეთ ევროპა, აშშ, შუა აღმოსავლეთი, ლიბანი, სომხეთი. რაოდენობა: 400-მდე წევრი.

ბრძოლის მეთოდი: შენობების აფეთქება, ადამიანთა გატაცება.

დაფინანსება: სირია, ლიბია, უცხოეთში არსებული სომხური დიასპორა, პალესტინის ზოგიერთი რადიკალური ტერორისტული დაჯგუფება.

განხორციელებული ტერორისტული აქტები:

- 1980 წელს აშშ-ს ავიაკომპანიების ოფისების აფეთქება დასავლეთ ევროპაში;
- 1983 წელს თურქეთის ავიაკომპანიების ოფისების აფეთქება პარიზში, ორლის აეროპორტში (დაიღუპა 8 და დაშავდა 54 ადამიანი);
- 1992 წელს თავდასხმა თურქეთის საელჩოზე უნგრეთში.
- გარდა ამისა, სხვადასხვა წლებში ახორციელებდნენ თავდასხმებს თურქულ ობიექტებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

აზერბაიჯანი

ბოლო პერიოდში აზერბაიჯანში არ დაფიქსირებულა რაიმე სერიოზული ტერორისტული აქტი, თუმცა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე განთავსებული იყო ცენტრი, რომელსაც კავშირი ჰქონდა საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან და მათი "ბოევიკების" მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებდა.

აღსანიშნავია რომ, თუ აქამდე ოფიციალურ ბაქოს ბრალი ედებოდა ჩეჩენი ტერორისტების მხარდაჭერაში, რუსეთის

ხელისუფლებისათვის 2000 წლის სექტემბერში 6 დაღესტნელი ტერორისტის გადაცემის შემდეგ, მკვეთრად შეიცვალა ჩეჩენ სეპარატისტთა ლიდერების დამოკიდებულება ოფიციალური ბაქოს მიმართ.

აზერბაიჯანში 2000 წლის აგვისტოში პარტია "მუსავატი"-ს ერთერთმა ხელმძღვანელმა – მეხტი ჰუსეინლიმ პოლიტიკური მოტივებით თვითმფრინავის გატაცება სცადა, რაც ხელისუფლებამ სრულად გამოიყენა პარტია "მუსავატი"-ს წინააღმდეგ ფართო პროპაგანდის წამოსაწყებად. აღნიშნული ტერაქტის ორგანიზების ბრალდებით დააპატიმრეს გაზეთ "იენი მუსავატი"-ს მთავარი რედაქტორი – რაუფ არიფ ოღლი აბასოვი.

"ჯეიშულაჰი". 2000 წლის ოქტომბრის თვეში აზერბაიჯანში გაასამართლეს ტერორისტული ორგანიზაცია "ჯეიშულაჰის" ("ალაჰინ არმია") წევრები. ორგანიზაცია შეიქმნა 1996 წელს.

ხელმძღვანელი: მუბარიზ ალიევი. მიზანი: ბრძოლა ისლამის სიწმინდისთვის.

იდეოლოგია: რელიგიური ექსტრემიზმი. მოქმედების ადგილი: აზერბაიჯანი.

შტაბბინა: ქ. ბაქო. სტრუქტურა: შეიარაღებული დაჯგუფება.

რაოდენობა: 25 წევრი. ბრძოლის მეთოდი: აფეთქება, შეიარაღებული თავდასხმა ობიექტებზე. დაფინანსება: მოსახლეობის ძარცვით მოპოვებული მატერიალური სახსრები.

განხორციელებული ტერაქტები:

- 1999 წელს მოკლეს ექსტრასენსი ეტიბარ მამედალიევი და მისი ორი მცირეწლოვანი ვაჟი;
- 1999 წელს განახორციელეს თავდასხმა "რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის" ბაქოს ფილიალზე;

1999 წელსვე ორგანიზაციის წევრები ცდილობდნენ "კრიშნას იდეოლოგიისა და საზოგადოების" ოფისის დაწვას; ამავე წელს "ჯეიშულაჰის" ორგანიზაციას დაგეგმილი ჰქონდა ზაბრატის აეროპორტიდან "მი-8" ტიპის ვერტმფრენის გატაცება და ტერაქტის განხორციელება აშშ-ს საელჩოზე ბაქოში.

სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მუბარიზ

ალიევს მიესაჯა სამუდამო პატიმრობა, ხოლო ორგანიზაციის 12 წევრს – თავისუფლების აღკვეთა ვადით 4-დან 12 წლამდე. ამჟამად "ჯეიშულაჰის" რამოდენიმე წევრი იძებნება. ორგანიზაციის წევრთა მიერ განხორციელებულმა მძიმე დანაშაულებმა თვალნათელი გახადა, რომ რელიგიური ექსტრემიზმი წარმოადგენს სერიოზულ საშიშროებას არამარტო მშვიდობიანი მოსახლეობისთვის, არამედ მთლიანად სახელმწიფოს შიდა სტაბილურობისთვის.

,,ისლამური ტერორიზმი" ტაჯიკეთში

1992 წლიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ტაჯიკეთში ტერორისტული დაჯგუფებები გამოჩნდნენ. ტერორისტული აქტები პოლიტიკური მოწინააღმდეგეების განადგურების ერთ-ერთი საშუალება იყო. 1994 წლიდან ქვეყანაში მშვიდობიანი მოლაპარაკებების დაწყებამ (ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის) პროვოკაციულ ხასიათი მიიღო, რომლის მიზანი გახლდათ პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაცია, კონფლიქტების წარმოქმნა, პოლიტიკური მოღვაწეებისა და დეპუტატების განადგურება და ა.შ.

ტაჯიკეთში ტერორისტული საქმიანობის გაჩაღებაში და დახვეწაში დიდი როლი ითამაშეს ახლო აღმოსავლეთიდან ჩამოსულმა ემირებმა, რომლებიც ქვეყანაში 1992 წლიდან იმყოფებოდნენ. სხვადასხვა ისლამური ფუნდამენტალური

ორგანიზაციის აგენტები სუდანიდან, ავღანეთიდან, საუდის არაბეთიდან ისლამური ოპოზიციის მებრძოლებს დივერსიულ და ტერორისტულ საქმიანობას ასწავლიდნენ, ხშირ შემთხვევაში კი თვითონ ახორციელებდნენ მათ. ტერორისტების ძირითადი სამიზნეები პოლიტიკური მოღვაწეები, პარლამენტისა და ადგილობრივი ორგანოების დეპუტატები, რუსი სამხედრო მოსამსახურეები, მესაზღვრეები და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები იყვნენ.

ისლამისტმა ტერორისტებმა 1994-99 წლებში დახოცეს ისეთი პირები, როგორებიც იყვნენ: ტაჯიკეთის სამეცნიერო აკადემიის ექსპრეზიდენტი ოსიმი, პედაგოგიური ინსტიტუტის

რექტორი ალ-ისხავი და ჟურნალისტი ოლიმპუსი; გაიტაცეს ინგლისის, ამერიკის, სამხრეთ აფრიკის მოქალაქეები, გაერთიანებული ერებისა და წითელი ჯვრის წარმომადგენლები.

თავისი სისასტიკით ყველაზე განთქმული იყო ტერორისტ რეზვინ სადიროვის ჯგუფი, რომელსაც 100-ზე მეტი ტერორისტული აქტი აქვს განხორციელებული. მათ შორის აღსანიშნავია საფრანგეთის ორი მოქალაქის გატაცებისა და დახოცვის, რუსეთის შეიარაღებული ძალების ორი მედდის დახვრეტის და გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მძევლად აყვანის ფაქტები.

ტაჯიკეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ღონისძიების შედეგად სადიროვი ლიკვიდირებულ იქნა, მისი ბანდიდან კი 50 წევრი დააპატიმრეს. მართლმსაჯულებას გადარჩენილი ტერორისტები ამჟამად ავღანეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან. მათი მიზანია ერთიანი ისლამური ხალიფატის ჩამოყალიბება, რომლის შემადგენლობაშიც ამ რეგიონის ტერიტორიაზე განთავსებული, მუსულმანებით დასახლებული სახელმწიფო შევა, ხალიფატის ბირთვად კი ფერგანის ზეგანი გადაიქცევა.

ორგანიზაციის პოლიტიკური ლიდერია ტახირ იულდოში, შეიარაღებული დაჯგუფებისა კი – ჯუმა ნამანგანი. ორგანიზაცია ტერორისტულ ქმედებებს ძირითადად უზბეკეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, რუსეთსა და ავღანეთში ახორციელებს. შეიარაღებული უკანონო ფორმირებების დისლოკაციის ადგილი ტაჯიკეთი და ავღანეთია. ორგანიზაციაში გაერთიანებულია 2000-დან 5500-მდე შეიარაღებული „ბოევიკი“, რომლებსაც თანამედროვე ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა საბრძოლო ტექნიკა გააჩნიათ. ისინი ფინანსდებიან პაკისტანიდან და ავღანეთიდან, „თალიბანთა“ მოძრაობიდან და ბინ ლადენის სტრუქტურებიდან.

ლექცია 5

სალექციო თემა: გლობალური დათბობა

გლობალური დათბობის პროცესში დიდ როლს ასრულებს კლიმატის ცვლილება (ინგლ. Climate change) — დედამიწის კლიმატური რხევა, რომელიც ვლინდებოდა ან ვლინდება დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა რეგიონსა თუ რაიონში. წარსულში გლობალური კლიმატური ცვლილებანი შეეხო დედამიწის ხმელეთის დიდ უბნებს; ცვლილებანი თანადროულ დროშიც გრძელდება. დედამიწის კლიმატური ისტორია მეტად მრავალფეროვანია და მოიცავს ასეულობით მილიონ წელს.კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხებს სწავლობს მეცნიერების სპეციფიური დარგი – პალეოკლიმატოლოგია.კლიმატი ანუ ჰავა – გარკვეულ ადგილებზე წლიდან წლამდე განმეორებადი ამინდის ტიპია. კლიმატწარმომქმნელი ფაქტორებია:

1) მზის რადიაცია;

2)ატმოსფეროს ცირკულაცია;

3) ქვეშ არსებული ზედაპირის ხასიათი (უპირველესად ხმელეთის და წყლის თანაფარდობა)

მზის სითბოსა და ტენის გადანაწილებაზე მოქმედებს აგრეთვე კონტინენტების განფენილობა, სანაპირო ხაზის დანაწევრება, ადგილის აბსოლუტური სიმაღლე, მთების განლაგება, მთის ფერდობთა ექსპროპრიაცია, ოკეანური დინებები. კლიმატი, როგორც ყველა მეტეოელემენტი, ზონალურია, თითოეულ ნახევარსფეროში გამოყოფენ 8 კლიმატურ სარტყელს:

ეკვატორული კლიმატური სარტყელი

სუბეკვატორული კლიმატური სარტყელი

ტროპიკული კლიმატური სარტყელი

სუბტროპიკული კლიმატური სარტყელი

ზღვიური კლიმატური სარტყელი

სუბარქტიკული კლიმატური სარტყელი

სუბანტარქტიკული კლიმატური სარტყელი

არქტიკული კლიმატური სარტყელი,.

გლობალური დათბობა —დედამიწის ატმოსფეროს მიწისპირა ფენის და მსოფლიო ოკეანის საშუალო წლიური ტემპერატურის სწრაფი ზრდის პროცესი. ატმოსფეროს საშუალო ტემპერატირუს ზრდა გამოიწვევს ზღვის დონის აწევას. გაიზრდება კატასტროფული კლიმატური მოვლენების სიხშირე და სიმძლავრე, შეიცვლება ნალექების რაოდენობა და განაწილება. შეიცვლება აგრეთვე სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა, შემცირდება მყინვარები, გადაშენდება ცოცხალი ორგანიზმების ზოგიერთი სახეობები, გაიზრდება დაავადებათა რიცხვი. ჯერჯერობით უცნობია დედამიწის რომელი რეგიონი უფრო მეტად დაზარალდება ამ ცვლილებების შედეგად. სახელმწიფოთა უმრავლესობამ ხელი მოაწერა კიოტოს ოქმს, რომელიც ატმოსფეროში სათბურის აირების გაფრქვევათა შემცირებას ისახავს მიზნად. თუმცა არ წყდება დებატები იმის შესახებ, თუ რა უფრო რაციონალურია: გლობალური დათბობის შეჩერების ან შემოტრიალების მცდელობა თუ ადაპტაცია არსებულ და მოსალოდნელ ცვლილებებისადმი. საერთაშორისო ორგანიზაცია ”Global Humanitarian Forum”-მა, რომლის თავმჯდომარეც გაეროს გენერალური დირექტორი ბან კი-მუნია, გამოაქვეყნა დასკვნა, რომელშიც გლობალური დათბობის მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობაა დასახელებული. ამის შესახებ ”New Scientist”-ი წერს. მკვლევართა მონაცემებით, ამჟამად გლობალური დათბობის გამო მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 300 ათასი ადამიანი იღუპება. საქმე იმაშია, რომ კლიმატის ცვლა ბუნებრივი სტიქიური მოვლენების რაოდენობის ზრდას იწვევს, ისეთების, როგორიცაა გვალვა და წყალდიდობა. ამას გარდა ცვალებადი კლიმატი გავლენას ახდენს განვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობაზეც, რასაც შიმშილობამდე მივყავართ. ”Global Humanitarian Forum”-ის მონაცემებით, სიკვდილიანობის დიდი წილი (90%-ი) განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2030 წლისათვის დათბობის მსხვერპლთა რაოდენობა ყოველწლიურად 500 ათასამდე გაიზრდება

გლობალური დათბობის ფენომენი და მისი ეფექტების თავიდან აცილების გზები დღეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხებია თანამედროვე მსოფლიოსთვის. ლობალური დათბობა დედამიწის ზედაპირის საშუალო ტემპერატურის მატებაა, რომელიც ატმოსფეროში სითბური აირების დაგროვებით არის გამოწვეული. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან სამრეწველო ობიექტებისა და

ტრანსპორტის სიმრავლის, ურბანიზაციის მზარდი ტემპის შედეგად თითქმის შეუძლებელი გახადა ატმოსფეროს ქიმიური შემადგენლობის კონტროლი. ქლოროფილშემცველი ნახშირწყლების (კარბონატები) დონის მატების შედეგად კი ოზონის შრესთან დაკავშირებული პრობლემები გაჩნდა.

გლობალური დათბობა —დედამიწის ატმოსფეროს მიწისპირა ფენის და მსოფლიო ოკეანის საშუალო წლიური ტემპერატურის სწრაფი ზრდის პროცესია.

კლიმატის გლობალური ცვლილება დაკავშირებულია გლობალური ტემპერატურის მატებასთან და გამოწვეულია დედამიწის ატმოსფეროში ზოგიერთი გაზის გადამეტებული კონცენტრაციით, რაც ხელს უშლის დედამიწიდან „ზედმეტი“ სითბოს არეკვლას. ამ გაზებს ეწოდებათ „სათბური გაზები“ და ისინი მოიცავენ ნახშირორჟანგს, მეთანს, აზოტის ქვეჟანგს და სხვას.

კაცობრიობის ისტორიაში გლობალური კლიმატის ცვლილებების სხვადასხვა პერიოდი გამოიყოფა, თუმცა თანამედროვე კლიმატის ცვლილება გამოწვეულია ადამიანის საწარმოო საქმიანობით და პირდაპირ უკავშირდება ინდუსტრიალიზაციას. თანამედროვე კლიმატის ცვლილებების შესახებ ცნობილი გახდა მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან, როდესაც შეამჩნიეს მსოფლიო საშუალოწლიური ტემპერატურის მკვეთრი ზრდა და გახშირდა კლიმატური კატასტროფები. დღეისთვის უკვე დადასტურებულია, რომ კლიმატის ცვლილება პლანეტის მასშტაბით ნამდვილად ხდება სათბურის გაზების მაღალი და მზარდი კონცენტრაციის გამო. ეს გაზები კი ადამიანის სამეწარმეო საქმიანობის დროს გამოიყოფა და დედამიწის გარშემო „ღრუბელს“ ქმნიან, რაც თავის მხრივ იწვევს საშუალო ტემპერატურის აწევას, ნალექების გახშირებას და სხვა შედეგებს, რაც უარყოფითად აისახება მოვლენების განვითარებაში. კლიმატის ცვლილებების მავნე შედეგები მოიცავს *მყინვარების დნობას მთებზე და ყინულის ფენების ოკეანეებში განლევას, „სიცხის ტალღებს“, გვალვებს, ძლიერ წვიმებს, ცუნამებს, ქარიშხლების გაძლიერებას* და თავისთავად, ეს და მსგავსი მოვლენები ცვლის ბუნებას, ეკოსისტემებს, რომელთა უმეტესობა ვერ ახერხებს ახალ გარემო პირობებთან ადაპტაციას და გადაგვარდება ხოლმე. ასევე, იზრდება ადამიანთა დაავადებების რისკი, მათ შორის ეპიდემიების გავრცელება. „სათბურის ეფექტით“

გამოწვეული მავნე შედეგები სულ უფრო მეტ მრავალფეროვნებას იძენს, რაც სასწრაფოს ხდის პრობლემების მოგვარების აუცილებლობას.

ფაქტორებს, რომლებიც კლიმატის ფორმირებას განაპირობებენ, კლიმატის განსამზღვრელი ფაქტორები ეწოდება და მოიცავს ისეთ პროცესებს, როგორიცაა მზის რადიაცია, დედამიწის ორბიტის გადახრა, დრეიფი და დინებები, „სათბურის აირების“ კონცენტრაციის ზრდა ატმოსფეროში, ატმოსფეროს გამჭვირვალობის ცვლა და ა.შ. ორას წელზე მეტია, საწვავი ნივთიერებების, ნახშირისა და ნავთობის გამოყენებამ, ასევე ტყეების გაჩეხვამ გამოიწვია „სათბურის აირების“ კონცენტრაციის ზრდა ატმოსფეროში. ეს აირები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანის ცხოვრებაში. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში დაფიქსირებული მაღალი ტემპერატურის მიზეზი თავად ადამიანის საქმიანობებია. იცვლება არა მარტო ტემპერატურა, არამედ წვიმების სიხშირე, თოვლისა და ყინულის საფარი, ზღვის დონე. მეცნიერები დარწმუნებული არიან, როომ ადამიანის უხეში ჩარევა ცვლის ატმოსფეროს შემადგენლობას და ზუსტად ვერავინ განსაზღვრავს, რა არის მოსალოდნელი. მთავარი „დამნაშავე“ ნახშიორჟანგია, რომელიც ბუნებრივი საწვავების: **ნახშირის,ნავთობისა და ბუნებრივი აირის წვისას გამოიყოფა, საკმაო დ დიდი** რაოდენობით.ტყეები მასობრივად იჩეხება და ხის წვის გამო დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგი გამოიყოფა.

მეცნიერული კვლევებით დამტკიცდა, რომ გამონაბოლქვი (ემისიები), რომელიც ინდუსტრიული საქმიანობისა და ტრანსპორტის საწვავის წვის შედეგად გამოიყოფა, ყველაზე მეტად მოქმედებს ტემპერატურის ზრდის პროცესზე. დედამიწის ზედაპირიდან არეკლილი გაზების მიერ ინფრაწითელი გამოსხივების დაჭერის შედეგად დედამიწის ზედაპირის გათბობის პროცესს ”სათბურის ეფექტს” უწოდებენ. ის 1824 წელს იოზეფ ფურიემ აღმოაჩინა, 1896 წელს კი სვანტე არენიუსმა რაოდენობრივად შეისწავლა.

დედამიწა უწყვეტად იღებს ენერგიას მზის გამოსხივების სახით. ის ამ ენერგიის 30%–ს ირეკლავს, 70%–ს კი შთანთქავს, რაც ხმელეთის, ატმოსფეროს და ოკეანის გაცხელებას იწვევს. თავის მხრივ, ცხელი სხეულები თბურ ენერგიას ასხივებს. დედამიწის ტემპერატურის სტაბილურობა მის მიერ მზის გამოსხივების შთანთქმასა და თბური ენერგიის გამოსხივებას შორის დამყარებული ზუსტი

ბალანსით აიხსნება. მზის ხილულ გამოსხივებას ძირითადად დედამიწის ზედაპირი შთანთქავს. ინფრაწითელ სხივებს კი კოსმოსში ატმოსფეროს ზედა ფენები ირეკლავს . ამის მიზეზი ისაა, რომ დედამიწის ზედაპირის მიერ გამოსხივებული ინფრაწითელი ფოტონების უდიდეს ნაწილს ატმოსფეროში არსებული სათბურის აირები და ღრუბლები "იჭერს" და ისინი კოსმოსში მხოლოდ ამ უკანასკნელთა მიერ ხელახალი გამოსხივების შედეგად ხვდება. გამთბარი ატმოსფეროს გამოსხივების ნაწილი კვლავ დედამიწის ზედაპირს უბრუნდება და უფრო მეტად ათბობს მას.

ატმოსფეროს იმ კომპონენტებს (აირებს), რომლებიც თბურ (ინფრაწითელ) გამოსხივებას იჭერს, "სათბურის აირებს" უწოდებენ. სათბურის აირები (ინგლ. Greenhouse gases,) ატმოსფეროს კომპონენტებია, რომლებიც ატმოსფეროს სათბურის ეფექტს განაპირობებს. ზოგიერთი ასეთი აირი ბუნებრივად ჩნდება, სხვები კი ადამიანის საქმიანობის შედეგია, მაგალითად, წიაღისეული საწვავის წვით (ქვანახშირი, ნავთობი, მისთ.) მიიღება. სათბურის აირები შეიცავს წყლის ორთქლს, ნახშირორჟანგს, მეთანს, აზოტის ჟანგსა და ოზონს. დედამიწის ატმოსფერო ძირითადად ჟანგბადის და აზოტის აირებისგან შედგება, რომლებიც სათბურის აირებს არ განეკუთვნება. სათბურის ეფექტს სხვა დანამატები იწვევს. თბური გამოსხივების ძირითადი შთანმთქმელები დედამიწის ატმოსფეროში არიან: წყლის ორთქლი, ნახშირორჟანგი და ოზონი. მნიშვნელოვანი შთანთქმის უნარი აქვთ აგრეთვე მეთანს, აზოტის ჟანგს და ქლორფტორ ნახშირწყალბადებს, თუმცა ატმოსფეროში მათი კონცენტრაცია ნაკლებია.

ატმოსფეროს მიერ თბური გამოსხივების შთანთქმის უნარი მასში სათბურის აირების კონცენტრაციაზეა დამოკიდებული. რაც მეტია კონცენტრაცია, მით მეტ სითბოს იჭერს იგი და მით მაღლა იწევს დედამიწის ზედაპირის და ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურა. თავის მხრივ, ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაცია დედამიწის ზედაპირის ტემპერატურაზეა დამოკიდებული: რაც მეტია ტემპერატურა, მით მეტია კონცენტრაცია. ეს ნიშნავს, რომ ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაციასა და ატმოსფეროს ტემპერატურას შორის დადებითი უკუკავშირი არსებობს. თუ იგი საკმარისად ძლიერი აღმოჩნდა, იქმნება ე.წ. "ზვავური ეფექტის" საშიშროება, ანუ სათბური აირების კონცენტრაციის შედარებით მცირე ცვლილებამ შეიძლება

ურთიერთგამაძლიერებელ მოვლენათა ჯაჭვი გამოიწვიოს, რომლის შეჩერება უკვე შეუძლებელი იქნება. მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მოვლენათა ასეთი განვითარების შედეგად ტემპერატურა დედამიწაზე მნიშვნელოვნად გაიზრდება. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ მოვლენები შესაძლოა სულ სხვაგვარად განვითარდეს და ზვავურმა ეფექტმა არა გლობალური დათბობა, არამედ გლობალური გამყინვარება გამოიწვიოს.

გავლენას ნამდვილად ახდენს, მაგრამ შედარებით უმნიშვნელოა კლიმატურ ცვლილებებზე ბირთვული იარაღის, აეროზოლების, კოსმოსური პროგრამებისა და ტოქსიკური ნარჩენების როლი.

საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია ადამიანის გავლენა გლობალურ კლიმატურ ცვლილებებზე. ანთროპოგენური ფაქტორები მოიცავს ადამიანის საქმიანობას, რომელიც თავისი მოქმედებით ცვლის გარემოს. ზოგჯერ ადამიანის გავლენა პირდაპირია, ზოგჯერ კი – ირიბი. მრავალი წლის დავის შემდეგ, უკანასკნელ წლებში მეცნიერები შეჯერდნენ ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, რომ ადამიანი ყველაზე მეტად თავისი საქმიანობით ახდენს გავლენას გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდაზე. პრევენციული ღონისძიებები სწორედ არსებულ გარემოთან შეგუებისა და მოცემული პროცესის შენელებისკენაა მიმართული.

ყველაზე დიდი პრობლემა ანთროპოგენურ ფაქტორებს შორის არის ნახშირორჟანგის მომეტებული რაოდენობა ატმოსფეროში, რაც გამოწვეულია ოზონის ხვრელის, ბუნებრივი საწვავის, ტყეების გაჩეხვისა და სხვა მიზეზებით. თითოეული ეს ფაქტორი მონაწილეობს მიკროკლიმატის ჩამოყალიბების პროცესში და შემდგომში აყალიბებს გლობალურ კლიმატს.

ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურა დედამიწის ზედაპირზე ბოლო საუკუნის განმავლობაში 0.74 ± 0.18 °C-ით გაიზარდა. კლიმატის ცვლილების სამთავრობათშორისო ჯგუფის (IPCC) დასკვნით "დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის ზრდა მე-20 საუკუნის შუა წლებიდან სავარაუდოდ განპირობებულია ანთროპოგენური (ანუ ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი) სათბურის აირების კონცენტრაციის ზრდით", რომლის შედეგადაც ძლიერდება ატმოსფეროს სათბურის ეფექტი, რაც დედამიწის ქერქისა და ქვემო ატმოსფეროს გახურებას იწვევს. 21–ე საუკუნეში მოსალოდნელია დედამიწის

ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის შემდგომი ზრდა 1,1 – 6,4 °C–ით. სათბური აირების კონცენტრაციის ზრდის შეჩერების შემთხვევაშიც კი ეს დათბობა კიდევ ათას წელს გაგრძელდება. მხოლოდ ამის შემდეგ არის მოსალოდნელი დარღვეული წონასწორობის ხელალხალი დამყარება და საშუალო ტემპერატურის დასტაბილურება.

ატმოსფეროს საშუალო ტემპერატირუს ზრდა გამოიწვევს ზღვის დონის აწევას. გაიზრდება კატასტროფული კლიმატური მოვლენების სიხშირე და სიმძლავრე, შეიცვლება ნალექების რაოდენობა და განაწილება. შეიცვლება აგრეთვე სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა, შემცირდება მყინვარები, გადაშენდება ცოცხალი ორგანიზმების ზოგიერთი სახეობები, გაიზრდება დაავადებათა რიცხვი.

ჯერჯერობით უცნობია დედამიწის რომელი რეგიონი უფრო მეტად დაზარალდება ამ ცვლილებების შედეგად. სახელმწიფოთა უმრავლესობამ ხელი მოაწერა კიოტოს ოქმს, რომელიც ატმოსფეროში სათბურის აირების გაფრქვევათა შემცირებას ისახავს მიზნად. თუმცა არ წყდება დებატები იმის შესახებ, თუ რა უფრო რაციონალურია: გლობალური დათბობის შეჩერების ან შემოტრიალების მცდელობა თუ ადაპტაცია არსებულ და მოსალოდნელ ცვლილებებისადმი.

საერთაშორისო ორგანიზაცია ”Global Humanitarian Forum”-მა, რომლის თავმჯდომარეც გაეროს გენერალური დირექტორი კოფი ანანია, გამოაქვეყნა დასკვნა, რომელშიც გლობალური დათბობის მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობაა დასახელებული. ამის შესახებ ”New Scientist”-ი წერს. მკვლევართა მონაცემებით, ამჟამად გლობალური დათბობის გამო მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 300 ათასი ადამიანი იღუპება. საქმე ისაა, რომ კლიმატის ცვლა ბუნებრივი სტიქიური მოვლენების რაოდენობის ზრდას იწვევს, ისეთების, როგორიცაა გვალვა და წყალდიდობა. ამას გარდა ცვალებადი კლიმატი გავლენას ახდენს განვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობაზეც, რასაც შიმშილობამდე მივყავართ. ”Global Humanitarian Forum”-ის მონაცემებით, სიკვდილიანობის დიდი წილი (90%-ი) განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2030 წლისათვის დათბობის მსხვერპლთა რაოდენობა ყოველწლიურად 500 ათასამდე გაიზრდება.

ლექცია 6

სალექციო თემა: „მდიდარი ჩრდილოეთი“ და „ღარიბი სამხრეთი“

საერთაშორისო ეკონომიკა შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც ცალკე დამოუკიდებლად მოქმედი სისტემა, თავისი საკუთარი კანონებითა და წესებით, რომელსაც საკუთარი სტრუქტურა და დინამიკა ახასიათებს. კაპიტალი, ადამიანების მოთხოვნილებებსა და სურვილებთან ერთად, ამ დინამიკის ძირითადი წყარო, ხოლო შრომის საერთაშორისო დანაწილება მისი ფუნდამენტური სტრუქტურაა. საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემას ანუ მსოფლიო მეურნეობას, მეტად რთული და დინამიკური ისტორია აქვს, რომლის გენერატორები იყვნენ: მოსახლეობის რიცხვის ზრდა, ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეები, კლასობრივი ბრძოლა, პოლიტიკური ორგანიზაციის დახვეწა და ეკონომიკური თეორიის განვითარება. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების რთული სისტემა და პირველ რიგში, საერთაშორისო ვაჭრობა კაცობრიობის არსებობის აუცილებელ და განუყოფელ პირობად იქცა. საერთაშორისო ეკონომიკურმა პროცესმა მოგვცა ჭეშმარიტად გლობალური ეკონომიკა.

საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში მიმდინარე პროცესების, კონფლიქტებისა და თანამშრომლობის მიზეზებისა და შედეგების ანალიზის მიზნით, ამერიკელი ეკონომისტი ჯონ სპირო გვთავაზობს ეკონომიკურ სისტემაში სამი შემადგენელი ქვესისტემის გამოყოფას. ესენია: დასავლეთის, ჩრდილოეთ-სამხრეთისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ქვესისტემები.

ჩვენ შევეხებით ჩრდილო-სამხრეთის ქვესისტემას, რომელშიც მკაფიოდ გამოხატული დაპირისპირება და დაქვემდებარება შეიმჩნევა განვითარებულ და ე.წ. განვითარებად ქვეყნებს შორის. ერთ სულ მოსახლეზე ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებლის, ტექნოლოგიური და სხვა მახასიათებლების მიხედვით, ამ ქვესისტემაში, ყველაზე განვითარებული ქვეყნებიდან ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებამდე, უზარმაზარი სხვაობა არსებობს. სამწუხაროდ ეს სხვაობა, (ზოგის თქმით უფსკრული) კიდევ უფრო ღრმავდება.

ამ ქვესისტემის მთავარი თავისებურება დაქვემდებარებაა, რაც ნიშნავს უთანასწორო ეკონომიკურ ურთიერთობებს და ბაზრის კონიუნქტურის მიმართ ძალზე განსხვავებულ მგრძნობიარობას.

მესამე მსოფლიო - არსებობს ასეთი ცნება, რადგან ის არც მდიდარი და დემოკრატიული დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის პირველი მსოფლიოა და არც კომუნისტური ტირანიის საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის მეორე მსოფლიო. სახელმწიფოებს ამ რეგიონში სხვადასხვაგვარად იხსენიებენ: მესამე მსოფლიოს ქვეყნები, ნაკლებად განვითარებული ქვეყნები, ან განვითარებადი ქვეყნები. მაგრამ მკაცრი საზღვრების დადგენა შეუძლებელია და ყოველთვის არსებობს გამონაკლისები, თუმცა მისი ყველაზე დამახასიათებელი ნიშან-თვისება სიღარიბეა. თუმცა ამ შემთხვევაშიც არსებობს გამონაკლისები. ნავთობის მწარმოებელ ქუვეითსა და არაბეთის გაერთიანებულ ემირატებს სპარსეთის ყურეში ყველაზე მაღალი შემოსავალი აქვთ ერთ სულ მოსახლეზე, მაგრამ, ძირითადად, მესამე მსოფლიო ღარიბია და მრავალ ქვეყანაში წლიური ერთიანი შიდა პროდუქტი 1.000$-ზე ნაკლებია. ათჯერ ნაკლები, ვიდრე ინდუსტრიული დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მოქალაქეების საშუალო შემოსავალი.

ზოგი მესამე მსოფლიოს განსაზღვრავს ტერიტორიად, სადაც მსოფლიოს არათეთრი მოსახლეობა ცხოვრობს, მაგრამ ლათინური ამერიკის, არაბული მსოფლიოს, ისრაელის, თურქეთისა და ირანის ნაწილი დასახლებულია თეთრკანიანი ხალხით, ასევე აზიელი ხალხი ცხოვრობს პირველ მსოფლიოში. ასე რომ, რასობრივი კლასიფიკაციაც არ არის გამართლებული.

პრაქტიკულად, თითქმის მთელი მესამე მსოფლიო ერთ დროს კოლონია იყო, ანუ უცხო ქვეყნების კონტროლქვეშ იყო მოქცეული. ლათინურმა ამერიკამ თავისუფლება XIX საუკუნეში მოიპოვა, აზიის დიდმა ნაწილმა - 1940-იან წლებში, აფრიკამ კი - 1960-იან წლებში. მესამე მსოფლიოს უმეტესი ნაწილი ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებდა პირველ და მეორე მსოფლიოს შორის, თუმცა ზოგიერთ მათგანს ყოველთვის ჰქონდა პრო-ამერიკული ან ანტი-დასავლური მიმართულება. აქაც, კვლავ, ძნელია მკაცრი დაყოფა.

ერთი, რაც შეიძლება მთელ მესამე მსოფლიოზე ნათლად ითქვას, არის მათი პოლიტიკური არასტაბილურობა. მრავალმა მათგანმა გაიარა პოლიტიკური

რეჟიმების ცვლა, რევოლუციები და სამხედრო გადატრიალებები და დღესაც იშვიათად მოიძებნება მესამე მსოფლიოში ნამდვილი დემოკრატია. ერთ-ერთი მკვლევარის აზრით ერთი აღსანიშნავი გამონაკლისია ინდოეთი. პაკისტანიც მეტნაკლებად წარმომადგენლობითია. მაგრამ ყველა ამ სახელმწიფოებში პოლიტიკური ინსტიტუტები ძალიან სუსტია და არ ძალუძთ შეინარჩუნონ ნებისმიერი სახის (სამოქალაქო თუ სამხედრო) ეფექტური მთავრობა. მესამე მსოფლიო არა მარტო ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურადაც დასახვეწი და განსავითარებელია.

როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი მკვლევარი მესამე მსოფლიოს განვითარებად არეს უწოდებს, მაგრამ რეალურად ყველა ქვეყანა არ არის განვითარების პროცესში. ზოგი მათგანი სტაგნაციას განიცდის, ზოგიც კი, მხოლოდ რეგრესის პროცესშია.

ერთ-ერთი ავტორი ამბობს, მესამე მსოფლიოს ლიდერები ამტკიცებენ, რომ მათი მთავარი პრიორიტეტი განვითარებაა, მაგრამ ისინი, როგორც წესი, უფრო პირად ძალაუფლებასა და პრესტიჟზე ზრუნავენ და ატარებენ დამღუპველ პოლიტიკასო.

მოკლედ, მესამე მსოფლიო მთელს რუქაზეა გაფენილი. ზოგი მკვლევარის აზრით ქვეყნების ასეთი დიდი რაოდენობა არ შეიძლება მოქცეულ იქნას ერთ საზომში. შეიძლება დავამატოთ ორი კატეგორია: მეოთხე მსოფლიო - ქვეყნები, რომლებსაც ისეთი მიღწევები აქვთ, რომ ცოტა ხანში პირველ მსოფლიოს შეუერთდებიან და მეხუთე მსოფლიო, რომელიც განწირულია სამუდამო სიღარიბისთვის. მეოთხე მსოფლიო ხანდახან მოიხსენიება, როგორც NIC - ახალი ინდუსტრიული ქვეყნები, როგორიც არის სამხრეთი კორეა, ბრაზილია და სხვ.

მესამე მსოფლიოს ძირითად პრობლემად მაინც სიღარიბე რჩება. სიღარიბე შეიძლება დანახულ იქნას რამდენიმე თეორიული პერსპექტივიდან. საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარები არ თანხმდებიან ვერც ამ სიღარიბის მიზეზებზე და ვერც მისი დაძლევის გზებზე. ისინი ასევე ვერ თანხმდებიან ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთობების ხასიათზე. მაგრამ ყველა აღიარებს, რომ სამხრეთის ქვეყნები უკიდურეს გაჭირვებაში არიან. გოლდსტაინის თქმით ეს სიღარიბე ძნელად მისახვედრია ჩრდილოეთ ამერიკისათვის. ეს არის უკიდურესი გაჭირვება, აქ არის შიმშილი და

მისგან გამოწვეული სიკვდილი, ამას ჩვენ ვხედავთ სომალისა და სუდანის სურათებში და ეს უაღრესად შემაძრწუნებელია. მაგრამ ეს არ არის სიღარიბის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი. ხშირად შიმშილობის მიზეზი ომი ან გვალვაა, მაგრამ ხალხის დიდი ნაწილი, რომელიც იღუპება ღარიბ ქვეყნებში კი არ შიმშილობენ, არამედ ხშირად ისინი იღუპებიან სხვადასხვა დაავადებებისგან, რომლებიც გამოწვეულია უხარისხო საკვების მიღებით. უხარისხო საკვებით გაცილებით მეტი ხალხი იღუპება, ვიდრე სრული შიმშილით, მაგრამ ეს ნაკლებად დრამატულია, რადგან ისინი კვდებიან სხვადასხვა ადგილებში, სხვადასხვა გარემოებებში, სხვადასხვა დროს და არა ერთი და იმავე ადგილას თანაბარ პირობებში.

ხშირად ხალხი, რომელიც იღუპება შიმშილით, იღუპება არა იმიტომ, რომ მსოფლიოში ან მათ სახელმწიფოში საკვების ნაკლებობაა, არამედ იმიტომ, რომ უბრალოდ მათ არ აქვთ საშუალება შეიძინონ ეს საკვები. ისინი განიცდიან უსაფრთხო წყლის, ჯანმრთელობის დაცვისათვის აუცილებელი პირობების ნაკლებობას. ეს ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე შიმშილის შემთხვევები, რომელიც გამოწვეულია ომით, ან გვალვით, რადგან ქრონიკული სიღარიბე ეფექტს ახდენს გაცილებით ბევრ ხალხზე.

უამრავი ხალხი ცხოვრობს საცხოვრებელად უვარგის პირობებში, ბევრი საერთოდ უსახლკაროა. მესამე მსოფლიოს მოსახლეობის დიდ ნაწილს საერთოდ არ გააჩნია დაწყებითი განათლებაც კი.

1990-იან წლებში გლობალიზაციამ კიდევ უფრო გააღრმავა უფსკრული მსოფლიოს უღარიბეს და უმდიდრეს ქვეყნებს შორის. ხალხის რაოდენობა, რომელიც ცხოვრობს 1 დოლარი შემოსავლით დღეში 1987 წელს 1.2 მილიარდს შეადგენდა, ხოლო 1999 წლისათვის 1.5 მილიარდამდე გაიზარდა. 60 ქვეყანა ახლა გაცილებით ცუდ მდგომარეობაშია, ვიდრე ისინი 20 წლის წინ იყვნენ. თუ ჩრდილოეთ ამერიკა და დასავლეთი ევროპა აღზევებულია, რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში შემოსავლები თითქმის განახევრდა. თუ ჩინეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია და ლათინური ამერიკის დიდი ნაწილი თავს აღწევენ სიღარიბეს, აფრიკის დიდი ნაწილი უფრო და უფრო ღრმად ეფლობა გაჭირვებაში.

ამგვარად, გლობალიზაცია სამხრეთში ქმნის გამარჯვებულებსაც და დამარცხებულებსაც, მაგრამ მსოფლიოს უღარიბესი მილიონობით ხალხი

დამარცხებულია. ისინი ძირითადად თავმოყრილნი არიან სამხრეთ აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. საშუალო შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე სამხრეთ აზიაში სადაც 2 მილიარდი მაცხოვრებელია წელიწადში 2.500$-ია, აფრიკაში კი - 1.500$-ზე ნაკლები. ათასობით ადამიანს ამაზე ბევრად ნაკლები შემოსავალი აქვს. მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარს კი დღეში 2$-ზე ნაკლები შემოსავალი აქვს (წელიწადში 730$). თუ ამ სტატისტიკით ძნელია წარმოდგენის შექმნა, მაშინ ვთქვათ, რომ ყოველ სამ წამში მსოფლიოში ერთი ბავშვი მაინც იღუპება შიმშილისგან. ეს არის 800 ბავშვი საათში, 20,000-მდე დღეში და 7 მილიონზე მეტი წელიწადში. მსოფლიო აწარმოებს საკმარის საკვებს იმისათვის, რომ გამოკვებოს ეს ბავშვები, მაგრამ მათ ოჯახებს და სახელმწიფოებს არ აქვთ საკმარისი შემოსავალი ამისთვის. ამავე დროს, ამ სამ წამში, როცა ბავშვები იღუპებიან, მსოფლიოში იხარჯება 75,000$ სამხედრო შეიარაღებაზე. ეს რეალობა ასახავს მორალს და პოლიტიკურ დებატებს ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ურთიერთობების შესახებ.

რატომ ხდება, რომ ზოგიერთი ქვეყანა მდიდარია და ზოგიერთი კი ღარიბი? ამასთან დაკავშირებით არსებობს ორი მოსაზრება - შიდა და გარე მიზეზები. მარქსისტები და მესამე მსოფლიოს რადიკალები ამ პრობლემას ხსნიან გარე მიზეზებით. ეს არის არა თვით კარლ მარქსის მიერ, არამედ უფრო გვიანდელი მკველევარების ინგლისელი ეკონომისტის ჰობსონისა და გერმანელი მარქსისიტის როზა ლუქსემბურგის მიერ ჩამოყალიბებული შეხედულება. ისინი კონცენტრირებას ახდენდნენ კლასების სტრუქტურაზე ქვეყნებს შიგნით, რომ აეხსნათ პროგრესი, ან მისი ნაკლებობა. ისინი ამბობდნენ, რომ კაპიტალიზმი გავრცელდა მთელ მსოფლიოში იმპერიების ფორმით. კოლონიების ექსპლოატაციით - იაფი მუშახელის, იაფი ნედლეულის წარმოების და მათი პროდუქციით დაპყრობილი ბაზრების მეშვეობით კაპიტალისტურმა იმპერიებმა უფრო დიდხას გასტანა, ვიდრე მარქსი წარმოიდგენდა შესაძლებლად.

პირადად კაპიტალისტები მდიდრდებოდნენ კოლონიური ვაჭრობის შედეგად, მაგრამ კოლონიების მართვა იმპერილისტური მთავრობისთვის ხშირად უფრო მეტი ჯდებოდა, ვიდრე მისგან მიღებული მოგება. სამ უმდიდრეს ქვეყანას ევროპაში - ნორვეგია, შვედეთი, შვეიცარია - არასოდეს ჰქონიათ კოლონიები. მეოთხე უმდიდრესმა ქვეყანამ - გერმანიამ 1919 წელს ყველა კოლონია დაკარგა.

საფრანგეთის ეკონომიკა გამოცოცხლდა 1960-იან წლებში, მას შემდეგ, რაც თავის კოლონიებს დამოუკიდებლობა მიანიჭა. დასავლეთ ევროპის უღარიბესი ქვეყანა - პორტუგალია იყო პირველი და უკანასკნელი კოლონიური იმპერია. ეკონომისტები, ადამ სმიტიდან მოყოლებული, ევროპის ქვეყნებს ურჩევდნენ გაენთავისუფლებინათ კოლონიები, რადგან ისინი ფულის უაზროდ ხარჯვის საშუალებად მიაჩნდათ.

უმნიშვნელოვანესია ამ ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობების საკითხი განვითარებულ სახელმწიფოებთან. ღარიბი ქვეყნები, რომლებსაც მხოლოდ ნედლეული აქვთ საექსპორტოდ, იღებენ დაბალ ფასს პირველი მსოფლიოს ქვეყნებისგან. ეს იწვევს სიმდიდრის გადინებას და მესამე მსოფლიოს ქვეყნებს კიდევ უფრო მიჯაჭვულს ხდის კაპიტალისტურ ქვეყნებზე. კოლონიალიზმის ნაცვლად ახლა მესამე მსოფლიო ნეოკოლონიალიზმს განიცდის. იმპერიების გადაშენებისა და ყოფილი კოლონიების სუვერენულ სახელმწიფოებად გადაქცევის შემდეგ დარჩა ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც უხილავ ან აშკარა ეკონომიკურ ან პოლიტიკურ დომინირებას, ბატონობას გულისხმობენ. ამ ახალი ტიპის ბატონობას უწოდებენ ნეოიმპერიალიზმს ან ნეოკოლონიალიზმს.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს სიტუაცია არ არის აუცილებლად კაპიტალისტური ქვეყნების შეთქმულების შედეგი. თუ ქვეყნის იაფი პროდუქციის მიწოდება ბაზარზე მაღალია, ის ვერ მიიღებს ამისთვის დიდ ფულს. როდესაც ყავა, შაქარი და რკინა კონკურენციას უწევენ ერთმანეთს გაჯერებულ მსოფლიო ბაზარზე, რა თქმა უნდა ამ პროდუქციებზე ფასები ეცემა, ხანდახან, მათ თვითღირებულებაზე უფრო დაბლა. ერთადერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან ის არის, რომ ამ ქვეყნებმა უნდა შეავსონ თავიანთი წარმოება ახალი პროდუქციით. სწორედ ასე მოიქცა ბრაზილია და იგი დღეს არავის ნეოკოლონიას აღარ წარმოადგენს. არსებობს ასევე მეორე გზა, როგორიც არის კარტელის შექმნა ოპეკის მსგავსად, რომელიც დააწესებს ლიმიტს პროდუქციის წარმოებაზე და ამის საშუალებით მოხდება ფასების აწევა. სწორედ ამ გზით, ნავთობის ექსპორტიორმა ქვეყნებმა ,,დაიპყრეს“ ნავთობის იმპორტიორი ქვეყნები.

კონსერვატორები მხარს უჭერენ შეხედულებას, სადაც ამ პრობლემის გარე მიზეზები სახელდება. ისინი ამბობენ, რომ ღარიბ ქვეყნებთან დაკავშირებით არსებობს სამი ძირითადი პრობლემა. აღსანიშნავია, რომ თითქმის არცერთი

მათგანი არ განიცდის ბუნებრივი რესურსების ნაკლებობას. ქვეყნებმა, რომლებიც ღარიბია რესურსებით, შექმნეს ძლიერი ეკონომიკა ადამიანურ რესურსებზე დაყრდნობით (იაპონია და სინგაპური), ამავე დროს არის ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყნები, მაგრამ ისინი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობენ (ბირმა და ნიგერია).

თანამედროვე მიდგომით, ადამიანური რესურსები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან გონებრივი შესაძლებლობების გამოყენებითა და დაუღალავი მუშაობით შესაძლებელია მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესება. მაგრამ ასეთი მიდგომა მიუღებელია ტრადიციული საზოგადოებისთვის, სადაც ხალხი ითხოვს ძალიან ცოტას და მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა ძალიან მცირეა. ჩვენ შეგვიძლია განვასხვავოთ ,,თანამედროვე" და ,,ტრადიციული" ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა. თანამედროვე გონება აკეთებს ყველაფერს სწორად, სწრაფად და მისი მუშაობა ყოველთვის მაღალპროდუქტიულია. ტრადიციულ საზოგადოებაში ხალხი ვერ ხედავს საჭიროებას, რომ საქმე აკეთოს ყურადღებით და სწრაფად. დრო ფულია - ამბობს თანამედროვე ადამიანი, ხვალ - ამბობს ტრადიციული ადამიანი.

რატომ არის, რომ ქვეყნების ნაწილმა შეძლო დაეძლია ჩამორჩენილობა? დასაწყისში ყველა ჩამორჩენილი იყო, მაგრამ ზოგმა შეძლო მდგომარეობიდან გამოსვლა. მაგალითად, ევროპა შუა საუკუნეების მანძილზე იყო ტრადიციული საზოგადოება და განათლების, მეცნიერებისა და კომერციის სფეროში ბევრად უფრო უკან იდგა, ვიდრე არაბეთის და ჩინეთის იმპერია, მაგრამ XVI საუკუნეში ევროპის გარკვეული ნაწილი უფრო განვითარდა, ვიდრე არაბეთი და ჩინეთი და ეს განსხვავება უფრო და უფრო იზრდება საუკუნეების მანძილზე.

ევროპის მოდერნიზაციის მიზეზები ბევრია, მაგრამ მრავალი ისტორიკოსი მთავარ მიზეზად იტალიის რენესანსს ასახელებს, რომელიც XIII საუკუნეში დაიწყო. საფრანგეთიდან მოყოლებული, მონარქებმა დაიწყეს თავიანთი ძალაუფლების გაფართოება და გაგზავნეს ექსპედიციები, რათა შეესწავლათ ის ტერიტორიები, რომლის დაპყრობასაც აპირებდნენ. ნელ-ნელა ჩნდებოდა ახალი მიდგომა ფულის და მატერიალური პროგრესის მიმართ. ტრადიციულ საზოგადოებებში ხალხი არ ცდილობდა დაეგროვებინა ფული. ისინი არ მუშაობდნენ თავდადებით სიმდიდრის დასაგროვებლად. ხალხი, რომელიც

ეწეოდა ბიზნესს ცდილობდა შეექმნა ნორმალური საცხოვრებელი პირობები თავისი ოჯახისთვის, მაგრამ ამაზე მეტის სურვილი არავის გააჩნდა.

დაახლოებით XV საუკუნეში ევროპის გარკვეულ ნაწილში გაჩნდა კაპიტალისტური მენტალიტეტი. გაჩნდა მისწრაფება დაეგროვებინათ შესაძლებლად მეტი ფული და სიმდიდრე, იმაზე მეტი, ვიდრე ოჯახს ესაჭიროებოდა და შეეძლო დაეხარჯა. ბიზნესმენებმა დაიწყეს ფიქრი იმაზე, რომ დაეგროვებინათ სიმდიდრე რაიმე ლიმიტის გარეშე. მკვლევარების აზრით, სწორედ ეს მენტალიტეტი არ არსებობს მესამე მსოფლიოში, რის გარეშეც შეუძლებელია მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა.

რატომ მოხდა ეს ცვლილება არ არის დადგენილი. ზოგი მკვლევარი ხაზს უსვამს ტექნოლოგიურ ცვლილებებსა და ინოვაციას, განვითარებულ ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციის საშუალებებს, სამეფოების ცენტრალიზაციასა და კონსოლიდაციას. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს არსებობდა სხვა ცივილიზაციებშიც, როგორიც იყო რომი, ჩინეთი, არაბეთი, და ეს არ გამხდარა მყარი ეკონომიკის განვითარების საფუძველი.

სხვა მკვლევარები მიუთითებენ ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე, განსაკუთრებით რელიგიაზე (პროტესტანტიზმი). ძველი კათოლიკური ეკლესია არ იყო ორიენტირებული ეკონომიკურ ზრდაზე, ის უქადაგებდა ხალხს მიეღოთ თავიანთი ადგილი ცხოვრებაში. ფულის სესხება რაიმე ინტერესით ამორალურად ითვლებოდა და აკრძალული იყო. პროტესტანტიზმი კი უარყოფდა ასეთ აკრძალვებს და მოიტანა მისწრაფება ეკონომიკური კეთილდღეობისკენ.

ყველაფერი ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ევროპამ დაიპყრო დანარჩენი მსოფლიო, კოლონიურმა მმართველებმა შეცვალეს მსოფლიოს პოლიტიკური რუქა და ცდილობდნენ მოეწყოთ ის დასავლეთის სურვილის მიხედვით. იყო თუ არა ეს უსამართლო სადავოა, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყნებს არ შესწევდათ ძალა წინააღმდეგობის გასაწევად.

მესამე მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანამ აითვისა დასავლეთის ტექნოლოლოგიური მიღწევები და განიცადა მოდერნიზაცია. ოსმალეთის იმპერიამ XIX საუკუნეში აითვისა ევროპული შეარაღება, უნიფორმები, სამხედრო ორგანიზაცია. იაპონელებმა ევროპისგან გადაიღეს არა მარტო სამხედრო ტექნიკა, არამედ ინდუსტრიული პროცესები, ჩინეთმა შეითვისა მხოლოდ დასავლეთის

სამხედრო მეთოდები. მაგრამ იმისათვის რომ შეითვისო მთელი დასავლური სისტემის ფასეულობები და ეკონომიკა, არ არის საკმარისი მხოლოდ დასავლური ცივილიზაციის მხოლოდ ერთი ნაწილი, როგორიცაა სამხედრო სფერო, არამედ საჭიროა დასავლური განათლება, ეკონომიკა და ნაციონალიზმი, რათა სამხედრო ძალებმა იმოქმედონ სწორი გზით.

ნიშანდობლივია, რომ ხშირ შემთხვევაში მესამე მსოფლიო წინააღმდეგი იყო დასავლურ კულტურასთან ზიარებისა. მესამე მსოფლიოს ხალხისთვის ძნელი აღსაქმელია ის ფაქტი, რომ რითაც ისინი აქამდე ცხოვრობდნენ - მათი რელიგია, ფასეულობები, სოციალური სტრუქტურა და გაცნობიერება მიუღებელი და შესაცვლელია. ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი კულტურა, მაშინ, როცა ითვისებენ დასავლეთის ტექნოლოგიას, მაგრამ ამას იშვიათად აქვს შედეგი. სპარსეთის ყურის ქვეყნები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ისლამი, როდესაც აშენებდნენ ნავთობის ეკონომიკას, მაგრამ შედეგი იყო მხოლოდ არასტაბილურობა და მარცხი. ისლამი ეწინააღმდეგება დასავლურ კულტურასთან დაახლოებას, ისლამი არ არის მხოლოდ რელიგია, არამედ ცივილიზაცია, რომელიც თავს მიიჩნევს უფრო მაღალი მორალის მქონედ დასავლეთის მატერიალიზმთან შედარებით.

ამა თუ იმ გზით, დასავლეთმა გაავრცელა თავისი ფასეულობები მთელ პლანეტაზე. შედეგად მსოფლიოში არ არსებობს წმინდად ტრადიციული ქვეყანა, ყველა მათგანი არის თანამედროვეობისა და ტრადიციულის არასტაბილურ კომბინაციაში, რაც უამრავ პრობლემას ქმნის.

* * *

დაქვემდებარების თეორიის თანახმად, საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ჩარჩოებში ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებული უფსკრული, არის პირველის მიერ მეორის ექსპლოატაციის შედეგი. ჩრდილოეთის განვითარებული ცენტრისა და სამხრეთის - განუვითარებელი პერიფერიის ურთიერთმიმართება ამ თეორიის მიხედვით თანასწორთა თანამშრომლობა კი არ არის, არამედ ერთის მიერ, მეორის ექსპლოატაცია, რადგან პირველის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა ძირეულად განსხვავდება მეორისაგან.

სტრუქტურალიზმის თეორიის თანახმად, ლიბერალური კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკა ხელს უწყობს განვითარებულ და განვთარებად ქვეყნებს

შორის არსებულ სხვაობათა შენარჩუნებას და აფერხებს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ აღმავლობას. ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს განვითარების საშუალებას საერთაშორისო ეკონომიკის ხასიათი არ აძლევს. ისინი იყვლიფებიან განვითარებული ცენტრის მიერ და მათი ეკონომიკური განვითარება შენელებულია იმის გამო, რომ ისინი ექსპლოატაციიის მარწუხებში არიან მოქცეულნი.

მკვლევარების უმეტესობა ამის საფუძვლად იმპერიალიზმს ასახელებს. კოლონიური ქვეყნების მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებამ ვერ უზრუნველყო ვერც განთავისუფლებული ქვეყნების მეტროპოლიებზე ეკონომიკური დამოკიდებულების ლიკვიდაცია, ვერც მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის არსებული სხვაობის შემცირება. კოლონიური სისტემის რღვევის შემდეგ ყოფილ მეტროპოლიებში ეკონომიკის ეტაპობრივი სტრუქტურული გარდაქმნის პროცესი მიმდინარეობს, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ უპირატესობას განვითარებად ქვეყნებთან შედარებით.

დაქვემდებარების თეორიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო ვაჭრობის მექანიზმების თავისებურებებს, რომლებიც უარყოფით როლს ასრულებენ განვითარებად ქვეყნებთან მიმართებაში. საგარეო ვაჭრობას სასიცოცხლო მნიშვენლობა აქვს სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის. ამ ქვეყნების საგარეო ვაჭრობის 2/3 განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის უცხოური ვალუტის წყაროებს წარმოადგენს: ექსპორტი, უცხოეთის ქვეყნების დახმარება, კომერციული სესხები და კერძო კაპიტალდაბანდებები. განვითარებადი სახელმწიფოების უმრავლესობა არასაკმარისი ეკონომიკური განვითარების გამო მცირე, არატევადი შიდა ბაზრის მქონეა. მათი მეურნეობა და ექსპორტი არ არის დივერსიფიცირებული. ამიტომ ისინი დიდად არიან დამოკიდებულნი ჩრდილოეთის განვითარებული ქვეყნების მძლავრ, ტევად შიდა ბაზარზე, მათი მოსახლეობის მაღალ მსყიდველობით უნარზე. ამის გამო სამხრეთის განვითარებადი ქვეყნები თითქმის მთლიანად დამოკიდებულნი არიან განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელიც იმპორტზე განვითარებული ქვეყნების მოთხოვნილებას განსაზღვრავს. ეს იმპორტი კი იმავე მნიშვნელობის სასიცოცხლო ექსპორტია განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებიც, როგორც წესი, მინერალურ და

სასოფლო სამეურნეო ნედლეულს, ნახევარფაბრიკატებსა და ზოგიერთი სახეობის სამრეწველო პროდუქციას ყიდიან. თუ განვითარებადმა ქვეყანამ ვერ მოახერხა თავისი პროდუქციის რეალიზება, მისი ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდება.

დევიდ რიკარდოს შედარებითი უპირატესობის იდეამ, რომლის მიხედვითაც ყველა ქვეყანამ უნდა აწარმოოს ის, რისი წარმოებაც სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო რენტაბელურია, არ გაამართლა. სამხარეთის ეკონომიკა განვითარებულია ძალზედ ვიწრო მოცულობით, რაც მიმართულია მხოლოდ ერთი, ან ორი პროდუქციის ექსპორტზე. ასეთი ვიწრო მოცულობის ექსპორტის ეკონომიკა ხელსაყრელია ქვეყნის შედარებითი უპირატესობისათვის, მსოფლიოს ერთი დარგის სპეციალიზაციისთვის, მაგრამ ეს ქვეყანას დაუცველს ხდის მსოფლიო ბაზარზე ფასების ცვლილებასთან მიმართებაში.

ამგვარად, ამ თეორიის მიმდევრების აზრით, განვითარებადი ქვეყნების ძირითადი პრობლემა სტრუქტურული ხასიათისაა, რადგან სუსტად განვითარებული ქვეყნები ძირითადად ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ექსპორტიორები არიან და ამავე დროს მათ უნდა შემოიტანონ დიდძალი სამრეწველო საქონელი. აქედან გამომდინარე, განვითარებადი ქვეყნების ექსპორტის მოცულობის სტაბილურობა, გაზრდა, მასზე ფასების სტაბილურობა ამ ქვეყნებისათვის ყოფნა-არყოფნის ტოლფასია. (რაულ პრებიშის სკოლის იდეების გამარჯვებად მიიჩნევა 1964 წ. UNCTAD-ის შექმნა. UNCTAD-მა გაატარა რამდენიმე შეღავათიანი პროგრამა და ღონისძიება, რომლებმაც სუსტად განვითარებული ქვეყნების მდგომარეობა მათი ექსპორტის სტაბილიზაციისა და სავალუტო შემოსავალის ზრდის თვალსაზრისით ერთგვარად შეამსუბუქა).

წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების დომინირება შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მნიშვნელოვნად განაპირობა სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ. ენერგოტევადი წარმოების შემცირებამ და რესურსდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვამ მკვეთრად შეამცირა მსოფლიო ბაზარზე განვითარებადი ქვეყნების ნედლეულ პროდუქციაზე მოთხოვნილება. შემცირდა, აგრეთვე, განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში ენერგო და მასალტევადი წარმოების გადატანა. სახეზეა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შენელებული მოქმედების ეფექტის შედეგი.

მკვლევარების ნაწილი თვლის, რომ გლობალური ეკონომიკური ურთიერთობები იმგვარად არის აგებული, რომ განვითარებულ ქვყნებს მომგებიანი პოზიცია უჭირავთ. ეს პოზიცია არაეკვივალენტური გაცვლის პრინციპით არის განპირობებული: ყოველი სავაჭრო ოპერაცია მსოფლიო ბაზრის ფასებში ხდება. ვინაიდან შრომის ანაზღაურება არაერთგვაროვანია განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში, ამიტომ მათ მიერ წარმოებული საქონელი სხვადასხვა ფასისაა. მაგალითად, განვითარებულ ქვეყანაში წარმოებული რაიმე სახის საქონლის ფასი ბევრად უფრო აღემატება, ვთქვათ რომელიმე განვითარებად ქვეყანაში წარმოებული იმავე საქონლის ფასს. მაგალითად 1996 წელს განვითარებადი ქვეყნების მიერ მსოფლიო ბაზარზე 45 მლრდ. დოლარის ღირებულების საქონელი იქნა გატანილი. სპეციალისტთა შეფასებით, იგივე საქონელი, წარმოებული რომელიმე განვითარებულ ქვეყანაში 75 მლრდ. დოლარი ეღირებოდა. 30 მლრდ. დოლარის განსხვავება კი ბევრად მნიშვნელოვანია, რადგან ეს თანხა გაცილებით მეტია, ვიდრე განვითარებული ქვეყნების მიერ მესამე მსოფლიოსადმი გაეწული დახმარების ხარჯები.

დაქვემდებარება ვლინდება კაპიტალდაბანდებათა სფეროშიც განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში კაპიტალდაბანდებათა მნიშვნელოვანი, ან უდიდესი ნაწილი განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. ეს კაპიტალადბანდებანი, ბუნებრივია, მიედინება იმ დარგებში, სადაც ტექნოლოგიური პროგრესი, თანამედროვე სამრეწველო განვითარება შესაძლებელია; და აქვე უნდა ვიგულისხმოთ საექსპორტო დარგები ე. ი. მიმღები ქვეყნის ეკონომიკის საკვანძო, სასიცოცხლო სფეროები. მაშასადამე, მიმღები ქვეყანა დაქვემდებარებულია განვითარებულ ქვეყნებზე, საიდანაც შემოდის მისი ეკონომიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ინვესტიციები.

თანამედროვე არაფორმალური იმპერიალიზმის მთავარ მოქმედ პირებს ე.წ. ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ. ჩვეულებრივ ტრანსნაციონალური კორპორაციები აკონტროლებენ მიმღები ქვეყნების ყველაზე მნიშვნელოვან საწარმოო და მომსახურების დარგებს, საექსპორტო სექტორს. მიმღები ქვეყნის მთვრობისათვის კი ძალიან ძნელია ეფექტიანად გააკონტროლოს ისეთი კორპორაციის საქმიანობა, რომელიც სრულიადაც არ ემორჩილება არცერთი მიმღები ქვეყნის კანონებს. მათი უმრავლესობის შტაბ-ბინები

თავმოყრილია ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, როგორებიცაა აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და საფრანგეთი. ცალკეული ტრანსნაციონალური კორპორაციების სავალუტო რესურსები ზოგიერთი განვითარებადი ცენტრალური ბანკის რესურსებს აღემატება. Mმათი მოქმედების ასპარეზი თითქმის მთლიანად მოიცავს მესამე მსოფლიოს. აკონტროლებენ რა ეკონომიკის წამყვან დარგებს, ისინი აქტიურ ექსპლოატაციას უწევენ ადგილობრივ, ბუნებრივ და შრომით რესურსებს. ტრანსნაციონალური კორპორაციების ასეთი გაბატონებული მდგომარეობა პირველ რიგში კაპიტალის გადატანას ეფუძნება, რაც პირდაპირი ინვესტიციების ფორმით და მათ ბაზაზე ფილიალების ქსელის შექმნით ხდება.

მრავალეროვნული კორპორაციები დებენ ინვესტიციებს ამა თუ იმ ქვეყნებში, რათა მიიღონ მოგება ამ ბიზნესით. ზოგ შემთხვევაში ეს არის მინერალებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების არსებობა, ხანდახან იაფი მუშახელი, ზოგჯერ კი, ტერიტორიული დამკვიდრებაა განმსაზღვრელი ფაქტორი. ზოგ სახელმწიფოს აქვს ინვესტიციების მიზიდვის მეტი შესაძლებლობა გამომდინარე უფრო განვითარებული ინფრასტრუქტურიდან და მაღალი დონის სპეციალისტებიდან. ესენი ძირითადად არიან საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნები. აქედან გამომდინარე, ინვესტიციების მიზიდვის მაღალი შესაძლებლობის მქონე ქვეყნები კიდევ უფრო ზრდიან არსებულ განსხვავებას ღარიბ ქვეყნებთან მიმართებაში.

მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები, ამავე დროს კაპიტალის, ახალი ტექნოლოგიების, დასაქმების, მენეჯმენტის პროგრესული ფორმების, მარკეტინგის გამოცდილებისა და სხვა სახის სიახლეების შეტანით საკმაოდ უწყობენ ხელს ეკონომიკურად სუსტი ქვეყნების აღმავლობას.

დაქვემდებარების კიდევ ერთი ფორმაა საფინანსო დაქვემდებარება. სუსტად განვითარებული ქვეყანა საფინანსო დახმარებას იღებს საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, რომელიც სესხისა თუ დახმარების მიმღები ქვეყნის საშინაო, თუ საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის უფლებას იტოვებს. განვითარებადი ქვეყნები სესხს იღებენ ასევე განვითარებული ქვეყნების კერძო კომერციული ბანკებისა და კომპანიებისაგანაც. სხვადასხვა სესხის გამცემი მხარეები - ბანკები და სახელმწიფოები ცდილობენ მიიღონ მაქსიმალურად მეტი მოგება და ეს ხშირად მიმღები ქვეყნის დანაკარგების ხარჯზე ხდება.

ბევრი მკვლევარი ამის მიზეზად არა სისტემის სპეციფიკას ასახელებს, არამედ ხაზს უსვამს ჩამორჩენილი ქვეყნების მიერ საკუთარი რესურსების და პოტენციალის არარაციონალურ გამოყენებას.

ბევრი მათგანი ამ ქვეყნების სიღარიბის მიზეზად მოსახლეობის სწრაფ ზრდას ასახელებს და განვითარებად ქვეყნებს ურჩევს აღარ იყოლიონ ბევრი შვილები, ბევრი კი ხაზს უსვამს განვითარებულ ქვეყნებში კორუმპირებულ მთავრობებს, რაც ალბათ მართლაც უმნიშვნელოვანესია, რადგან მოდინებული ინვესტიციებისა თუ აღებული სესხების არამიზნობრივი ხარჯვა ძალიან დიდ პრობლემებს უქმნის მესამე მსოფლიოს სახელმწიფოებს და მათ სამუდამო მევალის პოზიციაში აგდებს.

რაც შეეხება გლობალიზაციას, არ შეიძლება ეს პროცესი განვიხილოთ მხოლოდ უარყოფითი კუთხით და ვთქვათ, რომ გლობალიზაცია უფრო ზრდის დაპირისპირებას და განსხვავებას განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის. გლობალიზაციას თან სდევს ისეთი შედეგები, რომლებიც განვითარებადი ქვეყნებისთვის მხოლოდ დადებით მოვლენად შეიძლება განიხილოს (ტექნოლოგიების, გამოცდილების, განათლების გაზიარება). ამგვარად, ზოგიერთი მკვლევარის აზრით გლობალიზაცია კი არ ზრდის უთანასწორობას ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის, ის უბრალოდ უფრო ნათელს ხდის ამ განსხვავებას.

და ბოლოს, უმრავლესობა მკვლევარებისა ამ სიტუაციიდან გამოსავალს მესამე მსოფლიოს ინდუსტრიალიზაციაში ხედავს და აღნიშნავს, რომ მესამე მსოფლიოს ქვეყნები უნდა შეეგუონ თავისუფალ წარმოებას და მსოფლიო ბაზარს, რომელსაც შეუძლია მათი ბუნებრივი უპირატესობების გამოყენება.

ლექცია 7

ლექციის თემა: დემოგრაფიული „აფეთქება“

გლობალური მოსახლეობის პრობლემა. ეს პრობლემა ფაქტიურად ერთ-ერთ უიშვიათეს გამონაკლისს წარმოადგენს, როდესაც კავშირი გლობალიზაციასა და თვით პრობლემის წარმოქმნას შორის უშუალო და აშკარაა. მისი ყველაზე თვალნათლივი შედეგია მსოფლიო მოსახლეობის არნახული ტემპებით ზრდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ეს პროცესი იმდენად ინტენსიურად წარიმართა, რომ “დემოგრაფიული აფეთქების” სახელით გახდა ცნობილი. მოსახლეობის ზრდის უდიდესი ნაწილი ამ პერიოდში მოვიდა განვითარებად ქვეყნებზე, რის შედეგადაც მათი წილი მსოფლიო მოსახლეობაში გაიზარდა 67.7%-დან 1950 წ. 80.7%-მდე 2000 წ. მთლიანად ამ ქვეყნებში მოსახლეობა 2.9-ჯერ გაიზარდა, კერძოდ, პაკისტანსა და ნიგერიაში 3.9-ჯერ, მექსიკაში 3.6-ჯერ და ა.შ. 8 ყველაზე დიდ განვითარებად ქვეყნებში (ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია, ბრაზილია, ბანგლადეში, პაკისტანი, ნიგერია, მექსიკა) მსოფლიოს მოსახლეობის 52% ცხოვრობს (47% 1950 წ.), მ.შ. ორ ყველაზე დიდში - ჩინეთსა და ინდოეთში - 38%. თავისთავად მოსახლეობის რაოდენობის ასეთი ზრდა არაფერ არატიპურს არ წარმოადგენს - დაახლოებით ასეთივე ეტაპი გაიარეს დღევანდელმა განვითარებულმა ქვეყნებმა სამრეწველო რევოლუციის დაწყების შემდეგ. მაშინ ეს პროცესი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ობიექტური ფაქტორებით იყო განპირობებული, თან სდევდა მათ, დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ შედარებით მცირე ნაწილს შეეხო (დღევანდელი განვითარებული ქვეყნები - ე.წ. „ოქროს მილიარდი“). მთლიანობაში მან დადებითი როლი შეასრულა გლობალურ განვითარებაში. განვითარებად ქვეყნებშიც მოსახლეობის „აფეთქება“ გამოწვეული იყო სიკვდილიანობის

მკვეთრი შემცირებით შობადობის ტრადიციულად მაღალ ფონზე. პრობლემა ისაა, რომ განვითარებულ ქვეყნებში სიკვდილიანობის შემცირება მოჰყვა ცხოვრების დონისა და ცხოვრების პირობების თანდათანობით გაუმჯობესებას, რაც ერთდროულად შობადობაზეც მოქმედებდა, თუმცა შედარებით უფრო ჩამორჩენით (რამდენიმე ათეული წლით).

დემოგრაფიული აფეთქება შეეხო, უკვე იყვნენ ჩართული გლობალური ურთიერთობების სისტემაში, რომელმაც გახადა შესაძლებელი ამ ინოვაციების შედარებით შეუფერხებელი გადაცემა. ფაქტიურად მათ მიიღეს განვითარებული ქვეყნებიდან პირველი განვითარების ტრანში ორივე მონაწილე მხარის მინიმალური ძალისხმევის ხარჯზე. მეორე მხრივ, მეორე ტრანში, რომელშიც უნდა შესულიყო ამ ქვეყნების მოდერნიზაცია, სტრუქტურული ტრანსფორმაცია და ა.შ., რომელსაც საბოლოო ჯამში უნდა მოჰყოლოდა მათი ეკონომიკური განვითარება მისი თანმხლები მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ზრდით, ისევე როგორც მისი კვლავწარმოების ტრენდების შეცვლით, ძლიერი დაგვიანებით იყო მიწოდებული, ხოლო მისი შედეგები ფრიად არაეთგვაროვენი გამოდგა.

განვითარებად ქვეყნებში სიკვდილიანობა იმდენად არ დაცემულა, რომ განვითარებული ქვეყნების დონეს მიახლოვებოდა, მაგრამ 1950-1980 წლებში ის 2.3-ჯერ შემცირდა, მ.შ. 1960-80 წლებში - ორჯერ. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გამოეწვია დემოგრაფიული აფეთქება. 1950-55 წლებში განვითარებად ქვეყნებში ფერტილურ ასაკში მყოფ ერთ ქალზე საშუალოდ 6.2 ბავშვი მოდიოდა.

ეს ყველაფერი შეეხო ქვეყნებს, რომელთა სახელმწიფოებრიობა უმეტესწილად ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფებოდა, ხოლო განვითარების დონით ყოფილ მეტროპოლიებს ისინი ხშირად რამდენიმე ასეული წლით ჩამორჩებოდნენ. მათ ეს პროცესი არ სჭირდებოდათ, ისინი მას არ გეგმავდნენ და ვერ აკონტროლებდნენ. ფაქტიურად აქ დემოგრაფიული მოდერნიზაციის პროცესი (უფრო სწორედ მისი ზოგიერთი ელემენტი) წარმოადგენდა არა ამ ქვეყნებისა თუ რეგიონების განვითარების ლოგიკურ შედეგს, არამედ მსოფლიოს უფრო განვითარებული ნაწილის ყოველდღიური ცხოვრების წესის გარკვეული ელემენტების დანერგვას, რომელთა ტრანსფერი (მიზანდასახული თუ უნებლიე) გლობალიზაციური პროცესების ფარგლებში ადვილი იყო. იმის გამო, რომ დემოგრაფიული აფეთქების პროცესი ძირითადად (დასაწყისში მაინც) ფაქტიურად “მექანიკური” იყო, ის ნაკლებად იყო დამოკიდებული კონკრეტული ქვეყნის ცივილიზაციის ტიპზე, მოსახლეობის კულტურაზე, სარწმუნოებაზე და ა.შ. მმართველობის ეფექტურობაც კი ამ

შემთხვევაში ძალიან ნაკლებ როლს თამაშობდა - შედარებით კარგად და ცუდად მართული ქვეყნები ამ დროს „ერთ ნავში“ აღმოჩნდნენ.157

დემოგრაფიულმა დაწოლამ ამ ქვეყნების უმეტესობას არ მისცა საშუალება ფეხზე დამდგარიყო, ამ პრობლემამ ძირითადი როლი ითამაშა მათი მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრად შეამცირებაში (ზოგჯერ 30 და მეტი პროცენტით) კოლონიურ პერიოდთან შედარებით (განსაკუთრებით აფრიკაში) და მილიარდი ადამიანი მშიერ ღატაკად აქცია

დემოგრაფიული აფეთქება ესაა მსოფლიოს მოსახლეობის მკვეთრი დაჩქარება, ძირითადად განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ხარჯზე. 1950-1960-იანი წლების დემოგრაფიული აფეთქება განპირობებული იყო განვითარებად ქვეყნებში მოკვდავობის შემცირებით 23-24 პრომილედან 9-10 პრომილემდეშობადობის მაღალი დონის შენარჩუნების პირობებში.

დემოგრაფიული აფეთქების ტენდენცია მსოფლიოში ფაქტიურად ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში შესუსტდა, ხოლო უკვე ამ საუკუნის დასაწყისში საბოლოოდ გატყდა. დღეს მთლიანობაში განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის აღწარმოება ხდება დაახლოებით იმავე პრინციპით, რაც მდიდარ ქვეყნებში — ე.ი. ადამიანები უფრო გვიან ქორწილდებიან და ნაკლები ბავშვი ჰყავთ. საშუალოდ განვითარებად ქვეყნებში ერთ ქალზე ფერტილურ ასაკში დღეს 2.9 ბავშვი მოდის, ხოლო ოც ქვეყანაში შობადობა ვეღარ ფარავს სიკვდილიანობას.

იმის გამო, რომ ამ პროცესის ინერცია ძალზე დიდია (ერთ ქალზე მოსული ბავშვების რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე წინა თაობაში, მაგრამ თვით დედების რაოდენობა ბევრად მეტია) - დედამიწის მოსახლეობის ყოველწლიური მატება ჯერ კიდევ ძალიან მაღალია და გაეროს გათვლებით 1950-იანი წლების დონეს ზუსტად 100 წლის თავზე, 2050-იანი წლებისათვის დაუბრუნდება. დედამიწის მოსახლეობის სტაბილიზაცია მოხდება ეტყობა დაახლოებით 10 მილიარდი ადამიანის დონეზე ამ საუკუნის მეორე ნახევარში.

უამრავი ქვეყანა მსოფლიოში დღეს მოხვედრილია ე.წ. „სიღატაკის მახეში” - მაშინაც კი, თუ მათ გააჩნიათ შედარებით ეფექტური, ნაკლებად კორუმპირებული ხელმძღვანელობა, ისინი ვერ ერევიან მათ წინაშე მდგომ პრობლემებს იმის გამო, რომ უბრალოდ ძალიან ღარიბები არიან. მაშინაც კი, როდესაც მთავრობებს

გულწრფელად სურთ მათ წინაშე მდგომი პრობლემების მოგვარება, მათ აკლიათ საგადასახადო შემოსავალი ინფრასტრუქტურაში, სოციალურ სექტორში, გარემოს დაცვაში, თვით საჯარო ადმინისტრაციაში დასაბანდებლადაც კი. პრაქტიკულად ნებისმიერი ასეთი ქვეყანა, აგრეთვე, ყოველწლიურად ისტუმრებს უზარმაზარ თანხებს საგარეო ვალების მომსახურებაში. ხოლო საბაზო ინფრასტრუქტურის, სოციალური კაპიტალის, და მართვის სისტემის გარეშე შეუძლებელია კერძო ინვესტიციების მოზიდვა და ეკონომიკური განვითარება. გზების, სასუქების, ელექტროენერგიის, იაფი, ეფექტური საწვავის, სკოლების, საავადმყოფოების, ხელმისაწვდომი საცხოვრებლის, წყალმომარაგების გარეშე ადამიანები ქრონიკულად მშივრები და ავადმყოფები რჩებიან.

ძალიან ხშირად (შეიძლება ითქვას განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში) ამ სიტუაციას უაღრესად ამწვავებს არაეფექტური მართვა, კორუფცია, ეკონომიკური პოლიტიკის არასწორი არჩევანი.

უფრო მეტიც - ასეთ ქვეყნებში ფაქტიურად შეუძლებელია ადამიანის უფლებების დაცვა. დიდია იმის შანსი, რომ როგორც სხვადასხვა მოქიშპე პოლიტიკურ თუ ეთნიკურ დაჯგუფებებს შორის ერთი ქვეყნის შიგნით, ასევე ორ ან მეტ ასეთი ტიპის ქვეყანას შორისაც, მოხდეს კონფლიქტი იმის თაობაზე, თუ ვინ გააკონტროლებს ისეთ ბუნებრივ რესურსებს, რომელთა ექსპლუატაციასაც სწრაფი მოგების მოტანა შეუძლია. ასეთი ქვეყნების მთავრობები ხშირად არა მარტო ვერ აკონტროლებენ ისეთ კრიმინალს, რომელსაც საერთაშორისო გავლენა გააჩნია, თვითონვე მფარველობენ მას.

გარდა ამისა, გაეროს შეფასებებით, არსებობს აშკარა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი სიღარიბესა და შემოსავლების მკვეთრ „შოკურ“ დაცემას შორის, ერთი მხრივ, და შეიარაღებულ კონფლიქტებს შორის, მეორე მხრივ. სიღარიბე მათ ბიძგს აძლევს და დასაყრდენს უქმნის. საშუალოდ შემოსავლების 5%-იანი შოკური დაცემა ზრდის კონფლიქტის ალბათობას 50%-თ.163 რუანდის ცნობილი გენოციდის დროს, 1994 წელს, რამდენიმე თვის განმავლობაში დაიღუპა არა ნაკლებ 800 ათასი ადამიანი. 1998-2000 წლის ომს კონგოში, რომელშიც ექვსი აფრიკული სახელმწიფო მონაწილეობდა, გადაჰყვა თითქმის 4 მილიონი ადამიანი, ძირითადად შიმშილითა და დაავადებებით. ამ კონფლიქტში მონაწილე მხარეები, ძირითადად უგანდა და რუანდა, აიარაღებდნენ ადგილობრივ ტომებს

და იყენებდნენ მათ მინერალებით მდიდარ ტერიტორიებზე კონტროლის დასამყარებლად. საბოლოო ჯამში კონფლიქტის ყველა ეს მონაწილე ერთმანეთს დაერია.

4.1.3. ფორმალურად განვითარებადი მსოფლიოს მოსახლეობის დღევანდელი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა 1990 წელთან შედარებით. 1990-2002 წლებში საშუალო შემოსავლები აქ 22%-თ გაიზარდა, უკიდურესად ღარიბი ადამიანების რიცხვი დაახლოებით 130 მილიონით შემცირდა, ცხოვრების საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა 2 წლით გაიზარდა და ა.შ.

ფაქტიურად კი სიტუაციის ეს გაუმჯობესება მსოფლიოს შედარებით ვიწრო არეალის მოსახლეობის მცირე ნაწილს შეეხო. აშკარად გაუმჯობესდა მდგომარეობა აზიაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ აზიაში. უკიდურესად ღარიბი ადამიანების კლებამ აქ 201 მილიონი შეადგინა, ხოლო ამ კატეგორიის ადამიანების წილი მთლიან მოსახლეობაში ორჯერ დაეცა (30%-დან 1990 წ. 15%-მდე 2001 წ.). მაგრამ ეს პროგრესი ფაქტიურად მთლიანად ერთი ქვეყნის - ჩინეთის ხარჯზეა მიღწეული. შესაბამისად, მთელ დანარჩენ მსოფლიოში უღარიბესი ადამიანების რიცხვი 71 მილიონით გაიზარდა. კრიზისის ეპიცენტრი ტროპიკულ აფრიკაშია, სადაც უკიდურესად ღარიბი, მშიერი და შიდსით დაავადებულ ადამიანთა ყველაზე დიდი კონცენტრაციაა მსოფლიოში. დაახლოებით იგივე სიტუაციაა სამხრეთ აზიაში, ძირითადად ინდოეთის სასოფლო რაიონებში და ქალაქის „ჯურღმულებში". მართალია შიდსი აქ ისე არ არის გავრცელებული, როგორც აფრიკაში, მაგრამ უკვე ფართომასშტაბიანი ეპიდემიის ხასიათი მიიღო. ყველა დანარჩენ განვითარებად რეგიონში აშკარად გამოკვეთილი ტენდენციები არ შეიმჩნევა, გარდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დიდი უმეტესობისა, სადაც სიღარიბის დონის მკვეთრი ნახტომის შემდეგ ის ან არ მცირდება, ან აგრძელებს ზრდას

გლობალური გაჭირვების ზოგიერთი ინდიკატორი სიღარიბე, 2001 - 1 090 მილიონი ადამიანი კმაყოფილდება 1.08 ამერიკულ დოლარზე ნაკლებით დღეში, ე.ი. მსოფლიოს მოსახლეობის 18%. მ.შ. 313 მილიონი ტროპიკულ აფრიკაში (რეგიონის მოსახლეობის 46%), 271 მილიონი აღმოსავლეთ აზიაში (15%), 431 მილიონი სამხრეთ აზიაში (41%). 2 736 მილიონი ადამიანი კმაყოფილდებოდა დღეში 2.15 დოლარზე ნაკლებით, მ.შ. ტროპიკული აფრიკის მოსახლეობის 77%,

აღმოსავლეთი აზიის 47%, სამხრეთი აზიის 77%.165 კვების ნაკლებობა, 2000 - 831 მილიონი ადამიანი, ანუ მსოფლიოს მოსახლეობის 14% არ იკვებებოდა მინიმალური ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დონეზე, მ.შ. 185 მილიონი ტროპიკულ აფრიკაში, 212 მილიონი აღმოსავლეთ აზიაში, 312 მილიონი სამხრეთ აზიაში. ეს არის განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 18%, ნაკლებად განვითარებული ქვეყნების 38%, სამხრეთი აზიის - 24%, ტროპიკული აფრიკის - 33%. 1980-1995 წლებში ტროპიკულ აფრიკაში საკვები პროდუქტების წარმოება შემცირდა 8%-თ. ჯანმრთელობა, 2001-2002 - შიდსით დაავადებულთა რაოდენობა გაიზარდა 15 მილიონიდან 1990 წელს 38 მილონამდე.

აქედან განვითარებად ქვეყნებში 18 მილიონი ქალი და 2.9 მილიონი ბავშვია. ამ ადამიანების დაახლოებით 70% ტროპიკულ აფრიკაში ცხოვრობს. 13 მილიონ ბავშვს შიდსით დაეღუპა დედა ან ორივე მშობელი. 22 მილიონი ადამიანი უკვე გარდაიცვალა ამ დაავადებით, მ.შ. 3.1 მილიონი მარტო 2002 წელს. სვაზილენდში 25-29 წლის ასაკის ორსული ქალების 56% შიდისთაა დაავადებული.166 - ყოველწლიურად 500 000 ქალი იღუპება ორსულობისა და მშობიარობის დროს - თითო ქალიწუთში. - მშობიარობის წილი, რომელსაც ესწრებოდა კვალიფიცირებული სამედიცინო პერსონალი -განვითარებად ქვეყნებში - 56%-ია, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში კი - 31 %. - სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, 2000-2005 წწ. - საშუალოდ დედამიწაზე 67 წელი, მდიდარ ქვეყნებში - 79 წელი, განვითარებად ქვეყნებში - 64.9 წელი, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში - 52.0 წელი.167 სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ბოტსვანაში 1970 წლის შემდეგ დაეცა 20 წლით 36 წლამდე. ზამბიაში მცხოვრებ ადამიანს ნაკლები შანსი გააჩნია მიაღწიოს 30 წლის ასაკს, ვიდრე ინგლისელს 1840 წელს.

განათლება, 2001 - განვითარებად ქვეყნებში წერა-კითხვის უცოდინართა წილი თხუთმეტ წელზე ზემოთ ასაკის მოსახლეობის 25.5%-ს, ანუ 836 მილიონი ადამიანს შეადგენს. წერა-კითხვის უცოდინარი ქალების წილი 32.9%-ია, მ.შ. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში - 56.2%. ბავშვები, 2002 - ყოველ დღე 30 000 ბავშვი იღუპება შიმშილით, დაავადებით, გაუწყლოებით, ე.ი. ისეთი მიზეზებით, რომელთა თავიდან არიდება შეიძლებოდა.

დედამიწაზე ადამიანის თაობათა მუდმივი ცვლა და განახლება ანუ მოსახლეობის აღწარმოება მიმდინარეობს. ბუნებრივი მატება გვიჩვენებს, რა მიმართებაა შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლებს შორის დროის გარკვეულ მონაკვეთში. დაბალი ან უმნიშვნელო მატებისას იმაზე ოდნავ მეტი ადამიანი იბადება, ვიდრე კვდება - მოსახლეობის რაოდენობა თითქმის არ იცვლება, ოდნავ იმატებს, ამიტომ თაობათა ასეთ აღწარმოებას მარტივს უწოდებენ.

თაობათა ცვლის მეორე სახეა გაფართოებული აღწარმოება. იგი ბუნებრივი მატების მაღალ მაჩვენებელს გულისხმობს. განსაკუთრებით მკვეთრი და სწრაფი მატება დაიწყო XX ს-ის მეორე ნახევრიდან აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებში. ამ პროცესს ხატოვნად „დემოგრაფიული აფეთქება" უწოდეს.

არსებობს აღწარმოების მესამე ტიპიც - შეზღუდული. ამგვარი აღწარმოების დროს ნაკლები ადამიანი იბადება, ვიდრე კვდება - მოსახლეობის რაოდენობა იკლებს.

დემოგრაფიაზე საუბარი რიცხვების მოშველიების გარეშე შეუძლებელია. როგორი იყო წინათ სიკვდილიანობა ან შობადობა, ამის თაობაზე სწორედ სტატისტიკა გვიქმნის სწორ წარმოდგენას. ფაქტობრივად, ფუჭი სიტყვები იქნება, თუ ვიტყვით, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა დაბალი იყო, ხოლო სიკვდილიანობა - მაღალი, რადგან „მაღალიც" და „დაბალიც" ფარდობითი ცნებებია და სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება სხვადასხვა დატვირთვა ჰქონდეთ. ამდენად, ჩვენს სიტყვებს სწორედ რაოდენობრივი მონაცემები სძენს კონკრეტულ კონტურებს. მაგალითად, თუ ვიტყვი, რომ სიკვდილიანობა და შობადობა ყოველ 1000 კაცზე 40-დან 50-მდე იყო, ანუ 40-50 პრომილე, ხოლო სიცოცხლის ხანგრძლივობა - 20 წელი, გასაგები გახდება, რომ ამ პერიოდში მარტივ აღწარმოებასთან გვქონია საქმე.

თუ მეოცე საუკუნის 50-იან წლებში გადმოვინაცვლებთ, უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში ზოგიერთ რეგიონში შობადობა კვლავ მაღალ, 35-40‰-იან ნიშნულზე იყო, ხოლო სიკვდილიანობა განახევრდა. ეს ტენდენცია ეხება როგორც ცენტრალური, სამხრეთი ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნებს, ასევე აზიასა და აფრიკის ნაწილსაც კი.

რატომ შემცირდა ასე მკვეთრად სიკვდილიანობა, ბევრი რამით შეიძლება აიხსნას, მაგრამ მთავარი მაინც საბაზისო სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დამკვიდრება და მედიცინის მიღწევებია. შეიძლება დავასახელოთ მათი უკეთესი ხელმისაწვდომობაც. იმუნიზაციამ მოიცვა მთელი მსოფლიო, ის განსაკუთრებით ხელმისაწვდომი გახადა საერთაშორისო ორგანიზაციების ჯანდაცვის პროგრამებმა. სწორედ ამ გზით შემცირდა მანამდე სასიკვდილო დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობა და გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა. გარდა ამისა, კოლონიურმა ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მიიღეს, რამაც შეამცირა ძალადობა.

შეინიშნებოდა შობადობის შემცირების ტენდენციაც, თუმცა ეს ისევე სწრაფად არ მომხდარა, როგორც სიკვდილიანობის შემთხვევაში. რეგიონული განსხვავება აქ უფრო მკვეთრადაა გამოხატული, რადგან განვითარებულ ქვეყნებში ეს შემცირება უფრო აშკარა იყო, ვიდრე სხვაგან. ამდენად, გასაგებია, რომ საქმე გვაქვს მოსახლეობის მკვეთრ მატებასთან, რომელიც დემოგრაფიული აფეთქების სახელითაა ცნობილი.

უნდა ითქვას, რომ კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა საკმაო სტაბილურობით გამოირჩეოდა, ზრდა უმნიშვნელო იყო, თუმცა მოგვიანებით საგრძნობლად დაჩქარდა, რამაც 50-იანი წლების შემდეგ სახიფათო კონტურები შეიძინა. ისევ რიცხვებს დავუბრუნდეთ: კაცობრიობის მთელი ისტორია აღმოჩნდა საჭირო, რომ მოსახლეობას 1800 წლისთვის მილიარდიანი ნიშნულისთვის მიეღწია, 1930 წელს კი დედამიწას უკვე 2 მილიარდი მკვიდრი ჰყავდა, რაც ნიშნავს, რომ 130-მა წელიწადმა იკმარა მოსახლეობის 100%-იანი ზრდისთვის. ამის შემდეგ ტემპი უფრო მეტად გაიზრადა და მხოლოდ 30 წელიწადში მოსახლეობას კიდევ მილიარდი შეემატა; შუალედის შემცირება გაგრძელდა და მომდევნო მატებას მხოლოდ 15 წელი დასჭირდა.

მოსახლეობის მორიგი მილიარდიანი ნამატისთვის მხოლოდ 12-13 წელიწადია საჭირო. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ მსოფლიოს მეშვიდმილიარდე მოქალაქე 2012 წელს დაიბადა.

ზრდის ტენდენცია კვლავაც გრძელდება, თუმცა სხვადასხვა პროექციის მიხედვით მსოფლიოს მოსახლეობა სხვადასხვა ნიშნულზე სტაბილურდება. საუკეთესო გათვლებით, ეს 8,5 მლრდ იქნება, ხოლო ყველაზე რთული სცენარით -

12 მლრდ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა შორისაც გადამწყვეტია:

* ეკონომიკური პროგრესი მეტ რეგიონსა და ქვეყანას შეეხოს;

* გაუმჯობესდეს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები და გაიზარდოს მათი ხელმისაწვდომობა;

* გაუმჯობესდეს სამედიცინო მომსახურება და მისი ხელმისაწვდომობა;

* გაიზარდოს განათლების მაჩვენებლები, განსაკუთრებით - ქალებისთვის;

* გაიზარდოს დასაქმება, განსაკუთრებით - ქალებისთვის;

* გაიზარდოს პირველი მშობიარობის ასაკი;

* ხელმისაწვდომი გახდეს ოჯახის დაგეგმვა და კონტრაცეფცია.

განვითარებადი ქვეყნები გადიან სწორედ იმ დემოგრაფიულ გზას, რაც ევროპამ წლების წინ გაიარა. თითქმის ასწლიანი განსხვავებით დაიწყო დემოგრაფიული გადასვლა განვითარებად ქვეყნებში. მისი ტემპი განსხვავებულია და არაერთ ფაქტორზეა დამოკიდებული.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მსოფლიოს მოსახლეობის ზრდა განვითარებადი რეგიონების ხარჯზე მოხდება.

დემოგრაფიული გადასვლის მოდელი

შობადობა და სიკვდილიანობა არის ორი ფაქტორი, რომელთა ცვლილებებიც განსაზღვრავს დემოგრაფიული გადასვლის მოდელს. დღეისთვის 4 ძირითად ფაზას გამოყოფენ. საუბარია აგრეთვე მე-5 ფაზაზე, რომლის ცალკე გამოყოფის საჭიროება ქვეყნების განვითარების თავისებურებებმა დააყენა დღის წესრიგში.

თითოეული ფაზის შესაბამის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რაც უფრო გასაგებსა და აღქმადს გახდის ამ მოდელის არსს.

I ფაზა



პირველი ფაზისთვის დამახასიათებელია მაღალი შობადობა და სიკვდილიანობა, რაც იწვევს დაბალ სიცოცხლის ხანგრძლივობას. სწორედ პირამიდის სიმაღლეა ამის მაჩვენებელი. ამ ფაზაში შობადობა მაღალი და სტაბილურია, თუმცა ეპიდემიების, დაავადებების, შიმშილობის, უბედური შემთხვევებისა და კონფლიქტების მასშტაბები მაღალ სიკვდილიანობას იწვევს. ეს მიზეზები ყველა ასაკობრივ ჯგუფს ეხება, ამდენად, ყოველ მომდევნო ასაკობრივ ჯგუფამდე წინა ასაკობრივი პოპულაციის მხოლოდ ნაწილი აღწევს, ამის გამო პირამიდებს აქვთ მკვეთრად გამოხატული საფეხურები. მოსახლეობის ზრდა ამ ფაზისთვის უმნიშვნელოა. თანამედროვე მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ არის დღეს აღნიშნულ ფაზაში, მხოლოდ ტრადიციული ტომები ჰიმალაის მთიანეთში, ირიან ჯაიას ხალხები ინდონეზიაში და სხვა ტომები ცენტრალურ აფრიკასა და ამაზონის ჯუნგლებში იმყოფებიან დემოგრაფიულად ჯერ კიდევ განვითარების ამ სტადიაზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვილ ბავშვთა მოკვდავობა იმდენად მაღალია, ოჯახები მეტ შვილს სწორედ სიკვდილის საკომპენსაციოდ აჩენენ. ბავშვები ოჯახის ძლიერების, დამხმარე ხელის სინონიმია. ისინი 5-6 წლიდან შრომობენ და 10-12 წლისთვის გამოიმუშავებენ იმაზე მეტს, ვიდრე მოიხმარენ.

II ფაზა

მეორე ფაზას ახასიათებს სიკვდილიანობის მაჩვენებლის მკვეთრი კლება, რაც ვაქცინაციისა და სამედიცინო მიღწევების დამსახურებაა, თუმცა ქვეყანას თავად არ გააჩნია ამის რესურსი და აცრები და მსგავსი ელემენტარული



ღონისძიებები გარე დახმარებების ხარჯზე ტარდება. კულტურული და რელიგიური ფაქტორებიდან გამომდინარე, კვლავაც მაღალი რჩება შობადობა. მოსახლეობა ჯერ კიდევ ბევრ შვილს აჩენს, თუმცა ამის აუცილებლობა აღარ არსებობს, საჭირო აღარ არის ბავშვების გაჩენა სხვათა საკომპენსაციოდ, მაგრამ მაინც შვილები არიან მშობლების მშვიდი სიბერის გარანტები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნებისთვის, რომლებსაც არ აქვთ კარგად განვითარებული საპენსიო სისტემა. ტრადიციულ საზოგადოებებში სწორედ ესაა დიდი ოჯახებისა და მრავალშვილიანობის მიზეზი. მკვეთრად იზრდება სხვაობა სიკვდილიანობასა და შობადობას შორის. მაგალითად, თუ ქვეყანაში შობადობის მაჩვენებელი 35‰-ა, ხოლო სიკვდილიანობა უკვე 20‰-მდე დაეცა, ბუნებრივი მატება 1,5% იქნება. ამ საფეხურზე არიან კენია, პარაგვაი, ავღანეთი, ნეპალი, ეთიოპია...

პირამიდისთვის კი დამახასიათებელია განიერი საფუძველი, სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლის გამო თითოეულ ასაკობრივი ჯგუფიდან მეორემდე სულ უფრო ნაკლები აღწევს, თუმცა სიცოცხლის ხანგრძლივობა მაინც იზრდება. ამ ფაზისთვის დამახასიათებელია ახალგაზრდების სიჭარბე და ხანდაზმულთა ნაკლებობა. ხშირად მოსახლეობის 50% 15 წლამდე ასაკისაა.

III ფაზა



ეს ფაზა სიკვდილიანობის უკვე შენელებული კლებისა და შობადობის მკვეთრი შემცირების ფონზე მიმდინარეობს. განსხვავებული სურათია ფაზის დასაწყისსა და და მის ბოლოში, რაც კარგად ჩანს მოსახლეობის ამ ორ პირამიდაზე. პირველი, რა თქმა უნდა, ფაზის დასაწყისს მიეკუთვნება, ხოლო მეორე - ბოლოს. შობადობის შემცირება შეიძლება იყოს დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგი ან, უფრო მეტად, მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობებას მოჰყვებოდეს. იცვლება ადამიანთა წარმოდგენები ოჯახის სიძლიერეზე, აღარ არის საჭირო ათი შვილის გაჩენა იმისთვის, რომ სამი მაინც გადარჩეს. უფრო ადვილი ხდება ოჯახის დაგეგმვა, იზრდება მოსახლეობის ინფორმირებულობა კონტრაცეფციის შესაძლებლობებზე, განათლებაც მოსახლეობის უფრო და უფრო ფართო ფენებისთვის ხდება ხელმისაწვდომი, მათ შორის არიან გოგონებიც, რომელთაც ეძლევათ შესაძლებლობა, საკუთარი ცოდნითა და შესაძლებლობებით დასაქმდნენ და ეკონომიკურად დამოუკიდებლები გახდნენ, ეს კი ზრდის მათ მონაწილეობას ოჯახის დაგეგმვაში და ამცირებს შობადობას. ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ განვითარებას, რა თქმა უნდა, მოჰყვება სიკვდილიანობის გამომწვევი ძირითადი მიზეზების შერბილება, შესაბამისად, ვიღებთ სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას. იმავდროულად იცვლება ეკონომიკის სტრუქტურაც და სულ უფრო ვითარდება მესამეული სექტორი, რაც უფრო მეტად ზრდის მოთხოვნას ქალის შრომაზე.

პირამიდის მოხაზულობაც ამის კვალობაზე იცვლება. შევიწროებულია საფუძველი, რადგან სულ უფრო ნაკლები ბავშვი იბადება. ამ ქვეყნებში უკვე დაბადებულები და ფერტილობის ასაკში შესულები ისინი არიან, ვინც გაფართოებული აღწარმოების დროს დაიბადნენ ამდენად, ინერციით ხდება მოსახლეობის ზრდა, თუმცა ცხოვრების წესი უკვე შეცვლილია. სწორედ 15-35 წლის ასაკობრივი ჯგუფების გაფართოებული კონტურია ამ პროცესების მაჩვენებელი. მესამე საფეხურზე არიან მალაიზია, ისრაელი, სინგაპური, ჩინეთი, ჩილე, ახალი ინდუსტრიის ქვეყნები...

IV ფაზა



მეოთხე ფაზა გამოირჩევა შობადობისა და სიკვდილიანობის დაბალი მაჩვენებლებით. ამის საპირისპიროდ, გაზრდილია სიცოცხლის ხანგრძლივობა. მოსახლეობის ზრდა ამ ფაზაში მყოფი ქვეყნებისთვის არ არის დამახასიათებელი, ან მეტისმეტად უმნიშვნელოა, ზოგიერთ ქვეყანაში კი მოსახლეობის კლება შეინიშნება. ეს ფაზა დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისთვის, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ქვეყნებისა და აღმოსავლეთი ევროპისთვის. ამ ქვეყნებში კატასტროფულად იზრდება ხანდაზმული მოსახლეობის ხვედრითი წილი ახალგაზრდა მოსახლეობის კლების ხარჯზე. ევროპაში 65 წელზე უხნესი მოსახლეობა 15%-ს აჭარბებს, რაც სულ უფრო მეტად აბერებს ქვეყანას. ეს ქვეყნები პოსტინდუსტრიული განვითარების ქვეყნებია, რომლებშიც მაღალია განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა ორივე სქესისთვის და ქალები თითქმის თანაბრად არიან ჩართულნი ეკონომიკურ საქმიანობაში. შეიძლება ითქვას, რომ ამ ფაზისთვის დამახასიათებელი პირამიდა

მაღალია და თითქმის ერთი სიგანისა, ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორეში გადასვლა, ფაქტობრივად, უდანაკარგოდ ხდება და პირამიდაზე საფეხურების არარსებობაც ამის ბრალია.

V ფაზა



ამ ფაზაში შობადობა კიდევ უფრო მცირდება, რაც საფუძვლის უფრო მეტად შევიწროებას გამოიწვევს. სიკვდილიანობა გაიზრდება არა დაავადებების მატების გამო, არამედ მოსახლეობის გადაბერების მიზეზით. იაპონია ქვეყანაა, რომელიც სწორედ მეხუთე ფაზაში მოიაზრება.

მსოფლიოს მოსახლეობა ყოველწლიურად 80 მლნ. ადამიანით იზრდება. ყოველ წამს იბადება 4 ადამიანი და კვდება - 2. თუმცა ქვეყნების მიხედვით მოსახლეობა ყველგან ერთნაირად არ იზრდება. მოსახლეობის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ინდოეთი, სადაც მოსახლეობა წელიწადში 16 მლნ. ადამიანით იზრდება. თუ შენარჩუნდება მოსახლეობის ზრდის აღნიშნული მაჩვენებელი, 30 წლის შემდეგ ინდოეთი გაუსწრებს ჩინეთს მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით და პირველ ადგილს დაიკავებს მსოფლიოში.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობა კი არ იზრდება, პირიქით - იკლებს. ამას განაპირობებს შობადობის დაბალი და სიკვდილიანობის მაღალი დონეები, ასევე მიგრაციის უარყოფითი მაჩვენებელი.

შობადობისა და სიკვდილიანობის დონეები დამოკიდებულია არაერთ ფაქტორზე. მათ შორის მნიშვნელოვანია:

1. **მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის თავისებურებები;**
2. **საყოფაცხოვრებო პირობები;**
3. **სამედიცინო მომსახურების დონე;**

4. ეკონომიკური მდგომარეობა;

5. სოციალური და რელიგიური ფაქტორები და სხვა.

დემოგრაფიული პრობლემებიდან აღსანიშნავია მიგრაციები. დღესდღეობით, მსოფლიოში დაახლოებით 175 მლნ. მიგრანტია. მიგრაციას განაპირობებს მრავალი ფაქტორი: ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური და სხვა. თანამედროვე მსოფლიოში მოსახლეობის მიგრაცია ძირითადად განპირობებულია ეკონომიკური მიზეზებით. ადამიანები უკეთესი ცხოვრების პირობებისთვის მიდიან სხვა ქვეყნებში. ტრადიციული ემიგრაციის ქვეყნებია: აშშ, კანადა და დასავლეთ ევროპის ქვეყნები. თუმცა სულ უფრო იზრდება ემიგრანტთა რაოდენობა სპარსეთის ყურის ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში. ნავთობის მოპოვება საჭიროებს დიდი რაოდენობით მუშახელს. შედეგად, ინდოეთიდან, პაკისტანიდან და სპარსეთის ყურის ნავთობმომპოვებელი ქვეყნების მეზობელი არაბული სახელმწიფოებიდან დიდი რაოდენობით იაფი მუშახელი ჩადის სამუშაოდ აღნიშნული რეგიონის ქვეყნებში. პროცენტულად დიდი რაოდენობით მიგრანტია გაერთიანებულ არაბულ საამიროებში, ბაჰრეინში, კარატში, ომანში და ირანში.

ეკონომიკური ფაქტორების გარდა, მიგრაციის გამომწვევია პოლიტიკური ფაქტორებიც: ომები, კონფლიქტები, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებები. დღესდღეობით, მსოფლიოში დაახლოებით 17 მლნ. ლტოლვილია ომებისა და სამხედრო კონფლიქტების გამო. მსოფლიოში ყველაზე მეტი ლტოლვილი ირანსა და პაკისტანშია, ძირითადად ერაყიდან და ავღანეთიდან, რაც დაკავშირებულია ამ ქვეყნებში წლების განმავლობაში მიმდინარე საომარ კონფლიქტებთან. სამხედრო გადატრიალებების, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებების გამო, უამრავი ლტოლვილია აფრიკის ქვეყნებშიც.

დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ქვეყანაში *დემოგრაფიული პოლიტიკის* გატარება. *დემოგრაფიული პოლიტიკის (მას ძირითადად ატარებენ სახელმწიფო ინსტიტუტები, თუმცა აქტიურ მონაწილეობას იღებენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიც) მიზანია მოსახლეობის აღწარმოების პროცესებზე ზემოქმედების მეშვეობით ხელი შეუწყოს მოსახლეობის რაოდენობის*

რეგულირებას, გაზრდას ან შემცირებას. არსებობს ორი სახის დემოგრაფიული პოლიტიკა: **მასტიმულირებელი** (იგი ხელს უწყობს ქვეყნის მოსახლეობაში შობადობის გაზრდას) და **შემზღუდველი** (იგი ხელს უწყობს ქვეყნის მოსახლეობაში შობადობის შემცირებას). მასტიმულირებელი დემოგრაფიული პოლიტიკა ტარდება ისეთ ქვეყნებში, სადაც აღინიშნება ე.წ. "დემოგრაფიული კრიზისი", ანუ ხდება მოსახლეობის რაოდენობის შემცირება (მაგალითად, ჩეხეთი, რუსეთი და სხვა). ხოლო შემზღუდველი დემოგრაფიული პოლიტიკა ტარდება იმ ქვეყნებში, სადაც არის ე.წ. "დემოგრაფიული აფეთქება" და მოსახლეობა ძალიან სწრაფი ტემპით იზრდება (მაგალითად, ჩინეთი, ინდოეთი და სხვა).

დემოგრაფიულ პოლიტიკას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ადგილი ჰქონდა შობადობის წახალისებას, რადგან ამ პერიოდში მოსახლეობა მცირდებოდა ომებისა და ეპიდემიების შედეგად. თუმცა XX საუკუნემდე დემოგრაფიული პოლიტიკა ატარებდა სპონტანურ და არაკომპლექსურ ხასიათს, რის გამოც მას არ ჰქონდა მნიშვნელოვანი შედეგები.

კომპლექსური შემზღუდველი დემოგრაფიული პოლიტიკის კარგი მაგალითია ჩინეთი. 1980 წლიდან ჩინეთში დაიწყეს აქტიური და კომპლექსური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება (1950-იანი წლებიდან გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკა სპონტანურ ხასიათს ატარებდა), მთავარი ლოზუნგი იყო: *"ერთი ოჯახი, ერთი ბავშვი"*. საბოლოოდ, დემოგრაფიულმა პოლიტიკამ გაამართლა და შობადობის მაჩვენებელი 2%-დან 0, 9%-მდე დაეცა, თუმცა დადებითთან ერთად, დემოგრაფიულ პოლიტიკას მოჰყვა უარყოფითი შედეგიც. კერძოდ, ჯერ კიდევ 1950-იანი წლებისთვის ჩინელები ახალგაზრდა ერად ითვლებოდნენ და საშუალო ასაკი ქვეყანაში 30 წელს შეადგენდა, თუმცა 30 წლის განმავლობაში, დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგად, მოსახლეობის საშუალო ასაკი გაიზარდა და დღეს, ჩინეთის მოსახლეობის დაახლოებით 8%-ის ასაკი 60 წელს აღემატება, ანუ მიმდინარეობს ერის დაბერების პროცესი.

ამრიგად, დემოგრაფიული პოლიტიკის მიზანია მიაღწიოს შობადობის დონის შემცირებას ან გაზრდას, ანდა სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებას ქვეყანაში. დადებითთან ერთად, დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებას შეიძლება ახლდეს უარყოფითი შედეგებიც (ჩინეთის შემთხვევა), ამიტომ საჭიროა

სწორად შეფასდეს ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა, რათა სხვა გართულებებმა არ იჩინოს თავი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისას.

დედამიწა მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, რაც განაპირობებს მასზე სიცოცხლის არსებობას. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პლანეტის რესურსების მარაგი შეიძლება მალე ამოიწუროს.

პრობლემის შესაბამისად აუცილებელია, ყველა ადამიანის (განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში) მთავარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება – სასიცოცხლო რესურსების დაზოგვა შემცვლელი ნედლეულის გამოყენების ხარჯზე და შობადობის კონტროლი.

ბუნებრივ რესურსებს მნიშვნელოვანად განსხვავებული რაოდენობით ხარჯავს განვითარებული და განვითარებადი სამყარო. მაგალითად, აშშ-ის მოქალაქე 60-ჯერ მეტ ნედლეულს მოიხმარს, ვიდრე ინდოეთის მოქალაქე. შესაბამისად, აშშ-ის მოსახლეობის, 3 მილიონით ზრდა უფრო სახიფათოა დედამიწის რესურსებისთვის, ვიდრე ინდოეთის მოსახლეობის 16 მილიონით ზრდა.

სასიცოცხლო რესურსებს უკავშირდება დემოგრაფიული აფეთქება განვითარებად ქვეყნებში და ასევე განვითარებული ერების "დაბერება". პირველი გულისხმობს, მოსახლეობის ძალიან სწრაფ ზრდას, როდესაც სიკვდილიანობის კოეფიციენტს მნიშვნელოვნად აღემატება შობადობის კოეფიციენტი და რესურსების რაოდენობა არ არის საკმარისი მოსახლეობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ოჯახები აჩენენ ბევრ შვილს, რათა ჰყავდეთ "მუშა ხელი", ისევ და ისევ რესურსების მოსაპოვებლად, სოფლის მეურნეობის საწარმოებლად. ასეთ ქვეყნებში ბავშვების სიკვდილიანობა ძალიან მაღალია. დემოგრაფიული აფეთქება განვითარებადი სამყაროს დიდი პრობლემაა.

მეორე შემთხვევა- "ერის დაბერება" განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. პოტენციური მშობლები ორიენტირებულნი არიან კარიერულ წინსვლაზე, საცხოვრებელი პირობების მოწესრიგებაზე, აჩენენ ძირითადად ერთ შვილს, ბევრ ფულს ახარჯავენ მათ აღზრდა-განათლებას, დასვენებას, ჯანმრთელობას. ამიტომ, მათ "ძვირ ბავშვებს" უწოდებენ. ასეთ ქვეყნებში

მოსახლეობის მეტი ნაწილია ასაკობრივად უფროსი. ესეც პრობლემაა, ერის გამრავლების თვალსაზრისით.

დემოგრაფიული აფეთქების დროს სახელმწიფოებისთვის რეკომენდირებულია პასიური დემოგრაფიული პოლიტიკა, რაც გულისხმობს შობადობის შემცირებისკენ მიმართულ ღონიძიებებს- ძირითადად შეგნების დონის ასამაღლებელი პროგრამებით, განათლების განვითარებით, ეკონომიკური წინსვლით, ქალის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვით. პასიურ დემოგრაფიულ პოლიტიკას აქტიურად ატარებს, მაგალითად ჩინეთის ხელისუფლება.

რაც შეეხება განვითარებული სამყაროს "დაბერებულ ერებს", ხელისუფლებები მიმართავენ აქტიურ დემოგრაფიულ პოლიტიკას – უფასო მშობიარობით, სოციალური პროგრამებით მრავალშვილიანი ოჯახებისთვის და სხვა. თუმცა, განვითარებული ქვეყნების გარდა გარდამავალ ქვეყნებშიც (მაგალითად, უკრაინა, საქართველო) არის აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის აუცილებლობა. საქართველოში კათალიკოს-პატრიარქის პროგრამა (ოჯახის ყოველ მესამე შვილს პატრიარქი ნათლავს), უფასო მშობიარობა და მრავალშვილიან ოჯახთა სოციალური დახმარების პროგრამა აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის საწყისებია.

მოსახლეობის ზრდის კონტროლის პროგრამების მიმართ გაწეული წინააღმდეგობის მიუხედავად, უკვე არა ერთი განვითარებადი ქვეყანა აღიარებს მათი სოციალური პრობლემების უკიდურესობას, დაუძლეველი სიღატაკის, გარემოს დაბინძურების რისკს და ახორციელებს შობადობის საკონტროლო პოლიტიკას.

ლექცია 9

ლექციის თემა: ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული

ორგანიზებული დანაშაულობა მთელ მსოფლიოში ტრანსნაციონალურ ხასიათს იღებს. XXI საუკუნეში სწორედ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა იქცა რეალურ საფრთხედ მთელი კაცობრიობისთვის როგორც საკუთარი დამანგრეველი ზეგავლენით, ისე თავისი მასშტაბების მიხედვით.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა დიდ პრობლემებს უქმნის სახელმწიფოსა და საზოგადოებას, ხელს უშლის რა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და სახელმწიფოს მიერ მართლწესრიგის დაცვას, შიდა კონფლიქტების მოგვარებასა და მათ თავიდან აცილებას, ასევე ტერორიზმის, იარაღის გავრცელებისა და ადამიანების კრიმინალური ექსპლუატაციის პრევენციას.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა მოვლენაა, რომელიც წინ ეღობება ნებისმიერი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ამასთანავე მისი მასშტაბები მუდმივად ფართოვდება. მას შეუძლია, არა მხოლოდ აითვისოს ახალი ბაზრები, არამედ შეარყიოს სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოება, მით უმეტეს, თუ ეს სახელმწიფო გარდამავალი ეკონომიკის განვითარებადი ქვეყანაა. ამასთანავე, ტრანსნაციონალური დანაშაულობა გლობალურ ხასიათს ატარებს და მისი ზეგავლენისგან არც ერთი ქვეყანა თუ რეგიონი არაა დაზღვეული.

კრიმინოლოგები ისწრაფვიან ყოველმხრივ და ადექვატურად შეაფასონ იმ საფრთხის მასშტაბები და ხარისხი, რომელსაც სწრაფად მზარდი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა გვიქადის. ამისათვის ისინი აღნიშნულ მოვლენას განიხილავენ არა როგორც ორგანიზებული დანაშაულის "ტრადიციული" ფორმების მოდიფიკაციას, არამედ, როგორც საქმიანობის პრინციპულად ახალ სახეობას, რომელიც ორგანიზებულ დანაშაულებრივ სტრუქტურებს საშუალებას აძლევს, სწრაფად გაზარდონ კრიმინალური შემოსავლები, რითაც ემუქრებიან სახელმწიფოს ეკონომიკურ სტაბილურობასა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას. ამასთანავე ტრანსნაციონალური დაჯგუფებები დემონსტრაციულად წარმოაჩენენ საკუთარ შესაძლებლობებს და შედარებით ხელშეუხებლობას სამართალდამცავი

სტრუქტურების მხრიდან.

შეიძლება გამოვყოთ საერთო და ფაკულტატური მახასიათებლები, რომლებიც მსგავსია დამნაშავეთა ყველა ორგანიზებული ფორმირებისთვის და განსაკუთრებული თავისებურებები, რომლებითაც ხასიათდება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა.

ორგანიზებული დანაშაულობის საერთო ნიშნებია:

- კონკრეტული დანაშაულებრივი ფორმირების მდგრადობა, რაც გამოიხატება მის ხანგრძლივ აქტივობაში და მსგავსი დანაშაულების არაერთჯერადად ჩადენაში;
- როლების გადანაწილება ორგანიზაციის წევრებს შორის ვერტიკალური (ხელმძღვანელი რგოლის გამოყოფით) და ჰორიზონტალური (დანაშაულებრივი სპეციალიზაციის) პრინციპებით;
- იერარქიული სტრუქტურა, რომლის უმაღლესი რგოლი წარმოდგენილია მინიმუმ ერთი პირით, რომელიც ხელმძღვანელობს ორგანიზაციის საქმიანობას;
- ძალისხმევის მიმართვა განსაზღვრული სახეობის დანაშაულებრივ საქმიანობაზე (რაც უფრო მსხვილია ორგანიზაცია, მით უფრო ფართეა აღნიშნულ სახეობათა წრე);
- მინიმალურ ვადებში მაქსიმალური შემოსავლების მიღების მიზნის არსებობა;
- ჯგუფის წევრებს შორის სოციალური ურთიერთდახმარების სისტემის ფუნქციონირება (მაგალითად "ობშიაკის" სისტემა);
- აქტიური წინააღმდეგქმედება სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, მათ შორის, კორუფციული მექანიზმების გამოყენებითაც;
- მკაცრი შიდა დისციპლინა, ქცევის განსაზღვრული კოდექსის არსებობა, რომლის დამრღვევთა მიმართ ტარდება დამსჯელობითი ღონისძიებები.

ფაკულტატური ნიშნებია:

- ორგანიზაციის ხელმძღვანელის იზოლირება კონკრეტული დანაშაულებრივი საქმიანობისგან: ის არ მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში, ხშირად არც აქვს პირდაპირი კავშირი მის შემსრულებლებთან და რჩება საქმიანობის იდეურ შთამგონებლად;
- დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციის ("გათეთრების") მექანიზმების გამოყენება;

- კადრების შერჩევა ნაციონალური და კლანური ნიშნების მიხედვით;
- ახალი ტექნიკური საშუალებების გამოყენება დანაშაულებრივ საქმიანობაში.

ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობისთვის:

- ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის წარმოება ერთზე მეტ სახელმწიფოში;
- ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის წარმოება ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი მომზადების, დაგეგმვისა თუ კონტროლის განხორციელება სხვა სახელმწიფოში;
- ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის წარმოება ერთ სახელმწიფოში, მაგრამ

  იმ ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით, რომელიც დანაშაულებრივ ქმედებას ერთზე მეტ სახელმწიფოში ახორციელებს;
- ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის გახორციელდება ერთ სახელმწიფოში მისი ძირითადი შედეგების სხვა სახელმწიფოში წარმოჩენით.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის შესახებ გაეროს კონვენციის მიხედვით, ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას მიეკუთვნება ადამიანის კრიმინალურ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ისეთი დანაშაულები, როგორიცაა: ადამიანის ტრეფიკინგი, ორგანიზებული პროსტიტუცია, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა და არალეგალური მიგრაცია.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის განვითარებას საფუძვლად უდევს შემდეგი სამი ფაქტორი:

- ეკონომიკის გლობალიზაცია;
- გლობალური საკომუნიკაციო სისტემების სრულყოფა;
- იმიგრაციული პროცესების ზრდა.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნებით ოპერირებისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვსაზღვროთ მისი არსი და ძირითადი მახასიათებლები. დეფინიციისადმი სწორი მიდგომა საშუალებას იძლევა რეალურად შევაფასოთ საფრთხის მასშტაბები, განვსაზღვროთ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ფორმირების გზები, მისი აღმოცენებისა და არსებობის მიზეზები. ეს, თავის მხრივ, ეხმარება საერთაშორისო საზოგადოებას გააერთიანოს ყველა სახელმწოფოს

ძალისხმევა და შეიმუშავოს ტრანსნაციონალურ დანაშაულობასთან წინააღმდეგქმედების ადეკვატური ღონისძიებების კომპლექსი.

სამწუხაროდ, აღნიშნული მოვლენით განპირობებული გლობალური საფრთხის გაცნობიერება და მის წინააღმდეგ კოორდინირებული ქმედების აუცილებლობის საკითხი სულ ცოტა ხნის წინ - XXI საუკუნის მიჯნაზე აღმოცენდა [2]. ამიტომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის აღწერისა და კლასიფიკაციის ცალკეული მცდელობის მიუხედავად, უკანასკნელ დრომდე არ შეუმუშავებიათ მისი მკაფიო განსაზღვრება და ყოვლისმომცველი დახასიათება.

ერთერთი პირველი განსაზღვრება აღნიშნული მოვლენისა შემოთავაზებულ იქნა ორგანიზებული დანაშაულობისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმზე სანტ- კლაუდში 1988 წელს. საკითხის განხილვის შედეგად ინტერპოლის 46 წევრი-ქვეყნის 84 მონაწილე შეთანხმდა, რომ შემდგომ დისკუსიებში "ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის" ქვეშ ეგულისხმათ "ადამიანთა ორგანიზებული ჯგუფის ნებისმიერი უწყვეტი დანაშაულებრივი საქმიანობა, რომლის მთავარი მიზანია შემოსავლების მიღება ყველგან - ნაციონალური საზღვრების გარეშე".

მოცემულმა განსაზღვრებამ საშუალება მოგვცა, გამოგვეყო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ოთხი ძირითადი ნიშანი:

1. ორგანიზაციის არსებობა და მასში მონაწილეობა;
2. საქმიანობის უწყვეტობა;
3. მიზნად მოგების მიღების დასახვა;
4. მოგების მიღწევის ხერხები, რომლებიც ეყრდნობა ეროვნული საზღვრების იგნორირებას.

ყველა ჩამოთვლილი ნიშანი, უეჭველია, წარმოადგენს ტანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ამა თუ იმ მახასიათებელს, მაგრამ პირველი სამი საბაზოა კლასიკური ორგანიზებული დანაშაულობის ფორმულირებისთვისაც. მხოლოდ ერთადერთი ნიშანი – დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელება როგორც ეროვნული საზღვრების შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ – ამჟღავნებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სპეციფიკას. მაგრამ, გამოხატავს რა მის ძირითად არსს, ეს ერთადერთი ნიშანი არ გვაძლევს საშუალებას, სრულად შევაფასოთ პრობლემის გლობალურობა, მით უმეტეს, მთლიანად მოვიცვათ მისი მახასიათებლები და თავისებურებები.

თანამედროვე კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში წარმოდგენილია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის განმარტებების საკმარისი რაოდენობა. ცალკეული ავტორი მოცემული მოვლენისათვის დამახასიათებელ ნიშნებს განსხვავებული პოზიციებიდან აღწერს, შესაბამისად მათ დახასიათებებში შეინიშნება გარკვეული განსხვავებების არსებობა. შეიძლება გამოვყოთ ორი დომინირებული მიდგომა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის დეფინიციის სტრუქტურისადმი. ერთერთ მათგანში ყურადღება აქცენტირებულია თავად დანაშაულებრივი ორგანიზაციების აღწერაზე. დაწვრილებითაა განხილული ძირითადი ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების საქმიანობის სტრუქტურა, იერარქია და სპეციალიზაცია, ასევე მათი ზოგიერთი სტრუქტურული თავისებურება. მსგავსი მიდგომა არ იძლევა საშუალებას, გამოვკვეთოთ ის სპეციფიკური ნიშნები, რომელთა არსებობა დაგვეხმარება, გამოვაცალკევოთ ისინი სხვა განვითარებადი დანაშაულებრივი ორგანიზაციებისაგან, რომლებიც ასევე იძენენ ტრანსნაციონალურ ხასიათს და გადიან საერთაშორისო არენაზე ზემოგების მიღებისთვის.

უფრო რაციონალურია მეორე ტიპის მიდგომა, რომელიც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნების განმარტებამდე მიდის მისთვის დამახასიათებელი ყველაზე უფრო ტიპური ნიშნების ანალიზის მეშვეობით. კრიმინოლოგების აზრით, შეიძლება გამოვყოთ თოთხმეტამდე ასეთი ნიშანი. მათი შესწავლით ირკვევა, რომ ცალკეულ შემთხვევაში ისინი მოიცავენ როგორც ზოგადად ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებების, ისე მათი ტრანსნაციონალური სახეობებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს.

სხვა შემთხვევებში ავტორები განიხილავენ მხოლოდ იმ ნიშნებს, რომლებიც ტრადიციულ ორგანიზებულ დაჯგუფებებს განასხვავებენ ტრანსნაციონალურისაგან.

იმისათვის, რომ განისაზღვროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის არსი, აუცილებელია ყურადღების ფოკუსირება მახასიათებლებზე, რომლებიც ნიშანდობლივია მხოლოდ ამ საქმიანობისთვის და მიჯნავს მას ორგანზებული დანაშაულობის სხვა ფორმებისგან. ასე მაგალიად, ლ. შელი გამოყოფს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის 3 განმასხვავებელ ნიშანს:

1. ორგანიზაცია ბაზირებულია ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

2. მას შეუძლია, დანაშაული ჩაიდინოს ერთი ქვეყნის საზღვრებში, მაგრამ, როგორც წესი, თავის კრიმინალურ აქტივობას განავრცობს რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე;

3. მსგავსი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შეუძლიათ მხილების რისკის მინიმუმამდე დაყვანა კრიმინალური აქტივობისა და ნეგატიური შედეგების სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე გადატანით კონკრეტული შემსრულებლებისა და უცხო ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოებისგან გამიჯვნის მიზნით.

ორგანიზებული დანაშაულობა სულ უფრო მეტად იყენებს მართვის მოქნილ ქსელებს და ნაკლებად ფორმალურ იერარქიულ სტრუქტურებს. ორგანიზების ამ ფორმას გააჩნია ისეთი დადებითი მხარეები, როგორიცაა მრავალფეროვნება, მობილობა, დაცულობა. სხვადასხვა ქსელს შორის კავშირები XX საუკუნის დასასრულის ორგანიზებული დანაშაულობის ერთერთი უმთავრესი თავისებურებაა, რომელმაც კონგლომერატების შექმნის შესაძლებლობა წარმოშვა. კრიმინალური ქსელების მოქნილობა მეტად მომგებიანია და არსებითად განსხვავდება სახელმწიფოთაშორისო ძალოვანი სტრუქტურების კოოპერაციების მასიური სისტემებისგან, რომელთათვისაც დამახასიათებელია ინფორმაციის გაცვლის უფრო დაბალი ტემპი, ბიუროკრატიზაცია და არაკომპეტენტურობა ორგანიზებული დანაშაულობის სისხლისსამართლებრივი ძიებისა და სამართლებრივი დევნის საქმეში.

საკუთარი ეფექტურობის წყალობით ორგანიზებული დანაშაულობა ქმნის ახალ "პროდუქციას", მოიპოვებს ახალ სასაქონლო და მომსახურების ბაზრებს, აღრმავებს ტრანსნაციონალურ კოოპერაციას. ესპანეთის პოლიციის წარმატებულმა ოპერაციამ, რომელმაც სხვა ევროპულ სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად ჩაატარა მასშტაბური ოპერაცია სახელწოდებით "იავა" და დააკავა 60-ზე მეტი დამნაშავე, მათ შორის, ქართველი "კანონიერი ქურდებიც", აჩვენა, რომ პოსტსაბჭოთა კრიმინალური სტრუქტურები მჭიდრო კოოპერაციაში არიან ლოკალურ ორგანიზებულ დამნაშავეებთან და იყოფენ კრიმინალურ შემოსავლებს ნარკობიზნესიდან, შეკვეთილი მკვლელობებიდან, ფულის გათეთრებიდან და უკანონო მიგრაციიდან. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა ადვილად რეაგირებს სიტუაციის შეცვლაზე რომელიმე ქვეყანაში და წარმატებით იყენებს უთანხმოებას სამართალდამცავი სტრუქტურების საერთაშორისო კოოპერაციაში .

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ეწევიან

სხვადასხვა სახის კრიმინალურ საქმიანობას. მათ შორის ვხვდებით დანაშაულის ტრადიციულ (რეკეტი, პროსტიტუციაში ჩაბმა, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა) და თანამედროვე რთულ

(სამრეწველო და ტექნოლოგიური შპიონაჟი, მანიპულაციები ფინანსურ ბაზარზე და სამშენებლო ბიზნესში და ა.შ.) ფორმებს. ამგვარი საქმიანობა ეფუძნება სახელმწიფო სტრუქტურების კორუმპირებულობას, არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და კორპორაციული ინტერესების ლობირებას როგორც სახელმწიფო სამართლებრივი სისტემის ჩარჩოებში, ისე მის გარეთ. ეს სისტემა გულისხმობს "ფულის გათეთრებას" მისი ჩადებით ბანკებში, საფინანსო ინსტიტუტებში და ბიზნესში მთელ მსოფლიოში, რაც უზრუნველყოფს უკანონო შემოსავლების გათეთრებისათვის სტრუქტურების ფორმირებას, კორუმპირებული ჩინოვნიკების და საერთაშორისო ორგანიზაციების მოსყიდვას.

ტრანსნაციონალური დანაშაული ვლინდება სხვადასხვა სახით, რომელთა შორის ერთერთი ყველაზე უფრო საშიში ფორმათაგანია ადამიანების კრიმინალური ექსპლუატაცია, რაც გამოიხატება ტრეფიკინგში, პროსტიტუციაში, პორნობიზნესსა და არალეგალურ მიგრაციაში. ამის გათვალისწინებით, საერთაშორისო საზოგადოებამ გაეროს სტრუქტურების მეშვეობით ხელი შეუწყო ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან და მის ისეთ ფორმებთან ბრძოლის კონვენციის მიღებას, როგორიცაა ადამიანის ტრეფიკინგი და არალეგალური მიგრაცია.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების ცნების განსაზღვრისათვის გამოიყენება შემდეგი მიდგომები:

1. აღწერენ მოცემული სახეობის დანაშაულობის ყველაზე უფრო ტიპურ ნიშნებს ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების დახასიათების საფუძველზე.
2. იყენებენ უფრო ფართე ("ტრანსნაციონალური დანაშაულობა") და უფრო ვიწრო ("ტრანსნაციონალური კრიმინალური კორპორაციების საქმიანობის") ცნებების კომბინირებულ განსაზღვრებას.

უდავოა, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა, ისევე როგორც, დანაშაულობის ნებისმიერი სხვა ფორმა, ხასიათდება საქმიანობის საკუთარი სპეციფიკური მეთოდებით და მონაწილეების ქცევის მოდულებით. ამიტომ მისი ძირითადი ნიშნების აღწერისთვის აუცილებელია გავაანალიზოთ,

როგორც საქმიანობის, ისე მისი სუბიექტების მახასიათებლები. იმისათვის, რომ განვაცალკევოთ ერთი სახელმწიფოს საზღვრებში მოქმედი ორგანიზებული დანაშაულობისა და მისი ტრანსნაციონალური ფორმების სუბიექტები, აუცილებელია, ყურადღებით შევისწავლოთ ასეთი ორგანიზაციების საქმიანობა. კრიმინოლოგთა უმრავლესობის აზრით, სწორედ სივრცობრივად შემოუსაზღვრავ კრიმინალურ საქმიანობაში ორგანიზებული დანაშაულობა ტრანსნაციონალური ხდება, თუ:

1. ის უკავშირდება მატერიალური და არამატერიალური რესურსების სახელმწიფო საზღვრებზე გადატანის უკანონო ოპერაციების წარმოებას, რასაც არსებითი ეკონომიკური სარგებელი მოაქვს;

2. მისი განხორციელებისას გამოიყენება სხვა ქვეყნებში არსებული ხელსაყრელი საბაზრო კონიუნქტურა, მნიშვნელოვანი განსხვავებები სხვადასხვა ქვეყნის სისხლისსამართლებრივ სისტემებში და მათ ლეგალურ ეკონომიკაში შეღწევა კორუფციისა და ძალადობის დახმარებით;

3. ხორციელდება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა, ანუ ის სცილდება ერთი სახელმწიფოს საზღვრებს, რამაც თანამედროვე პირობებში საერთაშორისო პროცესის სახე მიიღო და კრიმინალური ევოლუციის უმაღლეს დონედ მოგვევლინა .

თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა და ორგანიზებული დანაშაულობის ფართო კავშირებმა გააადვილა კონტაქტების დამყარება პარტნიორებთან სხვა ქვეყნებსა და კონტინენტებზე. ელექტრონული ანგარიშგების თანამედროვე საბანკო სისტემები საერთაშორისო დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელების საშუალებას იძლევა, რაც, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება უკანონოდ მიღებული შემოსავლების გათეთრებას, ასევე სხვადასხვა სახის ფინანსური მაქინაციების წარმოებას.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა კრიმინალური ქცევის ყველაზე პროფესიონალური და რაციონალური ნაწილია. მისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია შესაძლო რისკის მინიმუმამდე დაყვანისა და მაქსიმალური მოგების მიღებისადმი სწრაფვა. დანაშაულებრივი ორგანიზაციები სწავლობენ საკუთარ და სხვის შეცდომებზე. მათ აქვთ სიტუაციისა და მისი შესაძლო განვითარების სტრატეგიული ხედვის უნარი. ისინი ხშირად იყენებენ მაღალი კლასის სპეციალისტების დახმარებას, იყენებენ ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიებს.

ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედი ორგანიზებული დამნაშავეები არასოდეს

გადააბიჯებდნენ ნაციონალურ საზღვრებს, რომ არ ჰქონდეთ სერიოზული სარგებელი, მნიშვნელოვანი უპირატესობა და შესაძლებლობები. სწორედ ამ მიზნების მიღწევისთვის დაიწყეს საერთაშორისო მასშტაბის ოპერაციების განხორციელება ნაციონალურმა კრიმინალურმა ორგანიზაციებმა, რასაც შედეგად მათი ტრანსნაციონალიზაცია მოჰყვა.

ტრანსნაციონალური ოპერაციების წარმოება დანაშაულებრივი ორგანიზაციებისთვის ხელმისაწვდომს ხდის მომგებიან ბაზრებს. საშუალებას აძლევს მათ, შეაღწიონ ასეთ ბაზრებზე ისე, რომ იმოქმედონ ტერიტორიებიდან, სადაც ისინი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან შედარებით ხელშეუხებლები არიან. შემოსავლები დანაშაულებრივი საქმიანობიდან მსოფლიო საფინანსო სისტემების არხებით იმალება ოფშორულ ზონებში და შედარებით რბილად რეგულირებად საბანკო ცენტრებში.

ასეთი ორგანიზაციები იქცევიან მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვან მოთამაშეებად და ასრულებენ განსაკუთრებულ როლს კანონით აკრძალული საქმიანობის სფეროებში, მაგალითად, ადამიანების ორგანოებით ვაჭრობისა და მათი კრიმინალური ექსპლუატაციის ორგანიზებაში, რამაც გლობალური მასშტაბები მიიღო და ისეთი შემოსავლები მოაქვს, რომლის რაოდენობა აღემატება ზოგიერთი განვითარებადი და განვითარებული ქვეყნის შიდა საერთო პროდუქტის მაჩვენებელს. ვაშინგტონის ნაციონალური სტრატეგიული საინფორმაციო კომიტეტის ექსპერტების მოსაზრებების თანახმად, "მსოფლიო მაფიის" შემოსავალი დაახლოებით 1 ტრილიონი დოლარია. თანხის ეს რაოდენობა თითქმის ამერიკის ფედერალური ბიუჯეტის ექვივალენტურია.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნების განსაზღვრისას არ შეიძლება, შემოვიფარგლოთ მხოლოდ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის დახასიათებით. აღნიშნული ცნების მნიშვნელოვან კომპონენტს აგრეთვე წარმოადგენს იმ სუბიექტთა სპეციფიკის განსაზღვრა, რომლებიც ახორციელებენ ამგვარ საქმიანობას.

ამასთანავე, ტრანსნაციონალური დანაშაულობის დახასიათება მხოლოდ თავის საქმიანობაზე დაყრდნობით არ იძლევა მისი გამოცალკევების საშუალებას ისეთი მომიჯნავე ცნებებისგან, როგორიცაა, მაგალითად, "საერთაშორისო დანაშაულობა", რომლის ერთერთი ნიშანთაგანი ასევე ნაციონალური საზღვრების იგნორირებაა დანაშაულის ჩადენის დროს. აღნიშნული ორი ცნების გამიჯვნისას უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო დანაშაული

გულისხმობს ტრანსნაციონალურ-სტრუქტურირებული ან პროფესიული დანაშაულებრივი გაერთიანებების მართლსაწინააღმდეგო ფუნქციონირებას, რომელთაც არ ახასიათებთ ჩვეულებრივი დამნაშავეებისგან (სხვადასხვა რაოდენობითა და ერთობის ურთიერთგანსხვავებული სიმყარით, მარტო მოქმედი დამნაშავის ჩათვლით) შემდგარი ჯგუფების მკაფიო ორგანიზება და დანაშაულებრივი ჩანაფიქრის რეალიზაციის მიზნით საჭიროებენ სახელმწიფოთა საზღვრების გადაკვეთას, რათა მიიღონ უკანონო მატერიალურ- ფულადი სახსრები.

უდავოა, რომ "საერთაშორისო დანაშაულობა" მნიშვნელოვნად უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე "ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა" და რომ ეს უკანასკნელი მისი სტრუქტურული ელემენტია. მათი გამიჯვნა კი ხდება ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი საქმიანობის სუბიექტების, მასშტაბებისა და ორგანიზებულობის ხარისხის მიხედვით.

განმარტებიდან გამომდინარე, საერთაშორისო დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ჯგუფი ან ორგანიზაცია, ასევე მარტო მოქმედი დამნაშავე. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სუბიექტთა შემადგენლობა უფრო ვიწროა და რიგი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნის მატარებელია. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სუბიექტთა ძირითად ჯგუფს ქმნიან დანაშაულებრივი ორგანიზაციები და საზოგადოებები, რომლებიც ეყრდნობიან საკუთარი ფილიალების ქსელს სხვადასხვა ქვეყანაში. მათთვის დამახასიათებელი უფრო ტიპური ნიშნებია: ორგანიზებულობის მაღალი დონე, ოჯახური ან ეთნიკური ბაზა, რაც წყვეტს ორგანიზაციის შევსების, საქმეში ჩახედულობისა და შიდა დისციპლინის პრობლემებს, ტრანსნაციონალური კავშირების არსებობა სხვა ქვეყნების დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან, სწრაფვა ვიწროკორპორაციული ინტერესების დაცვისა და განხორციელებისკენ, სწრაფი ადაპტაცია სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მათზე ზეწოლის გაძლიერებასთან.

გარდა ამისა, ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების სუბიექტების ნაწილი წარმოადგენს დანაშაულებრივი ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს სიმბიოზს, სადაც უკანასკნელი თავისი სტრუქტურების მეშვეობით იყენებს დანაშაულებრივ სახსრებს, საშუალებებსა და საქმიანობის სახეობებს საკუთარი მიზნების მიღწევისთვის ან მთლიანად დამოკიდებულია კრიმინალურ ორგანიზაციებზე, რომლებიც თავის მხრივ სარგებლობენ სახელმწიფო ატრიბუტიკით, როგორც საფარით საკუთარი საქმიანობის

ჭეშმარიტი არსის შესანიღბად.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა, საერთო ნიშნის - "საზღვრის გადაკვეთის" გარდა, ხასიათდება უწყვეტი ფუნქციონირებით, კავშირების გლობალური მასშტაბებით, სტრუქტურული მსგავსებით ლეგალურ ბიზნესთან, მაგრამ სოციალური კონტროლისგან დაცვის უფრო მაღალი ხარისხით, კორუფციისა და ძალადობის გამოყენებით მიზნის მიღწევისათვის.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა შეიძლება განვმარტოთ, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაციებისა და თანასაზოგადოებების საქმიანობა, რომელთაც გააჩნიათ ფილიალების განტოტვილი ქსელი სხვა ქვეყნებში, იყენებენ საერთაშორისო კავშირებს გლობალური უკანონო ოპერაციების მუდმივად განხორციელებისთვის, რაც დაკავშირებულია ინფორმაციის ნაკადის, ფულის, ფიზიკური ობიექტების, ადამიანების, მატერიალური და არამატერიალური საშუალებების გადაადგილებასთან სახელმწიფო საზღვრებზე ხელსაყრელი საბაზრო კონიუნქტურის გამოყენების მიზნით საზღვარგარეთის ერთ ან რამოდენიმე სახელმწიფოში არსებითი ეკონომიკური სარგებლის მიღებისა და სოციალური კონტროლისათვის თავის ეფექტურად არიდებისთვის კორუფციის, ძალადობისა და სხვადასხვა ქვეყნის სისხლისსამართლებრივ სისტემებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებების გამოყენებით.

უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები ძალიან ნელა რეაგირებენ ორგანიზებული დანაშაულობისა და კორუფციის საფრთხეებზე. ამის მიზეზებია არასაკმარისი თანამშრომლობა სახელმწიფოებს შორის, საერთაშორისო დაწესებულებების სუსტი ურთიერთკოორდინაცია, არსებული დებულებების არაადეკვატური დაცვა ბევრი სახელმწიფოს მიერ.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის კონკრეტულ გამოვლინებებთან ბრძოლის ეფექტურობა სხვადასხვაა. რიგ შემთხვევაში, შესაძლებელია ტრანსნაციონალური დანაშაულობისა და კორუფციის წინააღმდეგ რეალური პროგრამების განხორციელება, რაც კარგად ჩანს საქართველოს მაგალითზეც.

ლექცია 9

ლექციის თემა: საერთაშორისო მიგრაცია

საერთაშორისო მიგრაცია ეს არის მოსახლეობის მასობრივი გადაადგილება სახელმწიფოებს შორის, რომელიც საგრძნობლად ცვლის განსახლების საერთო სურათსა და ცალკეული ქვეყნების მოსახლეობის დემოგრაფიულ, სოციალურ და რასობრივ-ეთნიკურ სტრუქტურას. ს.მ. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მიგრაციის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს როგორც პოლიტიკური (მათ შორის ეთნიკური წმენდა და გენოციდი), ისე ეკონომიკური (მატერიალური პირობების გაუმჯობესება), რელიგიური, სოციალურ-კულტურული, ბუნებრივ-ეკოლოგიური და სხვ. განხორციელების ფორმის მიხედვით გამოყოფენ ნებაყოფლობით და იძულებით მიგრაციებს, ხოლო დროითი განზომილებით - მუდმივსა და დროებითს. გლობალიზაციის ეპოქაში, როცა კომპლექსურმა ურთიერთდამოკიდებულებამ და ტრანსნაციონალიზაციამ საყოველთაო ხასიათი მიიღო, ს.მ. მასობრივ მოვლენად იქცა. მიგრაციისა და თავისუფლად გადაადგილების უფლება დასავლური ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებაა და ადამინის უფლებების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ამიტომ დემოკრატიულ სახელმწიფოს არა აქვს უფლება თავის მოქალაქეებს აუკრძალოს ემიგრაციაში წასვლა. მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის უმწვავესი პრობლემა გახდა უკონტროლო, არალეგალური მიგრაცია მესამე სამყაროს ქვეყნებიდან, რამაც უამრავი სიძნელე შექმნა და იძულებული გახადა აღნიშნული ქვეყნები, მკვეთრად შეეზღუდათ იმიგრაცია.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია 1951 წელს დაარსდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში იძულებით ადგილნაცვალი ან უმუშევრად დარჩენილი უამრავი ადამიანისათვის გადაადგილებაში დახმარების აღმოჩენის მიზნით. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია მიგრაციის სფეროში მოღვაწე წამყვანი მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა და მჭიდროდ თანამშრომლობს სამთავრობო, მთავრობათაშორის და არასამთავრობო პარტნიორებთან.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, 146 წევრი და 98 დამკვირვებლის სტატუსის მქონე ქვეყნით 100-ზე მეტ ქვეყანში მოღვაწეობს. იგი ცდილობს ხელი

შეუწყოს ჰუმანურ და კანონიერ მიგრაციას მთავრობებისა და მიგრანტებისათვის რჩევების მიწოდების გზით.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსტიტუცია აღიარებს კავშირს მიგრაციასა და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას შორის, ისევე, როგორც აღიარებს თავისუფალი გადაადგილების უფლებას.

IOM მიგრაციის მართვის ოთხ ფართო სფეროში მუშაობს:

- მიგრაცია და განვითარება
- მიგრაციის ხელშეწყობა
- მიგრაციის რეგულირება
- იძულებითი მიგრაცია

ამ ოთხ კომპლექსურ სფეროში შემავალი IOM-ის საქმიანობები მოიცავს საერთაშორისო მიგრაციის ხელშეწყობას, მსჯელობას და რჩევებს მიგრაციის პოლიტიკის შესახებ, ჯანმრთელობის დაცვას მიგრაციის პროცესში და მიგრაციის გენდერულ ასპექტებზე მუშაობას.

საერთაშორისო მიგრანტთა რაოდენობა, 2010 წლის მონაცემებით, 214 მილიონს უტოლდება. თუ ზრდის ტემპი გაგრძელდა,2050 წლისთვის მათმა რიცხვმა შესაძლოა 405 მილიონს მიაღწიოს. ეს მაჩვენებელი ყველაზე უკეთ წარმოაჩენს პრობლემის გლობალურ ხასიათსა და მასშტაბს. განვითარების სხვადასხვა დონეზე მდგომ ქვეყნებს საერთაშორისო მიგრაცია სხვადასხვა კუთხით ეხება. მეტწილად, განვითარებადი ქვეყნები მიგრანტთა მიმწოდებელია განვითარებული ქვეყნებისთვის, ხოლო ეს უკანასკნელნი - მიგრანტთა მიმღებნი. თუმცა გამონაკლისებიც არსებობს. მაგალითად, რესურსმომპოვებელი ქვეყნებისკენ ნაკადი მძლავრია, რადგან იქ სამუშაო ადგილებზე მუდმივი მოთხოვნაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მსოფლიოში სამი ძირითადი მიმღები ბირთვია: აშშ, დასავლეთი ევროპა და აზიის ნავთობმომპოვებელი ქვეყნები.

რავენშტეინის მიგრაციის თეორია 1875-1889 წლებშია შემუშავებული და მის მიერ გამოყოფილი პრინციპები დღემდე საინტერესო და აქტუალურია, თუმცა დროთა განმავლობაში მათ შინაარსი იცვალეს, ამიტომ ამ მოდელის განხილვა კიდევ უფრო საინტერესოა, რადგან ბევრ სადისკუსიო საკითხს ტოვებს. 1. მიგრანტების უმეტესობა გადაადგილდება მოკლე მანძილზე. არსებობს უარყოფითი დამოკიდებულება მათ რაოდენობასა და მანძილს შორის:

2. მიგრაცია საფეხურებრივი პროცესია; როდესაც ერთი ჯგუფი რაიმე ახალი ადგილისკენ გადაადგილდება, ჩაანაცვლებს იქ მყოფი ადამიანების ჯგუფს, ეს

უკანასკნელნი კი მომდევნო იერარქიული საფეხურისკენ გადაადგილდებიან და ა.შ.

სოფელი → რეგიონული ცენტრი/მცირე ქალაქი → დიდი ქალაქი → მეგაქალაქი/დედაქალაქი

3. ემიგრაცია იმიგრაციის საპირისპირო პროცესია.

4. მიგრაციის ყოველი ტალღა ახალისებს ნაკადს საპირისპირო მიმართულებით. პროცესი დაბალანსებულია ბუნებრივი მატებით სოფელში და მექანიკურით - ქალაქში.

5. მიგრანტები, რომლებიც დიდ მანძილზე მიემგზავრებიან, მეტი ალბათობით აღმოჩნდებიან მსხვილ საფინანსო, ადმინისტრაციულ ან ეკონომიკურ ცენტრებში.

6. სოფლის მოსახლეობა, ქალაქის მოსახლეობისგან განსხვავებით, მეტი ალბათობითაა ჩართული მიგრაციულ პროცესში. ისინი ზრდასრულები არიან და მთელი ოჯახი ნაკლებად მიგრირებს.

7. ქალები მეტად მიგრირებენ ქვეყნის ფარგლებში, ხოლო მამაკაცები - ქვეყნის გარეთ.

რავენშტეინის პრინციპებს გეოგრაფებმა მოგვიანებით რამდენიმე მნიშვნელოვანი წესი დაუმატეს:

<> მსხვილი დასახლებები და ქალაქები მიგრაციის ხარჯზე მეტად იზრდება, ვიდრე ბუნებრივი მატების ხარჯზე.

<> ადამიანები ყველაზე ხშირად ეკონომიკური მიზეზების გამო მიგრირებენ.

<> მიგრანტების უმეტესობა დაუქორწინებელია, 20-35 წლისა.

<> მიგრაციის მაჩვენებელი იზრდება, როცა ქალაქებში ინდუსტრია და სატრანსპორტო კავშირები ვითარდება.

<> დაუსაქმებლობის შემთხვევაში მიგრანტთა უმეტესობა თავის საცხოვრებელ ადგილს უბრუნდება.

რავენშტეინის მიერ გამოყოფილი პრინციპები წლების განმავლობაში დროის შესაბამისი იყო, ვიდრე ტექნოლოგიები, სატრანსპორტო კავშირები მკვეთრად გაუმჯობესდებოდა და განვითარდებოდა. ამავე პერიოდში ადამიანებმა მეტი იცოდნენ თავიანთი საცხოვრებელი ადგილის ახლოს მდებარე დასახლებებზე. სწორედ მოშორებით მდებარე ადგილებზე ინფორმაციის ნაკლებობა განაპირობებდა საერთაშორისო მიგრაციის, შორ მანძილებზე მიგრაციის მცირე მასშტაბს. მეგაქალაქებს მიმღებ ქვეყანაში იმ მიზეზით ირჩევენ, რომ მეტი ინფორმაცია სწორედ მათ შესახებ აქვთ, ამოუცნობი კი ადამიანს

აფერხებს/აშინებს. სოფელში დასაქმება და თავისუფალი დროის ორგანიზება შეზღუდულია, დიდ ცენტრებში კი შესაძლებლობა მეტია, რაც სოფლის მოსახლეობას უფრო მეტად უბიძგებს მიგრაციისკენ. ქალები, ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების პარალელურად, აქტიურად ჩაერთნენ საერთაშორისო მიგრაციაში. წინათ მეტად იყო განვითარებული მეურნეობის პირველადი და მეორეული დარგები, სადაც მამაკაცის შრომა უფრო მოთხოვნადი გახლდათ; მოგვიანებით, მეურნეობის სტრუქტურის გამრავალფეროვნებასთან ერთად, გაჩნდა მოთხოვნა ქალების შრომაზეც, მოთხოვნა კი იწვევს მიწოდებას.

სტაფერის კანონი შუალედური შესაძლებლობების შესახებ 1960 წელს იქნა შემუშავებული. სტაფერი ამტკიცებდა, რომ მიგრაციის მოცულობა მანძილზე ნაკლებად არის დამოკიდებული; პირდაპირი დამოკიდებულება მოსახლეობის შესაძლებლობებთან ვლინდება. ადამიანი მიგრაციაში გარკვეული მიზნის მისაღწევად მიდის. ეს შეიძლება იყოს სამუშაო ადგილის შოვნა, უკეთესი საცხოვრებელი პირობები, მეტი დემოკრატია და თავისუფლება, განათლების მიღების შესაძლებლობა და სხვა. ამ ასპექტებზე საუბარია რავენშტეინის მე-2, მე-5 პრინციპებში. სტაფერის მიხედვით, მიგრანტს, სანამ მიმღებ ქვეყანას მიაღწევს, გზაზე, მოსალოდნელია, სხვადასხვა შესაძლებლობა გამოუჩნდეს. თუ ეს შესაძლებლობა შეესაბამება მის მოლოდინს, - რის მისაღწევადაც დატოვა თავისი ქვეყანა, - მიგრანტმა შესაძლოა გადაწყვეტილება შეიცვალოს და შუალედურ ადგილას დასახლდეს. ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მისი მიზანი კონკრეტულ ადგილას ცხოვრება არ ყოფილა.

ლის მოდელი, რომელიც 1966 წელს შეიქმნა, ყველაზე უკეთ სწორედ ქვემოთ ნახსენებ ფაქტორებს ასახავს.

გადაწყვეტილება, დატოვო თუ არა საცხოვრებელი ადგილი, ძნელი მისაღებია. ყველა თანხმდება, რომ აქ ეკონომიკური ფაქტორია გადამწყვეტი, თუკი ეს არ ეხება იძულებით მიგრაციას. ფაქტორთა ერთობლიობას, რომლებმაც შეიძლება აიძულოს ადამიანი, გახდეს მიგრანტი, გამომწვევი ფაქტორები ეწოდება. ამ ფაქტორებს შორისაა უმუშევრობა, მცირე ხელფასი, ბუნებრივ-კატასტროფული მოვლენები, უფლებების შელახვა, განვითარების დაბალი დონე, გაუდაბნოება, შიმშილობა, პოლიტიკური დაძაბულობა, დიქტატურა, არასათანადო ჯანდაცვა, თავისუფლებათა (რელიგიურის, პოლიტიკურის) შეზღუდვა, გარემოს დაბინძურება, გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობები, ჩაგვრა, დისკრიმინაცია და სხვა. იმავდროულად, მეორე მხარეს არის მიზიდულობის

ფაქტორები, რომლებიც ადამიანის წარმოდგენებზეა დაფუძნებული: უკეთესად ანაზღაურებადი სამსახური, მეტი სამუშაო ადგილი, კარგი სკოლები, დაცულობა, გართობა, უკეთესი საცხოვრებელი პირობები, ცხოვრების მაღალი ხარისხი, განვითარების დონე, დემოკრატია, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, უკეთესი ჯანდაცვა, მიმზიდველი კლიმატი, განვითარებული ეკონომიკა და სხვა. თუმცა მათი ნაწილი შესაძლოა მხოლოდ ადამიანის წარმოსახვაში იყოს და რეალობას არ შეეფერებოდეს.

ამრიგად, არსებობს ფაქტორები, რომლებიც აიძულებს ადამიანს, დარჩეს ან წავიდეს. ასევე არსებობს ფაქტორები, რომლებსაც გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენა არ აქვს. მათ ნეიტრალურ ფაქტორებს უწოდებენ. საინტერესოა, რომ ეს ფაქტორები ძალიან სუბიექტურია. ყველას, ასაკიდან, სქესიდან, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსიდან, განათლების დონიდან თუ ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, თავისი პერსონალური ფაქტორები აქვს, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობს. ლის მოდელში სწორედ ეს ფაქტორებია ნაჩვენები. იმის მიხედვით, რომელი გადაწონის, ადამიანი შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს. ლი შემაფერხებელ ფაქტორებზეც ამახვილებს ყურადღებას - ეს შეიძლება იყოს სავიზო რეჟიმი, მგზავრობის ხარჯები, ენის არცოდნა, განსხვავებული კულტურა, რელიგია.

დაბოლოს, ყველა მოდელს აქვს თავისი შეზღუდვები. იგივე შეიძლება ითქვას მიგრაციის მოდელებზეც. სწორედ გამარტივების დროს ხდება სხვადასხვა შინაარსისგან დაცლა, რაც მის განზოგადებას უშლის ხელს.

<> მაგალითად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ადამიანი არ არის თავისუფალი, რომ გადაადგილდეს;

<> ყველას არ აქვს საჭირო განათლება, უნარები და კვალიფიკაცია იმისთვის, რომ შეძლოს მიმღებ ქვეყანაში დასაქმება;

<> რომ დღემდე არსებობს ისეთი ბარიერები, როგორებიცაა რასა, კლასი, ხარჯი, ენა და სქესი.

ამ შეზღუდვების გამო არ შეიძლება, მანძილი ყველაზე მნიშვნელოვან ხელშემშლელ ფაქტორად განვიხილოთ.

განვითარებული, განვითარებადი და სწრაფად მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნები პროცესებში ერთნაირად აღმოჩნდნენ ჩართულნი, თუმცა განვითარებადი ქვეყნები უმთავრესად სწორედ მიგრანტთა გამცემ ქვეყნებად მოიაზრება, საიდანაც ადამიანები უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით მიემგზავრებიან.

ნებაყოფლობითი მიგრაცია მზარდი ტემპით მიმდინარეობს, რასაც ხელს უწყობს ტექნოლოგიების განვითარება, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის ზრდა და მგზავრობის გაიაფება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რაც უფრო მკაფიო კონტურს სძენს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, შრომის ბაზრის გამრავალფეროვნება, სადაც გაჩნდა მოთხოვნა სხვადასხვა კვალიფიკაციისა და სქესის ადამიანებზე, სულ უფრო დიდი დისონანსი მსოფლიოს ქვეყნების განვითარების დონეებს შორის.

ადამიანს აქვს უფლება, თავად აირჩიოს საცხოვრებელი, თუმცა სინამდვილე ყოველთვის არ იძლევა ამის საშუალებას; მილიონობით ადამიანი იძულებულია, დატოვოს სამშობლო და თავი უცხო ქვეყანას შეაფაროს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იძულებით მიგრაციასთან, რომლის მიზეზი, ფორმა და ხანგრძლივობა სხვადასხვაა, შედეგიც - მწვავე და მრავალფეროვანი.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მონაცემების მიხედვით, დღეს მსოფლიოში იძულებით გადასახლებულია 44 მლნ კაცი, რომელთაგან 15,4 მლნ ლტოლვილია (რომლებმაც საზღვრები გადაკვეთეს), ხოლო 27,5 მლნ - იძულებით ადგილნაცვალი პირი (ისინი, ვინც ქვეყნის ფარგლებში გადასახლდნენ); ამათ გარდა, 800 ათასი თავშესაფრის მაძიებელია, რომლებიც ცდილობენ, მიმღებ ქვეყანაში ცხოვრებისა და მუშაობის უფლება მოიპოვონ და სამართლებრივად ლტოლვილის სტატუსი მიიღონ. ამ "მოკრძალებული" სტატისტიკის მიღმა რჩება 12 მლნ მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელთაც არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა არ აქვთ. ამ უკანასკნელ ჯგუფზე ინფორმაცია ძნელი მოსაძიებელია, თუმცა უნდა ითქვას, რომ თუ 2004 წელს მხოლოდ 30 ქვეყანა იძლეოდა მათ შესახებ ინფორმაციას, დღეს ამ ქვეყნების რიცხვი 65-მდე გაიზარდა.

იძულებით გადაადგილებულ პირებს ძირითადად მეზობელი სახელმწიფოები იფარებენ ლტოლვილთა ბანაკებში.

ლტოლვილთა გამცემ 10 ქვეყანა-"ლიდერს" შორის არიან ავღანეთი, ერაყი, სომალი, სუდანი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, კოლუმბია, ვიეტნამი, მიანმა, ბურუნდი, პალესტინა.

ლტოლვილთა მიმღებ ქვეყნებს შორის - პაკისტანი, სირია, ირანი, გერმანია, იორდანია, აშშ, კენია, ჩადი, ჩინეთი და ტანზანია.

სტატუსგარეშე პირების რაოდენობის მიხედვით გამოირჩევა ერაყი ქურთების ეთნიკური ჯგუფით, კენია - ნუბიელებით, ესტონეთი და ლატვია - რუსებით, ნეპალი - ბუტანელებით.

ყველა ამ ჯგუფის 50% 18 წლამდე ასაკისაა, ხოლო 11% - 5 წლამდე ასაკისა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს პრობლემას.

პრობლემისთვის ხაზის გასასმელად 20 ივნისს ლტოლვილთა მსოფლიო დღე აღინიშნება.

1951 წელს შემუშავებულ იქნა ლტოლვილთა სტატუსის განმსაზღვრელი კონვენცია, რომელიც 147 ქვეყნის მიერაა რატიფიცირებული. ქვეყნები, საიდანაც დიდია იძულებითი გადინება, მათ შორის - ირანი, პაკისტანი და სირია, აღნიშნულ კონვენციას არ უერთდებიან.

იძულებითი მიგრაციის მიზეზები

იძულებითი მიგრაციის მიზეზები მრავალფეროვანია. მათგან აღსანიშნავია ბუნებრივ-კატასტროფული მოვლენები, ანთროპოგენული ხასიათის კატასტროფები, ომი, კონფლიქტები, შიმშილობა, ეკონომიკური განვითარება.

1. კონფლიქტით გამოწვეული გადაადგილება

ამ დროს ადამიანები იძულებით ტოვებენ საკუთარ სახლებს, სადაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მათ დაცვას. მიზეზებს შორისაა შეიარაღებული კონფლიქტი, მათ შორის - სამოქალაქო ომი, ძალადობა, ეროვნების, რასის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე დევნა.

ამ გადაადგილებული პირების დიდი ნაწილი თავშესაფრის ძიებაში საერთაშორისო საზღვრებს კვეთს. მათი ნაწილი თავშესაფარს საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით ეძებს და ლტოლვილის სტატუსს იღებს, ნაწილი გამოსახლების შიშით სტატუსგარეშე დარჩენას ამჯობინებს.

ფართომასშტაბიანი ომების რაოდენობა მცირდება, თუმცა მათ ადგილს იკავებს შეიარაღებული სეპარატისტული კონფლიქტები, რომლებიც უკვე შიდა შუღლსა და დაპირისპირებას იწვევს. ეს ბევრს გადასახლებისკენ უბიძგებს. დრამატულად იზრდება იძულებით ადგილნაცვალ პირთა რაოდენობა, რომელთა რიცხვი ლტოლვილებისას აღემატება.

2. განვითარებით გამოწვეული გადაადგილება

ამ გადაადგილებაში ჩართულნი არიან ადამიანები, რომლებიც იძულებულნი არიან, დატოვონ თავიანთი საცხოვრებელი მსხვილი ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული პროექტების გამო. ასეთი გადაადგილებები ხშირად სახელმწიფო ინტერესს წარმოადგენს და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უკავშირდება. მაგალითად, გზების, პორტების, აეროპორტების, ეროვნული პარკების, კაშხლების მშენებლობა.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შედეგად დაზარალებული ადამიანები, როგორც წესი, ქვეყანაში რჩებიან და სახელმწიფოსგან კომპენსაციასაც იღებენ, თუმცა ამ ანაზღაურებას ისინი უმეტესად არაადეკვატურად მიიჩნევენ.

ასეთი გადაადგილებები საერთაშორისო საზოგადოების ნაკლებ ყურადღებას იმსახურებს, თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც ეს ხალხი ზარალდება და მათი უფლებებიც ირღვევა. მეოცე საუკუნის 90-იან წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას 100 მილიონი კაცის საცხოვრებელი ადგილიდან აყრა მოჰყვა; ყოველწლიურად 10 მლნ-მდე ადამიანი კაშხლების მშენებლობის გამო ტოვებს თავის საცხოვრისს.

3. კატასტროფებით გამოწვეული გადაადგილებები

ეს კატეგორია მოიცავს ბუნებრივი კატასტროფების (წყალდიდობა, ვულკანი, მეწყერი, მიწისძვრა...), გარემოს ცვლილების (გაუტყეურება, გაუდაბნოება, მიწის დეგრადაცია, გლობალური დათბობა....) და ადამიანის საქმიანობის შედეგად გამოწვეული კატასტროფების (სამრეწველო ავარიების) გამო იძულებით გადაადგილებულებს. ცხადია, ამ შემთხვევაში მკაფიო საზღვრების დადგენა რთულდება, რადგან ხშირად ერთი მათგანი მეორეს იწვევს. ამის მაგალითია იაპონიის მიწისძვრა, რომელსაც ცუნამი მოჰყვა, რამაც, თავის მხრივ, ფუკუშიმას სადგურში ბირთვული ავარია გამოიწვია.

ამ შემთხვევაში მიზეზის შეფასება უფრო რთული სადავოა, ვიდრე მიგრაციის წინა ორი ფორმის დროს. ამ ტიპის მიგრაციაში ყოველწლიურად მილიონობით ადამიანია ჩართული. რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია, აგრეთვე არასამთავრობო (საერთაშორისო თუ ადგილობრივი) ორგანიზაციები დაზარალებულებს დახმარებას უწევენ. ბუნებრივ-კატასტროფული მოვლენების შედეგად დაზარალებულებს ხშირად ეკომიგრანტებად მოიხსენიებენ.

ტრეფიკინგიც უკანონო მიგრაციის სახეობაა ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) – არის დანაშაული, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ყიდვას ან გაყიდვას, ანდა მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმის (მოტაცება, შანტაჟი, თაღლითობა, მოტყუება, უმწეო მდგომარეობაში ჩაყენება, მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება) გამოყენებით, რომლის დროსაც ხდება ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, საკუთარ ან სხვა ქვეყანაში ტრანსპორტირება, ადამიანით მოვაჭრეებისათვის გადაცემა, შეფარება ანდა მიღება მისი

ექსპლუატაციის გზით სარგებლის მიღების მიზნით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი).

მიუხედავად იმისა, რომ ეს დასჯადი დანაშაულია, უამრავი ადამიანი ხდება ამ სახის იძულებითი მიგრაციის მსხვერპლი.

ადამიანებს უმთავრესად ყიდიან ან ამუშავებენ სექსუალური მომსახურების მისაღებად და მისი მსხვერპლი ქალები და ბავშვები არიან.

შესაძლოა, პირმა საკუთარი ქვეყანა ნებით დატოვოს, მაგრამ ვალის, მუქარის, ზეწოლის შედეგად, შემდგომში ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდეს. არის შემთხვევები, როცა საზღვრის გადაკვეთაც უკანონოდ, კონტრაბანდისტების დახმარებით ხდება, რომლებიც არალეგალური გზებით ცდილობენ ბარიერების დაძლევას. ამის გამო ტრეფიკინგის სტატისტიკის წარმოება ძალიან რთულია.

საერთაშორისო მიგრაციის ვიზუალური გამოვლინება მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდებში

მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდებში ამოიცნობა საერთაშორისო მიგრაციების მასშტაბები. ქვემოთ მოგვყავს ორი სხვადასხვა ტიპის ქვეყანა, მიმღები და გამცემი.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო მიგრაციის მასშტაბი მომავალშიც გაიზრდება. ამდენად, ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია მიმდინარე პროცესებზე, მათ მიზეზებსა და შედეგებზე. ამ მონაცემების გამოყენება შეიძლება აისახოს ქვეყნის განვითარების სტრატეგიაში, რაც შედეგებს რამდენადმე შეარბილებს.

ლექცია 10

ლექციის თემა: სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემა

სასურსათო უშიშროება (უსაფრთხოება) განეკუთვნება ფუნდამენტურ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემათა კატეგორიას. სურსათს, როგორც სასიცოცხლო უზრუნველყოფის მთავარ კომპონენტს, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. სასურსათო პრობლემა მეტად აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოსათვის, რადგან დედამიწის მოსახლეობის მატება ადეკვატურ ზეგავლენას ახდენს სურსათზე მოთხოვნილების ზრდაზეც. ამასთან, იგი პირდაპირ თუ ირიბად თითოეული ინდივიდის და მთელი საზოგადოების ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას უკავშირდება. წარსულში, როდესაც ადამიანი მეტად სუსტი იყო ბუნებრივი მოვლენების წინაშე და ვერ ფლობდა მათზე ზემოქმედების მნიშვნელოვან საშუალებებს, ხშირი იყო არახელსაყრელი გარემო ფაქტორებით გამოწვეული შიმშილობები. ისტორიაში მრავალი ამგვარი ფაქტია აღწერილი (ეგვიპტე, რომი, ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბოჰემია, პოლონეთი, ირლანდია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და ა.შ.). შიმშილობას საქართველოში, მისი უნიკალური ბიოგეოკლიმატური პირობების გამო, ძირითადად მტრის შემოსევები და ეპიდემიები განაპირობებდა, რაც ისტორიულ დოკუმენტებშიც ფიქსირდება. 735-737 წლებში მურვან ყრუს შემოსევის შედეგად ისე დაზარალებულა ქართლის სოფლის მეურნეობა, რომ მემატიანე წერს: "...აღარა იპოვებოდა ნიშნები არც საჭამადი კაცთა და პირუტყუთა". დიდი შიმშილობები იყო შუა საუკუნეებში ბაგრატ IV მეფობის დროს 1050-1060 წლებში. ამ ფაქტს შესწრებია ათონის მონასტრიდან ჩამოსული გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც დააფიქსირა ეს მოვლენა. 1811 წელს შიმშილობის მიზეზი გახდა ქვეყანაში შავი ჭირის ეპიდემია, მკაცრი ზამთარი და წყალდიდობები, რომლებმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. უკანასკნელ პერიოდში დედამიწის მოსახლეობის გაორმაგების ტემპი 38 წელს უდრის, ხოლო ტექნიკურ-ტექნოლოგიური ცოდნისა და სამეცნიერო მიღწევების დონე ყოველ 40 წელიწადში ორმაგდება, ანუ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კაცობრიობის ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ზრდის ტემპიც გეომეტრიული პროგრესიის შესაბამისია, ოღონდ იგი ოდნავ ჩამორჩება მოსახლეობის ზრდის ტემპს, რაც არ შეეძლო სცოდნოდა მალთუსს. მოსახლეობის ზრდასა და სურსათით უზრუნველყოფას შორის წინააღმდეგობა განსაკუთრებით კარგად ვლინდება, როდესაც ვეხებით მიწის რესურსების გამოყენების საკითხს. კერძოდ, ერთი მხრივ, მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების ზრდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ზრდას მოითხოვს, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილი აქვს ნაყოფიერი მიწების შემცირებას, როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი თვალსაზრისით. ბუნებრივი რესურსები სასურსათო პროდუქციის წარმოების გასაფართოებლად მსოფლიოში უკიდურესად შეზღუდულია. მათი განაწილების საკითხი ყოველთვის და ყველგან ძირითად პრობლემას წარმოადგენდა. იგი უფრო გამწვავდება მომავალში. მეცნიერთა ვარაუდით, შესაძლოა მოკლე ხანში კაცობრიობა სურსათის მწვავე

დეფიციტის წინაშე აღმოჩნდეს, რადგან ადამიანის მოთხოვნილება განუსაზღვრელად იზრდება, ხოლო სურსათის წარმოების რესურსები განსაზღვრულია, ე.ი. არა უსაზღვრო. .

კაცობრიობა ახალ ათასწლეულში შიმშილისა და არასაკმარისი კვების სერიოზული საფრთხეებით შევიდა. 21-ე საუკუნის დასაწყისში აგროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც, გარემოს დაცვის, ენერგიისალტერნატიული წყაროების გამოყენებისა და მრავალ სხვა აქტუალურსაკითხთან ერთად, მსოფლიოსგლობალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება.

FAO -ს ერთ-ერთი გამოკვლევის მონაცემების თანახმად, დღეისათვის მსოფლიოში დაახლოებით 815 მლნ. ადამიანი იტანჯება შიმშილისა და არასრულფასოვანი კვებისაგან, 1,0 მლრდ-მდე მხოლოდ საბაზისო მოთხოვნილებებს (2150 კკალ. დღე-ღამეში) იკმაყოფილებს და შიმშილის ზღვარზე იმყოფება; 2,0 მლრდ კაცზე მეტი იტანჯება ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მიკროელემენტების (იოდის, რკინის, ვიტამინების და სხვ.) არასაკმარისი მოხმარებით გამოწვეული ე.წ. „შიმშილის ფარული ფორმებისაგან“; მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ნახევარი (დაახლოებით 3,0 მლრდ. კაცი) განიცდის საკვები ცილების ნაკლებობას, მისი დაახლოებით მეექვსედი ნაწილი კი მოკლებულია უსაფრთხო სასმელი წყლის გამოყენებას.

თანამედროვე ეტაპზე სასურსათო პრობლემის სპეციფიკა უნდა განვიხილოთ გლობალურ, კონტინენტალურდა ეროვნულ დონეებზე მისი გადაწყვეტის აუცილებლობის გათვალისწინებით. არსებული სასურსათო სიტუაცია მოითხოვს საგანგებო ზომების მიღებას როგორც ცალკეულ სახელმწიფოთა, ასევე მთლიანად მსოფლიო თანამეგობრობის დონეზეც; შიმშილთან და არასრულფასოვან კვებასთან ბრძოლის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებას. ეს, უწინარეს ყოვლისა, დღის წესრიგში აყენებს სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი უკვე დამკვიდრებული და პერსპექტიული ტენდენციების გამოვლენას.

სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები, შემზღუდავ ფაქტორთა გათვალისწინებით,არ იძლევა სურსათისა და სანედლეულო რესურსების ზრდის მაღალი ტემპების ვარაუდის შესაძლებლობას შორეულ პერსპექტივაშიც კი.

FAO -ს ექსპერტთა გაანგარიშებით, სასურსათო რესურსების რამდენადმეზრდის მიუხედავად,სურსათის მიწოდება მსოფლიო მასშტაბით მაინც არასაკმარისი იქნება. კერძოდ, 2030 წლისათვის მარცვლეულის წარმოება გაიზრდება 20%-ით და მიაღწევს 2150 მლნ. ტონას, ანუ მასზემოთხოვნის 80%
ს. ხორცის წარმოება გაიზრდება 50 მლნ. ტონით და მიაღწევს 230 მლნ. ტონას(მოთხოვნის 76%-ს). ზღვის პროდუქტების წარმოება შენარჩუნდება 100 მლნ. ტონის დონეზე(მოთხოვნის 60%). ამ ასთან, საპროგნოზო მაჩვენებლებით დგინდება, რომ თუ 1950-
1985 წლებშისასურსათო რესურსების ყოველწლიური ზრდა შეადგენდა 30 მლნ. ტონას,

1985-2005 წლებში კი - 12მლნ. ტონას, მაშინ 2006-
2030 წლებში იგი უკვე 9 მლნ. ტონას არ გადააჭარბებს.

ამავე ექსპერტთა აზრით, უახლოეს მომავალში სურსათზე მოთხოვნა არსებითად გაიზრდება, რამდენადაც პლანეტის მოსახლეობა გაორმაგდება და 2030 წლისათვის მიაღწევს 8,9 მლრდ კაცს. კვების კალორიულობისა და ხარისხის ამაღლებისკენ პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს მისწრაფება კიდევ უფრო გაამწვავებს სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სიტუაციას.

სპეციალისტთა ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზით, თუ ამოსავალ პუნქტად მხოლოდ პლანეტის მოსახლეობის აღნიშნულ ზრდასა და კვების თანამედროვე ნორმებს მივიჩნევთ, მაშინ მარცვლეულის დეფიციტი2030 წლისათვის 526 მლნ.ტონა იქნება, ზღვის პროდუქტების - 68 მლნ. ტონა, ხორცისა კი - 40 მლნ. ტონა.მაშასადამე, სურსათზე მოთხოვნასა და მისმიწოდებას შორის ბალანსის უზრუნველყოფა უახლოესი 20- 30 წლის განმავლობაში კვლავ პრობლემატური იქნება.

რიგი ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკა თვალსაწიერ მომავალში დიდად იქნება განსაზღვრული სასურსათო პრობლემის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების გამწვავებით. ამგვარი პესიმისტური ვარაუდისათვის ყველანაირი საფუძველი არსებობს:

ჯერ ერთი, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში დაშვებულ შეცდომებთან, აგრეთვე ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევასთან დაკავშირებით, მსოფლიო შევიდა მოსახლეობის ერთ სულზე სურსათის წარმოების მოცულობის შემცირების გრძელვადიან პერიოდში. მარცვლეულით ყველაზე მაღალი უზრუნველყოფა (345 კგ მოსახლეობის ერთ სულზე) მიღწეულ იქნა 1989 წელს, მაგრამ უკვე 1993 წლისათვის იგი შემცირდა 303 კგ-მდე, 2030 წლისთვის კი მოსალოდნელია მისი დაცემა 240 კგ-მდე, ანუ, 1989 წლის დონის 69%-მდე. 2030 წლისათვის ზღვის პროდუქტების მოპოვება მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენს 12 კგ-ს, ნაცვლად 28 კგისა 1990 წელს.

მეორე, სასურსათო რესურსების წარმოების მოცულობისა და სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის საერთო შემცირებასთან ერთად, გაძლიერდა დისპროპორცია მისი ცალკეული რეგიონების მიხედვით.1950 წლიდან 2000 წლამდე მარცვლეულის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე აშშ-ში გაიზარდა 32 %-ით და შეადგინა 1160 კგ, დასავლეთ ევროპაში- 2-ჯერ (500 კგ-მდე), აფრიკის ქვეყნებში შემცირდა 27%-ით (118 კგ-მდე). ექსპერტთა ვარაუდით, 2030 წლისათვის მარცვლეულის საშუალო სულადობრივი წარმოება ჩინეთში შეიძლება სანახევროდ(164 კგ-მდე) შემცირდეს,ინდოეთში-15%-ით (158 კგ-მდე), პაკისტანში- 30%-ით (90კგ-მდე) და ირანში - 31%-ით (140 კგ-მდე).

მესამე, მცირდება სტაბილურობის დონე სასურსათო ბაზარზე, რომელიც განისაზღვრება კონიუნქტურული რყევების შემარბილებელი და ფასების შემაკავებელი

რეზერვების არსებობით. 1987 წელს მსოფლიოში მარცვლეულის მარაგებმა შეადგინა 104 დღე, 2007 წელს კი - მხოლოდ 64 დღე. წარმოების მოცულობათა საპროგნოზო შემცირება კიდევ უფრო გაამწვავებს მდგომარეობას სასურსათო ბაზარზე და გააძლიერებს მის კონიუნქტურულ რყევებს.

და ბოლოს, სურსათის ძირითად სახეობებზე მსოფლიო ფასების თანდათანობითი შემცირების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, დაიწყომათი არსებითი ზრდის პროცესი. თავდაპირველად გაძვირდა ზღვის პროდუქტები, შემდეგ ეს ტენდენცია გავრცელდა სურსათის სხვა სახეობებზეც. მეცნიერთა გაანგარიშებით, მომავალი20 წლის განმავლობაში ფასი ხორბალზე გაიზრდება 66%-ით, სიმინდზე - 37%-ით და ბრინჯზე - 30%-ით.

ზემოაღნიშნულიდან

გამომდინარე, **მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე დგება სასურსათოპრობლემის გადაწ ყვეტის ყველა ქვეყნისათვის ურთიერთმისაღები პერსპექტივის განსაზღვრისამოცანა. ა სეთ სიტუაციაში აუცილებელია ერთიანი საერთაშორისო სტრატეგია, მრავალი ქვეყნის შეთანხმებული მოქმედება და რიგი ვალდებულებების მიღება, რომელთა შესრულება, რა თქმაუნდა, მარტივი საქმე არ იქნება.**

ამასთან დაკავშირებით, 1992 წელს მსოფლიოს 1500-ზე მეტმა წამყვანმა მეცნიერმა, მათ შორისნობელის პრემიის 102 ლაურეატმა ხელი მოაწერა მემორანდუმს („მეცნიერები აფრთხილებენ კაცობრიობას“) რესურსების გამოყენებისადმი და მიწაზე ცხოველქმედების უზრუნველყოფისადმი დამოკიდებულების შეცვლის მოწოდებით.

1994 წელს გაერო-

ს ხალხთმოსახლეობის ფონდმა შესთავაზა კაცობრიობას პერსპექტივაშისასურსათო პრ ობლემის გადაწყვეტა, მიწის რესურსების ნგრევის აღკვეთისა და 2050 წლისათვისხალხ თმოსახლეობის 7,3 მლრდ. კაცამდე სტაბილიზების გზით. ამ პროგრამის რეალიზაციის ათვისსაჭირო იქნება 61,2 მლრდ. აშშ დოლარი,რომლის დიდი ნაწილი უნდა წარიმართ ოს სახნავი მიწებისდაცვისა და ტყეები აღდგენის ღონისძიებებზე.

1996 წლის ნოემბერში მსოფლიო სამიტის მონაწილეებმა რომში მიიღეს სასურსათო უსაფრთხოების დეკლარაცია და ხელი მოაწერეს მოქმედებათა გეგმას 2015 წლამდე პერიოდისთვის. მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ინდუსტრიულმა ქვეყნებმა, განვითარება განსაკუთრებით დიდ ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს გარე სამყაროზე, ამ ზარალის კომპენსირება უნდა მოახდინონ თავიანთი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 0,7%-ის გამოყოფის გზით იმ ერებისსასურსათო დახმარების მიზნით, რომლებიც ამას საჭიროებენ. **აშშ-**

მა მხარი არ დაუჭირა ამ წინადადებას, დაიკავაგანსაკუთრებული პოზიციადა განაცხად ა, რომ იგი, როგორც ადრე, დახმარებას გაუწევსიმას, ვისაცსაჭიროდ ჩათვლის და იმ მო ცულობით, როგორსაც მიიჩნევს მიზანშეწონილა

საგულისხმოა, რომ თანამედროვე პერიოდში არსებითი ხასიათის ცვლილებები მოხდა სასურსათო პრობლემის გადაწყვეტისადმი სტრატეგიულ მიდგომებში. 70-იან წლებში ითვლებოდა, რომ სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის კვალობაზე სასურსათო პრობლემა გადაწყდება გლობალური მასშტაბით, შესაბამისად, იგი აღარ იარსებებს ეროვნულ დონეზეც, ე.ი. იგეგმებოდა „ზოგადიდან კერძოსაკენ“ მიდგომა. 1972 წელს თათბირის მონაწილეებმა სტოკჰოლმში განაცხადეს მსოფლიო მასშტაბით სასურსათო პრობლემების გადაწყვეტის განზრახვის შესახებ, რათა უკვე საუკუნის ბოლომდე ბოლო მოეღოთ შიმშილისათვის ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიმღებ 170 ქვეყანაში. შემდგომ წლებში გაჩნდა ახალი მიდგომა, რომლის თანახმად, სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებლად ითვლება მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოთა დონეზე, ხოლო, მისი მეშვეობით - გლობალური მასშტაბითაც, ე.ი. პრობლემის გადაწყვეტა მოიაზრება უკვე „კერძოდან ზოგადისკენ.“ ეს დაკავშირებულია შემზღუდავ ფაქტორთა არსებობასთან, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო მეურნეობის განვითარების ტენდენციებს და არ იძლევიან პერსპექტივაში სასურსათო რესურსების ზრდის მაღალი ტემპების ვარაუდის შესაძლებლობას.

თათბირის მონაწილეები რიო-დე-ჟანეიროში 1994 წელს,იხილავდნენ რა მომავალი, 21-ე საუკუნის პრობლემებს, აღნიშნავდნენ, რომ მდგრადი განვითარების გარანტია, სიღარიბესთან ბრძოლა, სასურსათო უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელმწიფოთა ვალდებულებას, რომელთა შესრულება უმჯობესია პროგრამების, გეგმებისა და სასურსათო პოლიტიკის შემუშავების გზით.

როგორც ვხედავთ, ყველაზე წარმომადგენლობითი საერთაშორისო ფორუმების დოკუმენტები ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს და გადმოიცემა პრინციპით „იაზროვნე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად“. მაშასადამე, სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა უკვე მოიაზრება არა გლობალურ, ან კონტინენტალურ მასშტაბებში, არამედ, მხოლოდ ეროვნულ დონეზე.

ამრიგად, მსოფლიო სოფლის მეურნეობის განვითარებაში სირთულეების გაღრმავებასთან დაკავშირებით სასურსათო პრობლემა, მართალია, ნელა, მაგრამ სულ უფრო გამოკვეთილად იძენს უსაფრთხოების პრობლემის ნიშნებს, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია მსოფლიო თანამეგობრობის შეთანხმებული პოლიტიკისა და ერთობლივი პრაქტიკული საქმიანობის პირობებში. თუმცა, ეს არც თანამედროვე პირობებში და არც უახლოეს პერსპექტივაში გლობალურ დონეზე არ მოიაზრება რეალურად. ამიტომ, სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ყოველმა ცალკეულმა ქვეყანამ უნდა გადაჭრას საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობით, მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერისა და გარანტიების შექმნის პირობებში.

გაეროს მდგრადი სოფლის მეურნეობის და კლიმატური ცვლილების კომისიამ ახალი ანგარიში გამოაქვეყნა. თვის ბოლოს სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანში გლობალური დათბობის საკითხებზე გაეროს კონფერენცია გაიმართება. სასურსათო უსფრთხოების და ბუნებრივი გარემოს ურთიერთმოქმედების შესახებ დეტალებს „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტი ჯო დე კაპუა არკვევდა.

გაეროს სოფლის მეურნეობის კომისიაში 13 ქვეყნის მეცნიერები არიან გაერთიანებული. კომისია მოიცავს სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის, ვაჭრობის, საკვები პროდუქტების და ეკოლოგიის სფეროებს. შესაბამისად მეცნიერებიც ამ დარგების ექსპერტები არიან. შარშანდელი წელი კომისიამ კლიმატური ცვლილების შედეგების ანალიზს დაუთმო. ეს შედეგები - სურსათზე ფასების ზრდა, ჰუმანიტარული კატასტროფები და პოლიტიკური მღელვარებები - ყველა ერთად სურსათის უსაფრთხოებაზე მოქმედებს. კომისიის დასკვნით კლიმატური ცვლილება მხოლოდ უარყოფით გავლენას ახდენს.

ბრიტანელი მეცნიერი, პროფესორი ჯონ ბედინგტონი კომისიის თავმჯდომარეა.

„არსებული ვითარება უბრალოდ მიუღებელია. მსოფლიოს მოსახლეობის დიდ ნაწილისთვის მიწოდებული სურსათი არ არის უსაფრთხო. მილიარდი ადამიანი შიმშილობს და ნამდვილ სიღატაკეში ცხოვრობს. კიდევ ერთ მილიარდს არ გააჩნია შესაბამისი კვება. ასევე ერთი მილიარდი ადამიანს ქრონიკული ავადმყოფობები აქვს სურსათის ზედმეტი მოხმარების გამო,“ - ამბობს პროფესორი ბედინგტონი.

მისი თქმით, ფართო მოხმარების საგნებზე ცვალებადი ფასები მოსახლეობის სიღატაკის კიდევ ერთი მიზეზია.

„ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე ჩვენ ფასების მნიშვნელოვანი ზრდის მოწმენი ვართ, მანამდე კი სურსათზე ფასების შემცირება მიდიოდა. ამ ზრდამ კი რეალური პრობლემები წარმოშვა და სიღატაკეს შეუწყო ხელი. 2007-2008 წლებში ფასების ზრდის შედეგად ასობით მილიონი ადამიანი გაღატაკდა. 2010-11 წლებში ფასების კიდევ უფრო მეტი მატების გამო დამატებით 40 მილიონი ღატაკი მივიღეთ,“ - ამბობს ბედინგტონი.

მისი აზრით, ამის ერთერთი მიზეზი არის კლიმატური ცვლილებები. ბედინგტონი ამბობს, რომ სათბური გაზების ატმოსფეროში გავრცელება გაგრძელდება, რაც მომავალი 20-30 წლის მანძილზე კლიმატის ცვლილებას კიდევ უფრო დააჩქარებს. კლიმატური ცვლილების თვალსაჩინო მაგალითი აფრიკაში ხანგრძლივი გვალვებია, რაც რეგიონისთვის დამახასიათებელ მოვლენად იქცა.

დღევანდელი მსოფლიოს მოსახლეობა უკვე 7 მილიარდია. არსებული პროგნოზით 2050 წლისთვის მოსახლეობა 9 მილიარდს მიაღწევს. კომისიის წევრი მეგან კლარკი ავსტრალიის ეროვნული სამეცნიერო სააგენტოს ხელმძღვანელია. მისი თქმით, მოსახლეობის ზრდა სურსათზე მოთხოვნას გააძლიერებს.

„გამოწვევა, რაც ჩვენ გლობალურად გველის საკმაოდ რთულია აღსაქმელადაც, რადგან ჩვენ 2050 წლისთვის სურსათის წარმოება 30-დან 80 პროცენტამდე უნდა გავზარდოთ და ამავე დროს უნდა შევამციროთ სათბური გაზების ნახევარი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც ჩემი შვილები 60 წლის ასაკს მიაღწევენ , ჩვენ დაგვჭირდება იმდენი სურსათის წარმოება, რაც კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. ეს კი უდიდესი გამოწვევაა,“ - ამბობს კლარკი.

კომისიის წევრის და მექსიკის ეკოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის ხელმძღვანელის ადრიან ფერნანდესის თქმით, დურბანში დაგეგმილი კონფერენციის კიდევ ერთი მთავარი საკითხი იქნება დაფინანსების პრობლემის გადაჭრა და რესურსების მობილიზება.

კომისიამ შვიდი რეკომენდაციაც შეიმუშავა. ესენია სურსათის უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პოლიტიკის შეჯერება; სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების გაზრდა; სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზრდა და ამავე დროს გარემოზე გავლენის შემცირება.

ასევე მოსახლეობის მოწყვლადი ნაწილისთვის დახმარების გაწევა რათა მათ შეძლონ კლიმატურ ცვლილებასთან გამკლავება და სურსათის პრობლემის შემცირება. ასევე კომისიის რჩევით მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ელემენტარული საკვები პროდუქტები და ეს შესაბამისობაში უნდა იყოს მოხმარების დონესთან. ასევე უნდა შემცირდეს დანაკარგები სურსათის წარმოების სფეროში და შეიქმნას ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემა.

ლექცია 12

ლექციის თემა: ენერგო რესურსების ნაკლებობა და წინააღმდეგობების გამწვავება სახელმწიფოებს შორის

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ისა და მისი ყოფილი მოკავშირის საბჭოთა კავშირის მთავარი ყურადღება მიმართული იქნა ახლო აღმოსავლეთისკენ, სადაც ენერგორესურსების დიდი მარაგები იყო. თუ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჯერ კიდევ იყვნენ ისეთები, ვინც ნავთობის როლს ჯეროვნად ვერ აფასებდნენ (ვინაიდან ეკონომიკაში ჯერ კიდევ გადამწყვეტ როლს ქვანახშირი ასრულებდა), მეორე მსოფლიო ომის დროს და მისი დამთავრებისათვის უკვე ყველასთვის ცხადი გახდა, რომ როგორც ომის წარმოება, ისე ქვეყნის შემდგომი მშვიდობიანი მშენებლობა ნავთობრესურსების უწყვეტი მიწოდების გარეშე წარმოუდგენელი იყო.

ნანგრევებში იყო მთელი ევროპა, საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ჩათვლით. ომის მიწურულს მოკავშირეებს შორის ბევრი სადავო საკითხი წარმოიშვა ომისშემდგომი ევროპის მოწყობის თაობაზე, რასაც თან დაერთო ბრძოლა ახლო აღმოსავლეთის ენერგორესურსებისათვის. მართლაცდა ენერგიის რომელ წყაროებს უნდა უზრუნველეყოთ დასავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის აღდგენა? ეს საკითხი სასწრაფო გადაწყვეტას საჭიროებდა.

ცხადია ომის მთავარ კრედიტორს, აშშ-ს, იდეოლოგიური მოწინააღმდეგე, საბჭოთა კავშირი ნაკლებად ანაღვლებდა, სამაგიეროდ სერიოზულად აფიქრებდა დასავლეთ ევროპის ბედი. აშშ-ის ხელისუფლებას მშვენივრად ესმოდა, რომ თუ ევროპული ქვეყნების ეკონომიკა სასწრაფოდ არ აღდგებოდა, ომისშემდგომი უმუშევრობა და სოციალური დაძაბულობა ხელს შეუწყობდა საზოგადოებრივი პროცესების რადიკალიზაციას, რაც ამ ქვეყნებში ხელისუფლების სათავეში საბჭოური ორიენტაციის მთავრობებს მოიყვანდა.

მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს მოკავშირეებმა მოიხმარეს 7 მილიარდი ბარელი (დაახლოებით 1 მილიარდი ტონა) ნავთი და ნავთობპროდუქტები, საიდანაც 6 მილიარდი აშშ-ის მიერ იყო წარმოებული. აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში ყველა იზიარებდა შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ქვეყნის ენერგომარაგები ომის დროს დაუზოგავი ექსპლუატაციის შედეგად მთლიანად თუ არა მნიშვნელოვანწილად იყო ამოწურული. საჭირო იყო დამატებითი ენერგოწყაროების მოძებნა ქვეყნის ტერიტორიის მიღმა, როგორც საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, ისე ევროპის უზრუნველსაყოფად.

ქვეყნის საზღვრებს გარეთ ნავთობის დიდი მარაგები ცნობილი იყო ირანსა და ერაყში, რომელთა კონცესიებსაც ბრიტანული კომპანია Anglo-Iranian (დღევანდელი Briitish Petroleum) და ბრიტანულ - ჰოლანდიური კომპანია Royal Dutch/Shell ფლობდა.

ამიტომ აშშ-ის ხელისუფლებამ მთელი ყურადღება საუდის არაბეთისაკენ გადაიტანა, სადაც ნავთობის დიდი მარაგების არსებობის შესახებ 1938 წლიდან იცოდნენ.

ამგვარად, მეორე მსოფლიო ომის მიწურულს აშშ-მა დიპლომატიური საქმიანობა ახლო აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორიებზე გააქტიურა, რომელიც მთელს ახლო აღმოსავლეთს მოიცავდა. დიდი ბრიტანეთი შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს თავისი მოკავშირის დიპლომატიურ მოქმედებას და თავისი ელჩის, ლორდ ჰალიფაქსის პირით აშშ-ის პოლიტიკური ესტაბლიშმენტისაგან განმარტებას ითხოვდა. როგორც ლორდი ჰალიფაქსი აღნიშნავს, 1944 წლის 18 თებერვალს პრეზიდენტ რუზველტთან პირისპირ შეხვედრის დროს, ამ უკანასკნელს უთქვამს: ,,ირანის ნავთობი თქვენია, ერაყისა და კუვეიტის ნავთობს გავიყოფთ, საუდის არაბეთის ნავთობი კი მთლიანად ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო.” ეს ძალიან ჰგავდა მოკავშირეთა შორის ომისშემდგომ გავლენის სფეროთა გადანაწილებას ნავთობით მდიდარ ახლო აღმოსავლეთში.

იმპერიული რუსეთისა და შემდგომ საბჭოთა კავშირის გავლენა აღნიშნულ რეგიონზე (გარდა თურქეთისა და ირანისა), მინიმალური იყო. შესაბამისად, ამ გადანაწილებაში საბჭოთა კავშირს მონაწილეობა არ მიუღია. თუმცა მას სრულიად გარკვეული პრეტენზიები ჰქონდა სწორედ ირანიასა და თურქეთის მიმართ, რასაც მოკავშირეებთან მოლაპარაკებების დროს სტალინი მუდმივად აყენებდა. ამ საკითხს ქვემოთ უფრო დეტალურად შევეხებით.

მართლაც, 1945 წლის თებერვალში იალტის შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტი რუზველტი სუეცის არხის წყლებში, აშშ-ის სამხედრო გემ ,,ქუინსიზე” შეხვდა საუდის არაბეთის მეფე იბნ-საუდს. რუზველტი და იბნ საუდი ომისშემდგომი თანამშრომლობის ძირითადად პრინციპებზე შეთანხმდნენ, რომელიც ნავთობის სანაცვლოდ იბნ-საუდის დიანსიტიის საუდის არაბეთის ტახტზე აშშ-ის პოლიტიკურ და სამხედრო მხარდაჭერას პირდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ საუდის არაბეთის ტახტს ჰაშიმიდების სახით სხვა პრეტენდენტიც ჰყავდა, რომლის წარმომადგენლებიც წარმოშობით მექიდან იყვნენ და სირიას, ერაყს, იორდანიას მართავდნენ. ამიტომ საუდის არაბეთის მეფე იბნ-საუდისათვის აშშ-ს ხელისუფლების მხარდაჭერას ტახტის შესანარჩუნებლად კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

რუზველტისა და იბნ-საუდის შეხვედრამ საფუძველი ჩაუყარა აშშ-ის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში, რომელიც მთელი XX საუკუნის განმავლობაში გაგარძელდა და რომლის გადასინჯვის მცირე მცდელობაც კი ძალზე მტკივნეულია და დღესაც სერიოზულ გათვლებს საჭიროებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ენერგოპოლიტიკა

ომისშემდგომმა მოვლენებმა მთლიანად დაადასტურა აშშ-ში დიდი ბრიტანეთის ელჩის ლორდ ჰალიფაქსის მიერ მოყვანილი პრეზიდენტ რუზველტის სიტყვები ახლო აღმოსავლეთის ნავთობთან დაკავშირებით.

აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის ენერგომატარებლებით უზრუნველსაყოფად ამერიკული და ბრიტანული ნავთობკომპანიების მონაწილეობით რამდენიმე სერიოზული გარიგება დაიდო.

1. ARAMCO-ს კონსორციუმი (საუდის არაბეთის ნავთობის გარიგება) - ხელი მოეწერა 1948 წელს და წილები შემდეგანირად განაწილდა: Standard Oil of New Jersey (ამჟამინდელი EXXON) - 30%, TEXACO - 30%, Socony-Vacoom (ამჟამინდელი MOBIL) - 30% და Standard Oil of California (ამჟმინდელი Chevron) - 10%. საუდის არაბეთის მეფე იბნ-საუდის დაჟინებული მოთხოვნით ინგლისის ინტერესები არც ამ გარიგებაში იქნა გათვალისწინებული;

2. კუვეიტის კონსორციუმი - ხელი მოეწერა 1947 წელს და შემდეგნაირად განაწილდა: ULF (აშშ) - 50%, Royal Dutch/Shell (ინგლისურ-ჰოლანდიური კომპანია) - 50%.

ომის დამთავრებისთანავე მიღებული იქნა გადაწყვეტილება საუდის არაბეთის ნავთობის ტრანსპორტირების მიზნით ტეპლაინის ნავთობსადენის (საუდის არაბეთიდან ლიბანის პორტ სიდონამდე) მშენებლობის დაწყების შესახებ, აგრეთვე ცალკე ერაყის ნავთობსადენების მშენებლობის შესახებ (სირიისა და ლიბანის პორტებამდე). ამ ნავთობსადენების მშენებლობა 1950 წელს დასრულდა და მათ სერიოზული სტრატეგიული დატვირთვა მიეცათ, საწვავით უზრუნველეყოთ ევროპის ომისშემდგომი აღდგენა.

ასე, რომ არსებობდა რესურსები, დაიდო გაირგებები, აშენდა ნავთობსადენები და პორტები. საჭირო იყო ამ გარიგებებისა და მათი ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების პოლიტიკური და სამხედრო უზრუნველყოფა ისეთ ვითარებაში, როდესაც ომში საბჭოთა კავშირის წარმატებამ მისი იდეოლოგიური და სამხედრო ექსპანსიის სერიოზული საფრთხე წარმოშვა.

ომის შემდგომ საბჭოთა იდეოლოგიის გავლენის ზრდამ, რასაც უდავოდ ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის თავგანწირულმა ბრძოლამ ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, ევროპის მთავარი ქვეყნების ინგლისისა და საფრანგეთის სათავეში მემარცხენე ძალები მოიყვანა. ამას თან დაერთო ენერგოკრიზისი (ქვანახშირის ნაკლებობა), რომელმაც 1946 წელს მთელი ევროპა მოიცვა.

საჭირო იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარება, წინააღმდეგ შემთხვევაში იქ ხელისუფლების სათავეში კომუნისტები მოვიდოდნენ. ჯორჯ მარშალმა, აშშ-ის იმდროინდელმა სახელმწიფო მდივანმა, 1947 წელს ჰარვარდში გამოსვლის დროს გამოაცხადა ევროპისათვის დახმარების პროგრამა, რომელიც ისტორიაში ,,მარშალის გეგმის“ სახელით არის ცნობილი. 1948 წლის შემდგომ ოთხი წლის განმავლობაში ,,მარშალის გეგმის“ ფარგლებში ევროპისათვის დახმარების სახით გამოყოფილი სახსრების 20% ენერგომატარებლების შეძენას მოხმარდა. **,,მარშალის გეგმით“ გათვალისწინებულიდახმარება კარგად გამოიყენა აშშ-მა ინგლისისა და საფრანგეთის მემარცხენე ორიენტაციისმთავრობებზე ზეწოლისათვის , საფრანგეთის შემთხვევაში ამას ხელისუფლების შეცვლა მოჰყვა.**

ომისშემდგომ პერიოდში ყოფილ მოკავშირეთა აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო პოლიტიკური აქტივობის ძირითად მიმართულებას ენერგორესურსების თვალსაზრისით წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის შესაძლო ექსპანსიის შეზღუდვა ნავთობით მდიდარ ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ ირანისა და თურქეთის სრუტეების მიმართულებით.

საბჭოთა კავშირის ექსპანსია ირანში

1939 წლის გახმაურებული რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის თანახმად, კასპიის სამხრეთით სპარსეთის ყურემდე რეგიონი საბჭოთა კავშირის გავლენის არედ ცხადდებოდა. სამხრეთის საზღვაო გზებზე მოკლე გასასვლელის ქონა ხომ რუსეთის იმპერიული და შემდგომ საბჭოთა ხელისუფლების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა. საბჭოთა ხელისუფლებას მალე მიეცა ამ დიდი ხნის ნალოლიავები ოცნების ასრულების შესაძლებლობა, მაგრამ არა რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის ფარგლებში.

ფაშისტური გერნმანიის საბჭოთა საზღვრებში შეჭრიდან ორი თვის შემდეგ, 1941 წლის აგვისტოში საბჭოთა, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს სამხედრო ნაწილებმა შესაბამისად ჩრდილოეთი და სამხრეთი ირანი დაიკავეს. მოკავშირეებმა ტახტიდან ჩამოაგდეს და ქვეყნიდან გააძევეს შაჰი რეზა ფეჰლევი, ირანის ბოლო შაჰის მოჰამედ რეზა ფეჰლევის მამა, რომელიც გერმანელებს აშკარად თანაუგრძნობდა. ამ აქციის მიზანი იყო სათავეშივე აღეკვეთათ ირანის შესაძლო მოქცევა ფაშისტური გერმანიის გავლენის ორბიტაში და საბჭოთა სამხედრო მანქანის Anglo-Iranian-ის ირანული ნავთით გარანტირებული უზრუნველყოფა ირანის კასპიისპირა ნავსადგურის ნეკას (Neka) გავლით.

ეს იყო აღნიშნული პაქტით გაცხადებული გეგმის განხორციელებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი. მართლაც, საბჭოთა კავშირის სამხედრო ნაწილებმა ირანის ჩრდილოეთი დანარჩენი ტერიტორიისაგან სრულ იზოლაციაში მოაქციეს და იქ აზერბაიჯანის ავტონომიური წარმონაქმნის შექმნას შეუწყვეს ხელი. ეს ავტონომიური წარმონაქმნი ირანის ხელისუფლებას არ ცნობდა და სრული დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდა. ომის დამთავრების შემდეგ დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის სამხედრო ნაწილებმა დაუყოვნებლივ დატოვეს ირანი, საბჭოთა შენაერთები გასვლას არ ჩქარობდა.

მოკავშირეთა შორის არსებული შეთანხმების მიუხედავად საბჭოთა შენაერთები 1946 წლის 2 მარტს ირანიდან არ გასულა. ირანის ხელისუფლებამ საბჭოთა კავშირს ახლად შექმნილ გაერო-ში უჩივლა. გაერო-ს ტრიბუნიდან ირანის ინტერესების დასაცავად აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბაირნსი (James Byrnes) გამოვიდა. საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა თავისი სამხედრო შენაერთები ირანიდან გაეყვანა ერთი ნავთობკონცესიის სანაცვლოდ. Gგარიგება დაიდო კიდეც, თუმცა, მოგვიანებით ირანის მხარემ უარი განაცხადა ამ კონცესიის რატიფიცირებაზე. ირანიდან ჯარების გაყვანის შემდეგაც დიდხანს იგრძნობოდა რუსეთის ძლიერი გავლენა ირანის შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე. საბჭოთა კავშირიდან იმართებოდა ტიუდეჰის (Tudeh) ულტრა მემარცხენე პარტია, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა

1951 წელს ირანის შაჰ მოჰამედ რეზა ფეხლევის ჩამოგდებასა და მილი მეჯლისის თავმჯდომარის მოჰამედ მოსადეყის აღზევებაში.

მოსადეყის ხელისუფლებამ ინგლისურ-ირანული კომპანიის სრული ნაციონალიზაცია მოახდინა და მისი აშკარად ანტიდასავლური პოლიტიკის ფონზე საბჭოთა კავშირის ირანის შიდა პოლიტიკურ ავანსცენაზე დაბრუნების ძალზე სერიოზული საფრთხე შეიქმნა. ამას ისიც დაერთო, რომ Anglo-Iranian-ის ნაციონალიზაციის შემდეგ ირანის ნავთობმა საერთაშორისო ბაზარზე გადინება შეწყვიტა, რამაც ენერგოდეფიციტის საფრთხე წარმოშვა.

ამ დროს აშშ კორეის ომში იყო ჩაბმული სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ზღვებისაკენ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ერთობლივი ექსპანსიის წინააღმდეგ. ადვილი წარმოსადგენია რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის ენერგომატარებლებზე არსებული ფასების შენარჩუნება. აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტმა ნავთობკომპანიებისა და სახელმწიფო რეზერვების სრული მობილიზაცია გამოაცხადა, რათა ფასების ზრდა და ენერგოკრიზისი არ დაეშვათ. მართლაც, ნავთობ-კომპანიების თანამშრომლობით ეს საფრთხე თავიდან იქნა აცილებული.

მიუხედავად ამისა საბჭოთა ექსპანსიის საფრთხე ირანში სულ უფრო რეალური ხდებოდა. მეტი დახანება აღარ შეიძლებოდა. ცსს-ს (Central Intelligence Agency) ხელმძღვანელის ალენ დალესის ზედამხედველობითა და დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო სამმართველოს MI-6 აქტიური თანამშრომლობით ირანში სამხედრო გადატრიალების ერთობლივი ოპერაცია დაიგეგმა, რომელსაც ადგილზე აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის (1908-1912) შვილიშვილი კერმიტ რუზველტი ხელმძღვანელობდა.

ეს ოპერაცია სრული კრახით დამთავრდა. შაჰი ჩამოაგდეს, მოსადეყისა და რეზა ფეჰლევის ორხელისუფლებიანობა დასრულდა და შაჰი იძულებული გახდა ჯერ ერაყში და შემდგომ რომში გაქცეულიყო. თუმცა სულ რამდენიმე დღეში ვითარება სრულიად მოულოდნელად შაჰის სასარგებლოდ შემობრუნდა და აგვისტოს ბოლოს იგი ირანში დაბრუნდა. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ რა დაუჯდებოდა აშშ-ის სადაზვერვო სამსახურს შაჰის სასარგებლოდ სიტუაციის შემობრუნება.

ყოველ შემთხვევაში პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის საფრთხე დროებით, მაგრამ მაინც აცილებული იქნა. ახლა საჭირო იყო ირანის უზარმაზარი ენერგორესურსების დამუშავება, რათა ქვეყანას შემოსავალი გასჩენოდა. არსებობდა საფრთხე იმისა, რომ სოციალური პოლიტიკით უკმაყოფილო მოსახლეობაში საბჭოთა კავშირი იოლად მოძებნიდა დასაყრდენს თავის ყოფილ პარტნიორთან თურქეთის წინააღმდეგ.

ომისდროინდელი გარიგების თანახმად აშშ-ს საუდის არაბეთის ნავთობი უნდა დარჩენოდა, ერაყისა და კუვეიტის ნავთობი მასა და დიდ ბრიტანეთს უნდა გაეყოთ, ირანის რესურსები კი დიდი ბრიტანეთის ხელში უნდა დარჩენილიყო. გავიხსენოთ, რომ ინგლისურ-ირანული კომპანიის აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება იყო.

ომის შემდგომ დიდი ბრიტანეთი ძალიან დასუსტებული იყო. საყოველთაო ანტიკოლონიური მოძრაობის ფონზე, მას, როგორც იმპერიას, რეპუტაცია ჰქონდა შელახული და რომ მოენდომებინა კიდეც, მასტაბილიზირებელ გავლენას ვეღარ მოახდენდა, ვერც სხვაგან და მითუმეტეს ვერც ირანში, სადაც ინგლისურ-ირანული კომპანია სრულიად დისკრედიტირებული იყო. და ეს შემთხვევითი არ ყოფილა.

ომისშემდგომ წლებში ირანის ხელისუფლება დაჟინებით მოითხოვდა კომპანიის მოგებაში საკუთარი წილის გაზრდას, კომპანია კი არანაირ დათმობებზე არ მიდიოდა (1945-50 წლებში ინგლისურ-ირანული კომპაიის მოგებამ 250 მილიონი ფუნტი სტერლინგი შედგინა, ირანის ხელისუფლებას კი მხოლოდ 90 მილიონი ფუნტი სტერლინგი ერგო.) დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება კომპანიისაგან გადასახადების სახით უფრო მეტ მოგებას იღებდა ვიდრე ირანის ხელისუფლება როიალიტის შემოსავლების სახით. აქედან გამომდინარე, ირანის არც შაჰს და არცერთ პოლიტიკურ პარტიასა თუ საზოგადო მოღვაწეს ინგლისური კომპანიის სახელის გაგონებაც კი არ უნდოდა.

ვის უნდა აეთვისებინა ირანის ენერგორესურსები? ამ დროს ყველა ამერიკული კომპანია საუდის არაბეთის, კუვეიტის, ერაყისა თუ ვენესუელის ნავთობის გარიგებებში მონაწილეობდა. არც ბაზარზე არ იგრძნობოდა მიწოდების ნაკლებობა. Pპირიქით, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ რუსეთის ნავთობიც იწყებდა საერთაშორისო ბაზარზე გამოსვლას. ასე რომ, არცერთი ამერიკული კომპანია არ იჩენდა დაინტერესებას ირანის მიმართ.

იმისათვის, რომ ეს რესურსები უკონტროლოდ არ დარჩენილიყო, აშშ-ის ხელისუფლებამ ფაქტიურად აიძულა თავისი კომპანიები კონცესიების თაობაზე შაჰთან მოლაპარაკებები დაეწყოთ. ეს მოლაპარაკებები ძალზე მძიმედ მიმდინარეობდა და 1954 წლის 29 ოქტომბრის გარიგებით დასრულდა, რომელშიც მონაწილეობდნენ: ინგლისურ-ირანული კომპანია - Ango-Iranian, 40%; Royal Dutch/Shell - 14%, Standard Oil of New Jersey - დღევანდელი EXXON, Socony, Texaco da Standard Oil of California დღევანდელი Chevron (ყველა აშშ) - თითოეული - 8% და Societe Francaise du Petrole (საფრანგეთი) - 6%. ეს გარიგება ,,შვიდი დის“ გარიგებით არის ცნობილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ გარიგებაში მონაწილე ამერიკული კომპანიები დიდ წილებს ფლობდნენ საუდის არაბეთის, კუვეიტისა და ერაყის გარიგებებში და ამ ახალი გარიგებით ფაქტობრივად საკუთარი წარმოებისავე ნავთობს გაუწევედნენ კონკურენციას საერთაშორისო ბაზარზე. ამიტომ იყო, რომ აშშ-ის ხელისუფლებას ორ ფრონტზე უწევდა მოქმედება, მოლაპარაკება შაჰთან და მოლაპარაკება საკუთარ კომპანიებთან. ზოგადოდ ნავთობკომპანიები თავისი ქვეყნების ხელისუფლებასთან მუდმივად თანამშრომლობენ. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა და აშშ-ის ნავთობკომპანიები უხალისოდ, მაგრამ მაინც შევიდნენ ირანში.

საბჭოთა ექსპანსიის მცდელობა ბალკანეთსა და თურქეთის სრუტეებისაკენ

თურქეთის სრუტეებზე კონტროლის მოპოვება წარმოდგენდა რუსეთის მთავარ მიზანს დასუსტებულ ოსმალთა იმპერიასთან წარმოებული ომების დროს მეცხრამეტე

საუკუნიდან მოყოლებული პირველი და მეორე მსოფლიო ომების ჩათვლით. სრუტეებზე კონტროლის მოპოვებას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირისთვის. აქედან გაედინებოდა საბჭოთა კავშირიდან მიმავალი ტვირთების უდიდესი ნაკადი, ამ გზით გაედინებოდა ბაქოსა და გროზნოს, მოგვიანებით ვოლგა-ურალის ნავთობიც.

საბჭოთა კავშირის მიერ სრუტეებზე კონტროლი არა მხოლოდ სავაჭრო გზებზე კონტროლის მოპოვებას, არამედ ხმელთაშუა ზღვაზე სამხედრო გავლენის ზრდასაც ნიშნავდა. ხმელთაშუა ზღვა კი სირიისა და ლიბანის პორტებისაკენ ტეპლაინისა და ერაყის ნავთობსადენების სისტემის მშენებლობის დასრულების შემდეგ, აგრეთვე სუეცის არხით მოძრავი ტანკერების გამო ნავთობის ტრანზიტის უმსხვილეს კვანძად გადაიქცა. აქ საბჭოთა კავშირის გაძლიერებული სამხედრო დასწრება, რასაც სტალინი ჯერ კიდევ ომის მიწურულს მოლაპარაკებების დროს დაბეჯითებით მოითხოვდა მოკავშირეებისაგან, დაუშვებელი იყო. ამიტომ აუცილებელი იყო სრუტეები მონტრეს 1936 წლის საერთაშორისო კონვენციის კონტროლის ქვეშ დარჩენილიყო.

1947 წლის ტრუმენის დოქტრინა შავი და ხმელთაშუა ზღვების დამაკავშირებელ სრუტეებზე საბჭოთა ექსპანიის შეჩერებისაკენ მიმართული აქტი იყო. საბჭოთა ექსპანსიის შეჩერება მთელს სამხრეთ პერიმეტრზე მიმდინარეობდა. სრუტეების გამო თურქეთი ირანის შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე საკვანძო მიმართულებად რჩებოდა. დიდი ბრიტანეთის დასუსტების შემდეგ არ არსებობდა სხვა ძალა გარდა აშშ-ისა ვინც შეძლებდა საბჭოთა კავშირის მზარდი იდეოლოგიური გავლენის შეკავებას ბალკანეთის ღარიბ, სოციალური აფეთქების საფრთხის წინაშე მდგარ ქვეყნებში. არ მოხერხდა საბერძნეთსა და თურქეთში სტაბილიზაციის აღდგენა სანამ არ განეიტრალდა საბჭოთა კავშირის გავლენა იუგოსლავიაზე. საჭირო იყო ამ ქვეყნების სასწრაფოდ ფეხზე დაყენება.

აშშ-ის ფინანსური დახმარებით თურქეთის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის აღდგენა 1948 წელს დაიწყო და ინტენსიურად მინმდინარეობდა ოთხი წლის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ 1952 წლისათვის თურქეთი უკვე საკმაოდ იყო მომზადებული იმისათვის, რათა ნატო-ში გაწევრიანებისათვის საჭირო პირობები დაეკმაყოფილებინა. 1952 წელს ნატო-ს ლისაბონის კონფერენციაზე თურქეთი ნატო-ს სრულუფლებიანი წევრი და ამ ორგანიზაციის სამხრეთი ფრთის მთავარი დასაყრდენი გახდა. ამავე დროს მიიღეს ნატო-ში საბერძნეთიც. საბერძნეთსა და თურქეთში შიდაპოლიტიკური სტაბილიზაციისათვის აშშ-ს ერთჯერადი ომისშემდგომი ინექცია 400 მილიონ აშშ დოლლარს შეადგენდა. რაშიც არ შედის შეღავათიანი კრედიტებისა და გრანტების სახით გაწეული დახმარება.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამხედრო ექსპანსიის საფრთხე ნავთობით მდიდარი ახლო აღმოსავლეთისა და სტრატეგიული მნიშვნელობის სავაჭრო არტერიებისაკენ შეჩერებული იქნა 1955 წლის 25 თებერვალს თურქეთს, პაკისტნსა და ერაყს შორის ე.წ. ბაღდადის პაქტის დადებით, რომელსაც ,,აღმოსავლეთის ფარი”

უწოდეს. მიუხედავად საბჭოთა კავშირის ელჩის დიდი მცდელობისა 1955 წლის ოქტომბერში ბაღდადის პაქტს ირანიც შეუერთდა.

ეს იყო აშშ-ის ახლო აღმოსავლური პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება. ძალთა ამგვარი თანაფართობა ნავთობით მდიდარ ახლო აღმოსავლეთში შენარჩუნებული იქნა მთელი XX საუკუნის განმავლობაში.

ოპეკის შესახებ - ოპეკი -ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (Organization of Petrol Exporting Countries-OPEC) არის საერთაშორისო ეკონომიკური გაერთიანება, რომელიც შეიქმნა კარტელის ხელოვნურად შემცირებული ფასების პოლიტიკასთან საბრძოლველად. იგი აერთიანებს ნავთობის წამყვანი ექსპორტიორი

ქვეყნების უმრავლესობას: ალჟირი, ანგოლა, ირანი, ერაყი, ქუვეითი, ლიბია, ნიგერია, კატარი, საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ეკვადორი და ვენესუელა. ოპეკი, როგორც მუდმივმოქმედი ორგანიზაცია, შეიქმნა ბაღდადში, 1960 წლის 10-14 სექტემბრის კონფერენციაზე. აშშ-ს იმდროინდელმა პრეზიდენტმა, დუაიტ ეიზენჰაუერმა, კანადისა და მექსიკის ნავთობის მრეწველობის სასარგებლოდ ვენესუელისა და სპარსეთის ყურის ნავთობის იმპორტზე იძულებით დააწესა კვოტა. ამის საპასუხოდ, ვენესუელისა და საუდის არაბეთის ენერგეტიკის მინისტრების, ხუან პაბლო პერეზ ალფონსოსა და აბდულა ალ-ტარიკის ინიციატივით, ერაყის, ირანის, ქუვეითის, საუდის არაბეთისა და ვენესუელას მთავრობებმა ბაღდადში შეხვედრისას განიხილეს გზები თავიანთ ქვეყნებში წარმოებული ნედლი ნავთობის ფასის ზრდის შესახებ. შედეგად, ოპეკი დაარსდა გადაწყვეტილებით, აღადგინოს და მოახდინოს ორგანიზაციის წევრთა ნავთობის პოლიტიკის კოორდინაცია.

შესაბამისად, ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან: ირანი, ერაყი, ქუვეითი, საუდის არაბეთი და ვენესუელა. შემდეგ ოპეკმა დაიწყო გაფართოება და მას შეუერთდნენ შემდეგი ნავთობმომპოვებელი ქვეყნები: კატარი (1961 წ.), ინდონეზია (1962-2008 წწ.), ლიბია (1962 წ.), არაბთა გაერთიანებული საამიროები (1967 წ.), ალჟირი (1969 წ.), ნიგერია (1971 წ.), ეკვადორი (1973-1992 წწ. 2007 წ.), გაბონი (1975-1994 წწ.), ანგოლა (2007 წ.). ეკვადორი 1992 წელს ორგანიზაციიდან გამოვიდა, რადგან არ სურდა ან ვერ იხდიდა ორგანიზაციის საწევრო გადასახადს, 2 მლნ დოლარს და თვლიდა, რომ საჭირო იყო მეტი ნავთობის წარმოება, ვიდრე ეს ოპეკის კვოტით იყო დაშვებული. თუმცა ის კვლავ შეუერთდა ორგანიზაციას, ხოლო რაცშეეხება გაბონს, მან სამუდამოდ დატოვა ოპეკი. 2008 წლის მაისში ინდონეზიამ განაცხადა, რომ იდ დატოვებს ოპეკს, როდესაც მის წევრობას აზრი აღარ ექნება, როცა გახდება ნავთობის იმპორტიოტი და ვეღარ დააკმაყოფილებს ორგანიზაციის წევრობას, მის მოთხოვნებს. იმავე წლის 10 სექტემბერს ოპეკმა დაადასტურა განცხადება ინდონეზიის ორგანიზაციიდან გასვლის თაობაზე, თუმცა ქვეყანამ განაცხადა, რომ

მას სურვილი აქვს დაბრუნდეს ორგანიზაციაში, თუკი ის კვლავ გახდება ნავთობის ექსპორტიორი. ინდონეზიის წევრობა ამჟამად განხილვის სტადიაშია, ვინაიდან ის აღარ მოიაზრება ნავთობის ექსპორტიორად. დღესდღეობით, ოპეკში ერთიანდება თორმეტი ქვეყანა.

ოპეკის შტაბ-ბინა თავდაპირველად განთავსებული იყო ჟენევაში (შვეიცარია), ხოლო 1965 წლის 1 სექტემბერს გადაიტანეს ვენაში (ავსტრია). ორგანიზაციის გენერალური მდივანია აბდალა სალემ ალ-ბადრი, 2007 წლიდან. ოპეკის წევრი ქვეყნები აკონტროლებენ მსოფლიოს ნავთობის დადასტურებული მარაგის დაახლოებით 2/3-ს. მათ წილზე მოდის მსოფლიოს ნავთობის წარმოების 40% და ნავთობის მსოფლიო ექსპორტის ნახევარი. ოპეკის ოფიციალური სამუშაო ენა არის ინგლისური.

ნავთობის ფასს ყოველთვის ანგარიშობენ აშშ დოლარებში ერთი ბარელისათვის. ბარელი (barrel - ინგლისურად "კასრი") მოიცავს დაახლოებით 159 ლიტრს და ტრადიციულად გამოიყენება ნავთობის საზომ ერთეულად. ერთი მეტრული ტონა ნავთობი საშუალოდ 6.3 ბარელს მოიცავს.

ოპეკის მიზანი, მისი საქმიანობა

ორგანიზაციის მთავარი მიზანი, წესდების მიხედვით, არის მისი წევრების ინდივიდუალური და კოლექტიური ინტერესების ოპტიმალურად დაცვის საშუალებების განსაზღვრა, რაც ითვალისწინებს გზებისა და საშუალებების გამონახვას ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე ფასების სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფას, ზიანის მომტანი ცვალებადობის თავიდან ასაცილებლად. ოპეკი არეგულირებს წარმოების მოცულობას. მისი მიზანია საქმიანობის კოორდინაცია და ზოგადი პოლიტიკის ფორმულირება. ასევე, განავითაროს საერთო პოლიტიკა ორგანიზაციის წევრებს შორის. ნავთობის მწარმოებელ ქვეყანათა ინტერესების მუდმივი დაცვა გამოიხატება მათთვის სტაბილური შემოსავლის უზრუნველყოფაში, ნავთობის მომხმარებელი ქვეყნებისათვის ეფექტურ, ეკონომიურ და სტაბილურ მიწოდებაში, ასვე მომგებიანობის გარანტიაში კაპიტალზე მათთვის, ვინც ამ ინდუსტრიაში ინვესტიციას ახორციელებს.

ქვემოთ მოყვანილია პუნქტები ორგანიზაციის ძირითადი ამოცანების შესახებ: ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ინტერესების დაცვა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა ნავთობის სხვა ქვეყნებში რეგულარული მიწოდების უზრუნველყოფა ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისათვის ნავთობის გაყიდვის შედეგად სტაბილური შემოსავლების უზრუნველყოფა ნავთობის წარმოების და რეალიზების სტრატეგიების განსაზღვრა.

ნავთობის წარმოების კვოტის დადგენა ორგანიზაციის ერთ-ერთი ფუნქციაა. თუკი ნავთობის სამომხმარებლო მოთხოვნები იზრდება, მაგრეამ ბაზარზე დაკმაყოფილება არ ხდება, აუცილებელია ნავთობის მოპოვების ამაღლება, რაც დგინდება კვოტით. იურიდიულად კვოტის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სწრაფად იზრდება ნავთობის ფასები და საჭიროა კრიზისის თავიდან აცილება. ოპეკი ძალიან არის ჩართული გლობალურ ვაჭრობაში და მისი ხელმძღვანელობა აღიარებს, რომ საჭიროა ფუნდამენტური რეფორმა საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში. ორგანიზაცია მოემზადა ნავთობის კრიზისისათვის - არსებობს სარეზერვო ფონდი, რომელიც დაფუძნდა 1999 წელს და მოიცავს ნავთობის შემდეგ მარაგს - 801 998 000 ბარელ ნავთობს, რაც წარმოეადგენს მსოფლიო ნავთობის რეზერვების 76%-ს.

ოპეკმა 1976 წელს დააფუძნა ფონდი ოპეკის საერთაშორისო განვითარებისათვის. ეს არის მრავალმხრივი საფინანსო სისტემა განვითარების სფეროში, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციის წევრი ქვეყნების თანამშრომლობას და ასევე თანამშრომლობას სხვა განვითარებად ქვეყნებთან. ფონდი უზრუნველყოფს ორგანიზაციის წევრებს შეღავათიანი სესხებით, რომლებიც ძირითადად სამი მიმართულებით გაიცემა: პროექტების, პროგრამების და საგადამხდელო ბალანსის მხარდასაჭერად. ორგანიზაციის ფუნქციონირების სტრუქტურის შემადგენლობაში შედის ოპეკის ეკონომიკური კომისია, გენერეალური მდივანი, სამდივნო, მმართველთა საბჭო, კომიტეტი.
ოპეკის წევრი ქვეყნების ენერგეტიკის მინისტრები წელიწადში ორჯერ (განსაკუთრებული სიტუაციების გარდა) მართავენ

შეხვდერებს, ნავთობის საერთაშორისო ბაზრის შეფასებისთვის და ორგანიზაციის სამომავლო განვითარების პროგნოზირებისათვის. ამ შეხვედრებზე მიიღება გადაწყვეტილებები წლის სამოქმედო გეგმებზე, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ბაზრის სტაბილიზაცია. შესაბამისად, გადაწყვეტილება ნავთობის გამომუშავებასთან დაკავშირებით, ან ბაზარზე ცვლილებების შესახებ, მიიღება ოპეკის კონფერენციების შედეგად, ორგანიზაციის ერთსულოვნების წესით.

ფასების პოლიტიკა

ნავთობის მოპოვების მოცულობა და მსოფლიო ბაზაზრზე მისი მიწოდება მჭიდროდაა დაკავშირებული ფასების პოლიტიკასთან. ნავთობის ფასი 1861 წლიდან 1970 წლების დასაწყისამდე არასოდეს გადასცილებია 2 აშშ დოლარს ბარელისათვის. მის ფასზე არ ზემოქმედებდნენ არც მსოფლიო, არც ლოკალური ომები, არც ეკონომიკური კრიზისები. ფაქტობრივად ინფლაციის გათვალისწინებით ნავთობი იაფდებოდა კიდეც, რადგან ბარელი ნავთობისათვის, მაგალითან 1913 და 1934 წლებში გადახდილი 1 დოლარი სულ სხვადასხვა მსყიდველობითი უნარისა იყო. მთელი

1960-იანი წლების განმავლობაში ბარელი ნავთობის სტაბილურად ღირდა 1.8 დოლარი. ეს სტაბილურობა იყო „შვიდი დის“ კარტელის დამსახურება (1920-1940-იან წლებში არაბულ ქვეყნებში გაიცა დიდი კონცესიები ნავთობის ძიებისა და მოპოვებისათვის. მთავარ კონცესიონერებად იქცა შვიდი უმსხვილესი სანავთობო კომპანია, რომელთაც ირონიულად „შვიდ დას“ უწოდებენ. დალაგებული კაპიტალის მიახლოებითი სიდიდის მიხედვით ეს კომპანიების: Standard Oil of New Jersey (1972 წლიდან - Exxon, ევროპაში მარკეტინგისას Esso); Royal Dutch Shell Group; Texaco; Standard Oil of California (ასვე ცნობილი, როგორც Socal, ხოლო მარკეტინგისას - როგორც Chevron); Mobil; Gulf; British Petroleum. XX საუკუნის ბოლოს ერთმანეთს შეერწყა ექსონი და მობილი (შექმნეს ExxonMobil) და შევრონი და ტექსაკო (Chevron Texaco)).

ნავთობის „მსოფლიო ფასების რევოლუცია“ პირველად 1973 წელს მოხდა. იმ წლის ოქტომბერში ისრაელისა და არაბული ქვეყნების ომმა („იომ-ქიფურის“ ომი) ბიძგი მისცა არაბული ქვყნების ემბარგოს „პროისრაელურ“ დასავლეთ ევროპაში ნედლი ნავთობის გატანაზე. მას მოჰყვა პანიკა მსოფლიოს წამყვან ბირჟებზე და შესაბამისად, ფასის უკონტროლო ზრდა. 1974 წლის ბოლოსათვის, ერთი ბარელი ნედლი ნავთობის ფასი 1970 წლის დონესთან შედარებით ექვსჯერ გაიზარდა და 11.58 აშშ დოლარს მიაღწია (2006 წლის ფასებით ეს 47.5 დოლარს უტოლდება). შემდეგ ნედლი ნავთობის ფასი მეტ-ნაკლებად დასტაბილურდა და ახალ პიკს მიაღწია მხოლოდ 1980 წელს, როდესაც ირანის ისლამური რევოლუციისა და მალევე დაწყებული ერაყ-ირანის ომით გამოწვეულმა პანიკამ ბარელი ნედლი ნავთობის ფასი 36.83 დოლარამდე აიყვანა (2006 წლის ფასებით ეს 90 დოლარს უტოლდება). ამის შემდეგ ნედლი ნავთობის ფასი კარგა ხანს არ გაზრდილა, ხოლო 1980-იანი წლების II

ნახევარში 14-18 დოლარამდეც კი ჩამოვიდა. სტაბილური ფასები ნედლ ნავთობზე 1990-იან წლებშიც შენარჩუნდა, ხოლო 1998 წელს 12.72 დოლარამდე დაეცა, მაგრამ XXI საუკუნის დასაწყისიდან ნედლი ნავთობის ფასმა ისევ დაიწყო ზრდა. 2007 წლის ბოლოს მოიხსნა 1980 წლის რეკორდი - ერთი ბარელის ფასი 100 დოლარი გახდა. 2008 წლის მარტში ნიუ-იორკის ბირჟაზე ბარელი ნავთობის ფასმა 110 დოლარს მიაღწია და სავარაუდოდ რამდენიმე წელიწადში ის 200 დოლარამდე შეიძლება ავიდეს.

ოპეკის გავლენა ნავთობის ფასების რეგულირებაზე შედარებით დაბალია მექსიკის ყურის და ჩრდილოეთის ზღვის ჭაბურღილების განვითარებისა და ბაზრის მოქნილობის ზრდის შედეგად. მიუხედავად ამისა, ის დღემდე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნავთობის მიწოდებაზე და შესაბამისად, მის ფასებზე მსოფლიო ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ ოპეკის ერთ-ერთი დანიშნულება, როგორც ზემოთ

აღვნიშნეთ ნავთობის ბაზარზე ფასების რევოლუციაა მოსალოდნელი გაუთვალისწინებლობის თავიდან ასაცილებლად,

თავისი მოღვაწეობის განმავლობაში ის არც თუ ისე კარგად ფლობდა ბაზარს. საკმაოდ ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დაწესებული ბენზინის ფასები საგრძნობლად აწეულა, ან პირიქით, რადიკალურად დაწეულა. ამის მიზეზი კი ორგანიზაციის წევრთა მიერ დაპირებულ კვოტებზე უარის თქმა ხდება.~

ოპეკის როლი ეკონომიკაში

უკანასკნელ წლებში ოპეკის არასწორმა ფუნქციონირებამ, განსაკუთრებით კი ნავთობის ბაზარზე რეგულაციის უუნარობამ, მრავალი საზრუნავი გაუჩინა მსოფლიოს ისედაც არამყარ ეკონომიკას. გამოკითხვებით, რომლებსაც პერიოდულად აწარმოებენ ამერიკის წამყვანი ჟურნალ-გაზეთები, ოპეკი რეიტინგით „საამაყო“ პირველ ადგილს იკავებს ყველაზე პოპულარულ დამნაშავეთა სიაში. როგორც ჩანს, ოპეკს ბევრმა ამერიკელმა ჯერ კიდევ ვერ აპატია 2008 წელს ბენზინის ფასის კატასტროფული ზრდა, რომელსაც ზოგი

პოლიტიკოსი ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას თვლის, რადგან დანაკარგს, რომელიც ყოველ სამუშაო დღეს 1.2 მლრდ დოლარიდან 1.9 მლრდ-მდე მერყეობდა, ადვილად შეეძლო გამოეწვია ეკონომიკური კრიზისის წინაპირობა ამერიკაში, თუმცა ალბათ გადაჭარბებული იქნება იმის მტკიცება, რომოპეკმა შეგნებულად გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი მსოფლიოში. თანაც იმ ფაქტს თუ გავითვალისწინებთ, რომ მოცემულ ვითარებაში ოპეკის მასულდგმულებელი ქვეყნები ტავად არიან ეკონომიკურად ძალიან მძიმე მდგომარეობაში. ნავთობის ფასმა თავისი რეკორდული

მაჩვენებლიდან - 147 მლნ-დან 2008 წლის ივლისში უკვე დაიწია 88 მლნ-მდე. უკვე კრიზისის დასაწყისში საუდის არაბეთის საფონდო ბირჟამ, ყველაზე მსხვილმა არაბულ სამყაროში, თავისი ღირებულების 17% დაკარგა, კატარმა კი 19%. ირანი და ვენესუელა შედარებით პოზიტიურ ვითარებაში აღმოჩნდნენ, რადგან ნავთობის ყველაზე დიდი მარაგი აღმოაჩნდათ, რასაც ვერ ვიტყოდით, მაგალითად დუბაიზე, რომელიც ნავთობზე ფასის მატების შედეგად, ყველაზე არასახარბიელო ვითარებაში აღმოჩნდა. ოპეკი იძულებული შეიქმნა სიტუაციის დასარეგულირებლად ნავთობზე ფასის ზრდა არაუმეტეს 90 დოლარიდან 95 დოლარამდე დაეწესებინა. ასეთ პირობებში ვარაუდობენ, რომ მაგალითად, ირანი წლიურად მხოლოდ 50

ბილიონს დაკარგავს ეკონომიკური კრიზისის პირობებში, რაც ერთ სულ მოსახლეზე 700-800 დოლარის ოდენობით დანაკარგს

გულისხმობს. თუმცა ექსპერტებს ოპეკის შემადგენელი მთავარი არაბული ქვეყნების გაღატაკების ნაკლებად სჯერათ.

ერთი რამ ცხადია, რომ თუკი ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაციას მართლაც მიუძღვის წვლილი ეკონომიკური კრიზისის გაღვივებასა და შემდგომში ჩამოყალიბებაში, ეს მხოლოდ და მხოლოდ გაუთვალისწინებელ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ორგანიზაციის შემადგენელ ქვეყნებს აშშ გულზე დიდად არ ეხატებათ, მაგრამ იმ შედეგებმა, რომლებიც კრიზისმა მოიტანა, მათ პირად ინტერესებზეც ფრიად უარყოფითი გავლენა მოახდინა. ასე რომ, ალბათ უფრო მართებული იქნება თუკი ოპეკს ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთ მსხვერპლად მოვიხსენიებთ, ვიდრე მთავარ დამნაშავედ.

რეგიონული ასპექტები

ნავთობმომპოვებელი და ექსპორტიოტი ქვეყნები შეიძლება დავალაგოთ რეგიონული თვალსაზრისით. გამოიყოფა შემდეგი სამი რეგიონი: ახლო აღმოსავლეთი, აფრიკის რეგიონი და სამხრეთ ამერიკა.

ახლო აღმოსავლეთი

ანგარიშობენ, რომ ახლო აღმოსავლეთში არის ნავთობის დადგენილი მსოფლიო მარაგის 61.5%. ეს რესურსი აქ ათობით,

ზოგან კი ასზე მეტი წლის განმავლობაში არ ამოიწურება. ნავთობის მარაგი ძირითადად თავმოყრილია მსოფლიოში უდიდესი სპარსეთის ყურის ნავთობმომცემ პროვინციაში - ყურის ორივე ნაპირზე და მის კონტინენტურ შელფზე. ნავთობის უდიდესი მარაგი აქვთ: საუდის არაბეთს, ირანს, ერაყს, ქუვეითს, არაბთა გაერთიანებულ საამიროებს. მოცულობით ნაკლები, მაგრამ საექსპორტოდ მაინც საკმარისი ნავთობის აქვს კატარს.

1908 წელს სამხრეთ ირანში, მასჯედ-ე-სოლეიმანის მახლობლად, ჭაბურღილიდან პირველად ამოხეთქა ნავთობმა.

თანამედროვე მეთოდებით ძებნა-ძიების შედეგად რეგიონის ნავთობის მარაგი კიდევ უფრო იზრდება. ნახშირბადის რესურსები მართალია ამოწურვადია, მაგრამ მიმდინარე საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს მოთხოვნილება ძირითადად მაინც დაკმაყოფილდება.

რეგიონის მტავარი სიმდიდრე მაინც ნავთობის, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულებში ბუნებრივი და თანმხლები აირის მოპოვება, გამოყენება და მისი მიწოდება მსოფლიო ბაზარზე იზრდება. ახლო აღმოსავლეთს დიდი უპირაესობა გააჩნია მსოფლიოს სხვა ნავთობმომპოვვებელ რეგიონებთან შედარებით. გარდა იმისა, რომ ის ისედაც უდიდეს მარაგს ფლობს, მისი მოპოვება და გატანა შედარებით იაფი ჯდება: ის ახლოსაა მსხვილ მომხმარებლებთან - დასავლეთ ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთთან. გეოლოგიური თავისებურებაა, რომ რეგიონის ძირითადი

ნავთობმომცემი ფენები ძალიან დიდია და არც ისე ღრმადაა განლაგებული მიწის ზედაპირიდან; ნავთობი ბევრ საბადოში იმყოფება დიდი წნევის ქვეშ, ამორებული ნავთობის ადგილს დაუყოვნებლივ იკავებს თანმხლები აირი, რაც აადვილებს ნავთობის მოპოვებას, ჭაბურღილს ხშირად არ ესაჭიროება სატუმბი მოწყობილობა - ნავთობის შადრევნად ამოდის და საკმარისია მილსადენების სისტემასთან მისი შეერთება. ზოგ მილსადენსაც არ ესაჭიროება სატუმბავი სადგურები, განსაკუთრებით სამხრეთ ირანში, სადაც ნავთობსადენები უფრო მაღლა მდებაეობს, ვიდრე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები და ნავთობჩამომსხმელი ნავსადგურები და ასევე ნედლი ნავთობი ნაწილობრივ მაინც თვითდინებით მიედინება. რეგიონის ნავთობმომცემი რაიონები არაჩვეულებრივად დიდია და მოპოვების ზონაში ცოტაა ფუჭად გაყვანილი ჭაბურღილები. მაგალითად, საუდის არაბეთში გაუარის ნავთობის ბუდობი ადრე ხუთ დამოუკიდებელ ბუდობად ითვლებოდა, მოგვიანებით კი გამოირკვა, რომ ეს არის 200 კილომეტრიანი უწყვეტი ნავთობმომცემი ზოლი, სადაც 83 მლრდ ბარელი ნავთობის მარაგია დადგენილი. საუდის არაბეთში კიდევ ათი ბუდობია, სადაც თითოეულში 7-30 მლრდ ბარელი ნავთობია.

ქუვეითის ბურგანის ბუდობში 72 მლრდ ბარელია. სამხრეთ ერაყის რუმაილის ბუდობში 20 მლრდ, ხოლო ჩრდილოეთ ერაყის ქირქუკის ბუდობში 16 მლრდ ბარელი ნავთობია. ირანში 10-18 მლრდ ბარელი ნავთობის მარაგის მქონე ხუთი საბადოა. რეგიონში მდებარეობს 24

სუპერგიგანტური საბადო თითოეულში ხუთი და მეტი მლრდ ბარელი ნავთობის მარაგით.

რეგიონის ნავთობის სიიაფეს განაპირობებს ისიც, რომ მოპოვება ხშირად პრაქტიკულად დაუსახლებელ ადგილას ხდება; უდაბნოში მილსადენის მშენებლობა არ მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ანდა განაშენიანებული ადგილების გადაკვეთას; მნიშვნელობა ენიჭება იაფ მუშახელსაც - აზიის ქვეყნებიდან მოსული მენავთობე აქ ბევრად ნაკლებ ხელფასს იღებს, ვიდრე მისი კოლეგა აშშ-ში, ან დასავლეთ ევროპაში. ყველა ამ ფაქტორმა ერთად განაპირობა სპარსეთის ყურის დასავლეთ ნაპირზე დაბალი თვითრირებულება. ცნობილია, როგორ დიდ როლს ასრულებს ნავთობის მრეწველობა სპარსეთის ყურის ქვეყნების ეკონომიკაში. საკმარისია ითქვას, რომ ნავთობის ხვედრითი წილი საუდის არაბეთის, ქუვეითისა და ირანის ექსპორტში 90-95%-ს, ხოლო ერაყში, კატარსა და არაბთა

გაერთიანებულ საამიროებში მისი წილი ექსპორტის 95-100%-ია. ამ ქვეყნებმა ნავთობის ექსპორტით მიღებული შემოსავლებით სულ მოკლე დროში შეძლეს ეკონომიკის გარდაქმნა და უზრუნველყვეს ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ძალიან მაღალი დონე(გაერთიანებულ ემირატებსა და კატარში ეს ციფრი 27 ათას დოლარს

შეადგენს). სწორედ ნავთობით სიმდიდრე ბევრად განსაზღვრავს სპარსეთის ყურის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას აზიასა და მთლიანად

მსოფლიოში. მაგრამ თვით ეს სიმდიდრე თავის მხრივ, უშუალოდ არის დაკავშირებული ნახშირწყალბადების საბადოებთან, რომლებიც მიეკუთვნებიან გიგანტთა კატეგორიებს.

ნავთობის გეოლოგიის სპეციალისტები იმისდა მიხედვით, თუ როგორია საწყისი მარაგი, ნავთობის საბადოებს ყოფენ ხუთ კატეგორიად: წვრილი (10 მლნ ტონამდე), საშუალო (10-50), მსხვილი (50-500), გიგანტური (500-1000), უნიკალური (1ლმრდ ტონაზე მეტი). ცნობილი მენავთობე გეოლოგიის - ა.ა. ბაქიროვის მონაცემებით, 80-იანი წლების დასაწყისში საზღვარგარეთის ქვეყნების 25 ათასი ნავთობის საბადოებიდან უნიკალურ და გიგანტურ საბადოებს მიეკუთვნება სულ 45 (0.18%), მაგრამ მათი წილი ნავთობის საერთო მარაგში 80%-ს აღემატებოდა. ასეთი საბადოების ყველაზე დიდი კონცენტრაციით გამოირჩევა ახლო აღმოსავლეთის რეგიონი, ხოლო ამ რეგიონის საზღვრებში პირველობა ეკუთვნის სპარსეთის ყურის ნავთობ-გაზის აუზს.

სპარსეთის ყურის აუზის ნავთობის გიგანტური და უნიკალური საბადოები

საბადო-ქვეყანა-საწყისი მარაგი მლნ ტ

ჰავარი - საუდის არაბეთი - 11.9

აღა-ჯარი - ირანი - 10.0

დიდი ბურგანი - ქუვეითი - 9.3

საფანია - საუდის არაბეთი - 3.5

ქირქუკი - ერაყი - 3.0

რუმაილა - ერაყი - 2.8

რაუდატაინი - ქუვეითი - 2.0

აბკაიკი - საუდის არაბეთი - 1.6

გეჩსარანი - ირანი - 1.5

მარუნი - ირანი - 1.4

ფერეიდუნ-მარჯანი - ირანი, საუდის არაბეთი - 1.3

აჰვაზი - ირანი -1.2

კატიფი -საუდის არაბეთი - 1.2

ბიბი-ჰაკიმე - ირანი - 1.1

ზუბაირი - ერაყი - 1.0

დამამი - საუდის არაბეთი - 0.8

ბერი - საუდის არაბეთი - 0.8

ჰურსანია - საუდის არაბეთი - 0.8

აბუ-ქარდია - საუდის არაბეთი - 0.8

ვაფრა - ქუვეითი - 0.7

მურბანი - გას - 0.6

დუჰანი - ირანი - 0.6

მასჯედ-ე-სოლეიმანი - ირანი - 0.5

ბუ-ღაზა - გას - 0.5

მსოფლიო ეკონომიკა ჯერახ დიდადაა დამოკიდებული ახლო აღმოსავლურ ნავთობზე.

აფრიკის რეგიონი

ჩრდილოეთ აფრიკის მთავარი სამთო-სამრეწველო რაიონია ალჟირისა და ლიბიის ფარგლებში მდებარე საჰარის უდაბნოს

ტერიტორია. ამ რეგიონს ნავთობის მარაგის, მოპოვების და

მნიშვნელობის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს. ალჟირ-ლიბიის, ანუ საჰარის ნავთობგაზშემცველი აუზი მხოლოდ 50-იანი წლებიდან შევიდა ექსპლუატაციაში.დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ იგი 2 ათას კილომეტრზე ვრცელდება.

დასავლეთით დანალექი ქანების სიმძლავრე 7-8 კმ-ია,

აღმოსავლეთით კი მცირდება. ნავთობ-გაზის პროდუქტიული შრეები 2.5-დან 3.5 ათას მეტრ სიღრმეზე ვრცელდება. ჭაბურღილების

პროდუქტიულობა ლიბიაში 350 ტ, ალჟირში 160 ტ ნავთობია დღე-ღამეში, რაც განაპირობებს მის დაბალ თვითღირებულებას. ამ საბადოების ნავთობის დაბალ თვითღირებულებას განაპირობებს აგრეთვე მისი ხმელთაშუა ზღვასთან სიახლოვე (700-300 კმ).

ლიბიაში ნავთობის მოპოვების მაქსიმუმი (160 მლნ ტ) 1970 წელს იქნა მირწეული, ხოლო ალჟირში (57 მლნ ტ) – 1979 წელს. მომდევნო პერიოდში ნავთობის მოპოვება შემცირდა, რაც აიხსნება ამ ქვეყნების პოლიტიკით ნავთობის რესურსების დაზოგვისათვის

და ოპეკის მიერ დაწესებული კვოტებით. საჰარის ნავთობ-გაზის შემცველ აუზში გამოიყოფა ოთხი დამოუკიდებელი ნაწილი.

დასავლეთით არის 1.5-2.3 ტრლნ კუბური მეტრი მარაგის მქონე გაზის გიგანტური საბადო ჰასსი-რიმელი. მის აღმოსავლეთითაა ნავთობისა და გაზის მეორე ჯგუფის საბადოები. მათ შორის გიგანტურია ჰასსი-მესსაუდი. 60-70-იან წლებში ის წელიწადში იძლეოდა 20 მლნ ტ ნავთობს. მოპოვებული ნავთობის ნავთობსადენების საშუალებით გადაეცემა არზევის, ბეჯაიას და სკიკდას ნავსადგურებს. იქ ნავთობის ნაწილი გადამუშავდება, ნაწილი ტანკერებით ექსპორტირდება. მესამე ჯგუფის საბადოები ალჟირ-ლიბიის საზღვარზეა. მათ შორის უდიდესია - ზარზაიტინი და ეჯელე. ნავთობსადენები ამ რაიონს აკავშირებენ

ალჟირის ზემოთ ჩამოთვლილ ნავსადგურებთან, ტუნისის ნავსადგურ - სეჰირასთან და ლიბიის ნავსადგურ - ტრიპოლთან .

მეოთხე ყველაზე დიდი ჯგუფის საბადოები არის ლიბიაში. 1959 წელს აღმოჩენილი იქნა უდიდესი საბადო - ნასერი (ზელტენი), შემდეგ ამალი, რომელიც დღე-ღამეში 5-7 ათას ტონა ნავთობს იძლევა შადრევნული წესით. მაგრამ საბადოებს შორის გიგანტურია მხოლოდ სერირი, რომლის სავარაუდო მარაგი 1.5-1.8 მლრდ ტონაა. საბადოს ექსპლუატაცია 1967 წელს დაიწყეს და წელიწადში

მოიპოვებდნენ 20-30 მლნ ტონას. ამ რეგიონში მოპოვებული ნავთობი ნავთსადენებით მიდის სირტის ყურეში მდებარე პორტ მარსაელ-ბურეიკაში. საჰარის სამხრეთით მდებარე უმსხვილესი სამთო

მომპოვებელი რაიონებიდან ორი გვინეის ყურის სანაპიროზეა. ერთ მათგანს ეწოდება დასავლეთ გვინეის, მეორეს - აღმოსავლეთ გვინეის რაიონი. ძირითადად აღმოსავლეთ რაიონშია ნავთობის მარაგი.

ყველაზე მეტად ნავთობის საბადოები კონცენტრირებულია ნიგერიაში, მდინარე ნიგერის დელტაში. აქ პირველი სამრეწველო საბადოები ხმელეთზე 1956 წელს ამოქმედდა, შელფზე კი - 1964 წელს. მოპოვების მაქსიმალურ დონეს 1979 წელს მიაღწიეს - 115 მლნ ტ. 1967-1975 წწ.-ში სუეცის არხის უმოქმედობის დროს, ნიგერიას საგარეო ბაზარზე უპირატესობა ჰქონდა სპარსეთის ყურის ქვეყნებთან შედარებით, რადგანაც მანძილი ნავთობის ნავსადგურიდან - პორტ-ჰარკორტიდან როტერდამამდე შეადგენდა 6.9 ათას კილომეტრს, მაშინ, როცა აფრიკის გარშემო ნავთობის ტრანსპორტირებისას საჭიროა 18.2 ათასი კილომეტრის გავლა. 80-90-იან წლებში ნიგერიაში ნავთობის მოპოვების დონე იყო სტაბილური და შეადგენდა 70-80 მლნ ტონას.

სამხრეთ ამერიკა

სამხრეთ ამერიკის რეგიონის ერთ-ერთ სტრუქტურულ ნაწილს ქმნის ანდების განაპირად და მთათაშორისი ჩაზნექვები, რომლებიც დანალექი გროვებისაგან შედგება. სწორედ მათთანაა დაკავშირებული ნავთობის საბადოები, აღმოჩენილი ვენესუელაში, ეკვადორში. ამასთან რეგიონში ნავთობის საერთო მარაგის დაახლოებით ½ ვენესუელაზე მოდის, ხოლო თავის მხრივ, ამ ქვეყნების 4/5 მარაკაიბოს აუზშია კონცენტრირებული. ეს აუზი ამავე სახელწოდების მთათაშორის ტექტონიკურ ჩაღრმავებაშია განთავსებული. მის საფუძველს წარმოადგენს ნავთობის უნიკალური საბადო ბოლივარი, რომელიც 1917 წელს აღმოაჩინეს. ადგილობრივი ნავთობის გოგირდის მაღალი შემცველობით გამოირჩევა. ვენესუელაშივე, ორინოკოს ქვედა დინების რაიონში, კიდევ ერთი მსხვილი ნავთობის აუზია, რომელიც ჯერჯერობით არ მუშავდება, რაც იმით აიხსნება, რომ აქ განლაგებულია ე.წ. მძიმე ნავთობი, რომლის მოპოვებაც მხოლოდ სპეციალური ტექნოლოგიითაა

შესაძლებელი. შემთხვევითი არ არის, რომ ამ აუზს ზოგჯერ „ასფალტის სარტყელს“ უწოდებენ. დღესდღეობით, ოპეკი აკონტროლებს დაახლოებით მსოფლიოს დადასტურებული ნავთობის მარაგის 2/3-ს, უზრუნველყოფს მსოფლიო წარმოების 40%-ს და ნავთობის მსოფლიო ექსპორტის ნახევარს. ორგანიზაცია კოორდინაციას უწევს ნავთობის პოლიტიკას და ნავთობის საერთაშორისო ფასს, ადგენს ნავთობის წარმოების კვოტებს. მიუხედავად აზრისა, რომ ოპეკის დრო გავიდა, იგი კვლავ რჩება მსოფლიოში ნავთობის მრეწველობის ერთ-ერთ გავლენიან მოთამაშედ. იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს „შავი ოქროს“ მსოფლიო ფასებზე. თუმცა მნიშვნელოვანი ფაქტორი ოპეკის პერსპექტივებთან დაკავშირებული გაურკვევლობისა, დაკავშირებულია მსოფლიო ენერგეტიკის განვითარების გზებთან. მაღალშემოსავლიანი ორგანიზაციისათვის, ნავთობის ექსპორტი შეიძლება გახდეს მასში შემავალი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების საწინდარი. ბევრმა მათგანმა მოახერხა ცხოვრების დონის შედარებითი გაუმჯობესება.

ლექცია 12

ლექციის თემა: მსოფლიოს დემოკრატიზაცია და გლობალური არასტაბილურობა

80-იანი წლების ბოლოს ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში ყველაზე ხშირად ხმარებული სიტყვა, ალბათ იყო დემოკრატია. ამავე დროს, დასავლურ აკადემიურ პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში, თუმცა არა მედიასა და პოლიტიკური წრეების დისკურსში, რომელიც აღმოსავლეთ ევროპასა და სსრკ-ში 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე პროცესებს იკვლევდა „დემოკრატიას“ სიხშირით „დემოკრატიზაცია“ ჭარბობდა. ეს, თითქოსდა, პირველი შეხედვით, უმნიშვნელო განსხვავება ტერმინოლოგიაში, სინამდვილეში ასახავდა ფუნდამენტურ, არსობრივ განსხვავებას შექმნილი რეალობის აღქმასა და მიმდინარე პროცესების გაგებაში.

კომუნისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით ინტელიგენციის წრეებში გავრცელებული მოსაზრება, რომ „თუ არა კომუნიზმი, ჩვენ ვიქნებით ისეთივე, როგორც დასავლეთი“ მიხეილ გორბაჩევის მიერ დაწყებული „პერესტროიკის“ შედეგად მოხდენილ „ხავერდოვან რევოლუციებს“ ხდიდა გარდამტეხ ზღვრად, რომლის შემდეგ პირდაპირ და მაშინვე იწყებოდა დემოკრატია. „ცივი ომის“ დასრულებით გახარებული, ტექნოლოგიურად და იდეოლოგიურად გამარჯვებული ევრო-ატლანტიკის პოლიტიკური წრეებიც „ისტორიის დასასრულსა“ და ჰომო-საპიენსის ლიბერალურ-დემოკრატიულ ადამიანად საბოლოოდ გარდაქმნას ზეიმობდნენ. აკადემიური მეცნიერების წარმომადგენელთა მოკრძალებულ ეჭვს, რომ დაწყებული პროცესები უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ დასაწყისია დემოკრატიზაციისა, რომელიც სულაც არ არის აუცილებელი დამთავრდეს დემოკრატიით, და მით უმეტეს დაუყოვნებლივ, აღფრთოვანებულ განწყობაში დისონანსი ვერ შეჰქონდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თითქმის არავინ აქცევდა ყურადღებას.

მაგრამ, გავიდა წლები, რეალობა სულ უფრო და უფრო ფართო საზოგადოებისათვის ხდიდა საცნაურს, რომ დემოკრატიის დამკვიდრება მყისიერად შეუძლებელია, და სულ უფრო მეტად იპყრობდნენ ყურადღებას გამოკვლევები, რომელნიც სწავლობდნენ დემოკრატიზაციას, როგორც პროცესს და არა დემოკრატიას, როგორც სისტემას. დემოკრატიზაცია წამყვანი თემა ხდება პოლიტიკურ მეცნიერებებში საერთოდ და განსაკუთრებით შედარებით პოლიტიკურ კვლევებში.

ვიდრე უფრო ღრმად განვიხილავდეთ დემოკრატიზაციას, როგორც ფენომენს, მოკლედ ვიტყვით, რომ სიტყვა „დემოკრატიზაცია“ აღნიშნავს პოლიტიკურ

ცვლილებებს, რომლებიც მიმართულია დემოკრატიისაკენ. თუ დემოკრატიას წარმოვიდგენთ, როგორც მიზანს, დანიშნულების ადგილს, დემოკრატიზაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც გზა, რომელიც ამ მიზნისკენ მიემართება. მაგრამ იმისათვის, რომ განსაზღვრულ იქნას სწორი, ოპტიმალური გზა მიზნის მიღწევისა, თავად მიზანი უნდა იყოს საკმაოდ მკაფიოდ განსაზღვრული. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა აღმოვჩნდეთ არა დანიშნულების ადგილას. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში არ არსებობს თუნდაც ორი აბსოლუტურად იდენტური დემოკრატია, მაგრამ მაინც შესაძლებელია იმ არსებითი ნიშან-თვისებების გამოკვეთა, რომელნიც თანამედროვე დემოკრატიებს ახასიათებთ.

დემოკრატიზაციის თანამდეროვე პროცესების შესწავლის შედეგად შესაძლებელია იმ გარე ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას ახედნენ და ვლინდებიან სხვადასხვა ქვეყენბის დემოკრატიზების მცდლობებზე. მელვილი გამოყოფს შემდეგ ფაქტორებს:

- თანამედროვე სამყაროში დემოკრატიისადმი, როგორც დეკლარირებული იდეალისადმი ნორმატიული განწყობის გავრცელება, მისი დასახვა საზოგადოებრივი გარდაქმენბის სავარაუდო და სასურველ მიზნად;

- მსოფლიო არენაზე დემოკრატიული მოდელის მიმზიდველობის ზრდა როგორც დასავლური ცივილიზაციის ტიპის ფართო კულტურული გავლენის შედეგი და ამის შედეგად ავტორიტარიზმის, როგორც ეროვნული განვითარების მოდელის დელეგიტიმიზაცია;

- დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიმიდნარე რეალური გაფართოება და ექსპერიმენტირება დემოკრატიულ პროცედურებსა და ინსტიტუტებთან, რომელსაც მოსდევს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი შედეგები;

- ავტორიტარიზმის ეკონომიკური არაეფექტურობა, მკაფიოდ გამოვლენილი 80-90-იან წლებში, განსაკუთრებით როგორც საზოგადოებრივი მოდერნიზების ინსტრუმენტისა, რაც უარყოფს ადრე გავრცელებულ წარმოდგენებს ეკონომიკის ავტორიტარული მოდერნიზების შედეგიანობის შესახებ;

- ისეთი სპეციფიული საერთაშორისო კონტექსტის შექმნა (მათ შორის ინსტიტუციონალურისაც - ე.წ. ტრანს-ნაციონალური სახელმწიფოთშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილის), რომელიც სპეციფიურად ხელსაყრელია ავტორიტარიზმიდან უფრო დემოკრატიულ მოდელებზე გადასვლისათვის.

სრულიად დემოკრატიული რეჟიმები, რომელბშიაც თავისუფლად ირჩევა მოსახლეობის წინაშე სრულიად ანგარიშვალდებული მთავრობა და წარმომადგენლობითი ინსტიტუტები, და ამასთან მთავრობის ძალაუფლება შეზრუდულია კანონის უზენაესობით, მსოფლიო რეჟიმების ყოველთვის უმცირესობას შეადგენდა. დღეს ამასთან დაკავშირებით ბევრი გაუგებრობა ჩნდება დემოკრატიის განმარტების ბუნდოვნების გამო. ხშირად თავისუფალი არჩევნების

ჩატარება გაიგივებულია დემოკრატიასთან, ხშირად სჯერათ, რომ თუ ტარდება თავისუფალი არჩევნები, რეჟიმი უკვე არის კონსტიტუციური და სამართლებრივი, გააჩნია სამოქალაქო საზოგადოების თავისუფალი ინსტიტუტები. გამოცდილება აჩვენებს, რომ ეს ხშირად სიმართლეს არ შეესაბამება.

XVIII, XIX და XX საუკუნეების რევოლუციები მიმართული იყო ძველი რეჟიმების ლიკვიდაციისაკენ, მაგრამ ჩვენ დროში, დღეს ის უმცირესობები ან უმრავლესობები, რომელნიც მიიჩნევენ თავს ჩაგრულებად (ან ნაღალატევად) ახალი რეჟიმებისგან, იწყებენ მოძრაობას დემოკრატიის არა რევოლუციური კონცეფციის სახელით. ეს განსაკუთრებით აშკარად გამოჩნდა აღმოსავლეთ ევროპაში „ხავერდოვანი რევოლუციებისას“. ამდენად, ჩვენ უპირველეს ყოვლისა, უნდა ვაღიაროთ ეს სრული ცვლილება ისტორიული ვითარებისა, გარემოებისა, რომელიც ძევს დემოკრატიის შესახებ ჩვენი თანამედროვე განსჯის საფუძველში.

მსოფლიოში დემოკრატიების რაოდენობის ზრდა სტაბილური არასდროს ყოფილა, მას გააჩნია პერიოდები წარმატებისა და უკანდახევისა.

კომუნისტური სამყარო არ არის ერთადერთი, რომელშიც ბოლო ათწლეულების განმავლობაში პოლიტიკური რეჟიმი შეიცვალა. 1974 წლიდან, პორტუგალიის დიქტატორული რეჟიმის დამხობის შემდეგ, იწყება პერიოდი, რომელსაც სამუელ ჰანტინგტონმა „დემოკრატიის მესამე ტალღა“ უწოდა. სანამ დაიწყებოდა დემოკრატიაზე გადასვლის ეს გლობალური სწრაფვა, სამყარო სულ რაღაც 40-მდე ისეთ ქვეყანას ითვლიდა, რომლებისთვისაც შეიძლებოდა მეტ-ნაკლებად დემოკრატიული გვეწოდებინა. ეს რიცხვი გარკვეულად გაიზარდა 1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში იმ ქვეყნების ხარჯზე, რომლებშიც მანამდე ავტორიტარული (მეტწილად სამხედრო) რეჟიმები არსებობდა. 1980-იანი წლების შუა პერიოდიდან იწყება დემოკრატიის ნახტომისებური გავრცელების ხანა და დღეისთვის არსებობს 76-დან 117 დემოკრატია.

ჰანტინგტონის კლასიფიკაციით, მესამე ტალღამდე ადგილი ჰქონდა დემოკრატიზაციის კიდევ ორ პერიოდს: გრძელი, ნელი პერიოდი 1828-1926 და შემდგომ 1943-1964. თითოეულ მათგანს, მისი თქმით, მოყვა დემოკრატიების მსხვრევის „უკუტალღა“ (1922-დან 1942-მდე და 1961-დან 1975-მდე), რომლის დროსაც ზოგიერთი ახლადშექმნილი (ან აღდგენილი) დემოკრატია დაემხო. თითოეულმა უკუტალღამ მნიშვნელოვნად შეამცირა მსოფლიოში დემოკრატიების რიცხვი, მაგრამ საერთო ჯამში დემოკრატიზაციის თითოეული ტალღის პროცესში ახლადშექმნილი დემოკრატიების რაოდენობა აჭარბებდა მომდევნო პერიოდში მსხვრევათა რიცხვს. უკუტალღა დემოკრატიზაციის მესამე ტალღის მონაპოვრებსაც ემუქრება (ან უკვე იმსხვერპლა ზოგიერთი ახლადშექმნილი რეჟიმები).

დემოკრატიზაციის პირველი ტალღა იყო ნელი და გრძელი, მას არ მოუცვია დიდი რაოდენობის ქვეყნები. ის დაიწყო მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ამერიკული და ფრანგული რევოლუციებით. საფრანგეთსი პირველად მოიპოვა ხმის უფლება ყველა მამაკაცმა 1792 წელს. მაგრამ შემდგომში საფრანგეთი მერყეობდა

დემოკრატიულ და არადემოკრატიულ რეჟიმებს შორის. ამერიკის შეერთებულ შტატები გააუქმეს მონობა მხოლოდ სამოქალაქო ომის დროს 1863 წელს, და 1960-იან წლებამდე არ შემნილა შავკანიანი მოქალაქის არჩევნებში მონაწილეობის რეალური საფუძველი. პირველ მსოფლიო ომამდე ევროპაში ყველაზე ძლიერ სახელმწიფოებს არადემოკრატიული ქვეყნები წარმოადგენდა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიწები განაწილებული იყო ავსტრო-უნგრეთის, გერმანიის, რუსეთისა და ოტომანთა იმპერიებს შორის. ათ-თხუთმეტ ქვეყანას მთელ მსოფლიოში თუ დაერქმეოდა დემოკრატიის სახელი, რომელთა დიდ ნაწილს წარმოადგენდა ყოფილი ბრიტანული კოლონიები, ისეთები, როგორებიცაა ავსტრალია, კანადა და ახალი ზელანდია. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ახალი სახელმწიფოების შექმნამ შეამცირა არადემოკრატიული იმპერიების რაოდენობა, მაგრამ დემოკრატიების ზრდას დიდად ხელი არ შეუწყო. თუ დემოკრატიას განვსაზღვრავთ როგორც რეჟიმს, რომელშიაც ზრდასრულ მამაკაცთა უდიდეს ნაწილს აქვს ხმის უფლება და მთავრობა სახალხოდაა არჩეული, 1922 წლისთვის ამგვარი რეჟიმი იყო 21, რაც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რაოდენობის თითქმის ნახევარს შეადგენდა. მაგრამ პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის გულუბრყვილო რწმენა, რომ ომის შედეგად დემოკრატიებს მსოფლიოში უსაფრთხო გარემო შეექმნათ, მალე გაქარწყლდა. იტალიაში დამყარდა ბენიტო მუსოლინის ფაშისტური რეჟიმი, ბალტიისპირეთიდან ბალკანებამდე ძალაუფლება აიღეს სამხედრო და სამოქალაქო დიქტატორებმა, რუსეთში სტალინის ხელისუფლება ტოტალიტარიზმის გზით კომუნიზმის მიღწევას უმიზნებდა. ასევე ტოტალიტარული, ნაცისტური რეჟიმი დაამყარა გერმანიაში ადოლფ ჰიტლერმა. მეორე მსოფლიო ომისთვის დემოკრატიულ ქვეყანათა რაოდენობა შემცირდა ათეულამდე, და დემოკრატია გახდა მმართველობის არატიპიური ფორმა.

დემოკრატიზაციის მეორე ტალღა დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 1962 წლისთვის დამოუკიდებელი ქვეყნების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა ყოფილი კოლონიების ხარჯზე. ზოგიერთმა ყოფილმა კოლონიამ (მაგ. ინდოეთმა) შემოიღო თავისუფალი არჩევნები, უმეტესობამ კი ამა თუ იმ სახის არადემოკრატიული რეჟიმი მიიღო. საარჩევნო დემოკრატიების რაოდენობამ ოცდათექვსმეტს მიაღწია. დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა დემოკრატიაზე აიღეს გეზი, ხოლო აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ქვეყნები საბჭოთა გავლენის ქვეშ მოექცნენ. და თუმცა აბსოლუტურ ციფრებში დემოკრატიათა რაოდენობა გაიზარდა, ფარდობითად თუ შევხედავთ, დამოუკიდებელ ქვეყანათა მხოლოდ 32%-ში ტარდებოდა თავისუფალი არჩევნები. დემოკრატიზაციის მეორე ტალღას მოყვა უკუსვლა ლათინურ ამერიკაში და აზიაში სამხედრო რეჟიმების მომრავლებასთან ერთად. 1973 წლისთვის მხოლოდ ყოველ მეოთხე ქვეყანას მსოფლიოში ჰქონდა თავისუფალი არჩევნების ჩატარების პრეტენზია.

მესამე ტალღა დაიწყო ხმელთაშუა ზღვის ქვეყებიდან 1974 წელს. პორტუგალიისა და საბერძნეთის ავტორიტარული რეჟიმების დამხობას მოყვა

გენერალ ფრანკოს სიკვდილი ესპანეთში და ამ ქვეყანაშიც დემოკრატიზაციის დაწყება. ეს ტალღა სულ უფრო მეტ რაოდენობას ქვეყნებისა აღწევდა, და 1989 წელს ბერლინის კედლის მსხვრევამ მასში ხარისხობრივად ახალი, გრადამტეხი ეტაპი აღნიშნა. საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მსხვრევას მოყვა ცხრამეტი ახალი ქვეყნის შექმნა. 1995 წლისთვის ახალ დემოკრატიათა რაოდენობამ 117-ს მიაღწია. მსოფლიო ისტორიაში პირველად ქვეყანათა უმრავლესობა შეიძლება აღიწეროს როგორც ნახევრად თავისუფალი მაინც, ვინაიდან მათში ტარდება თავისუფალი არჩევნები.

ტალღური მოძრაობის მეტაფორა გულისხმობს გარკვეულ უკუტალღებს და „დე-დემოკრატიზაციას," რომელიც უნდა მოყვეს დემოკრატიზაციის პიკს. მართლაც, ამ უკუტალღის ნიშნების შემჩნევა შეიძლება. არჩევნები შეიძლება ტარდებოდეს ქვეყანაში, რომელშიაც პოლიტიკური პარტიები შეიძლება ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდნენ, ხმების დათვლა სწორად არ ხორციელდებოდეს, მთავრობა არ იყოს ანგარიშვალდებული პარლამენტის და შესაბამისად ხალხის წინაშე, ხოლო კანონი მხოლოდ ქაღალდზე არსებობდეს. თუ რეჟიმის ამგვარ მახასიათებლებსაც გავითვალისწინებთ, მაშინ შესაძლებელია მათი დე-დემოკრატიზება მოგვანიშნებდეს უბრალოდ იმაზე, რომ მათთვის დემოკრატიის სახელის დარქმევა შესაძლოა ნაჩქარევი იყო.

საშუალო ქვეყანა მსოფლიოში დღესდღეობით არის არც სრული დემოკრატია, არც სრულიად დესპოტია. ამერიკული ფონდი „თავისუფლების სახლი" ზომავს დემოკრატიას მსოფლიოში თავისუფლების ინდექსის გამოყენებით, რომელშიაც შედის 21 სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლების პარამეტრი. ეს პარამეტრები მნიშვნელოვანია არა მარტო არჩევნებთან დაკავშირებით, რაც იძლევა დემოკრატიის მხოლოდ საარჩევნო დემოკრატიად გაგების აცილების შესაძლებლობას. ქვეყნები განლაგდება ერთიან 7-ქულიან შკალაზე და ხვდებიან სამიდან ერთ კატეგორიაში:თავისუფალი, ნახევრად თავისუფალი და არათავისუფალი. თავისუფალი რეჟიმები ვარირებს ანგლო-ამერიკული და დასავლურ ევროპული დამკვიდრებული დემოკრატიებიდან ახალ, არა მთლად სარწმუნოდ დამკვიდრებულ პოსტ-კომუნისტურ დემოკრატიებამდე, როგორებიცაა, მაგალითად, რუმინეთი და ბულგარეთი.

ნახევრად თავისუფალი ქვეყნები არ არიან სრულიად დემოკრატიულები. ამგვარი რეჟიმები მოიძებნება ყველა კონტინენტზე. თავისუფლებისა და რეპრესიების ხარისხი ვარირებს შედარებით ღია პოლიტიკური სისტემებიდან, როგორებიცაა რუსეთისა და ბრაზილიის სისტემები უფრო შეზღუდულ თავისუფლებამდე, რომელიც სინგაპურს ან კუვეიტს ახასიათებს. არათავისუფალი ქვეყნები დღესდღეობით უმცირესობას წარმოადგენენ, თუმცა კი ქვეყანათა საერთო რაოდენობის მეოთხედს აჭარბებენ. ყველაზე ნაკლებად თავისუფალ ქვეყანათა რიცხვში შედის ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ჩინეთი, კუბა, საუდის არაბეთი, ტაჯიკეთი და თურქმენეთი.

1989 წელს ჰანტინგტონისეულ მესამე ტალღას შეუერთდა მრავალი ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპიდან და თვით საბჭოთა კავშირიც. ამ რეგიონის პოლიტიკური მოწყობის სტრუქტურიდან გამომდინარე, მოსკოვიდან წამოსული ლიბერალიზაციის პირველი ბიძგის საპასუხოდ დემოკრატიზაციის პროცესმა ყველაზე მძლავრად და სწრაფად რეგიონის პერიფერიები მოიცვა (პირველ რიგში აღმოსავლეთ ევროპა), ხოლო შემდგომ უკუტალღის სახით რეგიონის ცენტრს მიუბრუნდა.

საბჭოთა კავშირის მსხვრევამ და კომუნისტური ბლოკის გაქრობამ სრულიად ახალი სიტუაცია შექმნეს მსოფლიოში დემოკრატიისა და დემოკრატიზაციის თვალსაზრისით. დასავლეთის ლიბერალურ დემოკრატიას აღარ დარჩა იდეოლოგიური მეტოქე, რომელიც თვით დემოკრატიას საფრთხეს უქმნიდა. დღეს დასავლეთს, ერთის მხრივ, აღარა ჰყავს მეტოქე, რომელიც, თუნდაც თეორიულად, მის იდეალებსა და არსებობის წესს საფრთხეს უქმნიდეს, ხოლო მეორეს მხრივ, დასავლური ტიპის დემოკრატია დღესდღეობით არის მმართველობის ერთადერთი ლეგიტიმური ფორმა, რომლიც ალტერნატივები, თუმცა კი ბლომად არსებობს მსოფლიოში, ნორმატიულად არ აღიქმებიან სასურველ იდეალებად.

1989 წელი გახდა ისტორიული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დემოკრატიზების პროცესში. აღმოსავლეთი ევროპაში იგულისხმება შემდეგი ექვსი ქვეყანა:ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, გდრ (აღმოსავლეთ გერმანია), უნგრეთი, პოლონეთი და რუმინეთი (იუგოსლავია და ალბანეთი, თუმცა კი იყვნენ კომუნისტური ქვეყნები, არ იმყოფებოდნენ საბჭოთა კავშირის უშუალო გავლენის ქვეშ). 1989 წელს ყველა ეს ქვეყანა შევიდა დემოკრატიული გარდაქმნების პროცესით:დაწყებული პოლონეტით, სადაც აპრილში სოლიდარობამ მიაღწია შეთანხმებას კომუნისტურ ხელისუფლებასთან დამოუკიდებელი პროფკავშირების ლეგალურად აღდგენის შესახებ და დამთავრებული რუმინეთით, სადაც დეკემბერში ჩამოგდებულ იქნა ჩაუშესკუს ტირანიული რეჟიმი.

კომუნისტური წყობის „პერესტროიკის“ მსვლელობაში გორბაჩოვმა უარი თქვა ბრეჟნევისდროინდელ „შეზღუდული სუვერენიტეტის“ დოქტრინის დაცვაზე (რომლითაც თავის დროზე გამართლდა ჩეხოსლოვაკიის მოვლენების ჩახშობა). უარის თქმა აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმის ძალით შენარჩუნებაზე გადამწყვეტი მომენტი იყო რეგიონის დემოკრატიზაციის თვალსაზრისით. თვით ამ ქვეყნებს შიგნით სახელმწიფო ძალაუფლებას არ ჰქონდა უნარი და ლეგიტიმურაობა ძალით ჩაეხშოთ ახალი დემოკრატიული ძალები.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკა ისევე იმყოფებოდა მძიმე მდგომარეობაში, როგორც საბჭოთა კავშირის ეკონომიკა. განსაკუთრებულად გაღარიბებული იყო რუმინეთის მოსახლეობა, თუმცა პრობლემები ჰქონდა უფრო მდიდარ ქვეყნებსაც, ისეთებს, როგორებიცაა პოლონეთი და უნგრეთი, რომლებსაც 70-იან წლებში დაუგროვდათ დიდი საგარეო ვალი, ხოლო განხორციელებული ნაწილობრივი ეკონომიკური რეფორმები უშედეგო აღმოჩნდა. ეკონომიკური

სტაგნაციისა და ზოგადად არასახარბიელო ეკონომიკური სიტუაციის ფონზე კომუნისტური რეჟიმის დასუსტების პირველივე ნიშნების კვალობაზე უნგრეთისა და პოლონეთის პარტიების ხელმძღვანელობმა და ბიუროკრატიის ზედა ეშელონებმა წამოიწყეს პრივატიზება, რომლებმაც განსაკუთრებულად დიდ მაშტაბს მიაღწიეს 1988 და 1989 წლებში. ეს მოასწავებდა მბრძანებლური ეკონომიკის დასასრულს, და ანალოგიური ნიშნები შეიმცნეოდა ზოგიერთ სხვა ქვეყნებშიც.

ამ ორ ქვეყანაში ცხადი გახდა პოლიტიკური ლიბერალიზაციის ნიშნებიც. პოლონეთში იარუზელსკიმ გაანთავისუფლა ყველა პოლიტიკური პატიმარი. პროფკავშირები გახდნენ რეალურად მოქმედი ძალა პოლიტიკურ ცხოვრებაში. თავისი როლი შეასრულა კათოლიკურმა ეკლესიამაც. უნგრეთში გაჩნდა ახალი პოლიტიკოსები და პოლიტიკური ძალები როგორც თვით კომუნისტური პარტიის რიგებში, ასევე მის გარეთ, რასაც არ მოჰყოლია რეპრესიები ხელისუფლების მხრიდან.

სულ უფრო ძლერდებისა საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც ახერხებდნენ თვითორგანიზებას და სახელმწიფო ხელისუფლების ოპონირებას. სხვადასხვა ქვეყნებში საზოგადოებრივმა გამოცოცხლებამ განსხვავებული ფორმები მიიღო - უნგრეთში ეს იყო დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება, პოლონეთში - პროფკავშირების ლიდერობა, აღმოსავლეთ გერმანიაში - პროტესტანტული ეკლესია, ჩეხოსლოვაკიაში - ხელოვნების მუშაკები და ინტელექტუალები. მიუხედავად განსხვავებებისა, ყოველივე ეს მიანიშნებდა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას. სამოქალაქო საზოგადოების აშკარა სისუსტემ რუმინეთში უშუალო კავშირში იყო ჩაუშესკუს ძალისმიერ ჩამოგდებასთან და იმ რეჟიმის ავტორიტარულ ხასიათთან, რომელიც უშუალოდ ამ ჩამოგდების მერე დამყარდა.

საბჭოთ კავშირის მხრიდან სამხედრო საშიშროების მოხსნის ფონზე მძლავრმა ზეწოლამ, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კომუნისტურმა მმართველობამ ქვეყნის შიგნით მყოფი დემოკრატიული ზალებისგან განიცადა შექმნა ამ რეჯიმების სწრაფი გარდაქმნის შესაძლებლობა. პირველი კომუნისტური რეჟიმი, რომელიც დაეცა, იყო პოლონური. 1989 წელს პარლამენტის არჩევნების ჩატარებამ მოიტანა შეუქცევადი შედეგები და ტადეუშ მაზოვეცკი გახდა პირველი პრემიერ-მინისტრი, რომელიც თავის არჩევას არა-კომუნისტურ ძალებს, სოლიდარობას, უმადლოდა. თუმცა დემოკრატიზაციის მოდელები სხვადასხვა ქვეყნებსი განსხვავებული არმოჩნდა.

აღმოსავლეთ გერმანიის ბედი განსაკუთრებული აღმოჩნდა ამ ქვეყნებს შორის. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან გაერთიანებამდეც და მის შემდეგაც მთელი პოლიტიკური პროცესი მასში აღმოჩნდა დომინირებული დასავლეთ გერმანიასთან გაერთიანების იდეით და შესაბამისი პოლიტიკური ძალებით დასავლეთ გერმანიის მხრიდან. ეს გაერთიანება, რომელიც დაიწყო თავისუფალი არჩევნების ჩატარებით 1989 წლის მარტში, რომლებსიაც სრული გამარჯვება მოიპოვა

ქრისტიან-დემოკრატიულმა გაერთიანებამ, და დასრულდა 1990 წლის 2-3 ოქტომბერს.

მიუხედავად თავისებურებებისა, რომლებითაც ხასიათდებოდა მოვლენები ამა თუ იმ ქვეყანაში, ყველა დემოკრატიულ გარდაქმნას ახასიათებდა შემდეგი საერთო ნიშნები:

- კომუნისტური პარტიის მონოპოლისტური მმართველობითი როლის უარყოფა;

- კონსტიტუციური ცვლილებები ლიბერალური დემოკრატიის დასამკვიდრებლად;

თავისუფალი არჩევნები და საპარლამენტო დემოკრატიული საკანონმდებლო ორგანოს ჩამოყალიბება.

ცვლილებების დაწყებიდან გარკვეული დროისშემდეგ აშკარა გახდა, რომ დემოკრატიზაციის პროცესში ზოგიერთი ქვეყნები წინ უსწრებდენე სხვებს გარდაქმნების გზაზე. პირობითად პოსტ-კომუნისტური ქვეყნები შეიძლება გავაერთიანოთ ორ ჯგუფში:

ჯგუფი 1: ჩეხეთის რესპუბლიკა (შეიქმნა 1993 წელს ჩეხოსლოვაკიის ორ ნაწილად - ჩეხეთის რესპუბლიკად და სლოვაკიად დაყოფის შედეგად), უნგრეთი და პოლონეთი;

ჯგუფი 2: ბულგარეთი, სლოვაკია და რუმინეთი

პირველი ჯგუფის ქვეყნებსი სედარებით სწრაფად დამკვიდრდა კონსტიტუციური რეჟიმი და მრავალპარტიული სისტემა, ჩატარდა თავისუფალი არჩევნები, თვისობრივად შეიცვალა მმართველობა და დამკვიდრდა ფუძემდებლური სამოქალაქო თავისუფლებები. მეორე ჯგუფის ქვეყნებმა გამიცადეს კომუნისტური წყობიდან გამოსვლის უფრო მზიმე გზა. სამოქალაქო თავისუფლებები, ხელისუფლების უმტკივნეულო გადაცემა და მმართველობის არაავტორიტარული პრაქტიკის დამკვიდრება მათთვის უფრო ძნელი აღმოჩნდა.

ამ სხვაობების მიზეზების დასადგენად მრავალი ფაქტორის დასახელება შეიძლება, მათ შორის:

1. კულტურული სხვაობები და ისტორიული განვითარება (ოტომანთა იმპერიის- თურქების გავლენის კვალი მეორე ჯგუფის ქვეყნებზე)

2. სოციო-ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალი დონე პირველი ჯგუფის ქვეყნებში;

3. კომუნისტური მმართველობა მეორე ჯგუფში იყო უფრო სტაბილური, მაშინ როცა პირველში ადგილი ჰქონდა იდეოლოგიურ რევიზიონიზმს, პოლიტიკურ არასტაბილურობას, კომუნისტურ რეფორმიზმს;

4. პირველი ჯგუფის ქვეყნებში შედერებით ძლიერი იყო სამოქალაქო საზოგადოება

5. პირველ ჯგუფში კომუნისტური რეჟიმიდან გამოსვლაში დიდი როლი შეასრულეს სამოქალაქო მოძრაობებმა, ხოლო მეორე ჯგუფში ცვლილებების ინიციატორი დიდწილად თვით მმართველი ელიტის წრეში წარმოიშვა.

მთლიანად რეგიონის შედარება სხვა რეგიონებთან, ისეთებთან, როგორებიცაა სამხრეთ ევროპა ან ლათინური ამერიკა მეტად ბევრ კითხვას ბადებს, და არაცალსახად ფასდება სხვადასხვა ავტორებს მიერ გარკვეული ფუძემდებლური სხვაობების გამო. პოლ ლევისის აზრით (იხ. დემოკრატიზაცია, პოტერის რედაქტირებით) ეს სხვაობები არის შემდეგი (სხვა მიდგომა იხ. მაგალითად ადამ პრჟევროსკის Mდგრად დემოკრატიაში). ჯერ ერთი, პოსტკომუნისტური გარდაქმნები ეს იყო იმავდროულად გარკვეულწილად პოსტტოტალიტარული, და არა უბრალოდ პოსტავტორიტარული გარდაქმნები. ამდენად გარკვეული ურთიერთობები სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ძალებს შორის, რომლებიც პოსტავტორიტარულ გარდაქმნებში დიდ როლს თამაშობენ, აქ თითქმის არ იგრძნობოდა. ვითარებას მართავდა მეტწილად გარეშე ფაქტორები, და არა შიდა ძალები, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სამხრეთ ევროპასა და ლათინურ ამერიკაში. ამასთან დემოკრატიზაცია არ იყო ცალკე აღებული პროცესი, არამედ მას თან ახლავდა ეკონომიკური გარდაქმნები, მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლა. ასევე, სამხრეთ ევროპისგან და ლათინური ამერიკისგან განსხვავებით, დემოკრატიული მმართველობის ადრინდელი გამოცდილება ამ ქვეყნებში ან არ არსებობდა, ან შორეული ისტორიის ნაწილს წარმოადგენდა.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ელემენტები იმ თეორიებისა, რომლებიც ადრეული ტრანზიტების შესწავლის ბაზაზე წარმოიშვა, გამოდგება ამ რეგიონისთვისაც. ასე, ელიტების სტრატეგიები კარგად ხსნიან იმ სწრაფ დემოკრატიზებას, რომელიც განიცადეს უნგრეთმა და პოლონეთმა. ამ ქვეყნებში ელიტა იყო დაყოფილი და მას მოუწია მოლაპარაკება და დემოკრატიული პაქტების დადება. მძლავრმა სამოქალაქო საზოგადოებამ არა მარტო შეზღუდა კომუნისტური ელიტების მოქმედების არეალი, არამედ გააძლიერა კონტრ-ელიტების პოტენციალი და იმ ლიდერების გავლენა, ვინც ლიბერალურ რეფორმებს მოითხოვდა.

ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიზაცია სხვა მოდელით წარიმართა, თუმცა კი არანაკლები წარმატებით. რეჟიმი ბოლომდე დარჩა ავტორიტარული, ელიტებში დაყოფა არ იგრძნობოდა და საზოგადოებაშიც არ იყო ძლიერი ოპოზიცია. ამან ხელი არ შეუშალა დემოკრატიულ გარდაქმნებს. გარკვეული ფაქტორები მისთვის ხელშემწყობი არმოჩნდა. მოდერნიზაციის და სოციო-ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე, რომლებიც ამ ქვეყანას გააჩნდა, გვაფიქრებინებს, რომ მოდერნიზაციის თეორიებს აქვთ გარკვეული პოტენციალი დემოკრატიზაციის პროცესების საკვლევად ქვეყნების ამ ჯგუფში. დემოკრატიზაციის უფრო ნელი ტემპი ბულგარეთსა და რუმინეთში შეიძლება აიხსნას როგორც შესაბამისი ელიტების ფაქტორით, ასევე ამ ქვეყნებში მოდერნიზაციის უფრო დაბალი ხარისხით.

იმისთვის რომ გავიგოთ და ავხსნათ მიმდინარე პროცესი, გავერკვეთ რატომ იყო დემოკრატიზაცია ძლიერი იმპულსი ზოგ ქვეყანაში, ხოლო სუსტი ან თითქმის არ არსებული სხვაგან, რატომ განვითარდა ან შეჩერდა ეს პროცესი სხვადასხვა

ქვეყნებში, საჭიროა წინასწარ კარგად განისაზღვროს ჩვენი დაკვირვების საგანი და გამოიკვეთოს პრობლემები და მეთოდები.

უპირველეს ყოვლისა გვესაჭიროება სამუშაო დეფინიციები, კონცეპტები და შესაბამისი შედარებითი მეთოდები. უნდა გამოიკვეთოს ფენომენები, იდეები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ დემოკრატიზაციასთან მიმართებაში. იდეები და განმაზოგადებელი ახსნები მიმართებაში არიან თეორიულ მიდგომებთან.

ჩვეულებრივ გამოყოფენ პოლიტიკური რეჟიმების ხუთ ტიპს. სამი ძირითადი:ლიბერალური დემოკრატია, ნაწილობრივი დემოკრატია და ავტორიტარიზმი.; და ორი მარკერი: უშუალო და მონაწილეობრივი დემოკრატია.

ძირითადი განსხვავებები ამ ხუთ რეჟიმის ტიპს შორის დაკავშირებულია სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ატრიბუტებთან.

სახელმწიფო, მაქს ვებერის მიხედვით ხასიათდება, როგორც ერთობა ინსტიტუციური მოდელებისა (ნიმუშებისა) და პოლიტიკური ორგანიზაციებისა - მაიძულებელი (იძულებითი), ადმინისტრაციული, ლეგალური - რომლებიც განსხვავდებიან საზოგადოებაში სხვა ორგანიზაციებისაგან იმით, რომ აქვთ შესაძლებლობა მოახდინონ მონოპოლიზება ძალის ლეგიტიმური გამოყენებისა მოცემულ ტერიტორიაზე. სახელმწიფო - ეს არის შედარებით მყარი, გრძელვადიანი შემადგენელი ნაწილი გლობალური პოლიტიკური ლანდშაფტისა.

სამოქალაქო საზოგადოება, განსხვავდება სახელმწიფოსაგან და არის სფერო, რომელსაც ავსებენ - არაიძულებითი, ნებაყოფლობითი ასოციაციები და აგრეთვე ქსელი ურთიერთობებისა, რომელიც ყალიბდება ოჯახის, რწმენის, ინტერესებისა და იდეოლოგიის საფუძველზე. სახელმწიფოსგან გამიჯნული ეს ქსელი მოიცავს, მაგ.: პროფკავშირებს, სოციალურ მოძრაობებს, კოოპერატივებს, სამეზობლოებს, საზოგადოებებს, რომლებიც ხელს უწყობენ გარკვეულ ინტერესებს. პოლიტიკური პარტიებიც შემოდიან გარკვეული თვალსაზრისით ამ სფეროში, თუმცა ისინი არიან ნაწილი აგრეთვე სახელმწიფოსი.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო არ აღვიქვათ, დავინახოთ, როგორც ტოტალურად „გამოყოფილი“ (გამიჯნული) სამოქალაქო საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებასთან მიმართებაში. სახელმწიფო ჩართულია ყოველდღიური ცხოვრების რეპროდუქციაში და შესაბამისად არსებობს გადაკვეთა, „გადახლართვა“ სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოსი.

მთავარი განსხვავება ლიბერალურ დემოკრატიას, ნაწილობრივ დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს შორის დაკავშირებულია სახელმწიფოს ორ ძირითად ატრიბუტთან - ანგარიშვალდებული მთავრობა და თავისუფალი/გამჭირვალე არჩევნები, - და სამოქალაქო საზოგადოების ორ ძირითად ასპექტთან - სამოქალაქო/პოლიტიკური უფლებები და ასოციაციების ავტონომია.

ლიბერალური დემოკრატია არის ტიპი რეჟიმისა, რომელშიც სავალდებულო, შემზღუდველი წესების და პოლიტიკის (policy) შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება

არა მთელი საზოგადოების მიერ, არამედ წარმომადგენელთა მიერ, რომელნიც ანგარიშვალდებულნი არიან საზოგადოებისადმი. ეს ანგარიშვალდებულება უპირველეს ყოვლისა ხორციელდება თანასწორი, თავისუფალი, გამჭვირვალე და კონკურენტული არჩევნების მეშვეობით. მოქალაქეებს აქვთ უფლება: გამოხატონ თავისი განსაზღვრული დამოკიდებულება (მკაცრად დასჯის საფრთხის გარეშე) პოლიტიკურ საკითხებზე - ოფიციალურ პირთა, მთავრობის, რეჟიმის, სოციოეკონომიკური წესრიგის და პრევალირებული იდეოლოგიის კრიტიკის ჩათვლით; და ჩამოაყალიბონ ფარდობითად დამოუკიდებელი ასოციაციები; პოლიტიკური პარტიებისა და ინტერესთა ჯგუფების ჩათვლით.

ავტორიტარიზმი - ეს არის პოლიტიკური რეჟიმის ტიპი, სადაც სახელმწიფოს ლიდერები წარმართავენ და არეგულირებენ საზოგადოებრივ ცხოვრებას მოქალაქეებისადმი ანგარიშვალდებულებების გარეშე. არ არის კონკურენტული არჩევნები. მოქალაქენი მოკლებულნი არიან უფლებას ოფიციოზის (ოფიციალურ პირთა), მთავრობის, რეჟიმის, სოციოეკონომიკური წესრიგის, პრევალირებული იდეოლოგიის კრიტიკისა; მოქალაქენი, ვინც გამოთქვამენ ასეთ პოლიტიკურ თვალსაზრისს, ეწევიან რისკს დასჯილ იქნან მკაცრად სახელმწიფოს უსაფრთხოების ძალების მიერ. ინფორმაციის ალტერნატიული წყაროები მოქალაქეებისთვის არ არსებობს ან ოფიციალურად არ არის ნებადართული; სახელმწიფო საქმეების გასაიდუმლოება ჩვეულებრივია; სახელმწიფოს მიმართ კრიტიკული დამოუკიდებელი ასოციაციების და ორგანიზაციების ჩამოყალიბება და განვითარება არ არის ნებადართული, ხოლო თუ არსებულები ილაპარაკებენ ან იმოქმედებენ სახელმწიფოს სურვილების წინააღმდეგ - დაისჯებიან.

ნაწილობრივი დემოკრატია, ეს არის ტიპი პოლიტიკური რეჟიმისა, რომელშიც ანგარიშვალდებულება მთავრობისა მოქალაქეებისადმი მეტ-ნაკლებად განსაზღვრულია. სამხედროები, ტრადიციული ან სხვა არა არჩეული ფორმირებები (establishments) უარყოფენ, უგულებელყოფენ და ზღუდავენ ეფექტს არჩევნებისა და ინაწილებენ ხელისუფლებას არჩეულ მთავრობასთან. არჩევნები ტარდება, მაგრამ ისეა ორგანიზებული, რომ გარანტირებულია მხოლოდ ზოგიერთი კანდიდატის არჩევა. ოპოზიციური პარტიები შეიძლება არსებობდნენ და შეიძლება გარკვეული გავლენაც ჰქონდეთ, მაგრამ საარჩევნო სისტემა ისეა ორგანიზებული, რომ ისინი ნორმალურად, როგორც წესი ვერასოდეს მოიგებენ არჩევნებს და ვერ ჩამოაყალიბდებენ მთავრობას. არსებობს შეზღუდვები თავისუფალი გამოხატვის უფლებისა და ალტერნატიული ინფორმაციის მიღებისა. ზოგიერთი, სახელმწიფოსადმი კრიტიკული ასოციაცია და ორგანიზაცია არსებობს, მაგრამ სახელმწიფო ყურადღებით ახორციელებს მათზე ზედამხედველობას.

ლიბერალური დემოკრატია არის გარკვეული თვალსაზრისით შეზღუდული დემოკრატია, თუმცა არაიმდენად, როგორც მონაწილეობრივი. ამიტომაც ჩვენ შემოგვაქვს ორი მარკერი დემოკრატიზაციის ტერმინოლოგიაში, რომლებიც

აღნიშნავენ, წარმოაჩენენ დემოკრატიის იმ ფორმებს, რომლებიც პრინციპში ცდებიან, გარკვეულად აჭარბებენ ლიბერალურ დემოკრატიას.

მონაწილეობრივი დემოკრატია ფიგურირებს ზოგიერთი თანამედროვე სოციალური მოძრაობის პროგრამებში, თუმცა ჯერ არ არსებობს მონაწილეობრივი დემოკრატიის რეჟიმი სახელმწიფოს დონეზე. მისი მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ ლიბერალურ დემოკრატიებში მოქალაქეთა პოლიტიკური მონაწილეობა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში (policy decisions), რომლებიც პირდაპირ ზემოქმედებენ მათ ცხოვრებაზე, შემოიფარგლება ხმის მიცემით დროდან დრომდე არჩევნებში. მონაწილეობრივი დემოკრატია ავრცობს და აღრმავებს ლიბერალურ დემოკრატიას, როგორც სახელმწიფო, ასევე სამოქალაქო საზოგადოების სფეროში, რთავს რა ხალხის უმრავლესობას პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის მხარს უჭერს, მაგალითად თვალსაზრისს, რომ დემოკრატიული ანგარიშვალდებულების სფერო გასცდეს სახელმწიფოსა და მთავრობას და გავრცელდეს ეკონომიკურ საწარმოებზე, სამუშაო ადგილებზე, ლოკალურ საზოგადოებებზე და მეურნეობაზე.

პირდაპირი დემოკრატია:ლოკალურმა ერთობებმა [community] შეიძლება აირჩიონ ფართო წარმომადგენლობები ადმინისტრირებისა და კონტროლისათვის, შემდეგ - მათი წარმომადგენლობები ნაციონალური ინსტიტუტების დონეზე. ამ ვითარებაში მთელი ვერტიკალი შეიძლება დაიკავოს ერთმა პარტიამ. ის რომ ეს მოდელი უფრო წინ წასულია ვიდრე ლიბერალური დემოკრატია - ძალიან სადავოა (გავს საბჭოების სისტემას რაღაცით).

დემოკრატიზაციის შინაარსი - პოლიტიკური ცვლილებები დემოკრატიის მიმართულებით - ეს არის მოძრაობა დროში ნაკლებად ანგარიშვალდებულიდან მეტად ანგარიშვალდებული მთავრობისაკენ, ნაკლებად კონკურენტული (ან არარსებული) არჩევნებიდან თავისუფალი და გამჭვირვალე კონკურენტული არჩევნებისაკენ, მკაცრად აკრძალულიდან (ან შეზღუდულიდან) კარგად დაცული სამიოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისაკენ, სუსტი (ან არარსებული) ავტონომიური ასოციაციებიდან უფრო ავტონომური და უფრო მრავალრიცხოვანი ასოციებისაკენ სამოქალაქო საზოგადოებაში.

ლექცია 14

ლექცია: რელიგიური ფუნდამენტალიზმი

ვაჰაბიზმის იდეოლოგია

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში, საერთაშორისო ისლამურ ტერორისტულ მოძრაობაში ახალი ეტაპი იწყება. 1990 – იანი წლებიდან, საერთაშორისო ისლამურ ფუნდამენტალურ მოძრაობაში ლიდერობა მოიპოვეს, ისლამის სუნიტური მიმართულების ვაჰაბიზმის იდეოლოგიურ საფუძველზე შექმნილმა და მოქმედმა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა.

დღეს ვაჰაბიზმი საერთაშორისო ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების ქსელის იდეოლოგია, საკმაოდ პრობლემატურია მთელი მსოფლიოსათვის, მათ შორის საქართველოსთვის.

ვაჰაბიზმის, როგორც რელიგიური და საზოგადოებრივ – პოლიტიკური მიმდინარეობის წარმოშობა დაკავშირებულია, საუდის არაბეთის ტერიტორიაზე, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრებ მუჰამედ იბნ ალ – ვაჰაბის სახელთან. მის მიერ შექმნილი სუნიტური ისლამის ეს მიმდინარეობა, საუდის არაბეთში დღესაც გაბატონებულ რელიგიურ მიმართულებას წარმოადგენს. მისი მიმდევრები თავს „სალაფიტებს“ (სუფთა), „მუვაჰედუნი“ (ერთღმერთიანებს), ან მუსლიმანებს (მორწმუნე) უწოდებენ. ვაჰაბისტების აზრით, ისლამს საფუძვლად მხოლოდ ორი რამ: ყურანი და სუნა – მუჰამედის გამონათქვამები, ქცევა უდევს. მათი შეხედულებით წინასწარმეტყველი მუჰამედი იყო ჩვეულებრივი ადამიანი. ამიტომ, არ უნდა მოხდეს მისი გაღმეთება. ისინი უარყოფენ ისლამს დამატებულ ადგილობრივ ტრადიციებს, წმინდანების კულტებს, ყოველგვარ წარმართულ

გადმონაშთებს, მაგიას, ჯადოქრობას. თვლიან რომ არ შეიძლება ადამიანების განსხვავება, წარმოშობის და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. ეს მოძღვრება არეგულირებს ადამიანის საქციელს – აძლევს რჩევას, ფაქტიურად კი უწესებს დოგმად როგორ ჩაიცვას, მოიქცეს საზოგადოებაში. ვაჰაბიტებს ეკრძალებათ თამბაქოს, ჰაშიშის მოწევა, კრიალოსნის ხმარება, ხმამაღალი სიმღერა, ცეკვა და სხვა. ამ მოძღვრების მიხედვით ნებისმიერი ადამიანი, ვინც ლოგიკურად აზროვნებს მივა „ერთღმერთიანობამდე“ და, თუ მიიღებს ვაჰაბიზმს, გახდება ჭეშმარიტი მორწმუნე მუსლიმანი.

ვაჰაბიზმმა წარმოშობისთანავე კარგი დასაყრდენი იპოვა არაბეთის ნახევარკუნძულის ოაზისებში. XIX საუკუნეში იგი ფართოდ გავრცელდა დღევანდელი

პაკისტანის და ავღანეთის ტერიტორიებზე, იქ, სადაც ინგლისი ცდილობდა გაბატონებული მდგომარეობის მოპოვებას. ვაჰაბიზმი გამოყენებულ იქნა, არაბეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ბედუინების ტომების გამაერთიანებელ იდეოლოგიად. ვაჰაბიზმის დროშის ქვეშ გაერთიანებული ბედუინების ძალები მიმართულ იქნენ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ საბრძოლეველად.

ისტორიას თუ გადავხედავთ, ვაჰაბიზმთან თავისი არსით ახლოს მდგომი, სუნიტური ისლამური რელიგიური მიმართულებების გამოყენება, მუსლიმანი მმართველების მიერ დაპყრობითი ომების წარმოებისას ადრეც ხდებოდა. XIV საუკუნეში მუსლიმანი ღვთისმეტყველების იბნ – ტაიმიის და იბნ ალ – კაიმიის შროემბი, ნააზრევი საფუძვლად დაედო ისლამის ერთ – ერთ მიმდინარეობას ჰანიფიზმს. ძირითადი არსი მდგომარეობდა მონოთეიზმში, ანუ ერთღმერთიანობის აღიარებაში. ეს მოძღვრებაც უარყოფდა შემდგომ პერიოდში, ისლამურ სარწმუნოებას მიმატებულ წმინდანების კულტს, წარმართულ გადმონაშთებს და სხვა დანამატებს.

ისტორიულად, ისლამის გავრცელება მსოფლიოში იარაღის ძალით, წარმოადგენდა ჭეშმარიტი მუსლიმანის რელიგიურ მოვალეობას. ომი ყოველთვის ითვლებოდა სამართლიანად თუ მიზანი, ხალხის „ჭეშმარიტ რწმენაში“ მოქცევა იყო. ვაჰაბიზმში, როგორც საერთაშორისო ისლამური ტერორიზმის იდეოლოგიაში, ორი მნიშვნელოვანი დებულება დევს – „ტაკფირზე“ და „ჯიხადზე“ (საღვთო ომი). „ტაკფირი“ ნიშნავს, რომ ყველა ვინც არ ეთანხმება ვაჰაბისტებს, არ არის ჭეშმარიტი მუსლიმანი. მათი აზრით, ასეეთი მუსლიმანები არიან რჯულისაგან გადახვეულები და ამ გადახვევისათვის, შარიათის კანონებით სიკვდილით უნდა დაისაჯონ. „ჯიხადი“ – ბრძოლა ურწმუნოების წინააღმდეგ კი, თითოეული მუსლიმანის მოვალეობაა. ეს ორი დებულება აქცევს ვაჰაბიზმს იმ საშიშ ძალად, რაც მისი იდეოლოგიის საფუძველზე მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაციებს აყენებს, საერთაშორისო ისალმური ტერორისტული მოძრაობის სათავეში.

არსებობს, XXI საუკუნის მსოფლიო პოლიტიკაში ვაჰაბიზმის შეჭრის და საერთაშორისო ისლამური ტერორიზმის იდეოლოგად ქცევის რამოდენიმე ვერსია. პირველი ვერსიის მიხედვით, იგი დაკავშირებულია 1979 წელს საბჭოთა ჯარების მიერ ავღანეთს ოკუპაციასთან. ავღანეთში ფაქტობრივად მიმდინარეობდა სსრკ–ს და დასავლური სამყაროს ფარული ომი. დასავლეთის სახელმწიფოების სპეცსამსახურების აზრით, ავღანეთში მცხოვრები ისალმის სახვადასხვა მიმართულების მაღიარებელი, უამრავი ეთნიკური ჯგუფები საჭიროებდნენ ისეთ იდეოლოგიას, რომელიც მათ გააერთიანებდა პროსაბჭოთა რეჟიმის და რუსული ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთ იდეოლოგიად მიჩნეულ იქნა ვაჰაბიზმი, რადგან იგი XIX საუკუნიდან, ფართოდ იყო გავრცელებული დღევანდელი პაკისტანის და ავღანეთის ცალკეულ ტერიტორიებზე მცხოვრებ, ადგილობრივ მოსახლეობაში.

აღსანიშნავია, რომ როგორც ისტორიკოსების ნაწილი მიიჩნევს, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, გარკვეული მოსაზრებების გამო, მის ფართოდ გავრცელებას ხელი ინგლისელმა დიპლომატებმა შეუწყვეს.

ამასთან ერთად, ავღანეთის ომში ამერიკამ და ინგლისმა დაინახეს სხვადასხვა სახის ბერკეტები, რომლითაც შეიძლებოდა სსრკ–ს დესტაბილიზაცია. ერთ – ერთ ასეთ ბერკეტად მიიჩნიეს, შუა აზიის საბჭოთა რესუბლიკებში რედიკალური ისლამის ამ მიმართულების გავრცელება. მას აღნიშნულ ტერიტორიებზე ისტორიულად კარგი დასყრდენი გააჩნდა. კერძოდ, კი XVII – XIX საუკუნეებში შუა აზიაში გავრცელდა და დამკვიდრდა, სუნიტური ისლამის ერთ – ერთი მიმართულება „მუდჟადდიდია“, რომელსაც ვაჰაბიზმთან ბევრი საერთო შეხების წერტილი ჰქონდა. შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკებს, დასავლეთის ქვეყნების ანალიტიკოსები იმ პერიოდში თვლიდნენ სსრკ–ს „აქილევსის ქუსლად“. ტერიტორიად, სადაც შეიძლებოდა, ცალკეული ფაქტორების გამოყენებით დესტაბილიზაციის კერების შექმნა. ავღანეთის ომის დაწყებიდან მალევე, ერთ – ორ წელიწადში, შუა აზიაში გაჩნდა უამრავი მოხეტიალე რელიგიური მქადაგებელი. ისინი უკიდურესი, რადიკალური, ფუნდამენტალური ისლამური იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ. ამ ტერიტორიებზე, 1980–იანი წლების დასაწყისში რადიკალური სუნიტური ისლამური მოძრაობის მოულოდნელი გამოცოცხლება კგბ–მ საეჭვოდ მიიჩნია. საბჭოთა სპეცსამსახურები ძალიან „დაინტერესდნენ“ შუა აზიის სიტუაციით. იქ არსებული კორუმპირებული კლანების მოსპობის საბაბით, ხელისუფლებაში დაიწყო „რუსული ელემენტის“ გაძლიერება, სხვადასხვა რანგის ადგილობრივი ჩინოვნიკების დაპატიმრებები, სპეცოპერაციები. 1980–იანი წლების შუა ხანებში შუა აზიაში, კავკასიაში რელიგიურ – ეთნიკური დაპირისპირებები საკმაოდ სწრაფად გაძლიერდა და გადაიზარდა ლოკალურ ომებში. ეს მოვლენები იქცა, ერთ – ერთ მნიშვნელოვან კატალიზატორად დანარჩენი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, რომ დაეწყოთ ბრძოლა სსრკ–ს შემადგენლობიდან გასვლისათვის.

ამ ვერსიის მომხრეები თვლიან, რომ „ცივ ომში“ სსრკ–ს დამარცხების და ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გასვლის შემდეგ, ვაჰაბიზმმა ყველაზე უფრო ფანატიკოსი მიმდევრების მეშვეობით, გააგრძელა დამოუკიდებელი არსებობა. იგი ავღანეთის ომში მებრძოლი არაბული და სხვა ქვეყნების მოხალისე მუსლიმანი ვეტერანების, ბენ ლადენის მსგავსი ლიდერობის უნარის მქონე ადამიანების მიერ, ნელ – ნელა იქცა საერთაშორისო ისლამური ტერორიზმის იდეოლოგიად. ამჟამად მისი მეთაურობით, როგორც მუსლიმანების გამაერთიანებელი იდეოლოგიის მეშვეობით, მიმდინარეობს ისლამური სამყაროს დაპირისპირება დასავლურ სამყაროსთან.

მეორე ვერსიის თანახმად, მსოფლიო პოლიტიკაში ვაჰაბიზმის შეჭრა მომზადებული იყო 1970–იანი წლების ბოლოს, ინგლისის და საუდის არაბეთის

სპეცსამსახურების მიერ. ინგლისმა და მასთან დაახლოებულმა, ნავთობით მდიდარმა არაბულმა ქვეყნებმა, ეს რელიგიური მიმართულება აირჩიეს, მსოფლიოში თავისი გავლენის გაძლიერების იარაღად. საქმე იმაშია, რომ თანამედროვე მსოფლიოში ნავთობი წარმოადგენს გეოსტრატეგიული პოლიტიკის უმთავრეს გასაღებს. დღეს უცილობელი ჭეშმარიტებაა – ვის ხელშიცაა ნავთობი, მის ხელშია მსოფლიოზე კონტროლი. ინგლისი 1980 წლისათვის კარგავს ირანს, სადაც ნავთობის მოპოვების უდიდესი წილი მისი კომპანიების ხელში იყო. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ირანის მმართველობიდან პროდასავლელი შახის წასვლა შედიოდა, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს ამერიკის ინტერესებში. ასეთი პოლიტიკით, ამერიკამ შეძლო მსოფლიოს ბატონობისთვის ბრძოლაში, ერთ – ერთი მეტოქის, ამჟამად მოკავშირის ინგლისის ჩამოშორება.

მესამე და საკმაოდ საინტერესო ვერსიის მიხედვით, ვაჰაბიზმის გაძლიერება მსოფლიოში, რადიკალური შიიტური ისლამური მოძრაობის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული. ანალიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ 1980 – იან წლებში ამერიკამ და დასავლეთის ქვეყნებმა სცადეს, ირანის მიერ შიიტური ისლამის იდეოლოგიით დაწყებული „ჯიხადის“ დაბალანსება, სუნიტური ისლამის რადიკალური მიმართულების ვაჰაბიზმის იდეოლოგიით მოქმედი, საერთაშორისო ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების გაძლიერებით. ამ ქვეყნების სპეცსამსახურების აზრით, სუნიტური ისლამის ეს მიმართულება, შემოიკრებდა ისლამურ ტერორისტულ ორგანიზაციებს, იარსებებდა სპეცსამსახურების კონტროლის ქვეშ და იქნებოდა მართვადი.

ვაჰაბიზმის თანამედროვე სახით ჩამოყალიბების, გავრცელების, აქტივობის, სხვადასხვა ძალის მიერ საკუთარი მიზნებისათვის გამოყენების შესახებ ვერსიები ბევრია. ფაქტი კი ისაა, რომ ამჟამად ვაჰაბიზმი მწყობრად ჩამოყალიბებული, მსოფლიოში გაბატონების მოსურვე რელიგიურ – პოლიტიკური მიმდინარეობაა, ხოლო „ალ – ქაედა“ – მისი პოლიტიკის ისნტრუმენტი, ტერორიტული ომის მეთოდებით. ტერორისტული ხერხებით მებრძოლი, საერთაშორისო ისლამური ტერორისტული ორგანიზაცია.

ტერორისტული ომის არსი

ანალიტიკოსების აზრით „დაბალი ინტესივობის“, „არარეგულარულმა“ ომებმა დაიკავეს ჩვეულებრივი ომების ადგილი. ასეთი ომების არსი, მშვიდობიანობის დროს მოწინააღმდეგე ქვეყნის წინააღმდეგ პერმანენტული ბრძოლაა. ადრე ჩვეულებრივი ომის დროს, მოწინააღმდეგის მორალურ – ფსიქოლოგიურ გამოფიტვას, დემორალიზაციას, დამარცხებას ახდენდნენ მისი ცოცხალი ძალის ფიზიკური განადგურებით, ინფრასტრუქტურის მოსპობით, ტერორიტული ომისას კი მოწინააღმდეგე არ ჩანს. ისინი თავდასხმებს ახორციელებენ იდეოლოგიური,

ფსიქოლოგიური, ინფორმაციული შეტევების, ასევე ლოკალური, პარტიზანული ომების თვისებების გაერთიანებით, ტერორიზმის დამახასიათებელ მეთოდებთან და ხერხებთან.

ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ბოლო წლებში განხორციელებული, ტერორისტული აქტების სიმრავლიდან და ზრდის ტენდეციიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს ომების წარმოების ახალ XXI საუკუნისთვის დამახასიათებელ ფორმასთან – ტერორისტულ ომთან. ასეთი სახის ომი, მეცნიერული პროგრესის განვითარებასთან ერთად შეიძენს, უფრო ახალ, დახვეწილ და კაცობრიობის არსებობისათვის საშიშ ფორმებს. საჭიროა ტერორისტული ომის აშკარა თუ პოტენციური მსხვერპლი სახელმწიფოების სამხედრო დოქტრინებში ცვლილებების შეტანა. დასავლეთისა და ისლამური სახელმწიფოების ნაწილს ეს ცვლილებები უკვე შეტანილი აქვთ.

ბოლო ათწლეულებში მსოფლიოში არსებული პოლიტიკური სიტუაციის, სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების ანალიზიდან ჩანს, რომ ტერორისტული ომების წარმოების სტრატეგია წააგავს, ვირუსული დაავადების მოქმედებას. როგორც ცნობილია, ვირუსული დაავადება განვითარების სამ ძირითად ფაზას გადის:

1. პირველ ფაზაში ვირუსი ინერგება უჯრედში.
2. მეორე ფაზაში ვირუსი მოქმედებს დნმ–ზე. უშვებს ტოქსინებს და ებმება უჯრედის მართვის პროცესში. გარეგნულად უჯრედი ამ ეტაპზე ისეთივეა, როგორიც იყო. მიდის ერთი შეხედვით ბუნებრივი ბიოლოგიური პროცესები. გარეშე თვალი ცვლილებებს ვერ ამჩნევს.
3. მესამე ფაზაში უჯრედის მართვას უკვე ვირუსი იწყებს. ის განვითარების გარკვეულ ეტაპზე უჯრედს ან აგვარებს, ან სპობს.

თანამედროვე მსოფლიოში ტერორისტული ომების დროს იგივე სახის პროცესები ვითარდება. მოწინააღმდეგე პირველ ეტაპზე, ვირუსის ანალოგის მსგავსად, იწყებს მოწინააღმდეგე ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერ, ბუნებრივ პროცესებში ჩარევას. აღსანიშნავია, რომ მათ მიერ ჩარევისათვის საჭირო პირობები უმეტესად ხელოვნურად იქმნება. თავდაპირველად სხვადასხვა საშუალებების, მათ შორის ეკონომიური და იდეოლოგიური დივერსიების, ინფორმაციულ–ფსიქოლოგიური ომის კომპონენტების გამოყენებით ხდება, მიზანში ამოღებული ქვეყნის დასუსტება. შემდეგ, ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური დახმარების საბაბით, სპეცსამსახურების, თუ სხვა დაინტერესებული ძალების მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები, ფონდები, ცალკეული მიმართულების რელიგიური და ჰუმანირატული მისიები, აღნიშნულ სახელმწიფოში აფუძნებენ თავის ფილიალებს.

მეორე ეტაპზე, საზოგადოებრივი განვითარების ბუნებრივი პროცესების ზოგადი სახე, ამ ქვეყნებში შენარჩუნებულია. ისტორიის ობიექტური ანალიზიდან ცნობილია, რომ სახელმწიფოს შიგნით არსებული საზოგადოებრივ–პოლიტიკური ერთიერთობების რევოლუციურ მსხვრევას, სოციალურ–ეკონომიურ კრიზისს, ასევე თანამედროვე გლობალიზაციის პროცესს, თან სდევს ადამიანების სულიერი დეგრადაცია. ჩნდება მოთხოვნილება სულიერი შიმშილის დასაკმაყოფილებლად. სწორედ, ასეთი ცარიელი სივრცე ხელოვნურად ივსება, დაინტერესებული მხარის მიერ ათასგვარი რელიგიური და სხვა იდეოლოგიური დატვირთვის მქონე ლიტერატურით. მისი გავლენის ქვეშ მყოფი, რელიგიური თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მთავარი მიზანი, ხომ არა დახმარება, არამედ მოცემულ ქვეყანაში საზოგადოებრივი განვითარების ბუნებრივი პროცესების მიზანმიმართული შეცვლაა.

მოსახლეობაში ძველი სტერეოტიპების დასამსხვრევად და ახალი სტერეოტიპების დასამკვიდრებლად, ღირებულებათა ხელოვნური ცვლის პროცესის დასაჩქარებლად გამოიყენება, კარგად დამუშავებული პოლიტიკური მართვის ტექნოლოგიები. რევოლუციური სახის ცვლილებებს კი ანხორციელებენ, ადამიანის ცნობიერებაზე ზემოქმედების უდიდესი ხარისხის მქონე, ტერორისტული აქტების სერიების მეშვეობით. სხვადასხვა საბაბით პერმანენტულად ეწყობა და მიმდინარეობს დემონსტრაციები. ხდებ, ხელოვნურად ეგზალტირებული მოსახლეობის შეჯახაბების პროვოცირება, ხელისუფლების ძალისმიერ სტრუქტურებთან.

მესამე ეტაპზე, ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილის ცნობიერება უკვე დამუშავებულია. მომხდარია ძველი ტრადიციული ღირებულებების, მენტალიტეტის მსხვრევა. მოსახლეობის სხვდასხვა ფენებს შორის დამყარებულია იდეოლოგიური ერთობა, თუნდაც რელიგიური შეხედულებების სახით. ხელისუფლების მმართველი რგოლი კი დემორალიზებულია.

სწორედ ტერორიტული ომის დამახასიათებელი სტრატეგიით და ტაქტიკით ანხორციელებენ თავის საქმიანობას, საერთაშორისო ისლამური, ვაჰაბისტური მიმართულების იდეოლოგიური საფუძვლის მქონე ტერორისტული ორგანიზაციები, რომელთა შორის წამყვანი ადგილი „ალ–ქაედას“ უკავია.

„ ალ – ქაიდა“ მატერიალურ ტექნიკური საშუალებები და დაფინანსება

ანალიტიკოსების აზრით, დღეს „ალ – ქაედა“ ემყარება, როგორც სრტუქტურით, ასევე ტაქტიკით ომის წარმოების ახალ კონცეფციას. ამერიკელი ანალიტიკოსების კონცეფციებით ამ თანამედროვე – „კონცეპტუალური“, რუსების კი – „არარეგულარული“ ომების დროს იყენებენ ე.წ. „ასიმეტრიულ იარაღს“. „ასიმეტრიული იარაღის’ არსი უმაღლესი ტექნოლოგიების, მეცნიერულ – ტექნიკური პროგრესის მიღწევების მეშვეობით, მოწინააღმდეგე ქვეყნების მოსახლეობის ცნოებიერებაზე ზემოქმედებაში, საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებაში მდგომარეობს. დღეს

მეცნიერულ – ტექნიკური პროგრესის სწრაფი განვითარებიდან გამომდინარე, ომების ისტორიულად ცნობილი სახით წარმოება აღარ ხდება. კაცობრიობის არსებობის მთელ მანძილზე ომის დროს იყო მტერი და მოწინააღმდეგე. არსებობდა ზღვარი მშვიდობიან პერიოდს და ომს შორის. ახლა მტერს და მოკავშირეს, ომსა და მშვიდობას შორის გამყოფი ხაზი დაკარგულია. მოწინააღმდეგეები უცაბედად ჩნდებიან და ქრებიან, მოულოდნელად აყენებენ ერთმანეთს დარტყმებს. დარტყმები ხორციელდება იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური, საინფორმაციო, ლოკალური, პარტიზანული ომების თვისებების, ტერორიზმის დამახასიათებელ მეთოდებთან და ხერხებთან გაერთიანებით. აქედან გამომდინარე, ადგილი აქვს მეომრების ტრადიციული მომზადების ფორმების შეცვლასაც. მომავალში შეიძლება მეომრების შეძენა – რეკრუტირება, გაწვრთნა, იდეოლოგიური მომზადება მოხდეს არა მარტო საწვრთნელ ბაზებში, არამედ ინტერნეტის მეშვეობით. ინტერნეტის გამოყენებით ადვილია მსოფლიოს ცალკეულ რეგიონში შექმნილი ტერორიტული ორგანიზაციების, საბრძოლო უჯრედების ერთმანეთთან დაკავშირება, მათ შორის მუდმივი კავშირის უზრუნველყოფა. ტერორისტული ოპერაციების ისე დაგეგმვა, რომ მიიღონ მაქსიმალური შედეგი. „ალ – ქაიდას“ ტერორისტს მიღებული აქვს არა მარტო უმაღლესი განათლება, არამედ კარგადაა დაუფლებული სამეცნიერო – ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, უმაღლეს ტექნოლოგიებს. დღეს, ფაქტობრივად განხორციელდა, „ალ – ქაიდას“ უსწრაფესი გადასვლა, იდუსტრიული ერიდან ინფორმაციულ ერაში.

დღევანდელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, იქცნენ „ასიმეტრიული იარაღის“ შემადგენელ ნაწილად, რომლის მეშვეობით დაინტერესებული ძალები მიზანმიმართულად, იოლად ახერხებენ, გარკვეული სახის ინფორმაციის „ჩადებას“ ადამიანებსი ცნობიერებაში. „ალ – ქაიდამ“ მოახდინა „საერთაშორისო ისლამური საინფორმაციო ცენტრის“ ფორმირება. ცენტრს შექმნილი აქვს, ე. წ. „ისლამური საინფორმაციო ფრონტი“. ინტერნეტში ღიად ვრცელდება „ალ – ქაიდას“ მიმდევრების და ამ მოძრაობას მიკუთვნებული ტერორისტული ორგანიზაციების მოწოდებები. ასევე ღიად მიმდინარეობს ვაჰაბისტური იდეების პროპაგანდა, ახალი წევრების გადაბირება. აქ სპეციალურ საიტებზე მოთავსებულია დაახლოებით ათას გვერდიანი ენციკლოპედია „ჯიხადზე“. მისი გარკვეული თავები პირდაპირაა გადაწერილი XX საუკუნის სამოციანი წლების ამერიკულ სამხედრო აკადემიებში გამოყენებული სასწავლო წიგნებიდან. საიტებზე მოთავსებულია ტერორისტული აქტების მოწყობის, მძევლების აყვანის ოპერაციების დასაგეგმი დაწვრილებითი ინსტრუქციები. გამოქვეყნებულია კურსები: „ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადება“, „ავტომობილების დანაღმვა“, „ფსიქოლოგიური ჯიხადი“, „ელექტრონული ჯიხადი“ და

სხვა. ხდება ასევე ტერორისტული ჯგუფების განცხადებების, მოწოდებების და სტრატეგიის გამოქვეყნება.

ისლამური ტერორიზმის მსოფლიოში ერთ – ერთი უდიდესი ექსპერტის, შოტლანდიის ქალაქ სენტ – ენდრიუსის უნივერსიტეტთან არსებული „ტერორიზმის და პოლიტიკური ძალადობის შესწავლის ცენტრის“ დირექტორის მ. რანსტორპის აზრით, საქმე უფრო ცუდადაა ვიდრე, წამყვანი სახელმწიფოების ანტიტერორისტული სპეცსამსახურების ექსპერტებს ჰგონიათ. იგი თავის გამოკვლევაში – „ალ – ქაიდა“ კიბერსივრცეში: „ ტერორიზმის გამოწვევა ინფორმაციულ ეპოქაში“, აანალიზებს ამ ორგანიზაციის მიერ თანამედროვე თანამგზავრული ტელეფონების, ინტერნეტის გამოყენების მასშტაბებს. მისი აზრით, ტერორისტები ინტერნეტს მხოლოდ ინფორმაციის გასაცვლელად, მითითებების გასაცემად, ან პრპაგანდისათვის არ იყენებენ. რანსტოპი თვლის, რომ ინტერნეტის მეშვეობით შესაძლებელია ტერაქტების ჩადენა, უფრო სწორედ, ტერაქტების შედეგების მიღწევა კომპიუტერების გამოყენებით. მაგალითად, დასავლეთის ქვეყნებში ინტერნეტის მეშვეობით, კომპიუტერულ მართვაზე აყვანილი წყალგაყვანილობის ქსელის, მდინარეების, წყალსაცავების ჯებირების მოშლა. ასევე დასაშვებია ნავთობსადენების, გაზსადენების, ატომური ელექტროსადგურების მწყობრიდან გამოყვანა და ეკოლოგიური კატასტროფების მოწყობა. მისი აზრით, ასევე დასაშვებია „ალ – ქაიდას“ რომელიმე ქვედანაყოფის მიერ ე. წ. „ბინძური“ ბირთვული ბომბის დამზადება. ასეთი ტიპის ბომბი იწვევს დიდი ტერიტორიის რადიაციით დაბინძურებას. ინგლისის სპეცსამსახურების ინფორმაციით „ალ – ქაიდას“ უკვე აქვს „ბინძური“ ბომბი. ტერორისტებმა მასზე ადრევე დაიწყეს მუშაობა ავღანეთის ქალაქ გერტის ლაბორატორიაში, ამერიკელების მინაცემებით „ალ – ქაიდას“ კუთვნილ შენობაში აღმოჩენილია ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც „ბინძური“ ბომბის გაკეთებას სჭირდება.

სხვადასხვა სახის ინფორმაციებით, „ალ – ქაიდა“ დღესაც დაინტერებულია ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაქტიული იარაღის გამოყენებით ტერაქტების განხორციელებაში. ცდილობს რადიაქტიული ელემენტების შემცველი ნივთიერებების შეძენას. კონფიდენციაული ინფორმაციის თანახმად, ამ მოძრაობის ემისრები საქართველოში ცდილობდნენ ე. წ. „წითელი ვერცხლისწყლის“ შეძენას. დასახელებული ნივთიერება გამოიყენება „ბინძური“ ბირთვული ბომბის დასამზადებლად. 2004 წლის ნოემბერში ცსს–ს მიერ კონგრესში გაგზავნილ იქნა მოხსენება – „მომავალში ტერორისტული საშიშროების ზრდის შესახებ“. მის ოფიციალურ არასაიდუმლო ნაწილში აღნიშნულია, რომ ტერორისტული ჯგუფები დაიწყებენ ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოაქტიური ნივთიერებების გამოყენებას ტერორისტული აქტის იარაღად. გახშირდება მცირემაშტაბიანი ტერორისტული

აქტები თვითნაკეთი, სხვადასხვა ქიმიკატებიდან იოლად მიღებადი მომწავლელი ნივთიერებების მეშვეობით.

თანამდეროვე ისლამური ტერორიზმის ინგლისელი ექსპერტები თვლიან, რომ „ალ – ქაიდამ“ შესაძლოა განახორციელოს ახალი ტიპის და ხასიათის ტერორისტული აქტები. მაგალითად, თავდასხმა სავაჭრო ფლოტზე, ნავთობმზიდ ტანკერებზე. მოადინოს ერთგვარი „დიდი აფეთქება“, რომელიც მსოფლიო სახოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდება. ნავთობის გადამტანი დიდი ტანკერების აფეთქებამ, შესაძლოა გამოიწვიოს ამ ტიპის ტრანსპორტის მუშაობის ნაწილობრივი პარალიზება და გააძნელოს ნედლეული ნავთობის ექპორტი აზიიდან ევროპაში, ამერიკაში. სავარაუდოდ ამ მიზნით გადიოდნენ წყალქვეშა წვრთნებს, „ალ – ქაიდას“ ტერორისტული ქსელის წევრები ჰოლანდიაში 2005 წელს. ასეთი მომზადების ტერორისტებს შეუძლიათ მოახდინონ წყალქვეშ გამავალი ნავთობსადენების, ან კომუნიკაციის საშუალებების აფეთქება. ამ უკანასკნელის დაზიანებით შეძლებენ ინფორმაციული მომსახურების სფეროს, მათ შორის ინტერნეტის ქსელის გლობალური მაშტაბით მწყობრიდან გამოყვანას. ზემოთდასახელებული სახის ტერორისტული დარტყმები, ფაქტიურად მსოფლიოს უამრავ ქვეყანაზე ერთდროული თავდასხმის ტოლფასი იქნება.

ამრიგად, დღეს „ალ – ქაიდას“ ადვილად შეუძლია სხვადასხვა სახის დღემდე უცნობი საშუალებითა და იარაღით მსხვილი ტერაქტის ორგანიზება.

დაფინანსება

საერთაშორისო ტერორისტული მოძრაობის არსებობა, მასში შემავალი ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობა შეუძლებელია საიმედო თავშესაფრის, სასწავლო ბანაკების, სამხედრო საქმის მცოდნე სპეციალისტების, კარგი შეიარაღების და დაფინანსების გარეშე.

1950 – 1990 – იან წლებში მოქმედ უფრო ორგანიზებულ, დისპლინირებულ მემარცხენე და მემარჯვენე იდეოლოგიის მქონე ტერორისტულ ორგანიზაციებს, დამნაშავეთა სამყარო კონკურენციას ვერ უწევდა. შესაბამისად, ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსების მთავარ წყაროდ იქცა ნარკობიზნესი, აზარტული თამაშები, რეკეტი, იარაღით, ძვრიფასი ქვებით ვაჭრობა და სხვა. 1970 – 1990 – იან წლებში აქტიურად მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციები კრიმინალური ბიზნესით ნაშოვნ ფულს, ხშირად ათეთრებდნენ ოფშორულ ზონებში, ან თავისი კონტროლის ქვეშ მყოფი ბანკების, ფირმების, საწარმოების მეშვეობით. „გათეთრება“ უმეტესად ხდებოდა მსოფლიოს იმ კრიზისულ რეგიონებში, სადაც შესუსტებული იყო სახელმწიფოს კონტროლი ბანკების საქმიანობაზე. მაგალითად, ასეთ ტერირტორიებად 1990 – იანი წლებიდან სსრკ – ს ყოფილი ტერიტორია, ასევე აღმოსავლეთ ევროპის

ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები – იუგოსლავია, პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და სხვები იქცნენ.

„ალ – ქაიდას“ დაფინანსების ძირითად წყაროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მოიაზრება ის სამას მილიონიანი მემკვიდრეობა, რომელიც მიიღო ბენ – ლადენმა. ექსპერტების უმეტესობა თანხმდება, რომ „ალ – ქაიდას“ დაარსების დღიდან, მისი დაფინანსების ძირითადი წყარო იყო და რჩება არაბეთის ნახევარკუნძულის ნავთობით მდიდარი სახელმწიფოები. უპირატესად საუდის არაბეთის მცხოვრები მდიდარი შეიხები. ვარაუდობენ, რომ „ალ – ქაიდას“ დაფინანსებაში დიდ როლს ასრულებენ ასევე, ამ ქვეყნების ოფიციალური სტრუქტურები. საერთოდ, საუდის არაბეთის მოსახლეობაში ფართოდაა გავრცელებული რადიკალური რელიგიური შეხედულებები. ქველმოქმედება კი ითვლება არაბული და კონკრეტულად საუდის არაბეთის კულტურის შემადგენელ ნაწილად. არ დაგვავიწყდეს, რომ ვაჰაბიზმი ამ სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია და იდეოლოგიაა. ვაჰაბიზმის დებულებებზეა აგებული სახელმწიფო სტრუქტურა, ადამიანთა ურთიერთობების სისტემა. არაბი შეიხების ზღაპრული სიმდიდრე სათავეს იღებს, ნავთობის გაყიდვიდან. ისინი ერთის მხრივ, დამიკიდებული არიან დასავლურ ქვეყნებზე, მეორეს მხრივ კი, საამაყოდ მიაჩნიათ „ურწმუნოების“ წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი წვლილის შეტანა. ამ მიზნით მდიდარი არაბები გასცემდნენ შეწირულობებს სხვადასხვა ისლამურ საერთაშორისო ფონდებში. ეს ფონდები თავის მხრივ აფინანსებდნენ, რადიკალურ, ექსტრემისტულ სუნიტურ ორგანიზაციებს, მათ შორის „ალ – ქაიდას“.

ექსპერტების აზრით, ისლამურ ექსტრემისტულ დაჯგუფებებს გარკვეულწილად აფინანსებდნენ ორგანიზაცია „ისლამური კონფერენციის“ საბანკო სტრუქტურები, „განვითარების ისლამური ბანკი“, კერძო ისლამური ბანკი „დარ ალ – მალ ალ – ისლამი“, არაბული ნავთობის ექსპორტიორების „განვითარების ფონდი“, „აფრიკის განვითარების არაბული ბანკი“, „ეკონომიური და სოციალური განვითარების არაბული ბანკი“ და სხვები.

შეგახსენებთ არსებობს ვერსია, რომ ვაჰაბიზმის გავრცელება და მის საფუძველზე წარმოშობილი ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობა დაკავშირებულია, ნავთობით მდიდარი არაბული ქვეყნების სტრატეგიასთან. კერძოდ, მათ სურვილთან ტერორისტული ომის მეშვეობით შეინარჩუნონ და გაზარდონ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასები. ამას გარკვეულწილად ადასტურებს, მსოფლიო ნავთობით მდიდარ რეგიონებში: ერაყი, ჩრდილოეთ კავკასია, აფრიკა, ინდონეზია და სხვაგან მიმდინარე პროცესები. კერძოდ, სამოქალაქო დაპირისპირება, ლოკალური ომები, გახშირებული ტერორისტული აქტები. დღეს, ერაში და საუდის არაბეთში ნავთობის ინფრასტრუქტურაზე განხორციელებულ ტერორისტულ დარტყმებს, შედეგად მოსდევს მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების ზრდა. ნავთობის გაძვირებით

ზემოგებებს იღებენ მისი ექსპორტიორი ქვეყნები. ანალიტიკოსების ნაწილი თვლის, რომ არაბული სახელმწიფოები, სწორედ ამ ზემოგების ნაწილს იყენებენ ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების, მათ შორის „ალ – ქაიდას“ დასაფინანსებლად.

„ალ – ქაიდას“ ორგანიზაციული სტრუქტურის განხილვისას, ავღნიშნეთ, მის მმართველ ცენტრალიზებულ სტრუქტურაში არსებობდა ორი ქვეკომიტეტისგან შემდგარი საფინანსო კომიტეტი. საფრანგეთის სპეცსამსახურების აზრით, ეს მეტყველებდა ფინანსური შეწირულობების დიდ მაშტაბებზე ამ ორგანიზაციაში. ანალიტიკოსების ნაწილი კი თვლის, რომ „ალ – ქაიდას“ არ ყოფნიდა შეწირულობები, რადგან სხვადასხვა დაფინანსების, იარაღის და ოპერატიული საქმიანობისთვის საჭირო აღჭურვილობის შეძენას, დიდი თანხები სჭირდებოდა. 1990 – იანი წლების დასაწყისში ბენ – ლადენი, დაფინანსების გაზრდის მიზნით ისლამურ ქვეყნებში და პირველ რიგში სუდანში, ლეგალურ ბიზნესში სდებდა დიდ ფულად თანხებს. მიღებულ მოგებას იგი „ალ – ქაიდას“ ახმარდა. მეტიც, ბენ – ლადენმა უზარმაზარი თანხები დააბანდა ამერიკის და სხვადასხვა დასავლური ქვეყნების ეკონომიკაში. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, დღეს ნაწილობრივ სწორედ დასავლური ქვეყნებიდან მიღებული შემოსავლებით ფინანსდება, ამავე სახელმწიფოების მოქალაქეების წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტები.

დღესაც, როცა “ალ – ქაიდა“ მოქმედებს დეცენტრალიზებული სტრუქტურით, კვლავ აქვს შემორჩენილი მომგებიანი კომერციული ორგანიზაციები. იგი იღებს თანხებს მისი „მფარველობის“ ქვეშ მყოფი საწარმოებიდანაც. მათგან შემოსავლის მიღება საკმაოდ მარტივია. ისლამურ, ან დასავლეთის ქვეყნებში მდებარე, წარმოშობით არაბების, მუსულმანების საწარმოებს, თუ უნდათ ნორმალურ რეჟიმში მუშაობა, არ გაანადგურონ მათი წარმოების ინფრასტრუქტურა, იძულებული არიან „კეთილ – შობილური“ მიზნით გასცენ „შეწირულობა“ „ალ – ქაიდასთვის“. ტექნიკურად ეს ასე ხორციელდება – მათ „შეწირული“ თანხა „ნებაყოფლობით“ შეაქვთ ეგვიპტეში, ინდოეთ – პაკისტანის საზღვარზე ან რომელიმე დასავლური ქვეყნის დიდ ქალაქში მდებარე, „ალ – ქაიდას“ იდეოლოგიური გავლენის ქვეშმოქცეულ მეჩეთებში. აქედან ფული ხვდება „ალ – ქაიდას“ ემისრებთან, მათგან კი „ალ – ქაიდას“ ანგარიშებზე.

ცენტრალიზებული სტრუქტურით საქმიანობის დროს, „ალ – ქაიდა“ ფულს ცენტრალიზებული წესით ანაწილებდა. ამ მიზნით გამოიყენებოდა ჩვეულებრივი ბანკებიც. ბანკებში იხსნებოდა კერძო პირების ანგარიშები. ადგილობრივი საბანკო სისტემის თუ ძალისმიერი სტრუქტურების მოქრთამული თანამშრომლების მეშვეობით ხდებოდა ფულის გატანა. გარკვეულ შემთხვევაში კი არსებობდა ფიქტიური ფირმები, რომლებიც ხსნიდნენ ანგარიშებს და ანხორციელებდნენ უსაქონლო ოპერაციებს. არსებობდნენ სპეციალური ემისრები, ვისაც ფული

გადაჰქონდა რამოდენიმე ქვეყნის საზღვრების გავლით. გამოიყენებოდა ასეთი გზაც, სახელდობრ ყიდულობდნენ ისეთ საქონელს, რომელზეც მუდმივი მოთხოვნილებაა და ადვილად უკეთდება რეალიზაცია. მაგალითად, აფრიკაში იზენდნენ ალმასებს და შესაბამის ქვეყნებში ჩაჰქონდათ. ასეთი ხერხებით დიდი ფულადი სახსრების მოძრაობას არიდებდნენ ოფიციალურ საბანკო სტრუქტურებს. იყენებდნენ ასევე ფულის გადაადგილების ძველ არაბულ არაფორმალურ სისტემას – „ჰავალა“. მისი არსი მდგომარეობს ურთიერთნდობის საფუძველზე, სხვდასხვა ქვეყანაში მცხოვრები, ე. წ. „ჰავალდეგერების“ მიერ ნებისმიერი თანხების, ყოველგვარი დოკუმენტის გაფორმების გარეშე გადაცემაში.

აღსანიშნავია, რომ „ალ – ქაიდას“ ქსელთან რამდენადმე დამოკიდებული ისლამური ტერორიტული ორგანიზაციები, რომლის წევრებს გავლილი ჰქონდათ მომზადება „ალ – ქაიდას“ საწვრთნელ ბანაკებში, გამოირჩევიან დაფინანსების მეტ – ნაკლები სტაბილური წყაროებით. ამ ბანაკებში მოჯახედების გონებრივად განვითარებული ნაწილის მიერ, ბიზნესის წარმოების შესწავლამ საშუალება მისცა, ავტონომიურად მოქმედ ტერორიტულ ორგანიზაციებს იოლად მოახდინონ ფულადი სახსრების მობილიზება.

თანამდეროვე ისლამური ტერორიზმის ექსპერტების აზრით, დღეს „ალ – ქაიდას“სუნიტური მიმართულების ალჟირულ, ეგვიპტურ თუ ინდონეზიურ ორგანიზაციებს აფინანსებენ ცალკეული სახემწიფოებიც. მათ შორის არიან, არა მარტო არაბეთის ნახევარკუნძულის, ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები, არამედ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს შიიტური ირანი.

სუდანურ – ავღანური განვითარებების ეტაპები

სსრკ – ს საჯარისო ფორმირებების ავღანეთიდან გასვლის შემდეგ, „ალ – ქაიდამ“ თავის მიზნად გამოაცხადა, საერო რეჟიმების დამხობა არაბულ სახელმწიფოებში. ამ ქვეყნებში უნდა მომხდარიყო შარიათზე – ისლამურ ნორმებზე და წესებზე აგებული ისლამური, სასულიერო მმართველობის დამყარება. ორგანიზაციამ მტრად გამოაცხადა ამერიკა, ისრაელი და დასავლეთის ის ქვეყნები, ვინც მათი აზრით უხეშად ერეოდნენ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში. ამ ხანებში „ალ – ქაიდას“ შტაბ – ბინის ადგილმდებარეობაზე ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს. ექსპერტების ნაწილი თვლის, რომ იგი ავღანეთში, ან პაკისტანში მდებარეობდა.

ამავე პერიოდში „ალ – ქაიდა“ იწყებს, თავისი წევრების მსოფლიოს იმ ქვეყნებში გაგზავნას, სადაც ძლიერდებოდა მუსლიმანების გამოსვლები. ავღანეთი, ალჟირი, ეგვიპტე, ერიტრეა, ბოსნია, კოსოვო, იემენი.

1991 წლიდან იწყება „ალ – ქაიდას“ განვითარების II ეტაპი. ბენ – ლადენი დასახლდა სუდანში. ეს ქვეყანა სირიასთან, ლიბანთან და რეგიონში მდებარე სხვა ისლამური ქვეყნების მსგავსად, დიდ მფარველობას უწევდა, განსხვავებული

იდეოლოგიური საფუძვლის მქონე ტერორისტულ ორგანიზაციებს, ცალკეულ ტერორისტებს.

1995 წლის ნოემბერში და შემდეგ 1996 წლის ივლისში, საუდის არაბეთის ქალაქებში ელ – რიადში და დაჰრანში, „ალ – ქაიდას“ წევრებმა მოაწყეს ორი დიდი სიმძლავრის ტერაქტი, მიმართული ამერიკელი ჯარისკაცების წინააღმდეგ. ტერაქტები განახორციელეს დანაღმული სატვირთო ავტომობილების მეშვეობით, რომლებსაც მართავდნენ თვითმკვლელი ტერორისტები – შაჰიდები. სწორედ, ამ დროიდან იწყება უშუალოდ „ალ – ქაიდას“ წარმომადგენლების მიერ, ტერაქტების განხორციელების სერიები ამერიკელების წინააღმდეგ. შაჰიდების გამოყენება ტერაქტებისას კი იქცა „ალ – ქაიდას“ ხელწერად. ამრიგად, 1991 – 1994 წლებში „ ალ – ქაიდა“ პრაქტიკაში ამოწმებდა, ხვეწდა წინამორბედი ტერორიტული ორგანიზაციების ტერორისტულ ტაქტიკას, მეთოდებს, ხერხებს. იკრებდა ძალებს და მოქმედებდა ცენტრალიზებული სტრუქტურებით. მისი ცენტრალიზებული სტრუქტურები არ იქცა ზეწოლის მექანიზმად, ტერორისტული ორგანიზაციის დაბალი რგოლებისათვის. „სუდანის პერიოდში“ „ ალ – ქაიდას“ ანალიტიკოსებმა ასევე შეისწავლეს, შეითვისეს წინამორბედი ტერორისტული ორგანიზაციების საბრძოლო გამოცდილება. მათ შორის მემარცხენე ტერორიტების, პალესტინური და შიიტური ტერორისტული ორგანიზაციების, მაროკოს, ეგვიპტური, ალჟირული და სხვა სუნიტური, ისლამური ექტრემისტული ორგანიზაციების მეთოდები და ხერხები. სწორედ, ამ უკანასკნელი ორგანიზაციების ტერორისტული გამოცდილებიდან აიღეს, შაჰიდების ფსიქოლოგიური მომზადების და ტერორისტული აქტებისას მათი გამოყენების ტაქტიკა. 1995 – 1996 წლებში, „ალ – ქაიდამ“ აქტიურად დაიწყო, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში სამხედრო – საწვრთნელი ბანაკების გახსნა. ამავე პერიოდში, გამოიკვეთა „შრომის განაწილება“ „ალ – ქაიდაში“ გაერთიანებულ სხვადასხვა ეროვნებების წარმომადგენლებს შორის. იდეოლოგიურ მუშაობას ძირითდად აწარმოებდნენ არაბები, პაკისტანელები და ავღანელები. ალჟირელებს იყენებდნენ ყალბი დოკუმენტების დასამზადებლად. ეგვიპტელებს კი სამხედრო – საწვრთნელ ბანაკებში სამხედრო ტექნიკის, სტრატეგიის და ტაქტიკის კურსების ჩასატარებლად. „ალ – ქაიდას“ წევრებმა „სუდანის პერიოდში“ დახვეწეს, სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი ტერორისტული ჯგუფების საქმიანობის კოორდინაციის სისტემა. დაამუშავეს ტერორისტული დარტყმების ერთიანი ტაქტიკა. შემმნეს ადგილობრივ ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის ფულადი სახსრების ცენტრალიზებულად განაწილების, ფულადი გზავნილების საიმედო არხები.

დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს, რომ ამ პერიოდიდან მთელ რიგ ქვეყნებში, „ალ – ქაიდამ“ მისდამი დაქვემდებარებულ ვაჰაბიტურ „ჯამაათებთან“ შექმნა, არა მარტო საბრძოლო უჯრედები, არამედ „დაკონსერვებული“ ჯგუფებიც.

ასეთი ჯგუფების წევრები თუ ცალკეული ინდივიდები აქტიურად არ მოქმედებდნენ. მათი ნაწილის მოვალეობა იყო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, ძალისმიერი სტრუქტურების – პოლიციის, არმიის და სპეცსამსახურების რიგებში შეღწევა. მეორე ნაწილი კი, ოფიციალურ ბიზნეს – სტრუქტურებში ახდენდა ინტეგრირებას. ნაწილი საერთოდ არ აქტიურობდა. ეს უკანასკნელნი რამოდენიმე წლის შემდეგ ეტაპობრივად გახდნენ ადგილობრივი „ჯამაათების“, საბრძოლო უჯრედების წამყვანი წევრები და ლიდერები.

ავღანური პერიოდი

1996 წელს „ალ – ქაიდას“ შტაბ – ბინის გადასვლა ავღანეთში, მოასწავებდა ცვლილებებს მის სტრატეგიაში და ტაქტიკაში. სიმპტომატურია, რომ სწორედ ავღანეთში, 1996 წლის აგვისტოში გააკეთა ბენ – ლადენმა პირველი ოფიციალური განცხადება – გამოსცა „ფეტვა“, რომელიც მუსლიმანებს პირდაპირ მოუწოდებდა ნებისმიერ ქვეყანაში ამერიკელი ჯარიკაცების ფიზიკური განადგურებისაკენ. ამით „ალ – ქაიდამ“ ასე ვთქვათ, ოფიციალურად გამოაცხადა ომის დაწყების შესახებ, ამერიკის და საერთოდ დასავლური სამყაროს წინააღმდეგ. თვითონ „ალ – ქაიდისთვის“ ავღანეთში დამკვიდრება, მომგებიანი ტაქტიკური სვლა აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში ორგანიზაციამ შეძლო, დასავლური სამყაროს ყურადღების ნაწილობრივი გაფანტვა იმით, რომ გააქტიურა თავისი საქმიანობა უზბეკეთში, ტაჯიკეთში, ქაშმირში, ჩეჩნეთში, სებიაში, ბოსნიაში, კოსოვოში და სხვა კრიზისულ ტერიტორიებზე.

„ავღანეთის პერიოდი“ „ალ – ქაიდასთვის“ იქცა, საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციად ჩამოყალიბების მთავარ, გარდამტეხ ეტაპად. სწორედ ამ პერიოდში მიიღო საბოლოო სახე, სამხედრო – სასწავლო ბანაკების პროგრამების, დაფინანსების, მოჯახედების მომზადების სისტემამ. ავღანეთში, როგორც სუდანთან შედარებით უსაფრთხო ტერიტორიაზე, „ ალ – ქაიდას“ ანალიტიკოსებმა საკმაოდ მშვიდად, საფუძვლიანად შეძლეს ტერორის წარმოების სტრატეგიის და ტაქტიკის გადამუშავება, მეთოდების და ხერხების დახვეწა. ამასთან, თუ სუდანის ხელისუფლებაზე მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ამერიკის და დასავლეთის ქვეყნებს შეეძლოთ, ადვილი ზემოქმედების მოხდენა, ავღანეთზე და იქ გაბატონებულ თალიბანის რეჟიმზე ვერ ახერხებდნენ. შესაბამისად „ალ – ქაიდას“ წევრები უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს. „ალ – ქაიდამ“ ავღანეთში თალიბანის რეჟიმის სახით მიიღო რა საიმედო თავშესაფარი, შეძლო დიდი რაოდენობის ახალი თაობის მოჯახედების მომზადება.

ავღანეთში დამკვიდრების შემდეგ, სწრაფად დაიწყო ზრდა ბენ – ლადენის ავტორიტეტმა. „ალ – ქაიდას“ სტრატეგია შეიძლება ორ ნაწილად: I – 1996 – 1998 და II – 1998 – 2001 წლების პერიოდებად დავყოთ.

1996 – 1998 წლებში, „ალ – ქაიდას“ მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად კვლავ დარჩა, მსოფლიოს ცალკეულ რეგიონებში ემისრების გაგზავნა და იქ, რადიკალურ ისლამური მოძრაობების გაძლიერება.

1998 – 2001 წლებში „ალ – ქაიდამ“ აიღო ახალი სტრატეგიული კურსი. იგი გამოიხატა მხდელობაში, მისი ხელმძღვენელობით მომხდარიყო მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი, ისლამის სუნიტური მიმართულების ტერორიტული ორგანიზაციების გაერთიანება, დასავლური სამყაროს წინააღმდეგ საბრძოლველად. მითითებულ პერიოდში, „ალ – ქაიდას“ ავტორიტეტი ისე ძალიან გაიზარდა, რომ ბენ – ლადენის მიერ გამოცხადებული „ფეტვები“ სუნიტებისთვის იღებდა კანონის სახეს. ამ დროისათვის „ ალ – ქაიდამ“ შეძლო, ცალკეულ ქვეყნებში მოქმედი, სუნიტური ისლამური დაჯგუფებების დიდი ნაწილის რადიკალიზაცია და თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა. 1998 წელს 28 მაისს ბენ – ლადენმა ოფიციალურად გამოაცხადა, „ალ – ქაიდასთან“ ერთად, სხვადასხვა ქვეყნაში მოქმედი ისლამური რადიკალური, ექსტრემისტული, ტერორისტული ორგანიზაციების, ჯგუფების გაერთიანება „საერთაშირისო ისლამურ ფრონტში ებრაელების და ჯვაროსნების წინააღმდეგ.“

„ საერთაშორისო ისლამურ ფრონტში“ გაერთიანებულმა ორგანიზაციებმა, 1998 წლის თებერვალში გააკეთეს ერთობლივი განცხადება. მასში მოუწოდებდნენ ამერიკის, მისი მოკავშირე სახელმწიფოების სამხედრო პირების და ჩვეულებრივი მოქალაქეების მკვლელობას ნებისმიერი საშუალებით, ნებისმიერ ქვეყანაში. საერთოდ, მოსახლეობის ცნობიერებაზე უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს სამოქალაქო პირების მკვლელობა, ვიდრე ჯარისკაცების. ამ პერიოდში, განსაკუთრებით 1998 წლიდან, შეიცვალა „ ალ – ქაიდას“ ტაქტიკა. თუ ადრე ტერაქტებს ძირითადად ანხორციელებდნენ „ალ – ქაიდას“ ცენტრალიზებული სტრუქტურები, ნელ – ნელა ასპარეზზე გამოვიდნენ ავღანეთში, „ალ – ქაიდას“ ბანაკებში ნასწავლი მოჯახედები. ისინი იწყებენ „ალ – ქაიდას“ სტრუქტურებისგან დამოუკიდებელ ტერორისტულ საქმიანობას. სიმპტომატურია, რომ „ალ – ქაიდა“ „ავღანეთის პერიოდში“, მის ბანაკებში წვრთნაგავლილ პირებს, არ აიძულებდა უშულოდ თავის ორგანიზაციულ სტრუქტურებში შესვლას. იგი მათ სრულ თავისუფლებას აძლევდა „ურწმუნოებთან“ ბრძოლაში.

1998 – 2001 წლებში ერთის მხრივ, საერთაშორისო მნიშვნელობის ტერაქტები, მეორეს მხრივ, მსოფლიოს ბევრ რეგიონში რადიკალური ისლამური მოძრაობების წარმომადგენლების მიერ, პარტიზანული ბრძოლების ერთდორულად გააქტიურება, ერთი მოვლენის, ერთი ჯაჭვის სხვადასხვა რგოლებს წარმოადგენდა. „ალ – ქაიდას“ ანალიტიკოსები მიხვდნენ, რომ ასეთი ტაქტიკა აძლევდათ საშუალებას, მოეხდინათ ტოტალური ზემოქმედება საერთაშორისო საზოგადოებრიობაზე. მსოფლიოს მიყრუებულ რეგიონებში მომხდარ ტერორისტულ აქტებს და პარტიზანულ

თავდასხმებს, დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საკმაოდ დაწვრილებით აშუქებენ. დასავლური ქვყნების უდიდესი ტელეკომპანიების და საერთოდ მას – მედიის ასეთი ქმედება, ალ – ქაიდასთვის“ ინფორმაციული ომის უფასოდ წარმოების ტოლფასი იყო და არის დღესაც.

ნელ – ნელა, ნაბიჯ – ნაბიჯ „ალ – ქაიდას“ ანალიტიკოსები მივიდნენ აზრამდე, რომ განეხორციელებინათ ისეთი ტერორისტული აქტები, რომელსაც მოყვებოდა საშუალო სიდიდის ომში გამარჯვებით მიღწეული შედეგები. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი სწორედ ასეთ მიზანს ემსახურებოდა. ამ ტერაქტმა მთლიანად შეცვალა, მსოფლიოს დამოკიდებულება საერთაშორისო ისლამური ტერორიზმისადმი.

ლექცია 15

ლექციის თემა: კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა

XXI-ე საუკუნე - ინფორმაციული ურთიერთობების საუკუნეა. გლობალიზაციის ერთ–ერთი შედეგი კომპიუტერიზაციაა. მრავალი სახელმწიფო დარწმუნდა იმ რისკის არსებობაში, რომ კომპიუტერული ქსელები და ელექტრონული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას და- ნაშაულის ჩასადენად და ამგვარ დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულება შეიძლება ინახებოდეს ან გადაიცემოდეს ქსელების მიერ. მსოფლიოსთვის საერთოა ეს გამოწვევა, ყვე- ლა ქვეყანამ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რათა კიბერკონფლიქტებმა და კიბერომებმა ინფორმაციული კატასტროფის წინაშე არ დაგვაყენოს.

კიბერკრიმინალი - დანაშაული ინფორმატიკის სფეროში, სულ უფრო და უფრო გავრცე- ლებული ხდება. კიბერკრიმინალი თანდათანობით ცინიკური, მასშტაბური და ორგანიზებული ხდება. მალე ის მიაღწევს ორგანიზებული დანაშაულის ისეთი ტრადიციული სფეროების მასშ- ტაბებს, როგორიცაა ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობა, პროსტიტუცია.

ექსპერტთა შეფასებით, ყოველწლიურად ხდება ინფორმაციის მოპარვა პლასტიკური ბარათე- ბიდან და საბანკო ანგარიშებიდან, საიდანაც შეიძლება მოიხსნას 8-10 მილიარდი დოლარი, ხოლო ინფორმაციის მოტაცების მცდელობა ყოველწლიურად აღწევს დაახლოებით 2 მილიონ შემთხვევას.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს განხორციელებულმა კიბერშეტევებმა ცხადყო საქარ- თველოში კიბერუსაფრხოების უზრუნველსაყოფად ეფექტური მექანიზმების არსებობის აუცი- ლებლობა. ამასთან, ინფორმაციული ტექნოლოგიების მზარდ გამოყენებასთან ერთად ქვე- ყანაში თანდათანობით იზრდება კიბერდანაშაულის საფრთხე, სულ უფრო პრიორიტეტული ხდება ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა მისი პრევენციისა და გამოძიების გზით.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აქტიური მონაწილეობით, საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სფეროში. დაიხვეწა კანონმდებლობა და მოხდა ევროპის საბჭოს კონვენციასთან მისი ჰარმონიზაცია.

კიბერდანაშაულის ორგვარი გაგება არსებობს. ფართო გაგებით კიბერდანაშაული არის ნებისმიერი დანაშაული, რომელიც კიბერსივრცეში ხდება, ხოლო ვიწრო გაგებით კიბერდანა- შაული არის შეტევა კიბერსაიტებზე, კომპიუტერული სისტემის ხელყოფა კიბერდანაშაული – დანაშაული რომელიც ხდება ინტერნეტ სივრცეში, სადაც კომპიუტერი ან მსხვერპლია ან დანაშაულის იარაღი. უზარმაზარი, უსაზღვრო ინტერნეტ სივრცე, რომელიც მილიონობით ადამიანს აკავშირებს ერთმანეთთან, გამოიყენება არაკანონიერად, ფულის მო- საპარად, დეზინფორმაციის გასავრცელებლად და ა.შ.

არსებობს სხვადასხვა სახის კიბერდანაშაული:

ბავშვთა პორნოგრაფია - კომპიუტერული ქსელის გამოყენება ისეთი მასალების შექმნისა და გავრცელებისათვის, რომელიც სექსუალურ გავლენას ახდენს არასრულწლოვან ბავშვებზე.

კიბერგათეთრება - უკანონოდ მოპოვებული ფულის ინტერნეტ გადარიცხვა, წყაროსა და მიმღების ვინაობის დაფარვის მიზნით.

კიბერქურდობა - ქურდობა კომპიუტერის და ინტერნეტ სივრცის მეშვეობით.

კიბერვანდალიზმი - საინფორმაციო ბაზების განადგურება ან დაზიანება, მათი მოპარვის და გამოყენების ნაცვლად.

კიბერტერორიზმი არის წინასწარგანზრახული, ჩვეულებრივ პოლიტიკურად, იდეოლოგიურად მოტივირებული ძალადობა მოქალაქეთა წინააღმდეგ, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით ან დახმარებით.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ კიბერტერორიზმი და კიბერომი. კიბერტერორიზმი კიბერ- საფრთხეების ერთ-ერთი სახეა და თავისი მასშტაბითა და მიზნებით განსხვადება ისეთი საფრთხეები- საგან, როგორიცაა კომპიუტერული დანაშაულები. თუ კომპიუტერული დანაშაულის დროს კომპიუტე- რულ ქსელებში შეღწევის მიზანი შეიძლება იყოს ინფორმაციის ქურდობა, მუშაობისათვის ხელისშეშ- ლა, გამოძალვა ან ფულის დატაცება, ლოკალური ქსელის დაზიანება ან უბრალოდ, პროფესიული ინ- ტერესი - კოდის გატეხვისა და კომპიუტერში შეღწევისათვის, კიბერტერორიზმის მიზანს წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკური ან ეკონომიკური დესტაბილიზაცია. იგი შეიძლება დახასიათდეს აგრეთვე, რო- გორც საბოტაჟი, სამხედრო ან სამოქალაქო აქტივების მოპარვა პოლიტიკური მიზნებისათვის.

მართალია კომპიტერული დანაშაულების მსგავსად კიბერტერორიზმის დროს ინფორმაცი- ული ტექნიკა და ტექნოლოგიები დანაშაულის ჩადენის საგანი, საშუალება ან იარაღია, მაგრამ თუ ასეთი დანაშაულის ორგანიზება და განხორციელება ხდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევის, მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილების მიღე- ბაზე ზემოქმედების მიზნით ადგილი აქვს კიბერტერორიზმის დანაშაულის შემადგენლობას.

რაც შეეხება ინფორმაციულ ომს, ინფორმაციული ომი უფრო ფართო ცნებაა. ტერმინი „ინ- ფორმაციული ომი“ მე–20 საუკუნის 80–იან წლებში „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ გაჩნდა. მისი აქტიური მოხმარება დაიწყო 1991 წელს განხორციელებული ოპერაციით „ქარიშხალი უდაბ- ნოში“. ინფორმაციული ომის ცნებაში იგულისხმება ინფორმაციული უპირატესობის მისაღწევად განხორციელებული მოქმედება მოწინააღმდეგის ინფორმაციასა და ინფორმაციულ სისტემებზე ზემოქმედებით. ინფორმაციული ომი მოიცავს კიბერომს.

კიბერომს ახასიათებს შემდეგი თავისებურებები: ის მოიცავს ყველა სახის კიბერ სისტემებს; ტერიტორია და სივრცე განუსაზღვრელია – ანუ კიბერომი უსხეულოა, კიბერომი სახელმწიფო საზ- ღვრებსა და ტერიტორიულობის პრინციპს არ ემორჩილება. მიმდინარეობს ომის გამოცხადებით ან მის გარეშე; წარმოებს სპეციალიზირებული სამხედრო ან სამოქალაქო სტრუქტურების მიერ;

კიბერდამნაშავე შესაძლოა იყოს: ა) წინასწარი შეთანხმებული პირთა ჯგუფი; ბ) სამსახურებ- რივი მდგომარეობისა ბოროტად გამომყენებელი; გ) პირი, ვისაც ხელი მიუწვდებოდა სისტემაზე ან მათ ქსელზე.

კომპიუტერული დანაშაულების თავისებურებებს ასახელებენ: ამა თუ იმ ორგანიზაციებისა და კომპანიების ხელმძღვანელი პირები დანაშაულის დაფიქსირების შემთხვევაში მათ სამარ- თალდამცავ ორგანოებთან გამჟღავნებას მეტწილად ერიდებიან. დაფარვის მოტივი მარტივია: ამგვარი ფაქტების გახმაურება ხშირად ორგანიზაციის რეპუტაციის შელახვას ან კლიენტ- თა დაკარგვას იწვევს.

კიბერდანაშაული პირველად ყურადღების ცენტრში XX საუკუნის 70-იან წლებში მოექცა. ამერიკელმა ალფონს კონფესორემ ელექტროგამომთვლელი მანქანის გამოყენებით 602 ათა- სი აშშ დოლარი მოიპარა და მსოფლიო კრიმინალისტიკის ისტორიაში პირველ კიბერდამნა- შავედ იქცა. აღნიშნული ფაქტის შემდეგ ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე დაიწყო ამ ფენომენის გამოკვლევა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ 1977 წელს შეიმუშავეს კანონი ,,ფედერალური კომპიუტერული სისტემის დაცვის შესახებ“

გერმანიაში კომპიუტერული ინფორმაციის სფეროში ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსა- მართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი 1986 წლიდან დადგა. 1993 წელს მსგავსი ცვლი- ლებები განიცადა ჰოლანდიის სისხლის სამართლის კოდექსმაც.

დანაშაულის ეს სახეობა დღეს უკვე იმდენად ”განვითარდა”, რომ ნარკოტიკებისა და იარაღით ვაჭრობის შემდეგ ყველაზე შემოსავლიანად ითვლება. მაგალითად, აშშ-ში ოფი- ციალური მონაცემებით, კომპიუტერული დანაშაულების შედეგად მიყენებული ზარალი წე- ლიწადში საშუალოდ 5 მილიარდი დოლარია, საფრანგეთში-1 მილიარდი ევრო, გერმანიაში კი-4 მილიარდი ევრო. საგულისხმოა მათი ზრდის მაჩვენებელიც: ყოველწლიურად მსოფლი- ოში კიბერდანაშაულებათა რიცხვი 30-40%-ით იმატებს. კიბერდანაშაულებათა კუთხით პირ- ველ პოზიციას 35%-იანი მაჩვენებლით აშშ იკავებს, მეორე ადგილზე ჩინეთია (30%), მესა- მეზე- ბრაზილია (14,3%), სადაც განსაკუთრებით კომპიუტერული ვირუსებია გავრცელებული, მეოთხეზე - რუსეთი (4,1%), ხოლო ”საპატიო ხუთეულს” შვედეთი (3,8%) ასრულებს.

ისეთი განვითარებული სახელმწიფოები, როგორებიც არიან ამერიკის შეერთებული შტა- ტები, იაპონია, დიდი ბრიტანეთი და ევროკავშირის სხვა ქვეყნები, ცდილობენ გააძლიერონ ცნობიერების ამაღლების კამპანია ინდივიდუალურ ინტერნეტ მომხმარებლებს შორის, თუ რო- გორ უნდა დაიცვან მათ თავი კიბერკრიმინალებისაგან. ორგანიზაციები, როგორებიცაა ფედე- რალური გამოძიების სააგენტო, ინტერპოლი და ევროპოლი, ოცდაოთხი საათის განმავლობაში აქტიურად მუშაობენ ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, ანალიზის და გაცვლის კუთხით. ისინი ორგანიზებას უკეთებენ კონფერენციებს, სემინარებს და ტრეინინგებს. ასევე აქვთ სპეციალური ცხელი ხაზები და განყოფილებები, რომელთა საშუალებით დახმარებას უწევენ მოქალაქეებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბოლო წლებში კომპიუტერული დანაშაული ფასდება სართაშორისო, ტრანსნაციონალურ დანაშაულად და მის წინააღმდეგ ბრძოლა მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციისთვის იქცა პრიორიტეტულ მიმართულებად.

გაერო–ს მიერ მიღებულ იქნა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ რეზოლუციები.

დიდ რვიანს შექმნილი აქვს საკონტროლო პუნქტების მუდმივმოქმედი ქსელი, რომლებსაც შეუძლია მიმართოს საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესის მონაწილე ყველა წევრმა კიბერდანაშაულთან დაკავშირებით დაუყოვნებლივი ზომების განხორციელე- ბის მიზნით.

მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ეუთო–ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც ორგანიზაცია წევრ სახელმწიფოებს აძლევს რეკომენდაციას, შეუერთდნენ ევროსაბ- ჭოს მიერ მიღებულ კონვენციას და ,,დიდი რვიანის“ კომპიუტერული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის შექმნილ მუდმივმოქმედ ქსელს. მსგავსი ქსელი ინტერპოლის ფარგლებშიც.

2001 წლის 23 ნოემბერს ქ. ბუდაპეშტში ევროსაბჭოს 41 წევრი სახელმწიფოს მიერ მიღე- ბულ იქნა კონვენცია ,,კიბერდანაშაულის შესახებ“. რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის _ 1 ივლისიდან. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მსოფლიოს მასშტაბით ერთ–ერთ პირველ სერიოზულ მცდელობას ნაციონალური უსაფრთხოების დასაცავად კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანი სტრატეგიის დასახვისა და ურთიერთთანამშრომლობისათის. 2009 წლის მდგომარეობით კონვენციაზე ხელი მოაწერა 46 ქვეყანამ, ხოლო მისი რატიფიცირება განხორციელდა მხოლოდ 26 მათგანში.

ეს კონვენცია პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებაა ინტერნეტით და სხვა კომპიუტე- რული ქსელებით ჩადენილი დანაშაულების შესახებ. მისი მთავარი მიზანი არის საერთო კრი- მინალური პოლიტიკის გატარება, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების დაცვას კიბერკ- რიმინალისაგან. განსაკუთრებით სათანადო კანონმდებლობის შექმნის და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების გზით.

ამერიკელი და ევროპელი ექსპერტების ნაწილი კონვენციის ძირითად ნაკლად იმ თეორიულ საფრთხეს მიიჩნევენ, რომელსაც ეს დოკუმენტი პირადი ინფორმაციის ანონიმურობას უქმნის. კონვენციის მიხედვით, თუ არის ეჭვი, რომ კონკრეტული ინტერნეტ- მომხმარებელი დაკავშირებულია კრიმინალურ საქმიანობასთან, გამოძიებას უფლება აქვს, მოსამართლის ნებართვით, მისი პერსონალური ინფორმაცია მოიპოვოს და თვალი ადევნოს მის პირად კომუნიკაციას. ამ ადამიანმა, შესაძლოა, ვერასოდეს გაიგოს, რომ მას ოდესმე უთვალთვალებდნენ. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში განმარტავენ, რომ საზოგადოებრივი ინტერესი პირადი საუბრის ყველა სახის შელახვას ამართლებს.

კონვენციის რატიფიკაციაზე უარი განაცხადა რუსეთმაც. რაც იმას ნიშნავს, რომ 2008 წელს საქართველო კონვენციის ხელმომწერი რომც ყოფილიყო, ეს მას კიბერომს თავიდან ვერ ააცილებდა. რუსი სამართალდამცავი ორგანოები არასდროს იქნებიან ევროსაბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულნი, დააკავონ და დასაჯონ კიბერშეტევებში დამნაშავეები.

2008 წლის 12 აგვისტოში რუსეტ-საქართველოს შორის შეიარაღებულ კონფლიქტს წინ უძღოდა ინტენსიური კიბერმომზადება. საქართველოზე კიბერშეტევები არ დაწყებულა 8

აგვისტოს. ის კონფლიქტის დაწყებამდე ბევრად ადრე მომზადდა.

2006-2008 წლებში ესტონეთსა და საქართველოში მიმდინარე კიბერკონფლიქტები კიბერო- მებად არის შეფასებული. იკვეთება ამ ორ სახელმწიფოზე კიბერშეტევის საერთო და განმასხვავე- ბელი ნიშნები. ორივესათვის საერთოა სახელმწიფო და არასახელმწიფო საიტების ერთობლივი დაბომბვა. საქართველოში კი, კიბერკონფლიქტში მოსახლეობის ჩართულობის ხარისხი, ესტო- ნეთისაგან განსხვავებით, გაცილებით მეტი იყო, რამაც ე.წ. კომპიუტერული მოსახლეობა შექმნა. ანუ დაბომბვის ობიექტი და შეტევის სუბიექტი ინტერნეტის ჩვეულებრივი მომხმარებელი გახდა. კიბერომები ხშირად პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგია, რომელსაც დიდი სახელმწიფოები პატარა სახელმწიფოების გამოყენებით ან მათ წინააღმდეგ ახორციელებენ. აშშ-ს კიბერტერორიზმის ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტი, ჯორჯთაუნის პროფესორი დოროთი დენინგი განმარტავდა "ჰაკტივიზმს", როგორც ინტერნეტში საქმიანობის არალეგიტიმურ ფორმას: ჰაკტივიზმი მოიცავს ოპერაციებს, რომელთა მეშვეობით ჰაკერების დარტყმის ობიექტია ვებ გვერდები და მათ მთავარ მიზანს წარმოადგენს ინტერნეტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა. რაც შეეხება დამანგრეველი ზიანის მიყენებას, ეს უკვე კიბერტერორიზმის ფუნქციაა, განმარტავს დენინგი.

ერთ-ერთი საერთაშორისო ანალიტიკური ფონდის მონაცემებით შეტევა ჯერ კიდევ 2008 წლის 18 ივლისს დაფიქსირდა. ხოლო 8 აგვისტოდან ფართომასშტაბიანი ინტერნეტშეტევები განხორციელდა სამხრეთ ოსეთის სახელისუფლო და მედია საიტებზე. როგორც (ShadowServer)-ის მოხსენებებიდან ჩანს ამ კიბერშეტევების უკან "პატრიოტი" რუსი ოპერატორები იდგნენ, რომლებიც ფორუმებზე და უცხოურ საიტებზე მითითებებს იძლეოდნენ მომავალი დაბომბვის შესახებ: ,,გაიმარჯვე+მიყვარხარ+რუსეთი" (1 win+love+in+Rusia 807). დამკვირვებლების მონაცემებით საქართველოს საიტები Ბიზუს კოკოვს სერვერიდან იბომბებოდა, ეს საიტი მოგვიანებით "ჟულყ შერვერ" სერვერმა ჩაანაცვლა.

კიდევ ერთი კიბერშეტევა, რაც ამ ბოლო პერიოდში განხორციელდა იყო 3 ოქტომბერს, როდესაც დამნაშავეებმა ინტერნეტ-პროვაიდერ "კავკასუს ონლაინის" სერვერში შეაღწიეს და 140 ინტერნეტ–საიტი გათიშეს. "კავკასუს ონლაინის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი განმარტავს, რომ მსგავსი შეტევებისაგან არავინ არის დაცული, თუმცა კომპანია ყველანაირად ცდილობს უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების შექმნას. ,,კავკასუს ონლაინი," ყოველთვის იყენებდა და დღესაც იყენებს ინფორმაციულ ტექნოლოგიებში არსებულ უახლეს საშუალებებს, რომ კიბერშეტევებისაგან დავიცვათ მომხმარებლები, თუმცა ეს არის სფერო, სადაც უსაფრთხოების სრული გარანტიის მიცემა მომხმა- რებლისათვის შეუძლებელია. ამიტომ, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებელთა ინტერესებს ამიერიდან, ტექნოლოგიების გარდა, კანონიც დაიცავს".

2008 წლის აგვისტოს ომის დროს განხორციელებულმა კიბერ-შეტევებმა ცხადყო საქართველოში კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ეფექტური მექანიზმების არსებობის აუცილებლობა.

კიბერდანაშაულის შესახებ პროექტი 2009 წლის 1 ივნისს დაიწყო. ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივ პროექტს საქართველოში იუსტიციის სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებენ. კიბერდანაშაულის შესახებ უცხოელი ექსპერტების ჩართულობით მომზადებული პროექტის მიზანია საქართველოს შესაძლებლობების გაზრდა კიბერდანაშაულ- თან ბრძოლის სფეროში, საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია კიბერდანაშაულის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციასთან, ასევე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა და მოსამართლეთა სპეციალური ტრენინგები; ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იცვლება კიბერდანაშაულის გამოვლინება და ფორმები. ამასთან, მნიშვნელოვნად იზრდება ამ დანაშაულის საფრთხე ქვეყანაში. კიბერდანაშაულის თანამედროვე ფორმის ეფექ- ტური სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, დახვეწილი საკანონმდებლო ბაზის არსებობა.

საქართველოს მთავრობა ორი ძირითადი მიმართულებით ახორციელებს კიბერსივრცის დაცვას: პირველი - იუსტიციის სამინისტროს მიერ საკანონმდებლო ბაზის დახვეწაა, მეორე მიმართულებად კი მოიაზრება ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ წამოწყებული ინიციატივა, რაც გულისხმობს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განხილვის პროცესს.

2010 წლის 13–14 მაისს გაიმართა კონფერენცია კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით. ქართველ, სომეხ, აზერბაიჯანელ, უკრაინელ, მოლდოველ, პოლონელ, ჰოლანდიელ, ნორვეგიელ კოლეგებთან ერთად აგრეთვე მონაწილეობდა ესტონეთის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელიც. კონფერენციაზე განხილულ იქნა შემდეგი ძირითადი თემები: კიბერდანაშაულისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები; კიბერდანაშაულის გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და სასამართლო განხილვა; კიბერ-უსაფრთხოების უზრუნველყოფა ქვეყანაში; საერთაშორისო თანამშრომლობა და სხვა.

საქართველომ ევროსაბჭოს კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციას 2008 წლის 1 აპრილს მოაწერა ხელი, რაც მსგავსი ცვლილებების განხორციელების ვალდებულებას გულისხმობს. კანონმდებლობის მაქსიმალურად ჰარმონიზაციისთვის ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში კიბერდანაშაული უფრო დეტალურად გაიწერა.

სისხლის სამართლის კოდექსის XXXV თავი ეხება კიბერდანაშაულს. ადრე ამ თავს კომპი- უტერული დანაშაული ერქვა. ეს თავი ვერ უზრუნველყოფდა თანამედროვე ფორმის კიბერდანა- შაულის ეფექტიან რეგულირებას. მაგალითისთვის, მოქმედი რედაქცია იმდენად მოძველებული იყო, რომ კომპიუტერის ნაცვლად - ელექტროგამომთვლელი მანქანა (ეგმ) იყო მოხსენებული. არ ითვალისწინებდა კომპიუტერული სისტემის მეშვეობით დანაშაულის ჩადენის შესაძლებლო- ბას, კიბერდანაშაულისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, საჭირო დეფინიციებს და სხვა.

სსკ-ის ახლადჩამოყალიბებული XXXV თავი, რომელიც სულ სამი დანაშაულისაგან შედგება მოიცავს კიბერდანაშაულის იმ თანამედროვე ფორმებს, რომლებიც კიბერდანაშაულის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციაში არის ასახული: კომპიუტერულ

სისტემაში უნებართვო შეღწე- ვა (მ.284); კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება (მ.285); კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა (მ.286); მნიშვნე- ლოვანია, რომ ამ მუხლებმა შემოიტანეს სისხლის სამართლის კოდექსისათვის ახალი დეფინიცი- ები: „კომპიუტერული მონაცემი“, „კომპიუტერული სისტემა“ და ტერმინი „უნებართვო“.

.„კომპიუტერული სისტემა“ განმარტებულია, როგორც ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს.

„კომპიუტერული მონაცემი“ განსაზღვრულ იქნა, როგორც ინფორმაციის გამოსახვა კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით, მათ შორის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას.

ტერმინი - „უნებართვო“, გულისხმობს კანონსაწინააღმდეგოს, აგრეთვე იმ შემთხვევას, როდესაც უფლების მფლობელს არ გადაუცია უფლება ქმედების ჩამდენი პირისათვის პირდაპირ ან არაპირიდაპირ. ნებართვის არარსებობის ელემენტი დამახასიათებელია თითქმის ყველა კიბერდანაშაულისათვის. ეს სიახლე მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც კანონპროექტით ახლადჩამოყალიბებულ ქმედებათა ჩადენა თავისთავად არ არის დასჯადი, თუ ქმედებები ჩადენილია ნებართვით. მაგალითად, კომპიუტერულ სისტემაში შეღწევა თავისთავად არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ ამ ქმედების განმახორციელებელ პირს ჰქონდა სისტემაში შეღწევის ნებართვა. ამის მაგალითია, აგრეთვე კომპიუტერული სისტემისათვის მავნე პროგრამის ნებადართული ტესტირება.

ცვლილება შეეხო სსკ-ის 107-ე მუხლს კერძოდ, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემთხვევებს. ვინაიდან კიბერდანაშაული შესაძლებელია ჩადენილ იქნას იურიდიული პირის მიერ, შემოთავაზებული რედაქცია იურიდიული პირის პასუხისმგებლობასაც ავრცელებს ამ ტიპის დანაშაულებზე.

ცვლილება შეეხო სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლსაც, რომლის ძველი რედაქცია კრძალავდა მხოლოდ კერძო საუბრის საიდუმლოების დარღვევას ტექნიკური საშუალების გამოყენებით ჩაწერის ან მიყურადების გზით. ვინაიდან, იზრდება კომუნიკაცია ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, მნიშვნელობას იძენს ამ გზით განხორციელებული კომუნიკაციის ეფექტიანი დაცვა უკანონო ჩარევისგან. შემოთავაზებული რედაქციით დაცულია არამხოლოდ ზეპირი კომუნიკაცია კომპიუტერული სისტემების გამოყენებით, არამედ კომპიუტერულ სისტემაში ან სისტემიდან კერძო კომუნიკაციისას გადაცემული კომპიუტერული მონაცემი ან ამგვარი მონაცემის მატარებელი ელექტრომაგნიტური ტალღები.

საყურადღებოა, რომ ელექტრომაგნიტური ტალღები მართალია არ წარმოადგენს კომპიუტერულ მონაცემს, მაგრამ შესაძლებელია იყოს კერძო კომუნიკაციით გადაცემული მონაცემების მატარებელი. შესაბამისად, ამგვარი ტალღების მოპოვებით შესაძლებელი ხდება წვდომა კერძო კომუნიკაციაზე. სწორედ აღნიშნული ინტერესის დაცვას ემსახურება ეს კონკრეტული ჩანაწერი.

ოპერატიულ–სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონშიც მოხდა ცვლილების შეტანა, რომლის თანახმადაც, საგამოძიებო სტრუქტურებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ წვდომა: კავშირგაბმულობის და კომუნიკაციების ფიზიკურ ხაზებთან და მათ შემაერთებლებთან, მაილსერვერებთან, ბაზებთან, კავშირგაბმულობის ქსელებთან.

საზოგადოება ერთგვარი დილემის წინაშეა – დავიცვათ ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება, თუ მისი შელახვის ხარჯზე ვებრძოლოთ კიბერდანაშაულს? ეს საკითხი დავას იწვევდა სამეცნიერო თუ სახელისუფლებო წრეებში. ამერიკის ხელისუფლებამ შეძლო საკანონმდებლო ორგანო დაერწმუნებინა, რომ ის, ვინც უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას, უნდა იყოს პასუხისმგებელი მის უსაფრთხოებაზეც. ამიტომ საჭიროების შემთხვევაში, კიბერდანაშაულის აღსაკვეთად საგამოძიებო სტრუქტურებისთვის სხვისი პირადი მეილები, ჩათები და ა.შ. ხელმისაწვდომი გახდა. პირადი მეილები, ჩათები, ღია და დახურული საუბრები ინტერნეტში საქართველოში უკვე ხელმისაწვდომია საგამოძიებო სტრუქტურებისთვის. ე.ი. საქართველოში მოქმედი კავშირგაბმულობის კომპანიები, "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონში შესული ცვლილებების თანახმად, ვალდებული არიან გამოძიებისთვის ნებისმიერი პერსონის პირად ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყონ. თუმცა არ არის გამორიცხული, საგამოძიებო ორგანოს რომელიმე არაკეთილსინდისიერმა წარმომადგენელმა პირადი ინფორმაცია მოქალაქის შანტაჟირებისთვის გამოიყენოს. მაგალითად, ზოგიერთს არ სურს თავისი რელიგიური ან თუნდაც სექსუალური ორიენტაციის აფიშირება, რაც, ვთქვათ, შეიძლება პირადი მიმოწერით დადგინდეს. ასეთი საშიშროება ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტია, ვიდრე სხვა რომელიმე დემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც ადამიანის უფლებები უკეთ არის
დაცული. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობის მიმართულებით. ხელი მოეწერა მემორანდუმს კიბერდანაშაულის გამოძიების პროცესში თანამშრომლობის პრინციპების შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს, ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებსა და ელექტრონული კომუნიკაციების კომისიას შორის. მემორანდუმი ეფუძნება ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებსა და სამართალდამცავ ორგანოთა შორის თანამშრომლობის შესახებ ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში იგეგმება კიბერდანაშაულის გამოძიებაზე უფლებამოსილი სპეციალური ქვედანაყოფის შექმნა. ამ მიზნით შერჩეულმა პერსონალმა უკვე გაიარა სათანადო საბაზისო ტრეინინგი. ეს იქნება ქვედანაყოფი 24/7_ზე. ანუ მოქალაქეებისთვის და საერთაშორისო საზოგადოებისთვის ის დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში იქნება ხელმისაწვდომი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კიბერდანაშაულთან მიმართებით განხორციელე- ბული ცვლილებები და გატარებული ღონისძიებები იქნება თუ არა ქმედითი და ეფექტური ამას დრო გვიჩვენებს. მისასალმებელი იქნება თუ კიბერდანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნა ისევე დაიწყება, როგორც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სხვა დანაშაულებზე ხდება. აგრეთვე თუ მოხდება

საზოგადოებაში ცნობიერება ამაღლება კიბერ- დანაშაულის, კიბერკრიმინალის საფრთხეებთან დაკავშირებით და ერთგვარი თავდაცვის მე- ქანიზმებიც შემუშავდება.

მანამდე კი სპეციალისტები კიბერდანაშაულისგან თავდაცვისთვის გვირჩევენ: ძირითადი საფრთხე კომპიუტერისათვის არის ელექტრონული ფოსტა და საეჭვო პროგრამები. მათი მეშვეობით კომპიუტერში შეიძლება მოხვდეს ვირუსები, ე.წ. "ჭიები", "ტროას ცხენები", სწორედ ამიტომ არ გამოვიყენოთ არალიცენზირებული პროგრამები; არ გავაბათ საფოსტო მიმოწერა უცნობ ადამიანებთან; არ გავხსნათ წერილები, რომლებსაც არ მოველით; ნუ ვესტუმრებით საეჭვო საიტებს; არ გამოვიყენოთ კომპიუტერი დაცვის სისტემის გარეშე. არ გავხსნათ და ვუპასუხოთ უცნობი მისამართიდან მიღებულ წერილებს. არ მივყვეთ სხვადასხვა ვებ-გვერდებზე განთავსებულ ლინკს, რომლებიც ფულის მოგებას გვპირდებიან. არავის მივწეროთ საკუთარი საბანკო ანგარიშის ნომერი და პინკოდი. გადავამოწმოთ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც ელექტრონულად ვიღებთ, თუნდაც ის მეგობრის მისამართიდან იყოს მოსული.

ინტერნეტი უსაზღვრო სივრცეა, მისი მეშვეობით ერთ წამში მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შეგვიძლია დავუკავშირდეთ ადამიანებს. საფრთხე, რომელსაც ეს გლობალური ქსელი ქმნის, რეალურია. ახლა კი ჩვენი გადასაწყვეტია, გავითვალისწინებთ მსოფლიოში არსებულ რეკომენდაციებს და დავიცავთ თავს დანაშაულისგან, თუ კიბერკრიმინალთა მსხვერპლი გავხდებით.